ი.ვ. ტიუტჩევი

საომ ოთის უფლებაზე

თარგმანი მეორე,
შესწორებული და
შევსებული გამოცემიდან

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1984

68.4
355
ტ 626

თარგმნა აკაკი გრეგაძემ

0505030202 — 300
Т ——————————— გრძ. № 10, 6 I, 1984.
М 601(08)—84

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.
© Воениздат, 1972.

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

საქართველოს მშრომელები მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად ემზადებიან დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ორმოცი წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით, ქართულ ენაზე პირველად გამოდის არმიის გენერლის ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევის წიგნი „სამი ომის გზებზე". გენერალმა ტიულენევმა დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის დაცვის ორგანიზაციასა და მის ტერიტორიაზე გერმანელ ფაშისტთა ურდოების განადგურებაში.

ცნობილი საბჭოთა მხედართმთავრის წიგნის პირველ გამოცემას მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა. ამან განაპირობა მისი ხელმეორედ გამოცემა.

უბრალო ხალხის წრიდან გამოსული მხედართმთავრის ცხოვრების გზა, რიგითი ჯარისკაციდან ფრონტის სარდლამდე, სამი ომის ქარცეცხლიანი ბრძოლების გავლით, საინტერესოა და დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. იგი იყო ბევრი ისტორიული მოვლენის მოწმე და მონაწილე. დიდად საგულისხმოა მისი ცხოვრების ის პერიოდი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს და კავკასიას. ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევმა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდლობა სწორედ მაშინ ჩაიბარა, როცა სამშობლოს ძლიერ უჭირდა.

რუკაზე დაუხედავადაც შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ფრონტის არაჩვეულებრივი სირთულე. როგორც მოგვიანებით თვითონ სარდალი აღნიშნავდა: ამიერკავკასიის საომარ მოქმედებათა თეატრისათვის დამახასიათებელი იყო სიგრძივ განფენილი ფრონტის ხაზი, რომელიც მთებითა და გამოქვაბულებით დასერილ ლანდშაფტზე გადიოდა და სამი ოპერატიული მიმართულება ჰქონდა — გროზნო—ბაქო, კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილები და ტუ-

აფსე. გარდა ამისა დიდ სიძნელეებს ქმნიდა ფლანგების სიახლოვე ზღვებთან; დაკავებული პოზიციის სიმაღლის მიხედვით კლიმატურ სარტყელთა მკვეთრი ცვალებადობა; უგზოობა; ქვეყნის ცენტრიდან გარკვეული იზოლირება; დაბოლოს, ზურგში თურქეთთან მოსაზღვრეობა, რაც ფაქტიურად წრიული თავდაცვის აუცილებლობას მოითხოვდა. ყველაფერი ეს მეტად აძნელებდა საომარი მოქმედების წარმოებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა სიძნელე გადალახული იქნა. კავკასიის დაპყრობის ჰიტლერულ ავანტიურისტულ გეგმას „ედელვაისს“ დაუპირისპირდა საბჭოთა სარდლობის რეალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიონის მისადგომებზე პლაცდარმთა შენარჩუნებას; სახმელეთო ჯარის აქტიურ ურთიერთქმედებას შავი ზღვის ფლოტთან, კასპიისა და აზოვის ზღვების ფლოტილიებთან; ზურგის საიმედოდ გამაგრებას. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სასწრაფოდ, უმოკლეს ვადებში დაინერგა სამხედრო წარმოება. ქვეყნის სამრეწველო რაიონებთან უწყვეტი კავშირი ხორციელდებოდა კასპიის ზღვისა და ყიზლარ—ასტრახანის რკინიგზის საშუალებით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანის ტერიტორიიდან სამხედრო ტვირთის დროულად მიღების უზრუნველყოფას.

კავკასიის გმირულ დაცვაში აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის ახალგაზრდობა და ქალები.

უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის მითითების თანახმად, ი. ვ. ტიულენევი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციების დახმარებით, დიდ ყურადღებას უთმობდა მოსახლეობის მობილიზაციას და მოხალისეთა რაზმების ფორმირებას.

15 თვეს გრძელდებოდა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლა. ქლუხორისა და სანჭაროს უღელტეხილებზე, ასევე მოზდოკის მიმართულებით მტრის შენაერთების განადგურებამ, ნოვოროსიისკთან და ტუაფსეს მიმართულებით საბჭოთა არმიის შავი ზღვის დაჯგუფების საომარმა მოქმედებამ და კრასნოდარისა და სტავროპოლის რაიონში ჩვენმა ზადამწყვეტმა ოპერაციებმა განაპირობეს ტამანის ნახევარკუნძულის შთლიანი გაწმენდა ჰიტლერელ დამპყრობთაგან 1943 წლის 9 ოქტომბრისათვის.

საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციების დროს მტრის დანაკარგმა შეადგინა 281 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 1958 ტანკი, 2 ათასი თვითმფრინავი, 7 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 22 ათასი ავტომანქანა და სხვა სამხედრო იარაღი.

კავკასიის დაცვისათვის ბრძოლა, რომელიც სტალინგრადის გმირულ ეპოპეასთან მჭიდრო ურთიერთქმედებით მიმდინარეობდა, დიდი სამამულო ომის ბატიანეში სამართლიანადაა აღიარებული როგორც სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი. ისტორიაში დარჩა ფრონტის სარდლის ი. ვ. ტიულენევის სახელიც, რომლის ხელმძღვანელობითაც საბჭოთა არმიის მეომრებმა ჯერ შეაჩერეს და შემდეგ სასტიკად დაამარცხეს ძლიერი და ვერაგი მტერი.

დღეს, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მაგონდება ივანე ვლადიმერის ძესთან ჩემი შეხვედრები როგორც ფრონტზე, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში და სწორედ ამის გამო ვაძლევ თავს უფლებას გაგიზიაროთ ჩემი პირადი შთაბეჭდილებანი. მე იგი მახსოვს როგორც კომუნისტი, მხედართმთავარი, მოვალეობის მაღალი გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი. პრინციპულობა და მომთხოვნელობა ორგანულად ერწყმოდა მის სიკეთესა და გულისხმიერებას. ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ გენერალი ტიულენევი ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი იყო. ჯარისკაცებთან თუ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დროს ივი ადვილად ძლევდა ენობრივ ბარიერს. სარდლის ხასიათის ამ თვისებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამიერკავკასიის ფრონტის ჯარი მართლაც ყველაზე მრავალეროვანი შემადგენლობით გამოირჩეოდა.

ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევი დიდად აფასებდა კავკასიელ მეომრებს. „ჩემთვის, როგორც ამიერკავკასიის ფრონტის სარდლისთვის, — მოგვიანებით წერდა იგი, — მეტად საპატიო იყო მრავალეროვანი სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელობა. კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში ჯარისკაცებისა და ოფიცრების საბრძოლო შემართება სამაგალითოა მომავალი თაობებისათვის; ყველამ, როგორც ერთმა, გამოაცალინა მტრისადმი სიძულვილი და სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული“.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევის ღვაწლს. მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დაჯილდოებულ იქნა მრავალი ორდენითა და მედლით. აღსანიშნავია, რომ მხედართმთავრული ხელოვნებისათვის გენერალმა ტიულენევმა ერთ-ერთმა პირველმა მიიღო კუტუზოვის ორდენი.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, აგრეთვე დონის როსტოვსა და ულიანოვსკში არის გენერალ ტიულენევის სახელობის ქუჩები. მოს-

კოვში ბოლშაია რუევსკაიას ქუჩაზე და თბილისში მაჩაბლის ქუჩა № 6 სახლის კედელზე გაკრულია გენერალ ტიულენევისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფები. ზღვებსა და ოკეანეებში დაცურავს ტანკერი, რომელიც გამოჩენილი მხედართმთავრის სახელს ატარებს.

იქ, სადაც საბჭოთა არმიის მეომრებმა ფაშისტთა შენაერთი „ედელვაისი“ გაანადგურეს, დაღუპულ გმირთა უკვდავსაყოფად აღმართულ ძეგლზე ამოკვეთილია ასეთი სტრიქონები: „ადამიანებს გულს არ უნდა უშხამავდეს გარდასული მწუხარება... მაგრამ მათ აუცილებლად უნდა ახსოვდეთ ის გმირები, რომლებმაც ისინი ამ მწუხარებისგან იხსნეს“.

ხსოვნა კი ნიშნავს — ინახავდე და ავითარებდე ჩვენს გმირულ ტრადიციებს, სათუთად გადასცემდე თაობიდან თაობას მათს ღვაწლს საყვარელი სამშობლოს დაცვისათვის წმიდათაწმიდა ბრძოლაში. ამასვე მოგვიწოდებს სახელგანთქმული საბჭოთა მხედართმთავრის, ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევის ეს წიგნიც.

გენერალ-პოლკოვნიკი ა. ინაური.

ᲓᲘᲜ, ᲨᲐᲜᲗᲘᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

მე ცხოვრება წარმომიდგენია ფართო წყალსავსე მდინარედ; რაც მეტი ხნის ხდები, მით უფრო შორდები სათავეს. ახლა ჩემი ცხოვრების შესართავთან ვარ. თუმცა მდინარეები აღმა არ მიედინებიან, მაგრამ ასეც ხდება ხოლმე: მოგონებები უცბად გაგაქანებენ დინების საწინააღმდეგოდ, სათავისაკენ. და თითქოს გუშინ იყოო, ისევ ხედავ შენს თავს, ფეხშიშველა ბიჭუნას, მამისეულ სახლს, ძმებს, რომლებიც უკვე ცოცხლები აღარ არიან, გესმის დედის მოღუღუნე ხმა, მამის დინჯი, შოგუდული ბოხი...

ბევრმა მოვლენამ, ნათელმა, ოქროსავით გაუხუნარმა და ნაკლებად მნიშვნელოვანმა მეხსიერების კუნჭულში მიამწყვდია მშობლიური სოფელი შატრაშანი, ბავშვობის დროინდელ ამხანაგთა სახეები.

მინახავს პირველი იმპერიალისტური ომი, ოქტომბრის დიადი დღეები, სამოქალაქო და სამამულო ომების ფრონტები და ბევრი სხვა, რასაც ხან სიხარულით, ხან სევდიანად ვიგონებ ხოლმე...

ვოლგასთან ახლოს, ხშირ ფიჭვნართან მდებარეობს დიდი სოფელი — შატრაშანი. ხუთასი გლეხური კომლი მიმოფანტულია გორაკზე. სიძველისაგან დაბრეცილი მომწვანოსახურავიანი ძელური ქოხები ბეცი სარკმელებიდან სევდიანად გადაყურებდნენ თურქული ხმალივით მრუდე ქუჩებსა და შესახვევებს. მარტო სოფლის

ცენტრში ეკლესიის მოედანთან იდგა რამდენიმე კარგი ქვის საძირკვლიანი შენობა, ჩუქურთმიანი კარ-ფანჯრებით. იქ ცხოვრობდა სოფლის დიდკაცობა — მდიდარი მედუქნე, მღვდელი, მამასახლისი...

შატრაშანი ძველი სოფელია. მოხუცები ამბობდნენ, რომ ეს სახელწოდება წარმოდგება სიტყვა „შატრი"-დან. აქ ოდესღაც თარეშობდნენ თათარ-მონღოლი დამპყრობლები. ადგილი იყო უდაბური, ტყიანი, ბორცვების ფერდობები კი გადამწვანებული იყო მობიბინე ნოყიერბალახიანი მდელოებით. იქ მომთაბარენი შლიდნენ თავიანთ კარვებს და ცხოვრობდნენ ერთხანს, რათა მომზადებულიყვნენ შემდგომი ლაშქრობისათვის.

ამ ადგილებს ახსოვთ სტეფანე რაზინისა და ემელიანე პუგაჩოვის „ვოლნიცები". ვოლგაზე მოჩუქურთმებული იალქნიანი ნავებით დაცურავდნენ მარჯვე ჭაბუკები, რუსეთის დიდი მდინარის ნაპირებს კი მიუყვებოდნენ ქვეითი და ცხენოსანი რაზმები, თავზარს რომ სცემდნენ ბატონებსა და მემამულეებს.

იმ შორეულ დროთა შესახებ ბევრი საინტერესო მომისმენია ბებიაჩემის — მართა სიდორის ასულისაგან. ის თხრობის დიდი ოსტატი იყო.

ზამთრობით ბიჭები მასთან შევიკრიბებოდით ხოლმე. გარეთ ქარიშხალი მძვინვარებდა. ღუმელში შეშა ტკიცინებდა. მაგიდაზე ნავთის ლამპა ბჟუტავდა. მამა ჭილობს ქსოვდა, დედა პერანგს აკერებდა, ბებია კი იჯდა სართავ ჯარასთან და თითისტარის მონოტონურ ბზუილში აუჩქარებლად ყვებოდა ემელიანე პუგაჩოვისა და სტეფანე რაზინის ამბებს, სადაც სინამდვილე და ლეგენდა ერთმანეთშია გადაჯაჭვული. ბებიის ყოველი სიტყვა ღრმა კვალს ტოვებდა ჩვენს ნორჩ გულებში.

ჩვენი, ტიულენევების, ოჯახი დიდი იყო: ექვსი საკუთარი შვილი და კიდევ გარდაცვლილი ბიძის ოთხი დანატოვები. დედა და მამა ხელდაკაპიწებული შრომობდნენ, რომ გამოეკვებათ ამდენი მჭამელი. ხელმოკლეობა და გაჭირვება, შიმშილი და სიცივე მუდამ თან გვდევდა.

დედაჩემი, აღათი მაქსიმეს ასული, შრომისმოყვარე, კეთილი, სხვისი გაჭირვების დიდი თანამგრძნობი იყო. რა ძნელიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის ათი ბავშვის მოვლა, არასოდეს ბუზღუნებდა, დილიდან შუაღამემდე ოჯახის საქმეებს აკეთებდა. შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ მას უფროსი შვილები.

მამაჩემი ვლადიმერ ევსტიგნეს ძე მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში. ის იქიდან მედლით დაბრუნდა, მაგრამ მე არ მსმენია, რომ მას ვინმესთან თავი მოეწონებინოს ამ ჯილდოთი. მედალი სკივრის ფსკერზე, წიგნების ქვეშ ჰქონდა შენახული. წყნარი, თავმდაბალი, გამრჯე მამაჩემი წერა-კითხვის მცოდნედ ითვლებოდა სოფელში, ძალიან უყვარდა წიგნები, ხშირად გადაიკითხავდა, რაც გააჩნდა, და ბავშვივით უხაროდა, როცა შრომით დაგროვილი გროშებით ახალ წიგნს შეიძენდა ხოლმე. თავისუფალ დროს, განსაკუთრებით ზამთრის ღამეში, ის ხალისით უკითხავდა თანასოფლელებს.

1900 წლისათვის წამოიზარდნენ ჩემი უფროსი ძმები, და, როგორც ჩვენი სოფლის სხვა ბიჭები, ქალაქში საშთვარზე წავიდნენ. დრო და დრო ისინი მამას უგზავნიდნენ ფულს. ჩვენი ოჯახის მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ კარგი ცხოვრებისაგან ჯერ კიდევ შორს ვიყავით.

1903 წელს დავამთავრე სოფლის სკოლა და მამას დავუწყე ხვეწნა, ქალაქში წამიყვანე-მეთქი: ძალიან მინდოდა სწავლის გაგრძელება, დედაშ მხარი დამიჭირა.

— ყველაფერში შენ გგავს, — ეუბნებოდა ის მამას, — როგორც მცენარე მზისკენ, ისე მიილტვის წიგნებისაკენ. — მამას სიამოვნებდა ამის გაგონება, მაგრამ თვითონ სხვაგვარად გადაწყვიტა:

— რასაკვირველია, ბიჭმა კიდევ უნდა ისწავლოს, მაგრამ სად ვიშოვოთ ფული? ტყუილად როდია ნათქვამი: კარგია სამოთხეში ყოფნა, მაგრამ ცოდვები არ გვიშვებსო.

როცა შენიშნა, რომ მოვიწყინე, თავზე ხელი გადამისვა:

— არაფერია, ნუ იდარდებ, შვილო. ცოტას წაიმუშავებ, მოგვეხმარები, მერე კი, ვნახოთ, იქნებ კიდევაც განაგრძო სწავლა.

მაგრამ მას, ისევე როგორც მე, არ სჯეროდა ეს. ასეც მოხდა. ჩემი განათლება სოფლის სკოლით შემოიფარგლა. დაიწყო მძიმე შრომითი ცხოვრება.

მამას ვეხმარებოდი ჭილობის ქსოვაში. შემდეგ მან მომაწყო ქვეოსტატად სოფლის სამჭედლოში, ხოლო 1904 წლის დამლევისათვის წამიყვანა ქალაქ სიმბირსკში და დამტოვა იქ შავ მუშად „ნიკიტა პონიზოვკინი და ვაჟიშვილების“ ბადაგ-სახამებლის ქარხანაში.

მართალია, ქარხანაში ბადაგი მზადდებოდა, მაგრამ მე იქ სიტკბო არ მინახავს. დილიდან საღამომდე ერთი ადგილიდან მეორეზე

გადამქონდა კასრები, ვგვიდი ეზოს, ვჩეხავდი შეშას. ბევრს ვმუშაობდი, ხოლო გამომუშავება, რომ იტყვიან, გროში მქონდა. საკუთარი თავის გამოსაკვებად ძლივს მყოფნიდა. სახლში ვერაფერს ვერ ვაგზავნიდი.

მაშინ მამაჩემმა გადაწყვიტა: სჯობს მე დამეხმარო სახლში, ვიდრე მუქთად გაგძვრეს ზურგზე ტყავი „მებადაგე“ მეფაბრიკესთანო. და მეც დავბრუნდი მშობლიურ სოფელში...

რუსეთ-იაპონიის ომმა კიდევ უფრო დაამწუხრა ჩვენი ისედაც უსიხარულო ცხოვრება: ჯარში გაიწვიეს პეტრე ბიძია.

ახალწვეულებს დილით ადრე აცილებდნენ. ამტვერიანებულ გზაზე ჭრიალით მიდიოდნენ ოთხთვალები, ხოლო მათ უკან მიჩანჩალებდნენ თაჯჩაქინდრული გლეხები და დედაკაცები. ოთხთვალებზე ჯაყჯაყებდა ახალწვეულთა ბარგი-ბარხანა: ზანდუკები, ზურგჩანთები, ბოხჩები...

ბიჭები, რომლებმაც ჯერ არ იცოდნენ, თუ რა მოელოდათ ომში, მხნედ მიაბიჯებდნენ მტვრისგან გამოხუნებულ გზაზე და გარმონზე ამღერებდნენ: „ახლანდელი ბოლო ფულით მე ვქეიფობ თქვენთან გულით...“ უფროსები ჩუმად მიდიოდნენ ქალებისა და ბავშვების გარემოცვაში. აცრემლებული დედაკაცები, თითქოს მიცვალებულს დასტირიანო, ისე მოთქვამდნენ: „რატომ გვტოვებთ? სად მიფრინავთ, შევარდნებო?..“ მიწაყრილზე ჩაძომსხდარი დაუძლურებული მოხუცი დედაბრები და ბერიკაცები ტირილით მიაცილებდნენ:

— დაგვიბრუნდებიან კი სახლში შვილები?

— რავა წინასწარ აწვენ კუბოში? — აჩუმებდა მათ რომელიღაც ძველი ჯარისკაცი. — იაპონელი ჩვენ რას დაგვაკლებს. ტანმორჩილია, შეუბერავ და ბუმბულივით გაფრინდება! შეხედე, ჩვენები როგორი არწივები არიან! ნუთუ ვერ მოერევიან? სულ კუდით ქვას ვასროლინებთ!

მაშინ მოდაში იყო რომელიღაც ყოჩაღი გენერლის მიერ წამოსროლილი ეს ფრაზა. მან მთელი რუსეთი მოიარა და ბევრმა ირწმუნა ან სურდა ერწმუნა, რომ სწორედ ასე იქნებოდა. მაგრამ როცა მანჯურიის შორეული ველებიდან მოაღწია პირველმა ხმებმა რუსეთის ჯარების დამარცხების შესახებ, ამ „კუდით ქვას ვასროლინებთ“ წარმოთქვამდნენ არა ტრაბახით, არამედ მწარე ირონიით.

ომის დროს და მის შემდეგაც კიდევ დიდხანს ღვრიდნენ ცრემ-

ლებს ჯარისკაცთა დედები, ცოლები, დები და შვილები. ჩვენს ოჯახში განსაკუთრებით ძლიერ ნაღლობდა ბებია. ის ტიროდა მაშინ, როცა წერილი მოჰქონდათ და მაშინაც, როცა დიდი ხნით იგვიანებდა იგი. წერილით ხელში დამადგებოდა თავზე და მეხვეწებოდა:

— ვანიუშა, შვილო, წაიკითხე, რას იწერება ჩემი შეევარდენი პეტია.

მე ვხსნიდი პეტრე ბიძიას წერილს და ვიწყებდი კითხვას, ბებია კი, დანაოჭებულ ლოყაზე იდაყვდაყრდნობილი, დაჩიავებული და შვილის ომში გაწვევის შემდეგ ღრმად მოხუცებული, ჩუმად ტიროდა.

ასეთ წუთებში მეც ვნერვიულობდი. ბებიის საცოდაობა გულს მიკლავდა და, რამდენადაც შემეძლო, ვცდილობდი მის დამშვიდებას:

— რატომ ტირიხარ, ბებია? პეტრე ბიძია ხომ ცოცხალია, ჯანმრთელადაა.

მაგრამ ბებია უფრო უმატებდა ტირილს:

— ჯერ ცოცხალია. ლამის საუკუნისა გავხდე და განა არ ვიცი, რომ ომიდან ცოტა ვინმე თუ დაბრუნდება დაუსახიჩრებლად. დედის გული გრძნობს, კარგი არ მოელის ჩემ პეტრუშას.

ერთხელ ბიძაჩემის წერილს რომ ვკითხულობდი, ჩვენ ვერ შევნიშნეთ. როგორ დაგვადგა თავზე მამა.

— პეტრედანაა? რას შვრება იქ? რას იწერება?

— სახალინზე ჩასულა, — მოვუყევი მამას. — ბრძოლა ჯერ იქ არაა, პორტ-არტურთან კი, იწერება, დიდი ჩეხვაოო. იაპონელებმა რაღაც წაგვართვეს, მაგრამ რა — ვერ ვარჩევ. მთელი სტრიქონი წაშლილია...

მამამ გამომართვა წერილი, ყურადღებით გახედა სინათლეზე, თავი გააქნია და, როგორც მომეჩვენა, კმაყოფილებით წარმოთქვა:

— იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს... რას იზამ, ეს არაა ცუდი ამბავი.

მამაჩემის სიტყვებმა გამაოცა. ეს როგორ? ნუთუ მას იაპონელების გამარჯვება სურს? მაგრამ მაინც ვერ გავბედე მეკითხა რამე.

ჩემი განცვიფრება რომ შენიშნა, მამამ გაიღიმა და თქვა:

— შენ, შვილო, ამაზე თავს ნუ იმტვრევ, ჯერ ახალგაზრდა ხარ. გაიზრდები — გაერკვევი...

სოფელში კი რუსეთის არმიის წარუმატებლობაზე მანჯურიაში ასე მსჯელობდნენ.

— რუსი ჯარისკაცი ძლიერია, უძლეველია. ის როგორ მოხდება, რომ მტერი მოგვერიოს. აქ რაღაც სხვა რამეა. ალბათ, უფროსობა თუ ჰყიდის რუსეთს იაპონელებზე. ჩვენთვის ომს გაღატაკების მეტი რა მოაქვს, მინისტრებს და გენერლებს, მეფაბრიკეებს და მემამულეებს კი ის, როგორც ჩანს, ხელს აძლევს. თუ დავუკვირდები, ეს, მართლაც, ასეა. აი, პონიზოვკინმა თავისი ქარხანა გააფართოვა, საქმე კარგად დააყენა. ერთი ნახე, მისთვის ომი პირდაპირ ისეთი დღესასწაულია, როგორც შენთვის შობა და აღდგომა.

მწარე სიმართლე ომის შესახებ უფრო მეტად აღწევდა ხალხში. შემოდგომის წვიმიან საღამოს ჩვენს ქოხში იკრიბებოდნენ გლეხები. ისინი მამაჩემთან მოდიოდნენ და გულწრფელად ფიქრობდნენ. რომ რაკი წერა-კითხვის მცოდნეა, წიგნებს კითხულობს, მაშასადამე, ყველაფერი უნდა იცოდეს, ყველაფერი უნდა განმარტოს, სად რა ხდებაო.

წამოიწყებს ლაპარაკს ერთი, სიტყვას ჩაურთავს მეორე, და ქოხი უკვე გუგუნებს. განსაკუთრებით ცხარობდა მეზობელი სტეფანე: ამბობდა, რუსეთში არ არის იმაზე უფრო ბედშავი და ღარიბი სოფელი, როგორიც შატრაშანიაო.

— შენ რაზე ღელავ, სტეფანე, — ცდილობდა მის დამშვიდებას მისი მეგობარი ეგნატე. — განა მარტო ჩვენს სოფელში არიან გაჭირვებული გლეხები? ბევრი რამ მინახავს ამ ქვეყანაზე, სად არ ვყოფილვარ და ყველგან უჭირს ჩვენს ძმა-გლეხს. აშკარად ასეა ოდითგანვე რუსეთში.

მახსოვს, შემოდგომის ერთ საღამოს ჩვენს ქოხში დიდი ხალხმრავლობა იყო. შეიკრიბნენ გლეხები, რომ მოესმინათ ახალი ამბები, ჩვენმა მეზობელმა გერასიმე გუსკოვმა რომ ჩამოიტანა სიმბირსკიდან. იმ საღამოს მე გვიანობამდე არ ვწვებოდი დასაძინებლად. კუთხეში მიყუჟული ხარბად ვუსმენდი, ვცდილობდი არ გამომპარვოდა არც ერთი სიტყვა.

ქოხში სივიწროვე და უჰაერობა იყო. წეკოს ბოლი ღრუბელივით იდგა ჰერქვეშ. გლეხები ისხდნენ კედლის გასწვრივ ფიცრებზე. გერასიმე დარბაისლურად, დინჯად ყვებოდა:

— მივუახლოვდი სოფელ ნაგატკინოს, წინ ჩია გლეხი შემომხვდა. ტანმორჩილი ცხენი ძლივს ეწევა ტვირთსაზიდარს, რომელზედაც ყოველნაირი ავლადიდება ყრია: ყუთები. სკამები, ბოხჩები. „საით გაგიწევია, ახალ საცხოვრებელ ადგილზე“? — ვეკითხები. ის კი სი-

ხარულისაგან ძლივს მპასუხობს: „სახლში, კეთილო კაცო. სახლში ვეზიდები ბარგი-ბარხანას. ღმერთმა გამომიგზავნა, არ დამჩაგრა. კეთილმა ხალხმა მომცა. წაიღე, მეუბნებიან, ბატონის ქონებაა, ნუ გენაღვლება...“ შევჩერდით, გავაბოლეთ, გლეხკაცმა გამიმარტა: „ნაგატკინოელებმა დაარბიეს თავისი მემამულე ბელიაკოვი, კარ-მიდამოდან ყველაფერი დაიტაცეს, ნარჩენების წაღების უფლება მეც მომცეს, პირუტყვის გაყოფაც დაიწყეს, შემდეგ კი, ამბობენ, მიწასაც გავიყოფთო... აი ასეც ხდება ქვეყანაზე, კეთილო კაცო. იყო პანი, დაიკარგა კვალი... ენანობ, რომ ნაგატკინოელი არა ვარ, თუ არა. მეც შემხვდებოდა ძროხა...“

გერასიმემ გადახედა მსმენელებს და განაგრძო:

— გლეხი გაუყვა თავის გზას, მე კი გადავწყვიტე შემეხვია ბელიაკოვის კარ-მიდამოსკენ. მოდი, საკუთარი თვალით ენახავ, როგორ გაუსწორდნენ მემამულეს-მეთქი. მივუახლოვდი, და მართლაც — კარ-მიდამოში უამრავი ხალხია. ყველა რაღაცას ფაციფუცობს, ყვირის. ბარგიბარხანიანი საზიდრები დგანან. ექაჩებიან ძროხებს, ცხენებს. ბაზრობა გეგონება!

— შენ კი რატომ არ წამოიღე საჩუქარი? — დაინტერესდა ეგნატე.

— მეზობელ მემამულეთა ქონებაში ხელის ფათური რა საჭიროა. ჩვენიანებიდან უნდა ავიღოთ! ჩვენ კი მხოლოდ ვყაყანებთ, როგორ მოვიქცეთ, — შუბლშეკმუხნით უპასუხა გერასიმემ.

გლეხები აღელდნენ. გერასიმე გუსკოვის მოტანილმა ახალმა ამბებმა ყველა ააფორიაქა.

მეორე დღეს შატრაშანში მხოლოდ ბელიაკოვის კარ-მიდამოს დარბევის შესახებ ლაპარაკობდნენ. გლეხების უმრავლესობა იწონებდა ნაგატკინოელების მოქმედებას, აქებდა მათ გულადობისა და შეუპოვრობისათვის. მარტო ზოგიერთი მოხუცი და მდიდარი კიცხავდა „მეამბოხეებს“.

ყველაზე გულადები და შეუპოვრები ამბობდნენ:

— კმარა ენის ქავილი. მივადგეთ ჩვენს ბატონს, ახლა ჩვენი რიგია.

ჩვენს ოჯახში განსაკუთრებით ცხარობდა ათანასე ბიძია. ის მოითხოვდა დაუყოვნებლივ მიებაძათ ნაგატკინოელებისათვის:

— რას ველოდებით? წავიდეთ ბატონის მამულში და ერთი შაგრად შევანჯღრიოთ მმართველი.

გაბრიელ ბიძია ფრთხილობდა:

— რატომ ჩქარობთ! ვნახოთ, როგორ ყაუვათ საქმე ნაგატკინოელებს.

— სწორია! დაელოდე, გაბრიელ, დაელოდე, — გაქირდვით ეუბნებოდა ბიძია ათანასე. — სჩანს, დაგავიწყდა, ტყავი რომ კინაღამ გაგაძრო მმართველმა, როცა შენ შვრიის ძნა აიღე ბატონის ზვინიდან საკუთარი ცხენისათვის?

ამის გახსენებაზე გაბრიელ ბიძია შეიჭმუხნა.

— როგორ! მაგას რა დამავიწყებს! მთელი სოფელი შემოვიარე-ძლივ-ძლივობით მოვაგროვე ფული. მივუტანე მმართველს, მან კი, უღმერთომ, ადგა და გამომლანძღა თავისი ურჯულო ენით. ანდა ეს რა არის, ყველგან საბატონო მამულებში მმართველებად რომ არარუსები არიან?

—ალბათ, იმიტომ, რომ ბატონებს ეშინიათ თავისი რუსი კაცისა...

ლაპარაკში მამაჩემი ჩაერთო:

— საქმე შიში როდია. უცხოელის ხელით მემამულეს უადვილდება ტყავი გაგვაძროს, მშვილდივით მოღუნოს გლეხი.

ხშირად ასეთ კამათში მონაწილეობდა ჩვენი მეზობელი — პეტრე სალაბაევი. ის ყოველთვის ეთანხმებოდა მამაჩემის დასკვნებს, მხარს უჭერდა მას:

— ჭეშმარიტად სწორს ამბობს ევსტიგნის ძე. მმართველი იმიტომ ყავთ, რომ მოხერხებულად გაგვაძროს ტყავი.

ზოგჯერ შეკრებაზე მოდიოდა მასწავლებელი ივანე სტეფანეს ძე ნოვიკოვი. ის ხალისით საუბრობდა გლეხებთან. როცა ასეთი საღამოები იყო, სასეირნოდ არ დავდიოდი: მასწავლებელი მე მიმაჩნდა ყველაზე ჭკვიან კაცად ქვეყანაზე.

ერთხელ შუაღამეზე მეტ ხანს დარჩნენ გლეხები ჩვენს ქოხში. გაცხოველებით მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდნენ შემდგომში. ნაგატკინოელებივით, თუ სხვა საშუალებას გამონახავდნენ მიწის შესაძენად. გადაწყვიტეს მოეწვიათ ყრილობა და იქ განეხილათ მიწის საკითხი:

ყრილობა დაინიშნა ერთ კვირა დღეს. იქ უნდა მოეწვიათ თავად გოლიცინის ადგილ-მამულის მმართველიც: შატრაშანელებს უნდოდათ მისი საშუალებით წაეყენებინათ თავიანთი მოთხოვნები ბატონისათვის. მაგრამ მმართველმა რომ გაიგო მოსალოდნელი ყრი-

ლობის შესახებ, გამოიძახა სიმბირსკიდან ჯარისკაცები, მასთან მიგზავნილი დელეგატები კი კინწისკვრით გამოყარა.

— თქვენს შეკრებაზე მე არ მოვალ. მე სალაპარაკო არაფერი მაქვს თქვენისთანებთან!

გლეხებმა მოილაპარაკეს, ყრილობა მაინც მოეწვიათ.

კვირას, ნასადილევს, ეკლესიის მოედანი ხალხით გაიჭედა. მმართველის მაგივრად მოვიდა საერობოს უფროსი.

გლეხების მოთხოვნა რომ მოისმინა მათთვის მემამულის მიწის ნაწილის მიყიდვის შესახებ, მხრები აიჩეჩა:

— მიწა თავად გოლიცინს ეკუთვნის. ისაა მისი პატრონი. მოისურვებს გაყიდვას — გაყიდის, არ მოისურვებს — არ გაყიდის. თუ თქვენ მოინდომებთ მიწის ხელში ჩაგდებას ძალით, მკაცრად დაისჯებით თვითნებობისათვის.

— მაშინ ბატონმა გვიპასუხოს, გაყიდის მიწას თუ არა! — აგუგუნდა ხალხი.

— კაცი ვერ იტყვის პატრონი, სად იმალება ბატონი! — დაფარა ხალხის გუგუნი ვიღაცის დამცინავმა ხმამ.

საერობოს უფროსი გამჭოლი თვალებით მიაცქერდა წამომძახებელს.

— რა გაღრიალებთ, მეამბოხეებო? თქვენ მიწა კი არა — ხელკეტი გინდათ, მძარცველებო!

ეს სიტყვები დენთიან კასრში ჩავარდნილ ნაპერწკალს დაემსგავსა. დრტვინვა მრისხანების ღრიალად გადაიქცა. გაისმა მუქარა:

— ჩვენ ხელკეტი, შენ კი, შუცელგაბერილო ქაჯო — მარყუჟი! შენ თითონ ხარ მძარცველი!

ყველა ყვიროდა. თითოეული ცდილობდა მეორეზე მეტი ეყვირა. მაგრამ, აი, გაისმა მასწავლებელ ნოვიკოვის აუჩქარებელი, ძლიერი ხმა:

— გლეხები მძარცველები არ არიან! არც არასოდეს ყოფილან მძარცველები! მთელი თავისი ცხოვრება ისინი პატიოსნად შოულობენ პურს...

ბრბო თანდათან დაწყნარდა და მასწავლებლის სიტყვას მიუგდო ყური. ჩაქოლვას სასწაულად გადარჩენილი საერობოს უფროსი ცხვირსახოცით იწმენდდა ოფლს შუბლიდან. ნოვიკოვი კი განაგრძობდა:

— საიდან დააგროვა თავადმა გოლიცინმა მილიონიანი ქონება?

თვითონ თავადი არა თუ არ მუშაობს, ქუდი რომ შეუგდო, თავის მამულში მაინც არ შევა. გვითხარი, ბატონო საერობოს უფროსო, რატომ ფლობს თავადი გოლიცინი იმდენ დესეტინა მიწას, რამდენიც მთელი მაზრის გლეხებს არა აქვთ?

საერობოს უფროსს უნდოდა რაღაც ეპასუხა, მაგრამ გლეხების ყაყანმა ჩაახშო მისი ხმა.

— გაოფლიანდა კერატი!

— რა, ცხელია ხომ გლეხის აბანო?!

საერობოს უფროსმა ვერ გაძლო და სტვენასა და ყიჟინაში აჩქარებული ნაბიჯით გაეცალა იქაურობას. სოფლის მამასახლისი თემის მამასახლისთან ერთად ცდილობდა დაეყოლიებინა გლეხობა:

— ძმებო, გონს მოდით! რას შვრებით? დაზარალდებით არა მარტო თქვენ, არამედ სხვებიც, უდანაშაულონიც. მოვლენ ჩაფრები, გაგროზგავენ დიდსა და პატარას. დაამთავრეთ, ძმებო! დაიშალენით დროზე, სანამ ხიფათს გადაეყრებოდეთ.

მამასახლისი მანამ არ მოეშვა გლეხებს, სანამ რომელიღაც მოთმინებიდან გამოსულმა ხელი არ ჩაავლო მკერდში და პერანგიდან მედალი არ მოაგლიჯა.

ხალხში გამოჩნდნენ წინამძღოლები.

— ეი, შატრაშანელებო! წავიდეთ მამულში!

— თუ არაა ბატონი, მაშინ მმართველმა გაგვცეს პასუხი!

და გლეხთა ათასიანი ბრბო, ბავშვების გუნდით გარშემორტყმული, დაიძრა შატრაშანის განაპირას მდებარე გოლიცინის მამულისაკენ.

აი კარ-მიდამოც, თეთრი ქვით ნაგები სახლი, რომლისკენაც მიემართება ალვის ხის ხეივანი.

ჭიშკართან წინდახრილი თოფებით იდგნენ ჯარისკაცები. ხალხი წუთით შედგა. გეგონებოდა, საცაა ხალხის მასა უკანვე გაიქცევა, ხოლო ჩაფრები სროლას დაიწყებენო.

ამ დროს წინ გამოვიდა ჩემი უფროსი ძმა ანტონი, მოიხადა თავიდან კარტუზი და დაახეთქა მიწაზე.

— გვესროლეთ, ბატონის ლაქიებო! დავინახავთ კი, რა დარჩება თქვენგან!

და ჩალისფერი თმის რხევით გაბედულად გაემართა წინ, ჯარისკაცებისაკენ. მას სხვებიც მიყვნენ.

ჩაფრების რკალი გაირღვა. გლეხები თავშიშველნი იდგნენ ბა-

ტონის სახლის წინ. პარმაღზე გამოჩნდა მმართველი. ის იკვნეტდა თხელ ტუჩებს, ლოყები უტოკავდა, ხოლო ხელით ნერვიულად ქაჩავდა პიჯაკის ღილს.

— რა გინდათ? — იკითხა მან დამტვრეული რუსულით.

— მიწა გვინდა, და ისიც იაფად. გუთანი და ფარცხი გვინდა!..— დაიწყო ჩამოთვლა ათანასე ბიძიამ.

სხვებმა მხარი დაუჭირეს ათანასეს:

— გვითხარით ფასი! ბევრი დრო არ გვაქვს!

მმართველმა უკანაც კი დაიხია.

— რომელი მიწა, რა ფასი? ჭკუიდან შეიშალეთ! მე თავადიდან ამის უფლებამოსილება არ მაქვს... მე მას გადავცემ... დეპეშას გაგზავნი პარიზში...

— ჩვენ ეს ზღაპრები ადრეც გვსმენია! ვინმე სხვას მოუყევი!

ხალხის მუქარით დაბნეული მმართველი საცოდავად იდგა და მრისხანე ბრბოს მისჩერებოდა.

— დახეთ, რა ბატკანივით მოისაწყლა თავი! ახლა ის პატრონი არაა, მაშინ კი, როცა ვერძის რქასავით გვღუნავდა და გვაჯარიმებდა, არავის არ ეკითხებოდა...

— ძმებო! — წამოიკნავლა მმართველმა. — მე ხომ არა ვარ პატრონი.

— რუხი მგელია შენი ძმა!

— რადგანაც შენ პატრონი არ ხარ, გაეცალე აქაურობას, სანამ კინწისკვრით გაგაგდებდეთ! — დაუყვირა ანტონმა მუშტის ქნევით.

მმართველი შებრუნდა და სადარბაზო შესასვლელის მუხის კარს იქით მიიმალა.

ბრბო კიდევ უფრო გათამამდა. გაალმასებულები სულ ცეცხლს ყრიდნენ.

— ჩამოვართვათ მიწა!

— გავიყოთ ბატონის ჭონება!

— თავადისათვის აღარ ვიმუშავებთ!

ამასობაში ჩამობნელდა კიდეც. მმართველი აღარ გამოჩენილა. ბრბო ნელ-ნელა დაიშალა...

იმან, რაც აქ მოხდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, პატარა ბიჭებზე.

— აი, ეს მესმის! აი, ამას ქვია ლაპარაკი! ნაგატკინოელებზე უფ-

რო მკვახედ მოხვდათ! — აღტაცებული იყო ჩემი მეგობარი იაშა ტიშკოვი.

— ნაგატკინოელები ვერ აჯობებენ ჩვენს შატრაშანელებს! — ეზეიმობდი მეც.

მაგრამ მე არ დამეთანხმა თათრის ბიჭი მურადი:

— ნაგატკინოელებმა გააგდეს მმართველი და გაინაწილეს მამული, ჩვენები კი ახლაღა ემზადებიან...

— ჩვენც გავრეკავთ. ნაგატკინოელებს რა უჭირთ! მათი ბატონის მამული გაღარიბებულია, ისეთი როდია, როგორც ჩვენი. ჩვენი თავადი, იცი, მეფესთან ერთად სადილობს. ტყუილუბრალოდ კი არ გამოაგზავნეს ჯარისკაცები მამულში.

— სანამ გლეხები იგინებოდნენ, მე დავინახე, როგორ იცქირებოდა მმართველი ფანჯრიდან და რაღაცას ქაღალდზე იწერდა, — მითხრა იაშამ.

— შენ ეს მართლა დაინახე? — შევშფოთდი მე.

— წმინდა ჯვარს გეფიცები!.. — იაშამ მხურვალედ გადაიწერა პირჯვარი.

„მამას უნდა ვუთხრა“, — გადავწყვიტე და სახლისაკენ მოვკურცხლე.

დედაჩემი გამიჯავრდა.

— რა ქაჯებს გადაეყარე? ძილის დროა, შენ კი ქუჩაში დარბიხარ!

მაგრამ მამამ თვალი ჩამიკრა და დედაჩემს უთხრა:

— არაფერია, დედი, ნუ ტუქსავ. ჩვენ ვანიასთან ერთად თვით მმართველთან ვიყავით...

მაშინ მე გავთამამდი და მამაჩემს მოვუყევი იაშას ნათქვამი. მამაჩემს ოდნავი შეშფოთებაც არ გამოუხატავს, აგდებულად ჩაიქნია ხელი:

— წეროს, რამდენიც უნდა. ცოტა რამ ჩვენც გაგვეგება, შვილო. — წუთიერი დუმილის შემდეგ შემომხედა და სერიოზულად დაუმატა: — დაიხსომე ეს დღე, ვანია. ბეუტავდა და კიაფობდა გლეხის ხელში ნახშირი, სანამ არ გამოკრთა ნაპერწკალი. დღეს ნაპერწკალი, ხვალ — ალი!

...ბევრმა წყალმა ჩაიარა 1905 წლის შემოდგომის იმ ღირსსახსოვარი დღეებიდან. მაშინ მე, ცამეტი წლის ყმაწვილს, უცნაურად მეჩვენებოდა ყველაფერი, — მოედანზე შეკრებაც, საერობოს უფ-

როსის გაქცევაც, ბატონის კარ-მიდამოში მღელვარე ბრბოც... ჩემს წარმოდგენაში ეს იყო განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი მოვლენა.

მე მაშინ, აბა, საიდან ბეცოდინებოდა, რომ იმ მშოფთვარე 1905 წელს არ იყო გუბერნია და მაზრა, სადაც მსგავსი ამბები არ დატრიალებულიყოს.

ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სოფელში მემამულის კარ-მიდამოზე შესევამ.

ვიღაც-ვიღაცები შეშფოთდნენ:

— სჯობდა ფონის მოსინჯვამდე არ შეგვედგა წყალში ფეხი. ახლა ელოდე ანგარიშის გასწორებას...

უფრო გაბედულები იცავდნენ თავისას:

— თხუნელებივით სოროებში შემალვა არ გამოგვადგება. რაკი დავიწყეთ, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ!

და მათ პირველებმა დაიწყეს ბატონის ტყის ჩეხვა, თივის ზვინების გატანა მემამულის მიწიდან.

გლეხების მრავალი თხოვნა — გაეფორმებინათ მათზე მიწების გადაცემა — სადღაც გუბერნიაში ფერხდებოდა.

მიწას და ტყეს კვლავინდებურად მემამულე ფლობდა. მმართველმა გააძლიერა მამულის დაცვა და გლეხებზე დამაბეზღებელი წერილები გაუგზავნა ბატონს. მაგრამ არც ისინი დარჩნენ ვალში — მათაც დაწერეს საჩივარი მმართველზე. მაგრამ მათი საჩივრები იძირებოდა სიმბირსკის გუბერნატორის კანცელარიაში.

ერთხელ ღამით უეცრად შატრაშანი გამოაღვიძა ეკლესიის ზარების გუგუნმა, მთელი სოფელი ფეხზე დადგა. შეშფოთებული გლეხები ქოხებიდან გამორბოდნენ.

მეც გამოვვარდი ქუჩაში და სოფლის გარეთ უზარმაზარი ალი დავინახე. მაგრამ ამჯერად ხალხი ვედროებით არ გარბოდა ხანძრის ჩასაქრობად. გლეხები მშვიდად იდგნენ თავიანთ ქოხებთან. ხალხის ლაპარაკიდან მივხვდი: ვიღაცამ გადაწვა ბატონის კარ-მიდამო. ის იფერფლებოდა, ხოლო სოფელში ისმოდა ზარის განუწყვეტელი ხმა. ხანძრის ალში იგრძნობოდა რაღაც მძლავრი და მბრძანებლური, ნაბათის ხშირ ცემაში — შემზარავი და საგანგაშო.

ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად მდგომი გლეხები მსჯელობდნენ:

— კარგია, რომ ქარი არაა, თორემ სოფელსაც მოედებოდა.

— სულაც დამწვარა ბატონის ქონება. თავის ოფლით როდი აქვს შეძენილი. ნაძარცვის გზაც იქითაა.

დედამ თითქმის ძალით შემაგდო ქოხში.

დილით გავიგეთ, რომ ღამის განმავლობაში დამწვარა თავად გოლიცინის თითქმის ყველა შენობა, ხორბლის ბეღელი, საჯინიბო.

ნოემბერში გადაბუგულ კარ-მიდამოში დაბრუნდა მმართველი კაზაკთა ასეულის თანხლებით. შემდეგ სოფელში დრაგუნთა პოლკი მოვიდა. შატრაშანი დაემსგავსა სამხედრო ბანაკს. გლეხები მიწყნარდნენ, ცდილობდნენ თვალში არ მოხვედროდნენ გამხეცებულ მმართველს, შორიდან უვლიდნენ გვერდს კაზაკებს.

მაგრამ ანგარიშსწორება მაინც დაიწყო. მმართველის მითითებით კაზაკები ხან ერთს იჭერდნენ და ხან მეორეს და კარ-მიდამოს ეზოში მათრახით ზურგს უპრელებდნენ. დაიწყო საყოველთაო ჩხრეკა.

შატრაშანელმა ბიჭებმა ეს ვერ აიტანეს. გახშირდა ჯარისკაცებზე თავდასხმა: ჩაფრებს მოფარებულ ადგილას შეიტყუებდნენ და ცემით მიასიკვდილებდნენ ხოლმე.

დადგა ზამთარი. ძეფის ძანიფესტი, პოლიტიკურ თავისუფლებას რომ პირდებოდა ხალხს, ქაღალდზე დარჩა. მან ხალხს არავითარი თავისუფლება არ მისცა. თვით ყველაზე უმეცარი გლეხიც კი მიხვდა, რომ მეფისაგან წყალობას ვერ ეღირსებოდა.

გლეხებს ეკრძალებოდათ ჯგუფებად თავშეყრა. ჩხრეკა თითქმის ყოველდღე ტარდებოდა. ბევრი მათგანი, ვინც თვალი დაადგა შემამულის მიწას, უკვალოდ გაქრა სოფლიდან.

უბედურება არც ჩვენს ოჯახს ასცდა. ერთ-ერთი პირველი მამაჩემი წაიყვანეს. ის სახლში დაბრუნდა ორი დღის შემდეგ სახედალურჯებული. თითონ სამაზრო პოლიციის უფროსს დაუკითხავს. როცა მამაჩემს უარი უთქვამს, დაესახელებინა ყრილობის წამომწყებნი, ის გონების დაკარგვამდე უცემიათ.

ხმაგაკმედილი ვიჯექით მაგიდის ირგვლივ. დედა სლუკუნებდა. მამა კი ყვებოდა:

— მიბრძანეს, რომ ხვალ ანტონი და ათანასე მივიყვანო მაშულში. კარგი, მოგიყვანთ-მეთქი, ვუთხარი, მენდენ და გამომიშვეს. სულელები! შე, ქალო, ნუ კი სტირი, გამამზადე წასასვლელად. სხვა უკეთესი რამ ვერ მომიფიქრებია. დროებით მარტონი იცხოვრებთ.

შენ კი, ვანიუშა, — მომმართა მე, — დარჩები სახლის პატრონად, დედას მოეხმარე. ანტონი და ათანასეც სადღაც უნდა მიიმალონ.

ჩემდაუნებურად ყელში რაღაც გამეჩხირა, ძლივს შევიკავე თავი ტირილისაგან, მაგრამ თავჩაქინდრულმა მაინც გასაგონად ვუპასუხე:

— კეთილი, მამიკო, დარდი ნუ გექნება. პატარა ხომ აღარა ვარ, ყველაფერი გასაგებია.

მამამ ალერსიანად მომითათუნა ხელი ჩამოშლილ თმაში:

— ეს შენ წამიყვან მე, ვანიუშა.

ახლა მართლაც კაცად ვიგრძენი თავი.

მე და მამამ იმ ღამესვე დავტოვეთ ეზო. ცხენი მკვირცხლად გარბოდა შარაგზაზე. თოვლი ჭრაჭუნებდა მარხილქვეშ, გზა ტყეზე გადიოდა. სიბნელეში შემზარავი იყო ტანწერწეტა ფიჭვები, რომლებიც ღამით უფრო მაღლები ჩანდნენ, ვიდრე დღისით.

— ნუ მიაჭენებ ცხენს, — მითხრა მამამ და მეც მსუბუქად მოვწიე სადავეები.

ცხენმა ჩორთით იწყო სვლა. ჩვენდა საბედნიეროდ, სოფლიდან ისე გავედით, არავის შეუმჩნევივართ. ყინვიან ღამეს დრაგუნებს და კაზაკებს ერჩივნათ თბილ ქოხებში მსხდარიყვნენ, ბანქო ეთამაშათ და არაყი ესვათ.

გათენებისას მივაღწიეთ ჩუვაშეთის მიყრუებულ სოფელ ტიმერსიანს.

— აქ გავჩერდეთ, — თქვა მამამ და გამაფრთხილა: — იცოდე, სიტყვა არავისთან წამოგცდეს, სად წამიყვანე. დედასაც არაფერი უთხრა. ცოტა დაისვენე და უკან სხვა გზით დაბრუნდი. თუკი ვინმემ გკითხოს, სად იყავიო, უთხარი, წისქვილში-თქო...

ჩემდაუნებურად სიამაყე ვიგრძენი, რომ მამა, როგორც მოზრდილს, ისე მესაუბრებოდა.

სახლში რომ დავბრუნდი, ბინას ჩხრეკდნენ. ბუნებით თვინიერი დედა წყნარად ეუბნებოდა მაზრის უფროსს:

— ჩვენი მარჩენალი ჯერ კიდევ გუშინ საღამოს წავიდა წისქვილში ჭვავის დასაფქვავად. ნახე რამდენი მჭამელი ვართ, და ყველას პირი აქვს დაბჩენილი.

— და მთელი ეს ხროვა ეზიდებოდა ბატონის ქონებას? — დაცინვით თქვა მაზრის უფროსმა.

— რას ამბობთ, ბატონო მაზრის უფროსო! სად უნდა გვეზიდა.

ყველანი სახლში ვისხედით და ქუჩაშიც არ გამოვსულვართ. მთელი ქოხი რომ გადააბრუნოთ, ვერსად სხვის კუთვნილს ვერაფერს იპოვნით.

— ვნახავთ, — თქვა მაზრის უფროსმა და ორ ჯარისკაცს თავი დაუქნია. ისინიც ამას ელოდნენ. მთელი ჩვენი სახლის ბარგი-ბარხანა თავდაყირა დააყენეს და გასინჯეს. ჯარისკაცებმა მამაჩემის რამდენიმე წიგნი ნახეს და მაზრის უფროსს გადასცეს. მან სკამზე მოკალათებულმა გულმოდგინედ დაუწყო წიგნს ფურცვლა. უშედეგო ჩხრეკამ გააღიზიანა მაზრის უფროსი. იგი გაბრაზდა, ჯარისკაცები გამოლანძღა, დედას ყვირილი დაუწყო. ამ აურზაურში რაღაცისათვის ტახტქვეშ შევძვერი. მაშინვე გაიზუილა მათრახმა და ზურგი ამიწვა. არ ავტირებულვარ, გაბრაზებულმა კი შევიღრინე:

— რას მერჩით?

ამან კიდევ უფრო გადარია მაზრის უფროსი. დამცხო და დამცხო მათრახი. დედა ხმამაღლა აქვითინდა და მაზრის უფროსის წინ დაიჩოქა:

— რას სჩადიხართ? მაგან რა დაგიშავათ! შეიბრალეთ პატარა ბავშვი...

მაზრის უფროსი დედაჩემს მოეშვა და უხეშად თქვა:

— ჩანს, ლეკვი მამას გავს, ისეთივე არამზადაა.

რომ ვერაფერი ნახეს — ვერც ბატონის კარ-მიდამოს ნივთები და ვერც საეჭვო ხასიათის ლიტერატურა, ჩაფრებმა შეწყვიტეს ჩხრეკა.

— ქმარი რომ მოვა, გადაეცი, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ჩემთან! — უთხრა მაზრის უფროსმა დედას და ჯარისკაცებთან ერთად გავიდა ქოხიდან.

ბავშვებით გარშემორტყმული დედა სკამზე ჩამოჯდა და გაშტერებით დაუწყო ცქერა მთელ ქოხში მიმოყრილ ნივთებს.

მე მივედი მასთან, მივეხუტე და წყნარად ვუთხარი:

— არაფერია, დედა. ჩვენ მათ ამას არ შევარჩენთ. მამამ თქვა, რომ სიმართლე გლეხკაცის მხარეზეაო.

დედამ დაღლილი, მოსიყვარულე და ალერსით სავსე თვალებით ამომხედა. მერე გამხნევებული ადგა და დალაგებას შეუდგა.

შატრაშანელი გლეხების დასჯა კიდევ დიდხანს გაგრძელდა. დრაგუნთა პოლკი სოფლიდან წავიდა, სოფელი დატოვა კაზაკების

ნაწილმაც, მაგრამ გლეხების დაკითხვა ისევ და ისევ გრძელდებოდა, ეძებდნენ არეულობის მოთავეებს.

მამა და ანტონი სახლში დაბრუნდნენ. ისინიც სხვებივით დაატიმრეს და სამართალში მისცეს. ოცდაათ კაცზე მეტი ციხეში ჩასვეს: ზოგი ერთი წლით, ზოგი ორით. მიუსაჯეს მამას და ძმასაც.

ციხე გლეხებით გაივსო. მათ ცუდად კვებავდნენ, და ამიტომ მათი პატრონები ოჯახებიდან ეზიდებოდნენ პურსა და ორცხობილას. ერთხელ მეც მომიწია მამაჩემის ნახვამ. პატიმართა ჯგუფთან ერთად მას ციხის ეზოში ასეირნებდნენ.

გავიდა მკაცრი ზამთარი. როგორც კი დადნა თოვლი მინდორში, შატრაშანელები გამოვიდნენ თავიანთი მიწების დასამუშავებლად. ყოველი მათგანი ცდილობდა მალე დაემთავრებინა საგაზაფხულო სამუშაოები, რომ დროზე წასულიყო ქალაქში საშოვარზე.

მე და დედაჩემმა გადავწყვიტეთ, რომ მე მოვხნავდი და დავთესდი.

პირველ თორმეტსაჟენიან ზოლს გულმოდგინედ და დიდხანს ვამუშავებდი. მარტოს მეძნელებოდა ხვნა და კიდევ უფრო მეტად— თესვა. ჩემი მეზობელი სერგეი ჩურბაშკინი მომეხმარა. რომ ნახა, რა უხეიროდ ვშრომობდი, მოვიდა და მითხრა:

— შენ, შვილო, აი როგორ უნდა თესო: აიღე პეშვით თანაბრად თესლი და მიმოაბნიე თითებს შორის. ყოველი პეშვი — მარცხენა ფეხთან.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაო დამთავრდა და ჩვენი სოფლის გლეხების უმეტესობა ქალაქში გაემგზავრა საშოვარზე. მეც გადავწყვიტე წასვლა. მხოლოდ დედისაგან მოშორება მაწუხებდა. მან სიმწრისაგან ფერი დაკარგა. დღენიადაგ თვალზე ცრემლი არ შეშრობია ციხეში მჯდომ მამაჩემსა და ანტონზე ფიქრის გამო.

— სად მიდიხარ, ჩემო ბიჭუნა? — მეუბნებოდა დედა. — რას გამოიმუშავებ შენ იქ? ჯერ ახალგაზრდა ხარ. ხელობა შენ არ იცი. გაწვალდები და ჩვენც გაგვიჭირდება აქ უშენოდ ყოფნა. შენ ხომ ახლა ერთადერთი კაცი ხარ სახლში. ჩვენი იმედი შენ ხარ, ვანიუშა. ნუ მიგვატოვებ...

გული მიკვდებოდა დედის, პატარა დისა და ძმების საცოდაობით. მაგრამ სხვა აზრი მიტრიალებდა თავში: „წავალ ქალაქში. შეეიძენ სპეციალობას, დავეუფლები ხელობას. სხვა ჩემი ტოლი ბიჭები უკვე მუშაობენ ზეინკლებად, დურგლებად, მჭედლებად“.

ერთხელ ჩემს მორიგ თხოვნაზე დედამ დაღლილმა მიპასუხა:

— აბა, რა გითხრა, რაკი არ იშლი — წადი! გზა დამილოცია, შვილო. ოღონდ ფრთხილად იყავი, ცუდს არაფერს გადაეყარო...

დედამ სოფლის ბოლომდე გამაცილა, დამშვიდობებისას პირჯვარი გადამწერა და მხრებზე გადაკიდებული ზურგჩანთით შატრაშანიდან ორმოცი კილომეტრით მოშორებულ პროტოპოპოვის ფაბრიკისაკენ გავსწიე. გულში ვნაღვლობდი და ვშფოთავდი, რაღაც ძალუმად მექაჩებოდა უკან მამისეული სახლისაკენ. მაგრამ მაინც წინ მივდიოდი, ხანდახან მოვიხედავდი ხოლმე მშობლიური სოფლისაკენ.

მხოლოდ მეორე დღეს მივაღწიე ფაბრიკის დაბამდე. ფაბრიკის კანტორასთან ოციოდე ახალგაზრდა და ხანდაზმული გლეხი შეგროვილიყო. ჩემი მისვლა არავის გახარებია.

— შენ რისთვისღა მოეთრიე, ყმაწვილო? ჩვენ, ჯანღონიან გლეხებს, არ გვღებულობენ, შენისთანა კნაპა ვის რად უნდა? — წამოაყრანტალა ძვლებად ქცეულმა ჭლექიანი სახის კაცმა. — ჯერ დედის რძე არ შეგშრობია და...

თუმცა შემაკრთო ამ სიტყვებმა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე დამეცადა კანტორის მოხელისათვის. ფაბრიკაში მოწყობის იმედს არ ვკარგავდი.

მალე კარებში გამოჩნდა კაცი თეთრი მოქარგული პერანგით, ყურზე ფანქრითა და ქაღალდით ხელში. მან გამოგვკითხა, ვინ ვართ, საიდან მოვედით და დაიწყო ყველაზე ძლიერებისა და ჯანმრთელების შერჩევა. შეარჩია ათი კაცი, შეუშვა კანტორაში, ხოლო დანარჩენებს უხალისოდ გვითხრა, რომ მეტი მუშები ფაბრიკას არ სჭირდებაო.

დაღლილი და გულგატეხილი გავუყევი დაბის ქუჩებს, არ ვიცოდი რა გზას დავდგომოდი, სად წავსულიყავი. უკვე საღამოვდებოდა, მე კი ღამის გასათევი ადგილიც არ მქონდა.

ლამაზი, თუნუქისსახურავიანი სახლის ჭიშკართან იჯდა ქალი და მზესუმზირას აკნატუნებდა. მივუახლოვდი, მივესალმე და მოკრძალებით ვკითხე:

— ხომ არ იცით, დეიდა, სად შეიძლება ღამის გათევა?

ყმაწვილმა ქალმა გულგრილად მომაპყრო უფერული ისარწამწამა თვალები, გადმოაფურთხა ჩენჩო და ირონიულად მიპასუხა:

— შენისთანა ბევრი დაეხეტება აქ, ყველა ღამის გასათევს ეძებს. ჩემი სახლი სავსეა მდგმურებით. აი, წადი იმ ქოხში, მატრონა

ბებიასთან, შეიძლება მან მიგიღოს, ოღონდ უფულოდ ცხვირს ნუ შეყოფ, არ შეგიშვებს.

მაგრამ გული საგულეს მქონდა: ჯიბეში ნაჭერში გამოხვეული ოცდახუთი კაპიკი მეგულებოდა და თავი მდიდარი მეგონა.

მატრონა ბებიამ კარგად მიმიღო, ჩემს პირველ მარცხს თანაგრძნობით მოეკიდა და მირჩია წავსულიყავი მემამულე ფირსოვთან: მას ესაჭიროება მუშებიო.

დილით მადლობა გადავუხადე მოხუცს, ღამის გათევისათვის შაური დავუტოვე და გავემართე სოფელ ტაგაისაკენ მემამულესთან.

„რაკი ფაბრიკაში არ მიმიღეს, — გავიფიქრე, — წავიმუშავებ მემამულესთან. თუ ფირსოვთანაც ვერ მოვეწყვე, ცხრა მთას იქით წავალ, მაგრამ სახლში უფულოდ არ დავბრუნდები“.

სოფელი ტაგაი მდიდრულად მოჩანდა, ღაჟღაჟა წითელი ფერის თუნუქისსახურავიანი სახლებით. კვირადღე იყო. სადღესასწაულოდ მორთული ჭაბუკები და ქალიშვილები ქუჩაში დასეირნობდნენ. მიწაყრილზე გლეხები ისხდნენ, აბოლებდნენ და მოსავლის ავკარგიანობაზე საუბრობდნენ. მე მივედი მათთან და შევეკითხე, როგორ მოვხვდები ფირსოვის მამულში-მეთქი.

ხანდაზმულმა გლეხმა, ჩითის პერანგი და მაუდის ჟილეტი რომ ეცვა, როცა გაიგო, სამუშაოს ეძებსო, შემომთავაზა მასთან დავრჩენილიყავი. სახლში შემიპატიჟა და ცხელი მსუყე წვნიანით გამიმასპინძლდა. ძლიერ მშიოდა და სულმოუთქმელად გადავსანსლე სავსე ჯამი. ეს მოეწონა პატრონს:

— ვინც მარდად ჭამს, ის სწრაფად მუშაობს.

სტუმართმოყვარე პატრონი მომეწონა, და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გავიფიქრე, რა იქნება, მართლაც, რომ დავრჩე მასთან? სიკეთეს არ ეხარბებიან...

გლეხმა, თითქოს გაიგო ჩემი აზრი, კვლავ მირჩია:

— დარჩი, ყმაწვილო, ,ვგონია ფირსოვთან უკეთესად იქნები? შენ არ იცი როგორ აძრობს ხალხს ტყავს ჩვენი ბატონი. მე კი შვილივით მიგიღებ. დაღამებამდე წაიმუშავებ, მიიღებ ოცდახუთ მანეთს ვერცხლით და კიდევ დამატებით ახალ ნაბდის ჩექმას. ჰა, ყაბულს ხარ?

კი დავრჩებოდი, მაგრამ არ მინდოდა მოჯამაგირეობა. ფირსოვთან, როგორც ბებია მატრონა ყვებოდა, იყო საშრობი, სამჭედლო, სახელოსნოები, შეიძლებოდა სპეციალობის შეძენა. ამიტომ პატრო-

ნის წინადადებას საბოლოო პასუხი არ გავეცი. მოვიმიზეზე, რომ იქ მაინც უნდა მივიდე, სანახავი მყავს ჩვენი შატრაშანელები-მეთქი და გასამგზავრებლად გავემზადე. პატრონმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, ნაწყენი დარჩა ჩემი სიჯიუტის გამო, მაინც შემაქო:

— შენ, ყმაწვილო, მტკიცე ხასიათი გქონია. მიყვარს ასეთები.

მასპინძელს მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

ფირსოვის მამულში მართლაც სჭირდებოდათ მუშახელი და მეც მაშინვე გამაწესეს ცეცხლფარეშად საშრობში. ჩემი მოვალეობა რთული არ იყო. დროზე უნდა შემეკეთებინა შეშა ღუმელში და თვალყური მედევნებინა, ქვაბი რომ არ გადახურებულიყო. მაგრამ დღე-ღამეში ვმუშაობდი თორმეტ-თოთხმეტ საათს. ამან მალე მომქანცა. საშრობიდან დაბრუნებული გაუხდელად მიეგდებოდი ხოლმე ტახტზე.

ერთხელ, შევყარე შეშა ღუმელში, წამოვწექი და ვერ გავიგე, ისე ჩამძინებოდა. არ ვიცი, რამდენი ვიძინე. თოფნაკრავივით წამოვხტი. თავზე წამომდგომოდა ოსტატი. პირველად ვერ მივხვდი, რატომ ილანძღებოდა. თურმე ღუმელი ჩამქრალიყო, ქვაბი გაციებულიყო და საშრობი არ მუშაობდა...

ვიფიქრე, აქედან გამაგდებენ-მეთქი. მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თუმცა, მეორე დღეს საშრობიდან სამჭედლოში გადამიყვანეს ოსტატის დამხმარედ, ამითაც კმაყოფილი ვიყავი.

— უნდა ტიროდე, შენ კი იცინი, სულელო! — გაცხარდა ოსტატი და გუნებაში შეიკურთხა. შეჩერდა საშრობის ზღურბლთან და საბოლოო დარიგება მომცა მუშტის ქნევით: — ფრთხილად იყავი, იქაც არაფერი დააშავო, თორემ, იცოცხლე, მოგიყვან ჭკუაზე!

ასეთი მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, გუნებაში ვზეიმობდი, რომ ქუჩაში არ გამაგდეს.

სამჭედლოში ყოფნა მომწონდა. მჭედელი პეტრე ანტონის ძე ჩაჩინი აღმოჩნდა კეთილი ხასიათის კაცი და თავისი საქმის დიდი მცოდნე. ის შესანიშნავად არემონტებდა გუთნებს, ფარცხებს, სამკალებს და სურდა ჩემთვისაც ესწავლებინა თავისი ხელობა. მაგრამ სამჭედლოში მუშაობა დიდხანს არ დამცალდა. სახლიდან შემატყობინეს, რომ დედა ავად გახდა და ბავშვები უპატრონოდ არიანო. იძულებული გავხდი ანგარიში გამესწორებინა და სახლში გავმგზავრებულიყავი.

მაგრამ მშობლიურ სოფელშიც ვერ დავრჩი დიდხანს. როგორც

	i deda gamokeTda, simbirsKši eKari TavI saSovarzE. iq TiTqmis erTi wele ZimuSaqe ZmebI sbirnoveebis aguris qarxanaši.

miyvarda kvirabobiT volgis sanapirozE amxanagebTan erTad seirnoba. volga daukebladmiTacebda TavisiI uKidegano sivrciT. gansakuTrebiT TvalwarmTaci iyo saRamos da RamiT, roca masze dacurav dnen gaCirRvdnebuli gemebi. megobrebTan erTad didxans viJeqi xolme ciaabo napirze da etkebebodi mZlavri mdinaris cqerit.

CemmaZmam, eqvTimem, romelic agrevTve simbirsKši muSaobda, gadawyvita TavisI amxanagTan sergeI demenTievTan erTad JerastrabanSi wasulIyo, SemdeG — muTmraši. mec damiyolIes.

CvenI gaemgzavreT simbirsKidan gemi „dobrinia nikitiCiT“, romlis zeda gembanze movTavsdiT. mze nel-nela efarebodaa horizonts. „dobrinia nikitiCi“ marcxniv gadaxrilI miCurav da da SorS isroda wylis SexefebS, romelsac niavI saxeši gvapkurebda.

„dobrinia“ kusavit eqaCeboda. zafxulI idga, mdinare meCxeri iyo da kapitans xidurIdan fxizlad eCira TvalI: gzazE gvxvdeboda CqerebI, dagrexilI nakadebI da Sua mdinareši SemoCrilI TeTri azvavebulI naxevarkunZulebI. rogorc arunda eRoRIala CvenS gemS, me maiC megona, rom amazE sWraFmavali gemi volgazE ar iyo. magram aI CvenS ukan JerI bolo gamoCnda, xolo SemdeG „amazonkis“ silueTI gamoikveTa, es samgemBanIani bolobrbliani gemi zalian msubuqad mocuravda. qimTan axlos orI viwro milI amoSverilIyo da amisaTvis SearqvesS mas volgelebma meTsaxelad „txa“. sul uFro mokldeboda manZilI CvenS Soris. malE „amazonka“ daewia „dobrinias“. „amazonkis“ mgzavrebI megobrulad Tu dacinvit qudebS gvicqnevdnen. gulnaTkenI davrCi CvenI gemis gamo...

gamoCnda mdinaris bolo mosaxvevI, da uecrad TvalwinI gadaiSala farTo muxlisMsgavsI wylis sivrce, maRali mTagorianI napirit. yiguli! mgzavrebI kaiutebidan gembanze amovidnen.

eqvTimE da sergeic CemI gverdze idgnen da CumadI lapaRaobdnen.

— ასტრახანში რომ ჩავალთ, გადავჯდებით სხვა გემზე და ერთი დღის შემდეგ მუმრაში ვიქნებით, — ამბობდა ექვთიმე.

— მუმრაში რა უნდა გავაკეთოთ? — ჰკითხა სერგეიმ.

— როგორ თუ რა? მივადგებით პირდაპირ ივანე ელკინს და ლეონტი ტიულენევს, მათთან ერთად მეთევზეობას დავიწყებთ.

ისინი იყვნენ ჩვენი შორეული ნათესავები, რომლებიც ჯერ კიდევ 1900 წელს წამოვიდნენ შატრაშანიდან და მუმრაში დასახლდნენ.

— არა უშავს, სერიოჟა, — ამშვიდებდა ამხანაგს ექვთიმე, — სხვაზე ნაკლებად არ მოვეწყობით მუმრაში.

მე მკვდარივით დამეძინა ვოლგის სუფთა ჰაერზე. როცა გავიღვიძე, განთიადს უკვე გაეფანტა ნისლი მდინარიდან.

გემი დიდ ნავსადგურში იდგა. ძმა არსად ჩანდა. ქალაქში წასულიყო პურის საყიდლად. სერგეი საუზმეს ამზადებდა.

— სად ვართ? — ვკითხე.

— სამარაში, — მოკლედ მიპასუხა სერგეიმ.

— სამარა ჩვენს სიმბირსკზე უფრო დიდია? — დავინტერესდი.

სერგეიმ აგდებულად ჩაილაპარაკა.

— შეადარე რაღა! სამარა ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია ვოლგაზე, საიდანაც რკინიგზა მიდის შუა აზიაში თვით ტაშკენტამდე. სიმბირსკი კი რა არის? მივარდნილი ადგილი!

გული მეტკინა.

— ერთი შენც! სიმბირსკი საგუბერნიო ქალაქია.

— მერე რა, რომ საგუბერნიოა. სამარასთან შედარებით მივარდნილია...

დაბრუნდა ექვთიმე.

— ძალიან სიძვირეა. — აღშფოთებით ამბობდა ის. — ახლოს ვერაფერს მიეკარები! ვიარე, ვიარე ბაზარში და ჩითის გარდა ვერაფერი ვერ ვიყიდე.

გემმა მეორე საყვირი მისცა — და კვლავ ვოლგის მძიმე წყალი, თოლიები ქიმთან.

ასტრახანში მეხუთე დღეს ჩავედით. გამაოცა ხალხმრავლობამ და ჟრიამულმა ნავსადგურში, გემების მწკრივმა, ასტრახანსა და ფორპორტს შორის რომ მიმოდიოდნენ. „ბალჩუგის“ უბეში მრავალი თევზსაჭერი კანჭო მოჩანდა.

დაბა მუმრაში მივედით საზოგადოება „ძმები ფადეევების“ ორგემბანიანი გემით.

დაბა მუმრა გაშლილი იყო ვოლგის დელტის ტოტში მთავარ ქალაპოტთან ახლოს, საიდანაც თორმეტფუტიან რეიდზე გემები შედიოდნენ კასპიის ზღვაში. გაზაფხულისა და შემოდგომის თევზაობის დროს ამ სარეწებში თავს იყრიდა ათას ხუთასი — ორი ათასამდე მუშა. ამიტომ დაბაში დიდძალი ხალხი გროვდებოდა.

მეთევზეები დღისით და ღამით, ყოველგვარ ამინდში გადიოდნენ თევზის საჭერად, მაგრამ ყოველთვის როდი ბრუნდებოდნენ ნადავლით დატვირთულნი, რადგანაც გემები ძველი იყო და ზღვაში ღრმად ვერ შედიოდნენ. თუ ბლომად დაიჭერდნენ, სულ ერთია, თევზი გროშის ფასად უნდა ჩაებარებინათ მეპატრონისათვის.

ჯერ მეთევზეობას მოვკიდე ხელი, შემდეგ მატროსი გავხდი და დავიწყე ზღვაზე ცურვა სვიის საჭერად.

მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამრჩა პირველი გასვლა თევზის საჭერად. თითქოს გუშინ ყოფილიყოს, ისე ნათლად ვხედავ ჩვენს ძველ პატარა გამრჯე „ბაკლანს“. ხუთი დღე-ღამე იალქანდაუშვებლად მივცურავდით აფშერონის ნახევარკუნძულისაკენ.

კარგახანია გავცდით თევზჭერის ბაზარს, უკან დარჩა თორმეტფუტიანი რეიდიც. წინ კიდევ უფრო ძნელი გზა იყო. უნდა გავსულიყავი ორ „ძმას“ შორის — ასე ეძახდნენ მეთევზეები ყალმუხთა სტეპებიდან კასპიის ზღვაში ღრმად შემოჭრილ ისრისებურ ბირუჩის წყალქვეშა კლდეებს.

საჭესთან იდგა ლოცმანი იგორ ბაკულინი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილის შერჩევას სათევზაო მოწყობილობის ჩასაშვებად, განსაკუთრებით კი როცა სვიას იჭერ. გამოცდილმა მეზღვაურმა და მეთევზემ იცოდა ყველაზე მოხერხებული ადგილები. ის არაერთხელ ყოფილა სათევზაოდ და ახლაც, საჭესთან რომ იდგა, აიღო გარკვეული, მხოლოდ მისთვის ცნობილი კურსი. მისი თანაშემწე ზომავდა ზღვის ფსკერის სიღრმეს. როცა გადაეკვეთეთ ბაქო—კრასნოვოდსკის ხაზი. ბაკულინმა ბრძანა ჩაგვეშვა ღუზა. გადავწყვიტეთ დილით აქ ჩაგვეშვა სათევზაო მოწყობილობა.

დილაადრიან მთელი ეკიპაჟი — ცხრა კაცი — ფეხზე ვიდექით. წყნარი, უქარო ამინდი იდგა. ავუშვით ღუზა, გავშალეთ პატარა იალქანი ფოკანძაზე. ბაკულინმა პირჯვარი გადაიწერა და თვითონ ჩაუშვა ზღვაში პირველი ღუზა შუქურით, რომელიც მიგვანიშნებდა სათევზაო მოწყობილობის რიგის დასაწყისს.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ნელი სვლით დავიწყეთ ბა-

დის გაშლა. ყველა თავთავის საქმეს აკეთებდა: ვინ ბადეს შლიდა, ვინ ღუზას მართავდა, და ათი საათისათვის სათევზაო მოწყობილობა ათ-თორმეტ კილომეტრზე გავჭიმეთ.

მეორე დღეს ზღვის წყნარ ზედაპირზე სელაპები გამოჩნდნენ.

ბაკულინმა კმაყოფილებით დაისრისა ხელები:

— აბა, ძმებო, ღმერთია შემწე, წადით, შეამოწმეთ ბადე. დარწმუნებული ვარ, თევზი ბლომადაა. შეხედეთ, სელაპები თამაშობენ, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ კარგ ადგილს მივაგენით.

ჩავუშვით კარჭაპები წყალში და მოვუსვით ნიჩბები. კარჭაპის უფროსის მოვალეობას ასრულებდა ბაკულინის თანაშემწე კირილოვი, ისიც გამოცდილი მეთევზე და მეზღვაური იყო.

მონაკვეთის თითქმის ნახევარი გავსინჯეთ და თევზი ბადეში არ აღმოჩნდა. დავღონდით, დავკარგეთ ჭერის იმედი, და უცბად კირილოვმა, თითქოს ეშინია თევზი არ დააფრთხოსო, ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ბიჭებო, ფრთხილად, თევზი არის, და თანაც რამდენი!..

მართლაც, მივადექით დიდ სვიას, რომელიც წამოსდებოდა ორ ფოლადის ანკესს. რომ არ დაგვეფრთხო და გაგვქცეოდა ნადავლი, დავიწყეთ ბადის ოსტატურად ამოწევა და შემდეგ ბარჯის მოხერხებული დარტყმით თევზი დავარეტიანეთ. მართლაც დიდი სვია იყო, ორი მეტრი სიგრძისა!

საგაზაფხულო თევზჭერა ილბლიანი გამოდგა. ჭეპტრონეს ჩავაბარეთ ხუთას ფუთზე მეტი თევზი.

შემოდგომაზე კვლავ გავედი ზღვაში. ამჯერად ლოცმანმა ბაკულინმა თევზსაჭერად აირჩია ჩრდილოეთ კასპიის ახალი უბანი ეგრეთ წოდებულ „ლურჯი ზღვაოსნის“ რაიონში.

ერთ დღეს ვახტზე ვიდექი. მივცურავდით დერბენდის ახლოს. მოწმენდილი ცა იყო, მაგრამ ბაკულინი ხშირად გამოდიოდა კაიუტიდან და საეჭვოდ იყურებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

— ქარი უმატებს, — მითხრა მან, — შტორმი იქნება.

მე არ მაშინებდა ჰორიზონტზე გაწოლილი ციცქნა ღრუბელი, მაგრამ ბაკულინმა კარგად იცოდა ქარის მიმართულება და უბარომეტროდ წინასწარმეტყველებდა შტორმს.

ვახტი დავამთავრე და დასასვენებლად ჩავედი გემის ქვემო ბანზე. მაგრამ ორ საათსაც არ გაუვლია, რომ ატყდა საშინელი შტორმი. ამოვცვივდით ზევით, სასწრაფოდ დავუშვით იალქნები და დავდექით ღუზაზე. შავად იმოსებოდა ნაპირი. გემი ნაფოტივით ქა-

ნაობდა ტალღებზე. ქარი ძლიერდებოდა. ბაგირი სიმივით გაიჭიმა. და უცებ, თითქოს დანით გაჭრესო, შუაზე გაწყდა. გემს ტალღა შემოასკდა და ნაპირისაკენ გააქანა. გემი ძლიერ გადაიხარა გვერდზე. ნაპირზეც თუ არ გაგვრიყავდა, უფსკრულში ჩავინთქმებოდით. ვეცით მეორე ღუზას. ის რამდენიმე წუთი, სანამ ღუზა ჩაეშვებოდა აბობოქრებულ წყალში, საუკუნედ მოგვეჩვენა.

საფრთხემ განვლო. კაიუტაში შევედით და წყევლა-კრულვა გავუგზავნეთ მეპატრონეს იმისათვის, რომ მან, ხარბმა, აგერ მთელი წელია არ გამოცვალა ძველი ბაგირი.

— ჩვენი ოფლით მდიდრდება, ჩვენ კი დასაღუპავად გვიმეტებს!

ბევრი ვლახეღეთ მეპატრონე. დავიფიცეთ, მასთან მეტს აღარ ვიმუშავებთო, მაგრამ მალე გაქრა ჩვენი გაცხარება. სხვა სამუშაო არ იყო და ჩვენც ვთევზაობდით ზღვაზე დამპალი აღჭურვილობის მქონე დანჯღრეული გემით.

მე შევიყვარე ზღვა, რომელმაც გამომაწრთო. სუსტი ყმაწვილი ჯანმრთელ, მხარბეჭიან ჭაბუკად გადამაქცია.

მუმრაში ბევრი მეგობარი შევიძინე. ძალიან დავუმეგობრდი დიმიტრი კავეზინს, რომელიც ჩემზე გაცილებით უფროსი იყო. ეს წყნარი, თავმდაბალი კაცი მთელი დაბის სული და გული იყო. ამბობდნენ, რომ ის სხვის პასპორტს ატარებს, რადგანაც ცხრაას ხუთი წლის ამბების მონაწილეაო.

ჩემი მეორე ამხანაგი — კოსტია ფენოგენოვი — მხიარული და მომღერალი იყო. მას უყვარდა სარატოვულ გარმონზე დამღერება: „მე ვარ ვანკა დემოკრატი, ცხოვრებით გაუხარელი“. ერთხელ კოსტიას ვკითხე, რას ნიშნავს ეს მისამღერი-მეთქი. ვერ განმიმარტა. მითხრა კი, რომ ის მოისმინა სარატოვში ერთი კაცისაგან, რომელიც შემდეგ ციმბირში გადაასახლესო.

საღამოობით თავისუფალ დროს მუშები, კაცებიც და ქალებიც ხშირად ერთად ვიკრიბებოდით. რაზედაც არ უნდა გველაპარაკა, მაინც ერთს ვუბრუნდებოდით: რამდენიც არ უნდა ვიმუშაოთ, როგორადაც არ უნდა გავწყდეთ წელში მენარდე-მეპატრონისათვის, კაბალიდან თავს მაინც ვერ დავიხსნით. და გამოდის, რომ ჩვენი სარეწებზე შრომა კატორღულია. იყვნენ გაბედულები, რომლებიც ამბობდნენ, საჭიროა გავერთიანდეთ და მოვთხოვოთ ხელფასის მომატება პატრონსო. სხვები მართებულად შენიშნავდნენ:

— დაგავიწყდათ ცხრაას ხუთი, რა მიიღეს მაშინ მუშებმა და გლეხებმა ასეთი მოთხოვნებისათვის?

ამაზე ჩვენი მსჯელობა წყდებოდა. ხოლო ის, ვინც ხმამაღლა გამოთქვამდა ასეთ აზრებს, ერთი-ორი დღის შემდეგ ქრებოდა სარეწებიდან. მენარდე, ვინც სარეწებზე მუშებს ქირაობდა, დაკავშირებული იყო პოლიციასთან. იმის გარდა ცოტანი როდი იყვნენ ჯაშუშები, რომლებიც მეძებრებივით დაძვრებოდნენ ჩვენს შორის, აბეზღებდნენ მეამბოხეებს მეპატრონესთან და პოლიციაში.

ხუთი წელი დავყავი კასპიის ზღვაზე. 1913 წელს დავბრუნდი შატრაშანში, საიდანაც მელოდა სამხედრო სამსახურში გაწვევა.

სიმბირსკიდან მშობლიურ სოფელში წამიყვანა ჩემმა თანასოფლელმა ბურმისტროვმა. გზაში მან მაცნობა სამწუხარო ამბავი: თურმე დავობლებულვარ.

— აი რა მოხდა, — მიყვებოდა ის.—შენი დედ-მამა ერთ დღეს გარდაიცვალნენ. ამბობენ, თითქოს შავი ჭირისაგანო. მაგრამ რატომღაც არ მჯერა... მამაშენი, ვლადიმერ ევსტიგნის ძე ციხიდან გამოსვლის შემდეგ ხშირად ავადმყოფობდა. ასევე დედაც... ეფიქრობ, სიღარიბემ და დარდმა ჩაიყვანა ისინი სამარეში.

გულდამძიმებული ჩავედი შატრაშანში, სადაც მამისეულ ქოხში ორი ძმა დამხვდა. პატარა დები იქ აღარ იყვნენ — ბავშვთა თავშესაფარში გაუგზავნიათ.

„სარწმუნოებისათვის, მეფისა და მამულისათვის“

გაწვევემა კომისიამ მე გამაწესა ფლოტში ბალტიის ზღვაზე. ამ ამბავმა გამახარა, რადგანაც ნაცად მეზღვაურად მიმაჩნდა თავი. მაგრამ თურმე გაწბილება მელოდა. არ ვიცი რა მოსაზრებით იხელმძღვანელა მაზრის სამხედრო უფროსმა, როცა უარყო გამწვევი კომისიის გადაწყვეტილება და გამაგზავნეს ცხენოსანთა არმიაში. პოლიტიკური კეთილსაიმედოობის შემოწმების შემდეგ გამამწესეს ყაზანში განლაგებულ მე-5 დრაგუნთა პოლკში.

ორასი კაცისაგან შემდგარი ახალწვეულთა ჯგუფი გლეხური ოთხთვალებით რამდენიმე დღეს მივჯაყჯაყებდით მტვრიან გზაზე

ბუინსკიდან სიმბირსკამდე. ჩვენ ყველანი ბუინსკშივე დაგვყვეს ჯგუფებად, რომლებსაც აცილებდნენ იმ პოლკების დაბალჩინიანი სამხედროები, სადაც გამწესებული იყვნენ ახალწვეულები.

ჩვენ, დრაგუნთა მე-5 პოლკის მომავალ ჯარისკაცებს, მიგვაცილებდა უნტერ-ოფიცერი პროკოფიევი და ჯარისკაცი სმოლინი. ულანებად და ჰუსარებად ჩარიცხულ ახალწვეულებს — ულანთა და ჰუსართა პოლკების ჯარისკაცები.

ამრიგად, ჩვენ, გლეხის ბიჭებს, საშუალება მოგვეცა უშუალოდ გავცნობოდით კავალერიის სამნაირ ტანსაცმელს. და უნდა ითქვას, რომ თითოეულ ჩვენგანს „თავისი“ მოსწონდა. მე, მაგალითად, დრაგუნის ტანსაცმელი მეჩვენებოდა უფრო მოხდენილი და ტანადური, ვიდრე ულანთა და ჰუსართა ფორმა.

და მაინც, რა ლამაზიც არ უნდა ყოფილიყო კავალერიის ამუნიცია, ჩვენ უკვე მეორე დღეს მას გულგრილად ვუცქერდით. ყოველ ჩვენგანს სევდა და შიში გვიპყრობდა: რას მოგვიტანს არმიაში სამსახური, რა მოგველის მშობლიურ კერას მოშორებულებს? ბევრი ასე შორს პირველად მგზავრობდა. აქამდე არა თუ ქალაქებში, მეზობელ სოფლებშიაც წლობით არ ყოფილან. მაგრამ შეებულებაში ჩამოსული ჯარისკაცებისაგან ვიცოდით, რომ ჯარისკაცობაზე მომაბეზრებელი არაფერია.

იმ სოფლების მცხოვრებნი, სადაც გავლა გვიხდებოდა, მწუხარებით გვხვდებოდნენ და გვაცილებდნენ: დედაკაცები ტიროდნენ — იცოდნენ, რომ მათი შვილებიც გაიზიარებდნენ ჩვენს ბედს. გლეხები ოხრავდნენ და თვალს გვარიდებდნენ.

ახლობლებზე, „თავისუფალ ცხოვრებაზე“ დარდი რომ ჩაგვეკლა, მთელ გზაზე ვმღეროდით, სასმელს ვეტანებოდით, გვსურდა ერთმანეთს მოვჩვენებოდით მხიარულ, დარდიმანდ ბიჭებად. გულს კი დარდი გვიღრღნიდა.

„ურმული ლაშქრობის“ მესამე დღეს მივაღწიეთ სიმბირსკს. იქ დაგვაბინავეს ულანთა პოლკის მანეჟზე.

დილით, ყაზარმიდან გამოსვლისას, მივიღეთ ჯარისკაცული ცხოვრების პირველი გაკვეთილი. მეორეწლიანი ჯარისკაცები ვარჯიშობდნენ ჯირითში. მანეჟის წრეზე დაოთხებით დარბოდა ცხენი. ეახმისტრის შოლტი სტვენით აპობდა ჰაერს, ერთხელ ცხენის გავას ხვდებოდა და ათჯერ ჯარისკაცის ზურგს. ასეთი სასტიკი წვრთნისაგან ჟრუანტელი მივლიდა ტანში...

— ბიჭებო, ესეც შენი მეფის სამსახური, — ვეუბნებოდით ერთმანეთს. — ის ზოგისათვის სამოთხე იყო, ზოგისათვის ჯოჯოხეთი და მართლაც, ასჯერ უფრო ძნელი, ვიდრე მდიდრებთან მოჯამაგირეობა ან ქარხანაში მუშაობა.

გზაში გავეცანი და მალე დავუმეგობრდი ორ ახალწვეულს — პავლოვსა და ზაინულინს. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით. ზაინულინმა, ვახმისტრის მწვალებლობა რომ დაინახა, მძიმედ ამოიოხრა:

— ნუთუ დრაგუნთა პოლკშიც ასე დაგვიწყებენ „სწავლებას?“ მე ხომ ჩემით ავირჩიე ცხენოსანთა ნაწილში სამსახური, ვოცნებობდი მოჯირითე გავმხდარიყავი.

ყველაზე მეტად შეშფოთდა ძორძოხი პავლოვი, რომელსაც ქოშინი აწუხებდა. მან გულღიად თქვა, არმიაში სამსახურს ვერ გავუძლებო.

— არა უშავს, ბიჭებო, — ვცდილობდი გამემხნევებინა ჩემი ახალი მეგობრები, — რა ძნელიც არ უნდა იყოს სამხედრო სამსახური, მივეჩვევით, და კარგი გაწვრთნილი ჯარისკაცებიც გავხდებით. აი, მე რომ მატროსად დავიწყე მუშაობა, პირველად გემბანზე გამოსვლისაც კი მეშინოდა. შემდეგ კი ისე შევეჩვიე, რომ ველარ ვარჩევდი გემბანს საკუთარი სახლის იატაკისაგან. კასპიის ზღვა ხომ რა ჭირვეულია და ისიც კი შევიყვარე. ვისწავლე კატასავით ცოცვა კოშკურებზე და ქანდარებზე თვით შტორმის დროს...

როცა ყაზანამდე ორი გაჩერება დარჩა, გამცილებლებისაგან გაფრთხილებულნი ჩასასვლელად მოვემზადეთ. ყველამ შემოიჭირა ქამრები და თასმები, რათა ადვილად გვეზიდა ნივთებიანი ზანდუკები. დედებმა, დებმა და ზოგიერთების ცოლებმა ჩვენთვის არაფერი დაიშურეს, გამოგვატანეს უკანასკნელი დანაზოგი, რომ პირველ ხანებში არაფერი გაგვჭირვებოდა.

— შენ კი, ზაინულინ, შემთხვევით თან ხმალი და ცხენი ხომ არ აგიკიდებია? — ვიცინოდით ჩვენ, როცა დავინახეთ როგორ ირგებდა მხრებზე უზარმაზარ ფუთას.

— სწორედაც, ძმებო, მარტო ცხენი და ხმალი მაკლია, დანარჩენი კი ყველაფერი მაქვს. ხუთ წელიწადს რომ ვიმსახურო, მეყოფა, — ხალისიანად გვიპასუხა ზაინულინმა.

ყაზანაში გვიან საღამოს მივედით. სწრაფად გადმოვცვივდით ბაქანზე. სიბნელეში ვაგონების წინ ვირეოდით, ხმამაღლა გავძახო-

დით, ვეჯახებოდით და ხელს ვუშლიდით ერთმანეთს: ყოველი ჩვენგანი ცდილობდა არ დაეკარგა გზაში დამეგობრებული ამხანაგი. ჩვენმა გამცილებელმა უნტერ-ოფიცერმა, ერთმა იმათგანმა, რომელსაც „კადრის მღლეტავს“ ეძახიან, აგვაჩქარა, ზოგიერთს ზანტსა და ზოზინას კისერშიც უთავაზა. უნტერს ერთი სული ჰქონდა, მალე ჩავებარებინეთ მორიგე ოფიცრისათვის, რომელიც პოლკიდან ჩვენს დასახვედრად მოსულიყო.

გაიცა ბრძანება „სმენა“, ჩვენ კი ჯერ დაწყობაც ვერ მოვასწარით. სიბნელეში ისმოდა, მორიგე ოფიცერი როგორ უყვიროდა უნტერს: „ეს რა უწესრიგობაა?“ მისმა გინებამ კიდევ უფრო არიგდარია ჩვენი რიგები. ბოლოს, როგორც იქნა, მოვეწყვეთ, მოვახდინეთ გათვლა „პირველი — მეორე“, წამოვიკიდეთ მხრებზე ზანდუკები და გავწიეთ ქალაქის განაპირას კაბანის ტბასთან მდებარე ყაზარმებისაკენ.

დრაგუნთა პოლკის ახალი ყაზარმები სოფლის ქოხებთან შედარებით სასახლეებად მოგვეჩვენა. ამ „სასახლეებში სამსახური კი, როგორც მერე დავრწმუნდით, ტკბილი არ ყოფილა.

პირველ რიგში ესკადრონებად დაგვყვეს. მე, პავლოვი და ზაინულინი პირველ ესკადრონში გაგვამწესეს.

იმ დროს ყაზანის სამხედრო ოლქს სარდლობდა გენერალი სანდეცკი. მის შესახებ ცუდი ხმები დადიოდა. გვეუბნებოდნენ, თუ ეს ვერაგი როგორ დახელოვნებულად უსწორდებოდა ხელქვეითებს.

ჯარისკაცის ფორმის ჩაცმისთანავე ჩვენ ვალდებული ვიყავით ზეპირად გვცოდნოდა ურყევი წესი: არ შევკამათებოდით ოფიცერს, თვალში გვეცქირა უფროსობისათვის; თუ ქალაქში გახვედი, იარე ქვაფენილზე — ტროტუარი ჯარისკაცის არაა, და ღმერთმა გაშოროს პარკში ან ქალაქის ბაღში შესვლა — „უბადრუკ“ ჯარისკაცს იქ სეირნობა ეკრძალება. ამ წესების უმნიშვნელო დარღვევაც გვემუქრებოდა კბილების ჩამტვრევით, ჰაუპტვახტით, ხოლო მეტ დანაშაულზე — ზუმბით გაროზგვით.

ახალგაზრდა ჯარისკაცებს განსაკუთრებით ბევრი ხვდებოდა გენერალ სანდეცკის გარნიზონის მსახურთაგან. ერთი სიტყვით, მხოლოდ მას შემდეგ მივხვდი კარგად, რა იყო ყაზანი, როცა ზამთარი გავლიე პოლკში სამსახურში. პირველად ისე გამოვედი ყაზარმიდან, თითქოს ციხიდან დამეღწიოს თავი. ამასთან გამცილებლად თან გამომაყოლეს „კუდი“ — ძველი ჯარისკაცი. უხსოვარი დროიდან და-

უწერელი კანონით ასეა მიღებული — ახალგაზრდა ჯარისკაცი ვალდებულია პატივი სცეს ფულით თავის „გამდელს“ ყელის გასასველებლად. რა სიამოვნებას გვანიჭებდა ასეთი გასეირნება? დავხეტიალობდით ქალაქის ჭუჭყიან ქუჩებში და სამიკიტნოებისა და დაბრეცილფანჯრებიანი ქოხმახების მეტს ვერაფერს ვხედავდით.

კარანტინის პერიოდში გავიცანით ოფიცრები, რომელთა უფროსობითაც უნდა გვემსახურა.

კავალერიის ნაწილებში, მათ შორის ჩვენს კარგოპოლის მე-5 დრაგუნთა პოლკშიც, ბევრი იყვნენ ოფიცრები „კეთილშობილთა“, თავადაზნაურთა წრიდან: თავადი კროპოტკინი, აფხაზი თავადი, ბარონი კორფი... ყველა მათგანმა ჩვენზე, ახალწვეულებზე, არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

— ასე, ბიჭებო, — ვუზიარებდით ჩვენ ერთმანეთს შთაბეჭდილებას, — ბევრი მოგეხვდება ჩვენ ამ „კეთილშობილებისაგან“.

ეს საუბარი მოისმინა ჩემმა თანამემამულე ძველმა ჯარისკაცმა კომანდიხმა.

— „მათ კეთილშობილებას“ თქვენ იშვიათად ნახავთ, — გვითხრა მან, — თქვენ უნტერ-ოფიცრების ხელში იქნებით. მაგრამ მათ შორისაც არიან ისეთები, განსაკუთრებით ზემსახურები, რომლებიც ოფიცრებზე უფრო მაგრად უჩიჩქვავენ ცხვირ-პირს ჩვენს ძმას.

კარგად კი დაგვამშვიდა! პოლკში მისვლიდან სამი კვირის შემდეგ, დავრწმუნდით, რა სიმართლე უთქვამს ჩემს თანამემამულეს. უნტერები ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდნენ. მარტო ცხენების დასუფთავებას ხუთი საათი უნდოდა, და ამას კიდევ ემატებოდა შვიდსაათიანი მხედრულ-სამწყობრო მეცადინეობა. მთელი დღის განმავლობაში ჩვენ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდით ყაზარმიდან საჯინიბოში, საჯინიბოდან ყაზარმისაკენ, ყაზარმიდან მოედანზე, მოედნიდან მანეჟზე, და ასე დამთავრების სიგნალამდე. მაგრამ ამას კიდევ მოითმენდა კაცი. არც სახლში გვაკლდა დილიდან დაღამებამდე მუშაობა. კიდევ უფრო ცუდად იყო სწავლების საქმე. ფეიძნელდებოდა საცხენოსნო მომზადება. ყაზარმიდან გამოსვლის წინ ოცეულის უნტერ-ოფიცერი მიუთითებდა, ვის რომელი ცხენი უნდა შეხვედროდა.

— შენ, ტიულენევ, შეკაზმავ გვარდიელს, შენ, ზაინულინ, — ამაყს...

ყველა ცხენი ერთნაირი ფერისა იყო და ძნელი იყო მათი გარჩევა. ბევრ ჩვენგანს ერთმანეთში ერეოდა ისინი, კაზმავდნენ არა იმათ, რომლებსაც ოცეულის მეთაური მიუთითებდა. ამისათვის კი გინებას, დაცინვას ან შოლტს იმსახურებდნენ. მაგრამ ვაი შენი ბრალი, თუ შეგხვდებოდა ფხუკიანი, ცუდად გახედნილი ცხენი. რადგანაც პირველად უზანგო ცხენზე ჯდომა იყო პრაქტიკაში, ახალწვეული გასისხლიანებამდე უჭერდა ფეხებს ცხენს, ტომარასავით ებერტყებოდა მიწაზე.

პავლოვმა, ვისთანაც ერთად მოვედი პოლკში, ვერ გაძლო: ორი თვის შემდეგ გაიქცა და საშინელ ყინვაში თივის ზვინში გაათია ღამე. ნახეს ფეხებმოყინული. დაეწყო განგრენა. საცოდავს ორივე ფეხი მოჰკვეთეს ლაზარეთში. ნახევარი წლის შემდეგ სახლში გაგზავნეს.

ბევრი დრო სჭირდებოდა პოლკის ისტორიის შესწავლას, მაღალი რანგის გენერლებისა და ოფიცრების ტიტულების დაზეპირებას. ეს მეცადინეობა საღამოობით ტარდებოდა.

ჩვენი პოლკი ჩამოყალიბებულა 1907 წლის მაისში და მიუღია სახელწოდება კარგოპოლის დრაგუნთა პოლკი. ჩვენ პოლკს ჰქონდა თავისი საყვარელი სიმღერაც. საველე მეცადინეობიდან ყაზარმებში დაბრუნებისას დრაგუნები თავმომწონედ მღეროდნენ:

როგორც კი ჯარები ნაპოლეონის
ზღვასავით მოადგა დასავლეთს —
მეწინავენი ბაგრატიონის
განწირული იყო თავსავე.
ეკვეთნენ ერთმანეთს რისხვით,
ირგვლივ აირია ყველაფერი;
უზომოდ დაიღვარა სისხლი,
გაწითლდა რუები შენგრაბენის.
და ვით უწმინდესი კრედო, —
ხსოვნად — დაღუპული გმირისთვის —
გულში ანდერძივით გედოს:
ხუთი — ოცდაათის პირისპირ!..[1]

ბუნებამ ჯანმრთელობა მარგუნა, და ამიტომ კავალერიაში სამსახური მეტისმეტად მძიმედ არ მეჩვენებოდა. კარგად ვფლობდი

[1] ლექსების თარგმანი ი. ქემერტელიძისა.

ნარალს, ვიყავი კარგი ტანმოვარჯიშე, და ალბათ, ამიტომაც ფიცის მიღების შემდეგ მოვხვედი სასწავლო რაზმში.

1914 წელს ჩვენი პოლკი ლაშქრული წესით მანევრებზე ბანაკად სადგომად გაგზავნეს. ყაზანიდან სიმბირსკამდე მთელ გზაზე ტარდებოდა საველე სწავლება — არც ერთი წუთი მოსვენება! ძველი ჯარისკაცები ამის გამო ამბობდნენ:

— ეს ტყუილუბრალოდ არაა, ძმებო. ჩანს, ომი იქნება...

შეშფოთებას იწვევდა ისიც, რომ შეაჩერეს მორიგი დემობილიზაცია. ხალხშიც დადიოდა ხმები, რომ ომი შორს არ იყო. გლეხები ფრთხილად ეკითხებოდნენ ჯარისკაცებს: ომში ხომ არ მიდის პოლკიო? მე, ისევე, როგორც სხვა ჯარისკაცებმა, არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ამ თემაზე ლაპარაკიც საშიში იყო.

ივლისის დამლევს ჩვენი ცხენოსანი დივიზია დაბანაკდა სოფელ ჩასოვნიასთან ვოლგის მარცხენა სანაპიროზე.

ბანაკად დგომა არაფრით განსხვავდებოდა ყაზარმისაგან, საზამთრო ბინებში ცხოვრებისაგან. ყოველდღიურად ტარდებოდა ხუთი პოლკის, ერთი მეტყვიამფრქვევეთა რაზმის და ორი საარტილერიო ბატარეის ერთობლივი სწავლება. უმთავრესად ვვარჯიშობდით ცხენოსნურ იერიშზე. ესკადრონები და პოლკები ერთმანეთს ეკვეთებოდნენ „იერიშში“, უფროსობა ხან გვაქებდა სიმარჯვისათვის, ხან გვტუქსავდა, სისწორეს რომ ვერ ვიცავდით რიგებში.

ბანაკებში ჩვენსავე კანში ვიწვოდით, ვცხოვრობდით გარესამყაროსაგან მოწყვეტილნი. თუ რა ხდებოდა ქვეყანაზე, ვიგებდით მარტო წერილებით, რომლებსაც ცენზურის დამღა ჰქონდა დასმული.

ივლისის ერთ მშვენიერ დღეს განრიგში დავრჩი სამორიგეოდ. ესკადრონი დილის 7 საათზე წავიდა საველე მეცადინეობაზე. ყაზარმების და საჯინიბოების დაგვის შემდეგ გადავწყვიტე ცოტა დამესვენა და ჩამოვჯექი მიწაყრილზე, საიდანაც კარგად მოჩანდა მდინარე ვოლგა და მასზე გადებული რკინიგზის ხიდი. ვოლგის ცქერამ გამიტაცა და ჩემდაუნებურად მომაგონდა კასპიის ზღვა, ჩემი ადრინდელი მეგობრები. არცთუ შორეულ წარსულზე ფიქრებს მივეცი თავი და ვერ შევნიშნე, როგორ მომიახლოვდა ესკადრონის მორიგე უნტერ-ოფიცერი ალტუხოვი. ის მუშტებით წამოვიდა ჩემსკენ, დაშიწყო ყვირილი, მიწოდა უსაქმური. მე თავის მართლება დავიწყე, რადგანაც არაფერი დამიშავებია, ამან კიდევ უფრო გააშმაგა. ალტუხოვი დამემუქრა, ყველაფერს უფროსობას მოვახსენებო. არ ვიცი,

რით დამთავრდებოდა ჩემთვის შეკამათება მორიგესთან, რომ უცბად ქუჩიდან არ ეპეკა „ვაშას“.

— ეს რა ჯანდაბაა, — გაიკვირვა ალტუხოვმა, — რატომ ასე ლრიალებენ „ვაშას?“ სოფელს ხომ არ „უტევენ?“.

მორიგე წავიდა კანცელარიაში ამბის გასაგებად, თუ რატომ დაბრუნდა ესკადრონი ასე ადრე მეცადინეობიდან.

„ვაშას“ ყვირილი არ ცხრებოდა.

„ეს რა ხდება?“ — გავიფიქრე მე და გავიქეცი ჭიშკრის გასაღებად. ესკადრონის ოფიცრებმა ჩორთით გააქანეს ცხენები თავიანთი ბინებისაკენ, ხოლო ჯარისკაცებმა ხმაურით აიკლეს ეზო.

— რაშია, ბიჭებო, საქმე?

— რავა, არ იცი? ომია! ომი გამოცხადდა! გენერალმა მორიცმა მარშზე წასვლა მოგვილოცა. დღესვე ვიტვირთებით ვაგონებში და ვბრუნდებით საზამთრო ბინებში!

ოცმეთაური აჩქარებდა შეკრებას. ჯარისკაცები ჭიანჭველებივით გარბი-გამორბოდნენ, აგროვებდნენ ზურგჩანთებს, ალაგებდნენ თავიანთ ბარგი-ბარხანას. საღამოსათვის კი უკვე ყველანი ვაგონებში ვიყავით.

შიშით გავიფიქრე, რომ ჩემს უფროს ძმას ანტონს და უმცროს ანდრეისაც მოუწევდათ მამისეული სახლის დატოვება.

დანაღვლიანებული ზაინულინი კი, თავის ცხენის მეტი რომ არაფერი ახსოვდა, არ ეშვებოდა გილევს:

— წაიყვანენ თუ არა ჩემს ცხენს?

გილევი პასუხობდა:

— თუ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და გამოდგება კავალერიისათვის, აუცილებლად წაიყვანენ.

ჯარისკაცთა შორის საუბარი შეეხო მთავარ თემასაც — ბატონ ოფიცრებს.

— მე არაფერი მწამს თავადებისა და აზნაურებისა, გაგვყიდიან ეს არამზადები, ისე როგორც იაპონიის ომში გაყიდა გენერალმა სტესელმა პორტარტური, — ამბობდა გილევი.

ზაინულინმა, რომელსაც პოლკოვნიკი შმიდტი სძულდა, მხარი დაუჭირა გილევს:

— განა მგელი მგლის ტყავს დახევს? გერმანელი შმიდტი თავისიანებთან ომს არ მოისურვებს...

მატარებელი უეცრად გაჩერდა. ჩვენ შიშით გადავხედეთ ერთ-

მანეთს: ხომ არ მოისმინა ვინმემ ჩვენი საუბარი? გვეგონა, აი ახლა ვაგონში შემოვა პოლკოვნიკი შმიდტი ან სხვა რომელიმე ოფიცერი და როზგი არ აგვცდებაო.

ვიღაცამ შეშინებულმა გაიხედა. აღმოჩნდა, რომ მატარებელი ასაქცევზე გაჩერებულიყო, რათა გაეშვა სასწრაფო სანიტარული შემადგენლობა. არც ერთ ოფიცერს ამ დროს ჩვენთვის არ ეცალა, და ჩვენ კვლავ დავიწყეთ მსჯელობა ომზე, იმაზე, თუ რა მოგველის პოზიციებზე. ათი წელიც არ იყო გასული რუსეთ-იაპონიის ომის დროიდან, რომელშიც მეფის არმიამ სამარცხვინო მარცხი განიცადა. უნებურად გავიფიქრე: ჩვენ მაშინ იაპონიამ დაგვძლია, გერმანია ავსტრიასთან ერთად ხომ გაცილებით ძლიერია!

— დიახ, ძმებო, საეჭვოა გავუძლოთ ამ ომს ჩვენი აზიზი ოფიცრებით, — გაისმა ვიღაცის ხმა ჩემს უკან, — მათ ბრძოლა კი არა, ღრეობა შეუძლიათ. ასეთია, მაგალითად, ჩვენი პოლკის მეთაური გენერალი ილიაშევიჩი. აბა, რა მეომარია ის! ცხენზე ტომარასავით დევს. სათვალეებითაც ვერაფერს ხედავს.

მატარებელი სადგურ ბუგულმაში გაჩერდა. ვაგონში ოცმეთაური, პორუჩიკი ბეიზიცკი შემოვიდა, ნაძალადევად მხნედ მოგვესალმა.

— გამარჯობათ, ყოჩაღებო! როგორ მოეწყვეთ?

— არა გიშავს, თქვენო აღმატ... — ერთხმად უპასუხეს ჯარისკაცებმა.

ერთმა თამამმა ჯარისკაცმა ჰკითხა:

— თქვენო აღმატებულებავ, რა შემთხვევამ გამოიწვია ომი და დიდხანს გასტანს?

ბეიზიცკიმ დარბაისლურად უპასუხა:

—მეფემ ომი ვილჰელმს იმიტომ გამოუცხადა, რომ გერმანელები და ავსტრიელები შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენს ძმებს — სლავებს. გაგრძელდება, — ის გაჩუმდა, თითქოს გაიანგარიშაო და დარწმუნებით დაამთავრა, — ექვსი თვის მანძილზე, ზამთრისათვის ბოლოს მოვუღებთ პრუსაკებს.

ჯარისკაცმა გილევმა რომ ნახა, ოფიცერი სიამოვნებით პასუხობდა შეკითხვებზე. თვითონაც ჩაერთო საუბარში:

— თქვენო აღმატებულებავ, მახსოვს, როცა იაპონიასთან დავიწყეთ ომი, მაშინაც გვეუბნებოდნენ: ომი ნახევარ წელზე მეტხანს

არ გასტანსო, ჩვენ მათ კუდით ქვას ვასროლინებთო. ისე კი გამოვიდა, რომ ჩვენ კი არა, მათ...

ბეიზიცკიმ ნერვიულად გაწმინდა პენსნე. ისე დაეინებით ჩაჩერდა გილევს, თითქოს პირველად ხედავსო, მერე მუქარით წარმოთქვა:

— ჩემს ოცეულში ასეთი ლაპარაკი აღარ გავიგონო! — უცბად შემოტრიალდა და გაუჩინარდა.

დილით ვაგონებიდან ვხედავდით გზაზე დაუსრულებლად გაჭიმულ გლეხურ ოთხთვალებს მობილიზებულებით.

საზამთრო ბინებზე შეკრება ყაზანში დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი დღე-ღამის შემდეგ კვლავ ვაგონებში ვისხედით. ჩვენი სამხედრო მატარებელი მთელი სისწრაფით მიგვაქროლებდა დასავლეთისაკენ. გაჩერებებზე ვაგონებიდან უნებართვოდ ჩამოსვლა გვეკრძალებოდა. ჩვენს ეშელონს „პატივი" დადეს: ორჯერ — მინსკისა და ბელოსტოკის სადგურებზე ესკადრონი ამბოხებული მობილიზებული ჯარისკაცების დასაშოშმინებლად გაგზავნეს.

ბელოსტოკის მახლობლად ერთ პატარა სადგურზე პოლკი ჩამოსვეს და ლაშქრული წესით ფეხით ვარშავისაკენ გაუყენეს გზას. ამ მოულოდნელმა ჩამოსვამ ჯარისკაცებს შორის ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: ზოგი ამბობდა, რომ იქით გამგზავრება რკინიგზით შეუძლებელია, იმიტომ რომ ცაში გერმანელთა დირიჟაბლები არიანო, სხვები ირწმუნებოდნენ, გერმანელები ვარშავას უახლოვდებიანო.

სინამდვილეში ყველაფერი უფრო უბრალოდ იყო: საჭირო იყო ვაგონების სწრაფად გამოთავისუფლება ფრონტზე სხვა ნაწილების გადასაყვანად.

ჯერ კიდევ გზაში ჯარისკაცებს შორის გაჩნდა მითქმა-მოთქმა. ცოტა გვაქვს ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და, წარმოიდგინეთ, შაშხანებიცო.

— თუ იარაღი არ გვაქვს, მაშინ ქუდები დავუშინოთ გერმანელებსო, — იხუმრა ვიღაცამ.

ვარშავაში რომ მივედით, ჩვენი ცხენოსანი მე-5 დივიზია ერთი კვირით დაასვენეს.

სამხედრო მოქმედებაზე გაზეთებში ძუნწი ცნობები ქვეყნდებო-

და. მაგრამ ჯარისკაცებმა იმაზე მეტი იცოდნენ, რაც გაზეთებში იწერებოდა: ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ ივან-გოროდისა და ვარშავისაკენ.

ომის პირველ თვეს ჩვენ გაგვახარა რენენკამპფის პირველი არმიის წარმატებებმა. ის შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში. გაზეთები აღფრთოვანებით გაჰყვიროდნენ, მტერი გარბისო. მაგრამ ეს წარმატება დროებითი და უმნიშვნელო გამოდგა. მალე მივიღეთ უფრო სარწმუნო, მაგრამ სამწუხარო ცნობები: გერმანელები ყველა ფრონტზე გვაიწროებდნენ. „სახელგანთქმული“ გენერალი რენენკამპფი გერმანელ ჯაშუშად გამოაცხადეს.

ვარშავიდან ცხენოსანი დივიზია გაემართა ნოვო-მიასტოს რაიონში მდინარე პილიცესთან. აქ შედგა ჩვენი პირველი ბრძოლა.

ჯერ დრაგუნებმა შეუტიეს გერმანელ ველოსიპედისტთა ბატალიონს და ტყვედ ჩაიგდეს ნახევარი ასეული. უფროსობამ ეს უმნიშვნელო საბრძოლო წარმატება დიდ გამარჯვებად მიიჩნია. შემდეგ დივიზია გავიდა პოგრებიშჩეს რაიონში ლანდშტურმის გერმანელთა ქვეითი ბრიგადის ფრთასა და ზურგში.

პოლკები მთელი დღე ემზადებოდნენ იერიშისათვის, მაგრამ ის მაინც არ შედგა. მოხდა უმნიშვნელო შეჯახება და გერმანელთა ბრიგადა გაიქცა. ჩვენი დივიზიის მეთაურმა ბარონმა ფონ მორიცმა კი იმის ნაცვლად, რომ მოწინააღმდეგეს სწრაფად დადევნებოდა, სრულიად უსაფუძვლოდ დააბრუნა პოლკები საწყის პოზიციებზე პილიცეს გაღმა. ბრიგადამ შეძლო მშვიდად დაეღწია თავი დევნისაგან. ამ „ოპერაციისათვის“ ფონ მორიცი დივიზიის მეთაურობიდან გადაყენეს. მისი მემკვიდრე გახდა გენერალი ჩაიკოვსკი. ის, ისევე როგორც მორიცი, არ ბრწყინავდა არც ჭკუით და არც სამხედრო ცოდნით. ამაში ჩვენ დავრწმუნდით მისი მეთაურობით გამართულ პირველსავე ბრძოლაში.

აი რა მოხდა. ქალაქ სანდომირს უტევდა ტულის ქვეითი პოლკი. მაგრამ ამ ერთი პოლკის ძალ-ღონე საკმარისი არ აღმოჩნდა მტრის ძლიერ გამაგრებული პოზიციების გასარღვევად. საჭირო იყო ტულის პოლკის მხარდასაჭერად ბრძოლაში დაუყოვნებლივ ჩაბმულიყო ჩვენი ცხენოსანი დივიზია, რომელიც მეორე ეშელონში იდგა. ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველოდით ბრძანებას შეტევის შესახებ. მაგრამ ჩაიკოვსკი არ ჩქარობდა, თუმცა კარგად იცოდა, როგორ იცლებოდნენ სისხლისაგან ქვეითები და მათი შეტევა შეიძლება ჩაშ-

ლილიყო. მაშინ დრაგუნთა პოლკის ჯარისკაცებმა აღარ დაუცადეს ბრძანებას ზევიდან და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, გერმანელები შეავიწროვეს და ჩვენ დავიკავეთ ქალაქი სანდომირი.

ამ ბრძოლის შემდეგ ჯარისკაცები ხმამაღლა გამოხატავდნენ უკმაყოფილებას დივიზიის ახალი მეთაურის მიმართ, აქაოდა, შეცვალეს გუგული მიმინოთი, მაგრამ მიმინო კი არა, ყვინჩილა ყოფილაო.

— ასეთი მეთაურის გვერდში, წიხლი მოგვხვდება ფერდში! — ამბობდა ჯარისკაცი ბლაუეეიჩი.

მთელი 1914 წელი ჩვენმა დრაგუნთა პოლკმა უმიზნოდ იარა დასავლეთ პოლონეთის ველებზე, მტერი კი ამ დროს კვლავ გვიტევდა.

ჩვენ უკვე აღარ გვქონდა ომის სწრაფად და წარმატებით ღამთავრების იმედი. პოლკში დისციპლინა ეცემოდა, ჯარისკაცები სულ უფრო ხმამაღლა ბუზღუნებდნენ, სულ უფრო ხშირად იხსენიებდნენ ცუდად თვითმპყრობელს, რომელმაც წამოიწყო ეს უგუნური ზოცვა-ჟლეტა.

ერთხელ სოფელ ეულკის რაიონში ჩვენი ოცეულიდან გაიგზავნა მოთვალთვალე, რომელსაც უნდა დაეზვერა, ხომ არ დაიკავეს გერმანელებმა უახლოესი დასახლებული პუნქტი. ცხენოსანი პატრული ტაფობში გაჩერდა, იარაღი ყველას მზადყოფნაში ჰქონდა. მზვერავმა ნიშანი მოგვცა, რომ სოფელი თავისუფალიაო. მაგრამ, როცა სოფელში შესვლა დავიწყეთ, უეცრად გერმანელ ულანთა ოცეულმა შემოგვიტია. ის სტვენითა და ყიჟინით მოექანებოდა ჩვენსკენ სოფლის შარაგზაზე. ოფიცერმა ბეიზიცკიმ საჩქაროდ გასცა ბრძანება „მარჯვნივ უკან“, ე. ი. უკანდახევა ბრძანა და პირველმა შეაბრუნა ცხენი.

მაგრამ ჩვენ არ შეავასრულეთ ბეიზიცკის ბრძანება. მოგვეზრდა მტრისთვის ზურგის ჩვენება. თავისთავად მოხდა ისე, რომ დეზი ვკარით ცხენებს და პირდაპირ ვეძგერეთ მტერს. მტერი ამას არ მოელოდა და შედრკა: სამმა, გამოქანებული ცხენები რომ შეაჩერეს, თავი ვერ შეიმაგრა და უნაგირებიდან ჩამოცვივდნენ. ჩვენ გამოვეკიდეთ ულანებს, ხელთ ვიგდეთ ტყვეები. როცა საწყის პოზიციაზე დავბრუნდით, ოფიცერი ბეიზიცკი ტაფობში აღარ დაგვხვდა. „სად გადაიკარგაო?“ — ვფიქრობდით გამწარებულნი. მოვითათბირეთ, პაპიროსი მოვწიეთ და ვხედავთ მოშორებით ბორცვზე მხედრები

გამოჩნდნენ. ვიფიქრეთ, ისევ გერმანელები მოდიან შეტევაზეო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ჩვენი ოცმეთაური ბეიზიცკი ყოფილა ორ ჯარისკაცთან ერთად. თურმე ამ ბორცვიდან უთვალთვალებდა, როგორ ვუტევდით გერმანელ ულანებს. როცა დაინახა, საშიშროებამ გაიარაო, ჩვენთან მშვიდად გაჩნდა.

— თქვენო აღმატებულებავ, — მოვახსენე მხედრული წესით,— ჩვენ გერმანელები გავრეკეთ სოფლიდან, ტყვეებიც და ნადავლიც ვიგდეთ ხელში, — და ვერ მოვითმინე, რომ არ მეთქვა ის, რასაც ყოველი ჩვენგანი ფიქრობდა: — მაგრამ მთელი ოცეულით რომ შეგვეტია, უფრო მეტ ტყვეს ვიგდებდით ხელში.

ბეიზიცკიმ ეს ბრძოლა ისე დახატა პოლკში, რომ გასაქანს აღარ გვაძლევდნენ, ყველა გაოცებული დარჩა ჩვენი გმირობით, თუმცა საამისო დიდი არაფერი ჩაგვიდენია.

დადგა 1915 წლის მკაცრი ზამთარი.

სარეზერვო პოლკიდან შევსებისათვის მოსვლა იწყეს სამარშო ესკადრონებმა. მოსულ ჯარისკაცებს, ძირითადად უფროს ასაკოვანთ, არასასიამოვნო ამბები მოჰქონდათ ზურგიდან:

— აი, თქვენ აქ იბრძვით, — ამბობდნენ ისინი, — თქვენი ოჯახები კი ჩანაგდება. ჯერ ომის პირველი წელია, ვოლგისპირეთში კი ხალხს საჭმელი არა აქვს. ყველაფერი პირწმინდად მიაქვთ. ომით მარტო ბურჟუები მდიდრდებიან...

ვუსმენდით სევდიანად და აღშფოთებით, და ვფიქრობდით, როდის დამთავრდება ეს დაწყეველილი ომი, ბევრი დაბრუნდება კი ჩვენგან თავიანთ სახლებში?

ამასობაში სამანევრო ომი სასანგრო ომად გადაიქცა. ცხენოსნები სასწრაფოდ სანგრებში ჩასვეს. მე-5 ცხენოსანმა დივიზიამ თავდაცვა დაიჭირა ბზურის სანაპიროზე. ცხენოსანი პოლკები ყოველ კვირას ენაცვლებოდნენ ერთმანეთს სანგრებში.

იმ წელიწადს ადრე გამოზაფხულდა. ძნელი სათქმელია, რატომ გადაწყვიტა კავალერიის უფროსობამ ჩვენი ყოველი თავისუფალი წუთი სამწყობრო ცხენოსნური მომზადებისათვის დაეთმო, ვითომ ფრონტზე კი არა, საზაფხულო ბანაკებში ვყოფილიყავით.

დამამახსოვრდა ოფიცერთა თვითნებობის ერთი აღმაშფოთებელი შემთხვევა, რომელიც მოხდა მე-4 ესკადრონში ერთი ასეთი მეცადინეობის დროს.

ესკადრონი ჯაჭვად, ანუ კაზაკურად რომ ვთქვათ, ლავური

ბწყობრით გაიშალა. რომელიღაც ჯარისკაცი, ვისი გვარიც არ მახსოვს, ცოტათი ჩამორჩა მწყობრს. მასთან უმალ მიიჭრა პორუჩიკი ჟილიგოვსკი და ხმლის პირი მოარტყა ზურგზე. მაგრამ, ეტყობა, ეს ეცოტავა. ოფიცერმა გაჭენებული ცხენიდან ზურგში ხმალი ატაკა ჯარისკაცს და სასიკვდილოდ განგმირა იგი. პოლკში დრტვინვა ატყდა, ჯარისკაცებმა მოითხოვეს მკვლელის დასჯა, ძაგრამ საქმე მიაფუჩეჩეს, ჟილიგოვსკი კი მხოლოდ სხვა პოლკში გადაიყვანეს.

1915 წელს მე-5 ცხენოსანი დივიზია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან დასავლეთის ფრონტზე, პონევეჟ-შავლის რაიონში გადაისროლეს.

სამსონოვის არმიის განადგურებისა და რენენკამპფის არმიის უკანდახევის გამო დასავლეთის ფრონტზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მოკავშირეებიც მარცხს განიცდიდნენ. ხმა გავრცელდა, ფრანგებმა მეფე ნიკოლოზს სთხოვეს რუსის ჯარი გამოგვიგზავნე საფრანგეთშიო.

ჩვენ მხოლოდ მხრებსღა ვიჩეჩდით:

— აი, ესეც, შენი ომი! თითონ ცუდად გაქვს საქმე და კიდევ ფრანგი გთხოვს დახმარებას. ჩანს, სურთ ყველა ხვრელი რუსი ჯარისკაცით ამოქოლონ.

...ქალაქ პონევეჟთან ეშელონი გაჩერდა: აღმოჩნდა, რომ მოწინააღმდეგეს გადაუჭრია ჩვენთვის გზა.

ესკადრონმა ვერ მოასწრო ვაგონებიდან ჩამოსხდომა, რომ საბრძოლო განგაშის სიგნალი გაისმა. ესკადრონის მეთაურთან პოლკის შიკრიკი მიიჭრა:

— რკინიგზის სადგურიდან ჩრდილო-დასავლეთით ორ კილომეტრზე მოწინააღმდეგეა და ესკადრონს ნაბრძანები აქვს შეუტიოს მას, — თქვა მან. — მარჯვნივ იმოქმედებს მე-2, მარცხნივ მე-5 ესკადრონები.

— ხმლებით კი არა, შუბებით ეკვეთეთ! — გასცა ბრძანება როტმისტრმა კოზლოვმა.

ესკადრონი ჩორთით გაეშურა მტრის შესახვედრად. კოლონის თავზე გასკდა შრაპნელის ბომბი. მარცხენა ფრთაზე ოდნავ ჩვენს წინ გაისმა შეძახილი „ვაშა“. ჩვენი ესკადრონი გაშლილი მწყობრით დაოთხილი გაიჭრა და უკვე პირისპირ შევეჩეხეთ მოწინააღმდეგის ცხენოსნებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ცდილობდნენ მარცხენა ფრთიდან დაერტყათ ჩვენი მეზობლისათვის.

„ვაშას“ შეძახილით ვეკვეთეთ გერმანელებს. იერიში ელვისებური იყო. მტერმა ვერ გაგვიძლო და უწესრიგოდ იწყო უკანდახევა, ბრძოლის ველზე დატოვა ორი ქვემეხი და სხვა სამხედრო ნადავლი.

პონევეჟთან ამ ბრძოლის შესახებ ბევრი ლაპარაკი იყო, განსაკუთრებით ჯარისკაცებს შორის. წარმატებით აღგზნებულები ხუმრობდნენ:

— ისე ვიომებთ, რომ მაგ მეძეხვეებს თვით ბერლინამდე ჩავრეკავთ!

ვიღაცამ ჩვენი დივიზიის მეთაურიც კი შეაქო:

— აი, ჩვენმა გენერალმა ჩაიკოვსკიმაც კი ისწავლა ბრძოლა!

პასუხად გაისმა ყოვლისმცოდნე გილევის დამცინავი ხმა:

— ისწავლა, კი! მთლად ასე არაა! ის ტყავიდან იმიტომ ძვრება, რომ ამ რაიონში მისი მამულია. ჩვენ კი, სულელები, მისი მამულისათვის სასიკვდილოდ ვდებთ თავს...

— მართალია! ხომ გახსოვთ, ბიჭებო, ქალაქ სანდომირთან ამ გველმა არ ისურვა ჩვენი ქვეითი ჯარის მიხმარება. მისი მიზეზით იქ ბევრი ჩვენი ძმა დარჩა ბრძოლის ველზე, — დაეთანხმა მას ძველი ჯარისკაცი კულეშოვი. — თავისი ქონებისათვის კი იბრძვის!

საუბარში სამარშო ნაწილის ჯარისკაცი ისაევი ჩაერთო. ის. პეტროგრადელი მუშა, ნაკითხი, წერა-კითხვის მცოდნე კაცი იყო.

— უბედობა ფუჭია, ბიჭებო. ლაპარაკი საქმეს ვერ უშველის. მოვა დრო, რომელიც არც ისე შორსაა, როცა სიფხიზლე იქნება საჭირო. ყველაფერს გავუხსენებთ ჩაიკოვსკის და კიდევ სხვებსაც.

საუბარი შეწყდა პორუჩიკ ბეიზიცკის გამოჩენის გამო.

— გამარჯობათ, ძმებო! — თქვა ბეიზიცკიმ და ჩამოჯდა უნტერ ალტუხინის მიერ თავაზიანად მიწოდებულ სკამზე. — ხომ მაგრად მივბერტყეთ გერმანელები?

— დიახ, თქვენო კეთილშობილებავ. კარგია, ხშირად რომ იყოს ასე. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება, — ვუპასუხე მე ყველას მაგივრად.

— ცდები, ტიულენევ, ნუთუ არ გსმენიათ გაზეთებიდან, რომ ჩვენმა მამაცმა ჯარებმა ციხე-სიმაგრე პერემიშლი აიღეს?

— ეს ასეა, მაგრამ ჩვენც ხომ გენერალ სამსონოვის მთელი არმია დავკარგეთ აღმოსავლეთ პრუსიაში, — არ დავთმე მე.

უკანასკნელ დროს ოფიცრები იძულებული იყვნენ შერიგებო-

დნენ ასეთ მსჯელობას. ალბათ, იმიტომ, რომ მოქმედ არმიაში გაძლიერდა უკმაყოფილება გაჭიანურებული ომისა და სამხედრო წარუმატებლობის გამო.

სწორედ ამიტომ ბეიზიცკიმ, ცხვირსახოცით პენსნეს წმენდა-წმენდით გვიპასუხა დაზეპირებული, ძველი შაურიანივით გაცვეთილი სიტყვებით:

— ომში, ძმებო, წარმატებაც არის და მარცხიც. ჩვენი ჯარისკაცული მოვალეობაა ვიომოთ სარწმუნოებისათვის, მეფისა და მამულისათვის. ღმერთისათვის ლოცვა და მეფის სამსახური არ დაგვეკარგებათ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მეოთხე ოცეულის ჯარისკაცები ომის შემდეგ სახლში ჯვარ-მედლებით დაბრუნდებით.

ბეიზიცკი რომ წავიდა, გილევი მხიარულად თვალებმოჭუტული მიაჩერდა ზაინულინს, თითქოს მისი ფართო მკერდი უკვე გაესებული ყოფილიყო გიორგის ჯვრებით.

— თქვენ, ძაჰმადიანებს სარწმუნოება ხომ გიკრძალავს ჯვრების ტარებას, — გაქირდა მან ზაინულინი. — მაინც სად ჩამოკიდებ ჯვრებს?

— კისერზე არ შეიძლება ჯვრის ჩამოკიდება, თორემ ყურანი მკერდზე არ გვიკრძალავს, — მშვიდად უპასუხა ზაინულინმა. — ხოლო სიმართლე თუ გინდა გითხრა, მეფის ჯილდო ჯარისკაცს არაფერს არ აძლევს.

— ეს სწორია. ვიცნობდი მე ერთ თანამემამულეს, რომელიც იაპონიის ომიდან სამი გიორგის ჯვრით დაბრუნდა, — კვერი დაუკრა ზაინულინს ისაევმა. — ცხრაას ხუთ წელს ჩაფრებმა არც შეხედეს მის ჯვრებს და სხვა გლეხებთან ერთად ისე გაროზგეს, რომ მალე ღმერთს მიაბარა სული!..

ისაევმა მაგრად გააბოლა პაპიროსი და განაგრძო:

— ერთს შეხვდება ვერცხლის ჯვარი, ათასებს კი — ხის ჯვარი სასაფლაოზე. ვის სჭირდება ომი? მეფეს და ჩვენი ჩაიკოვსკისთანა გენერლებს. ჩვენ რად გვინდა ის? მიწას მოგვიმატებს? სულ დიდი — სამი არშინი... ომი ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის — დედინაცვალი. მეორე წელია სანგრებში ვლპებით, მკბენარების ლუკმა გავხდით, სახლი კი ჩანაგდება, შიმშილისაგან სული ხდებათ. თუ ცოცხალი გადარჩი და დაბრუნდი გიორგის ჯვრით, ვითომ რასმე წაგეხმარება მეურნეობაში, თუ ჯიბეში გროშისა და საყელოში მკბენარის მეტი არაფერი გაგაჩნია?..

ისაევმა ჭკვიანი გამჭოლი თვალებით შემოგვხედა და ჩუმად თქვა:

— თუ მაინც საჭიროა ომი, გერმანელებს კი არა, ჩვენსავე სისხლისმწოველებს უნდა ვეომოთ, როგორც ამბობენ, შევაბრუნოთ საჭე და გადავაქციოთ იმპერიალისტური ომი მემამულეებთან და მეფაბრიკეებთან ომად.

ჯარისკაცები ახმაურდნენ.

— ისაიჩ, ახლა კი შეტოპე! ერთი ომი მეორედ შეატრიალეო?! შენ რა, ჭკუიდან შეიშალე! მაშინ კიდევ რამდენი წელიწადი უნდა ვიომოთ? ჩვენ ეს ომიც მოგვბეზრდა...

ისაევმა ტუჩებზე თითი მიიდო:

— ამხანაგებო, ამ საუბრის შესახებ კრინტი არ დაძრათ. ყველაფრის ზუსტად განმარტება მე არ შემიძლია, მაგრამ პეტროგრადის მუშებში ასეთი ხმები დადის. თვითონ მოვისმინე პუტილოვის ქარხანაში ფრონტზე გამოგზავნამდე.

ისაევმა ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ მან მეტი იცის, მაგრამ ჩვენ, პოლიტიკაში სუსტად გარკვეულებს, ყველაფერს არ გვეუბნება. მოგვიანებით მე დავრწმუნდი, რომ ეს მართლაც ასე იყო.

რამდენიმე წარმატებით ჩატარებული ბრძოლის შემდეგ ქალაქ შავლასთან და დაბა სვინტიანთან ჩვენმა ჯარმა 1915 წლის შემოდგომიდან კვლავ დაიწყო უკანდახევა. ცხენოსნები ქვეითებად აქციეს, კვლავ სანგრებში შეყარეს.

ამჯერად ჩვენმა პოლკმა მდინარე დუბიცასთან დაიკავა პოზიცია.

მთელი ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში ჩვენს უბანზე სიმშვიდე იყო: გერმანელები არ გვაწუხებდნენ, არც ჩვენ ვაწუხებდით მათ. მხოლოდ კანტიკუნტად გაისმოდა საარტილერიო სროლა ორივე მხრიდან და დროგამოშვებით გადიოდნენ წინა ხაზზე მზვერავები.

1916 წლის ზაფხულში კი ფრონტი თითქოს ზამთრის ძილისაგან გამოფხიზლდა. გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ. ჩვენ მათ თოფის ძლიერი ცეცხლით დავხვდით, ჩვენი ქვემეხები კი დუმდნენ — არ იყო ყუმბარები. მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხ-

ლით რამდენიმე საათში მიწასთან გაასწორა ჩვენი სანგრები. პოლკის ნარჩენებმა დვინის გამოღმა იწყეს უკანდახევა.

ექვსი ესკადრონისაგან შემდგარი დრაგუნთა პოლკი ოთხ ესკადრონამდე დაიყვანეს: თითოეული პოლკის ორ-ორი ესკადრონი ქვეითად აქციეს.

დივიზიაში ახალი მეთაური — გენერალი სკოროპადსკი შოვიდა. ჩვენ აღარ გვიკვირდა მეთაურთა შეცვლა, შევეჩვიეთ იმას, რომ ყოველი მარცხის შემდეგ ჩამოაქვეითებენ ერთს, დანიშნავენ მეორეს, და ხშირად ისე გამოდიოდა, როგორც ნათქვამია: რაც ალხანა, ის ჩალხანაო.

...იდგა 1916 წლის წვიმიანი შემოდგომა. ჩვენი პოლკი სანგრებში ქვეითებმა შეცვალეს. ჩვენ კი ვემზადებოდით საზეიმოდ შესახვედრად თვითმპყრობელთან, რომელმაც თვითონ იკისრა უმაღლესი მთავარსარდლობა. ამასთან დაკავშირებით ნაწილებში პარაკლისი გადაიხადეს რუსეთის არმიის გამარჯვებისათვის.

ორი კვირის განმავლობაში გამალებით ვემზადებოდით მეფესთან შესახვედრად: ვიცილებდით მკბენარებს, ვასუფთავებდით ამუნიციას და აღჭურვილობას და ჩუმად ვწყევლიდით ნიკოლოზს, რადგანაც ეს ალიაქოთი მისი მომავალი ჩამოსვლით იყო გამოწვეული.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს მეფე მოვიდა ფრონტზე. დვინსკის რაიონში დაინიშნა დიდი პარადი მე-5 არმიის ჯარებისა, რომელსაც გენერალი პლევე სარდლობდა.

პოლკები გამოიყვანეს სწორ მოტიტვლებულ ვაკეზე. კავალერიის ორი დივიზია ოცეულების მიხედვით განალაგეს კოლონებად.

პარადზე გასვლისას ჩვენ ხუმრობით თვალს ვუკრავდით ერთმანეთს:

— შევხედოთ ერთი, რას წარმოადგენს ის ჩვენი ღმერთი რუსეთის მიწაზე[1].

შორს გამოჩნდა ავტომობილების მწკრივი.

მარჯვენა ფრთიდან ჩვენამდე მოაღწია ბრძანებამ „სწორება მარჯვნივ". გამოჩნდა მხედართა ჯგუფი, რომელიც ჭენებით მოიჭრა

---

[1] რუსულ ტექსტში სიტყვების თამაშია: российской — расейской (დაბნეული).

ბარჯვენა ფლანგთან. მათ წინ მოუძღოდა ნიკოლოზ მეორე, მის გვერდით — სასახლის მინისტრი ფრედერიკსი და მე-5 არმიის სარდალი პლეევ.

გაისმა წყნარი, გაუბედავი ხმა:

— გამარჯობათ, შვილებო — კარგოპოლელებო!

ბეფე-პოლკოვნიკის ავადმყოფურმა, გაფითრებულმა და გალეულმა სახემ, ღონემიხდილმა ფიგურამ, დუნე მოძრაობამ, ცხენზე შეუჩვევლად ჯდომამ ისინიც კი გააწბილა, ვინც ბოლო დღეებში ჭამა-სმაც კი მიატოვა იმის მოლოდინში, რომ მალე ეხილა სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი.

— აი ესეც ქვეყნის მამა... — მუჯლუგუნებს ვკრავდით ერთმანეთს. — ახლა კი გასაგებია, რატომ მართავენ ქვეყანას გრიშკა რასპუტინი და გერმანელები, დედოფლის მეგობრები. ეს რა მთავარსარდალი იქნება? ვაი დედა რუსეთის ბრალი!..

გადიოდა თვეები, ომს კი ბოლო არ უჩანდა. პოზიციები, სანგრები, მყრალი წყალი, ტალახი, სიცივე...

დგებოდა 1917 წელი.

სანგრებში ხმები გავრცელდა სასახლის გადატრიალების, რასპუტინის მკვლელობის, ბალტიკაზე მეზღვაურთა ამბოხების შესახებ.

ჯარისკაცები გულისყურით უსმენდნენ ყველაფერს, ელოდნენ დიდ ცვლილებებს, თუმცა არც კი იცოდნენ, რას შეეხებოდა ისინი.

ომი კი ძველებურად გრძელდებოდა. მდინარე დვინის ორივე ნაპირზე მიწაში თხუნელებივით შემძვრალი გერმანელი და რუსი ჯარისკაცები ეწეოდნენ სასანგრო ცხოვრების მომაბეზრებელ ტვირთს. დროდადრო ხან ერთ, ხან მეორე უბანზე გაისმოდა ტყვიამფრქვევისა და თოფის სროლა.

დვინა ყინულის არტახებში მოექცა. მოლაპლაპე ყინულის უდაბნოში აქა-იქ მოჩანდა ცუდად შენიღბული ნაღმები. ჩვენი სანგრების წინ გაჭიმული იყო სამმაგი ეკლიანი მავთულხლართი.

მორიგე ნაწილები და გუშაგები სანგრებიდან და სამეთაურო პუნქტებიდან გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ მოწინააღმდეგეს. რასაც კი შეამჩნევდნენ დვინის იქეთა მხარეს, ყველაფერს სათვალთვალო ჟურნალში იწერდნენ.

ზამთარი ბალტიისპირეთში იმ ხანებში ცივი და ქარბუქიანი იყო. რომ არ გავყინულიყავით, ჯარისკაცებს საგუშაგოზე ყოველ ერთ-ორ საათში გვცვლიდნენ. ესკადრონის ერთი მესამედი სანგარ-

ში იჯდა, დანარჩენები მიწურებში თბებოდნენ და ელოდებოდნენ ამხანაგების შეცვლის თავიანთ რიგს.

ხანდახან ნაღმები სანგრების და მიწურების ახლოს ეცემოდა და მწყობრიდან გამოყავდა ხან ერთი, ხან მეორე ჯარისკაცი. გასისხლიანებულ ფარაჯაგადაფარებულ საკაცეებს რომ ვუყურებდით, ჩვენდაუნებურად ნაღვლიანად ვფიქრობდით: ვინ იქნება შემდეგი, ვის უმუხთლებს კიდევ ბედი?

ზამთრის გრძელ ღამეებში სანგრებში ძვალსა და რბილში ატანდა სიცივე. დილამდე რომ როგორმე გაგვეძლო, ჩავიფუთნებოდით ხოლმე დამპალ თივაში, ერთმანეთს ვეკვროდით და გულს ვაყოლებდით ადრინდელ მშვიდობიან ცხოვრებაზე ნამდვილი თუ მოგონილი ამბების თხრობას.

ყოველ მიწურს ყავდა თავისი აღიარებული მთხრობელი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდნენ. ჩვენც გვყავდა ასეთი — ხანდაზმული ჯარისკაცი კულეშოვი, რომელიც ჩვენთან სამარში ესკადრონიდან მოვიდა.

დამამახსოვრდა მისი ერთი ნაამბობი, რომელიც ჯარისკაცული ფოლკლორის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ამ მოთხრობას ერქვა: „რამ გამოიწვია რუსეთის ომი გერმანიასთან“.

კულეშოვი მას, ჩვეულებრივ, ასე იწყებდა:

— თქვენ მეკითხებით, ბიჭებო, რით დაიწყო ეს ხათაბალა? თუ ტყუილი ვთქვა, გამისწორეთ, მაგრამ ამბობენ, ომი ღმერთმა კი არა, მეფემ ატეხაო, თუმცა... მოგიყვებით ყველაფერს თანმიმდევრობით...

და კულეშოვი აუჩქარებლად ყვებოდა ვასკა-ბრძენის შესახებ, რომელმაც ეშმაკობაში აჯობა გერმანელ ბრძენს, რისთვისაც განრისხებულმა ვილჰელმ კაიზერმა ომი გამოუცხადა რუსეთს.

ერთხელ, როცა კულეშოვმა დაამთავრა თავისი თხრობა, ისაევმა ღიმილით თქვა:

— შენი ზღაპარი კარგია, მაგრამ იგი პატარა ბავშვებისთვისაა და მეფის ლაქიების მოგონილია ხალხის გასაბრიყვებლად. მე კი შენ, ზღაპარს კი არა, ნაღდ სიმართლეს მოგიყვები.

მან შეიხსნა მაზარა, მოიჩხრიკა გიმნასტურის გულის ჯიბე, ამოიღო იქიდან ოთხად გაკეცილი, ნაკეცებში გაცვეთილი გაზეთის ფურცელი და დაიწყო კითხვა სიტყვებით: „მოისმინეთ და ჩაიჭედეთ ტვინში!“

მივდივართ ბრძოლაში, დევიზი ასეთია:
„ყოველი გოჯი მიწა დავიცვათ სისხლით!“
რომელი გოჯი მიწა? — რას გეტყვიან, —
შემაწულეების! სხვა, აბა, ვისი!

მივდივართ ბრძოლაში, დევიზი ასეთია:
„თავისუფლება ყველგან და ბარად!“
რა თავისუფლება? — რას გეტყვიან, —
ყოველ შემთხვევაში, ხალხის — არა!

მივდივართ ბრძოლაში, დევიზი ასეთია:
„ხალხთა კავშირისთვის შევიკრათ ფიცით!“
მაგრამ მთავარი? — რას გეტყვიან, —
ვისი ჯიბისათვის? ვიცით?

ომი -- ზოგისთვის ომია,
ზოგისთვის — ყანა სამკალი;
სანამდე გამიგონია
სულ შიმშილი და კანკალი.

— და ეს გაზეთშია დაბეჭდილი? — გაიკვირვა კულეშოვმა. — ეს ხომ მეფის, მინისტრების საწინააღმდეგო ლექსია!

— ეს შე ჭკუის კოლოფო, — ისევ ჩაიღიმა ისაევმა. — გაზეთს გააჩნია.

და გაზეთი თვალებთან მიუტანა კულეშოვს:

— წაიკითხე, თუ იცი წერა-კითხვა. ხედავ ასოებს: რსდმპ. გაიგე? ეს ლექსი შენ ვასკა-ბრძენზე უფრო ჭკვიანმა, ჩვენმა ძმა-ჯარისკაცმა გამოთქვა.

ვაღიარებ, რომ მე, მაშინ პოლიტიკაში სუსტად გათვითცნობიერებულ ახალგაზრდა ჯარისკაცს, უფრო მომეწონა ისაევის მიერ წაკითხული ლექსი, ვიდრე კულეშოვის ზღაპარი. მართლაც რომ პირდაპირ ჩამეჭედა თავში მწარე, მრისხანე სტრიქონები:

სანამდე გამიგონია
სულ შიმშილი და კანკალი.

საბჭოების ხელისუფლებისათვის

იდგა 1917 წლის მარტი...

ახალი პოლიტიკური ამბები ჩვენამდე ძუნწად აღწევდა. თუმცა სასიამოვნოა, როცა ამბობენ, რომ ჯარისკაცი თავის მეთაურებზე ადრე გებულობს ყველაფერსო, მაგრამ ჩვენ მარტშიც არაფერი ვი-

ცოდით გარკვეულად თებერვლის რევოლუციის შესახებ. მხოლოდ იმას ვხვდებოდით, რომ ოფიცრები ტყუილუბრალოდ როდი ნერვიულობდნენ. ზოგიერთი დრაგუნი ამას იმით ხსნიდა, რომ ოფიცრები ნამდვილად ვალში არიან ჩვენთანო: იპარავენ ფრონტულ საკვებს და ამ ფულით ჯიბეს ისქელებენო. უფრო ჭკვიანები, ისეთები, როგორიც ისაევი იყო, ამბობდნენ, რომ საქმე მარტო ბურღულში როდია: პირველი წელი ხომ არაა, რაც იპარავენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ოფიცრებს მაღლიდან ეცქირათ ჩვენთვისო. ამის მიზეზი სულ სხვა რამეშიაო, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ხდებაო, მაგრამ რა?

ამ დროს კიდეც დადგა მორიგი ცვლის დრო. დრაგუნები გადაიყვანეს სანგრებიდან ზურგში დასასვენებლად, ხოლო ჩვენი ადგილი დივიზიის სხვა პოლკმა დაიკავა. ჩვენ დაგვაბინავეს რკინიგზიდან შოცილებულ, განცალკევებულ, მიყრუებულ ადგილას.

იმ დროს რადიო არ იყო, გაზეთებს ჩვენ არ ვღებულობდით. ინფორმაციის ერთადერთი წყარო — საველე ტელეფონი იყო. ახალი ამბები ჩვენთან ჩვეულებრივ მოჰქონდათ შტაბის ტელეფონისტებს ან ქვეგანყოფილების მორიგეებს. მაგრამ აქ, თითქოს ჯიბრზე, რამდენიც არ მოისმინეს ჯარისკაცებმა ტელეფონით ლაპარაკი, ვერაფერი ვერ გაიგეს: ოფიცრები უმთავრესად ფრანგულად ლაპარაკობდნენ, რუსულს თუ გაურევდნენ — ისიც „გაუგებრად“.

ერთხელ — ეს იყო ძველი სტილით ათ მარტს — ვსხედვართ მორზე პოლკის განლაგებაში, ვაბოლებთ წეკოს და თავს ვიტეხავთ როგორმე გავიგოთ ზურგში „დაზვერილი“ ამბების შესახებ. ვხედავთ, რკინიგზისკენ მიდის ჩვენი ასეულის მეფურაჟე:

— სადგურზე?

— სადგურზე.

— მოიცადეთ ერთი წუთით!

ჩვენ სწრაფად მოვითათბირეთ, მერე მივედი მეფურაჟესთან, მივეცი სამი მანეთი და ვთხოვე ეყიდა გაზეთი, რაც არ უნდა ღირებულიყო. მეფურაჟე გაემგზავრა.

უნდა ითქვას, რომ ჯარისკაცისათვის სამი მანეთი დიდი ფული იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯარისკაცის თვიური შესანახი თანხა ორმოცდაათ კაპიკს შეადგენდა. მე კი, როგორც გიორგის ორდენის კავალერი, ჩემი ოთხი ჯვრისათვის თვეში თორმეტ მანეთს ვღებულობდი და ესკადრონში მდიდრად ვითვლებოდი.

მგონი იმ დღეს არც გვიჭამია და არც გვისვამს რამე მეფურაჟის მოლოდინში. ბოლოს ის მოვიდა.

— აჰა, ესეც თქვენი გაზეთი. საპაპიროსედ თუ გამოდგება და იმ სპეკულანტმა კი ვერცხლის მანეთიანი ამაფცქვია!

ახლა, ორმოცდაათზე მეტი წლის შემდეგ, მე უკვე აღარ მახსოვს, რომელი პარტიის იყო ის გაზეთი, მეხსიერებას არ შემორჩა მისი სახელწოდებაც, თუმცა სახელწოდებაში როდია საქმე. მაგრამ კარგად მახსოვს, თუ რა ეწერა იქ: „2 მარტს ნიკოლოზ მეორე რომანოვი გადადგა და ტახტი თავის ძმას მიხეილს დაუთმო“. ქვევით იტყობინებოდნენ: „მიხეილმაც უარი თქვა ტახტზე მეორე დღეს, სამ მარტს“.

„რას ნიშნავს ეს?“ როგორ თუ გადადგა, რატომ გადადგა? თავის ნებით ხომ არ დატოვებდა ტახტს? ყველაფერი აირ-დაირია თავში. ვინ აგიხსნის, სად მარხია ძაღლის თავი? ვის ვკითხოთ?

მოვითათბირეთ და მე და რამდენიმე ჯარისკაცმა გადავწყვიტეთ მიგვემართა ჩვენი ესკადრონის მეთაურისათვის კოზლოვისათვის. ის იყო სიტყვაძუნწი და მკაცრი, მაგრამ ჯარისკაცები მას პატივს სცემდნენ სამართლიანობისათვის.

კოზლოვი მოღუშული შეგვხვდა. პირველსავე კითხვაზე კითხვითვე მოგვმართა:

— საიდან შეიტყეთ?

ჩვენ ვუჩვენეთ გაზეთი. ესკადრონის მეთაურმა შუბლქვემოდან შემოგვხედა, მოკუმა თხელი ტუჩები:

— ყველაფერი ეს დიდი პოლიტიკაა. მე სამხედრო ვარ, პოლიტიკაში არ ვერევი და არც თქვენ გირჩევთ...

ჩვენც მოვშორდით.

მეორე დღეს კვლავ ვიხელთეთ ახალი გაზეთი. მართალია ბუნდოვნად წერდნენ, მაგრამ მაინც მივხვდით, რომ პიტერში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მოხდა რევოლუცია! ჩვენ მაშინ კარგად არ გვესმოდა, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მაგრამ ერთი დასკვნა კი გავაკეთეთ: მეფის დროზე უარესი მაინც არ იქნებოდა.

ჩვენს შორის, კავალერისტებში, ბოლშევიკები არ იყვნენ, შეიძლება მარტო ერთი ისაევი იყო. მაგრამ რუსეთში მონავარდე თავისუფლების ქარმა ჩვენს მიყრუებულ კუთხეშიც დაქროლა. ყველამ მაშინვე გადავწყვიტეთ: ჩვენც რაიმე უნდა გავაკეთოთ, ვიმოქმედოთ! ეს მისწრაფება არ იყო გაცნობიერებული, ის სტიქიურად წარმოიშვა.

ერთხელ შევიკრიბეთ პატარა მდელოზე, ვუცქერით ერთმანეთს და თვალში გვეჩხირება, რომ ჩვენს შორის საკმაოდ ბევრია გიორგის ორდენის კავალერი. ვისაც არ შეხედავ — ზოგს მედალი აქვს მკერდზე, ზოგს ერთი ჯვარი, ორი ჯვარი და ზოგსაც მთელი კომპლექტი — ოთხივე. და არც გასაკვირია: ერთი და ორი წელი ხომ არ იომა ჩვენმა პოლკმა.

კვლავაც სწორად დაასკვნა ისაევმა: რადგანაც მეფე აღარ არის, ეშმაკებსაც წაუღია სამეფო რეგალიები!

— ხომ არ გადავყრით ჯვრებს, — შეეპასუხა ისაევს კულეშოვი. — რაც არ უნდა იყოს, ოქრო და ვერცხლია.

— რატომ უნდა გადავყაროთ? შევიტანოთ ის რევოლუციის ფონდში. — წამოაყენა წინადადება ისაევმა.

ითქვა და კიდეც შესრულდა. ვიღაცამ ტომარა მოიტანა და აქვე, მდელოზე, შიგ ჩავყარეთ გიორგის ჯვრები და მედლები. ეს იყო ჩვენი პირველი გამოხმაურება რევოლუციურ მოვლენებზე.

ამიერიდან ჩვენი მთავარი საზრუნავი გახდა გაზეთის შოვნა. ყოველდღე ვაგზავნიდით სადგურზე შიკრიკს და მას მოჰქონდა ყველაფერი, რისი შოვნაც შეეძლო, — ჩვეულებრივ ეს იყო უკვე წაკითხული, უამრავ ხელში გამოვლილი გაზეთის ფურცლები.

რადგანაც ჩვენ ხელში გვივარდებოდა სხვადასხვა პარტიის — კადეტებისა და მენშევიკების გაზეთები, თითოეულ მათგანში კი ერთი და იგივე მოვლენა ახსნილი იყო თავისებურად, ამიტომ თავში ერთთავად ყველაფერი აგვერია.

ერთხელ შევხვდი კონსტანტინე როკოსოვსკის — ის მსახურობდა ჩვენს პოლკში, მაგრამ სხვა ესკადრონში. მოდის მოღუშული. შევჩერდით, გავაბოლეთ. ვეკითხები, როგორ უყურებ მოვლენებს-მეთქი? თურმე მათ ესკადრონშიც არავინ იცის კარგად, თუ რა ხდება რუსეთში.

ბოლოს და ბოლოს, მაინც გავიგეთ გაზეთებიდან ის, რაც უშუალოდ ჩვენ გვეხებოდა: ყველგან, ზურგსა და არმიაში, იქმნებოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. როგორც სჩანდა, საჭირო იყო ჩვენი გაერთიანებაც...

...პოლკი კვლავ სანგრებს დაუბრუნდა. ამჯერად დრაგუნებმა პოზიციებზე შეცვალეს ალექსანდრას ჰუსართა პოლკი.

ამ პოლკში მსახურობდა ჩემი თანამემამულე პეტრე ლიკოვი. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, და როგორც ჩვეულებრივ ხდება თანა-

სოფლელთან შეხვედრისას, საუბარი დავიწყეთ მშობლიური სოფლის შესახებ — ვინ სად არის, რას იწერებიან სახლიდან. შემდეგ კი ერთმანეთს გავუზიარეთ ახალი ჯარისკაცული ამბები.

ლიკოვი მომიყვა, რომ პოლკში მათთვის უბრძანებიათ მოეხსნათ სამხრეებიდან პოლკის შეფის — დედოფლის სახელის აღმნიშვნელი ტრაფარეტი — ასო „ა“.

— მთელი კვირის განმავლობაში ვფხეკავთ სამხრეებიდან საღებავს, მაგრამ ვერაფერს გავხდით, — ჩიოდა ლიკოვი. — ბიჭები იცინიან, „რაღაც უბედურებაა ჩვენს თავზე. მეფე ნიკოია ჩამოვაგდეთ ტახტიდან, დედოფალ ალექსანდრას ჩამოგდება სამხრედან კი ვერ შევძელით. ამის გამო დაგვცინებენ ჰუსარებს დრაგუნები“. მართლაც სასაცილო იყო. სამხრეები წმენდის შემდეგ ჩვარივით გახდა, ტრაფარეტის ნიშანი კი მაინც შეიმჩნეოდა.

— თქვენც სულ მოგეხსნათ სამხრეები, — ვურჩიე მე.

ლიკოვი აღშფოთდა:

— შენ რა, ტიულენევ, გაგიჟდი? ჯარისკაცი უსამხრეოდ გაგიგონია?

— არა უშავს! მღვდელი ჭილობშიც იცნობა.

ლიკოვმა უეცრად მკითხა:

— მართალია, ტიულენევ, რომ თქვენს პოლკში ბრძანება მიუღიათ, ამიერიდან არმიაში პირადი შემადგენლობა ერთმანეთს თქვენობით უნდა მიმართავდეს?

ამის შესახებ არაფერი ვიცოდი.

— აი ასე, იქონიე მხედველობაში, — დამიწყო სწავლება ლიკოვმა, — ჩვენთან უკვე წაიკითხეს ბრძანება. ახლა ჩვენ ერთმანეთს უნდა მივმართოთ „ბატონო ჯარისკაცო“, „ბატონო ეფრეიტორო“, „ბატონო უნტერ-ოფიცერო“... ხოლო მეთაურები: „კორნეტი“, „პორუჩიკი“, „შტაბს-როტმისტრი“, „პოლკოვნიკი“ — ყველა ბატონო! ტიტულები — „თქვენო აღმატებულებავ“, „თქვენო მაღალკეთილშობილებავ“ — გაუქმებულია... მაშა, კარგად კი მოიფიქრა კერენკამ?

— ვითომ კარგად, — დავეჭვდი მე, — რა სარგებლობას მოგვიტანს ჩვენ ეს? უფლებები ოფიცერს ხომ ძველებურადვე რჩება, თუნდაც ჯარისკაცს ბატონობით მიმართოს. აი, ომი რომ გაეუქმებინათ, სულ სხვა საქმეა.

— მართლაც კარგი იქნებოდა, — დამეთანხმა ლიკოვი.

მაშინ კი ვუთხარი ლიკოვს ის, რასაც უკანასკნელ დღეებში ვფიქრობდი:

— უნდა მოვითხოვოთ, რომ პეტროგრადში კავაგზავნოთ ჯარისკაცთა დელეგაცია, რათა გაიგოს, რა ხდება იქ.

ლიკოვს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა.

— კეთილი! მაგრამ ვინ უნდა მოითხოვოს ეს და ვისგან?..

— უფროსობის მიხედვით უნდა გავაკეთოთ, — დაუფიქრებლად ვუპასუხე. — პირველ ყოვლისა უნდა მოვახსენოთ ოცმეთაურს, თუ არ დათანხმდა — მაშინ ესკადრონის მეთაურს...

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს პოლკშიც გამოაცხადეს დროებითი მთავრობის ბრძანება. ჯარისკაცებმა მისი შინაარსი უკვე იცოდნენ ჰუსარებისაგან და ამიტომ არც გაკვირვებიათ ახალი ტიტულები. საკვირველი სულ სხვა იყო: მეთაურების ჩვენდამი დამოკიდებულება. არა მარტო ესკადრონის, არამედ პოლკის უფროსი ოფიცრობაც უფრო მეტად ინტერესდებოდა ჯარისკაცთა განწყობილებით. თუ წინათ სანგრებში იშვიათად შემოიხედავდა ხოლმე ესკადრონის ოფიცერი, ახლა ჩვენთან მოსვლა დაიწყო თვით პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა დოროგანმა.

მაგონდება, ერთხელ ბლინდაჟში ვისხედით, მორიგე უნტერ-ოფიცერი პროკოფიევი პოლკოვნიკის გამოჩენისთანავე გაიჭიმა და უპატაკა. თან უწოდა მას „ბატონო პოლკოვნიკო". ასეთ მიმართვაზე სახე შეუტოკდა მის მაღალკეთილშობილებას. ანდა, აბა, რა მოუვიდოდა!

დოროგანი მსახურობდა მისი უდიდებულესობის ამალაში და სიამაყით ატარებდა სამხრეებზე მონარქის ოქროს ვენზელს. მართალია, ამ დროისათვის მას მოუხდა „უდიდებულესობის ვენზელის" მოხსნა.

პოლკის მეთაურმა თავს ძალა დაატანა, რომ აღშფოთება დაემალა და მწარედ გაიღიმა:

— აი, ბატონო უნტერ-ოფიცერო, ჩვენ და თქვენ ახლა თანასწორები ვართ, მე ახლა უკვე მაღალკეთილშობილება კი არა, ვიღაც დემოკრატი მოქალაქე ვარ, ისევე როგორც თქვენ.

— სწორედ ასეა, — დაიღრიალა პროკოფიევმა.

ამან კიდევ უფრო გააბრაზა დოროგანი. სცადა სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი.

— მაშ, ჯარისკაცები კმაყოფილები არიან სამსახურით დროებითი მთავრობის ხელში?

— სამსახურით კი არიან კმაყოფილები, თქვენო მაღალ... უკაცრავად, ბატონო პოლკოვნიკო, — უპასუხა პროკოფიევმა.

ამპარტავნული, ქედმაღლური ღიმილი დოროგანის სახეზე თითქოს ამბობდა: რას იზამ, გასაგებია, რომ ძნელია გადააჩვიო ენა „კეთილშობილების“ ნაცვლად „ბატონის“ თქმასო.

მცირე პაუზის შემდეგ პროკოფიევმა წამოაყრანტალა:

— ეს კია, რომ ჯარისკაცები ომზე ჩივიან. ყველა კითხულობს, როდის დამთავრდებაო. ძალიან დაიღალნენ. ამასთან სახლიდანაც ცუდი ამბები მოდის — ოჯახები შიმშილობენ...

დოროგანის სახემ მრისხანე გამომეტყველება მიიღო.

— ბატონო უნტერ-ოფიცერო, გადაეცით ჯარისკაცებს, რომ ნუ იდარდებენ. დროებითი მთავრობა ყველა ღონეს იხმარს მათი ახლობლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ხოლო ბრძოლა, ძმაო, მოგვიხდება საბოლოო გამარჯვებამდე, თორემ ჩვენი მოკავშირეები განაწყენდებიან.

პროკოფიევი დუმდა, ჯარისკაცები ერთმანეთს შეჰყურებდნენ, ულვაშებში იღიმებოდნენ და ხმას არ იღებდნენ.

დოროგანს მისმა თანმხლებმა ესკადრონის მეთაურმა კოზლოვმა შესთავაზა სამეთაურო პუნქტში შესვლა და ისინი ბლინდაჟიდან ამოვიდნენ.

— ესეც შენი აღდგომა... — თქვა კულეშოვმა და ხელი ჩაიქნია მიმავალი ოფიცრებისაკენ. — იომე საბოლოო გამარჯვებამდეო... სადაა ეს ბოლო? სამარეში?..

იმ დღეს ბევრმა ჯარისკაცმა გაგზავნა წერილი სახლში. ყოველი მათგანი ატყობინებდა ოჯახს, რომ სახლში მალე დაბრუნება არ გვიწერიაო. მეფეც და კერენსკიც ერთი და იგივე ჯურისანი არიან, მისწრაფებანიც ერთნაირი აქვთ: იჯექი, ჯარისკაცო სანგარში, სანამ არ დალპები...

საღამოს, მორიგეობის შემდეგ, ჩვენთან მიწურში მეკავშირე სმოლინი შემოვიდა და მოყვა მის მიერ მოსმენილი პოლკოვნიკ დოროგანსა და ასმეთაურ კოზლოვს შორის გამართული საუბრის შესახებ.

— დოროგანმა უბრძანა ესკადრონის მეთაურს ჩაენიშნა დამარცხების მოსურნენი და განეცალკევებინა ისინი, ხოლო უფრო აქტიურები პოლკის შტაბში გაეგზავნა.

სმოლინის ამ ცნობამ ჯარისკაცები, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა

და თანაც კიდევ უფრო განუმტკიცა მათ გადაწყვეტილება დაეცვათ თავისი უფლებები, ებრძოლათ ომის შეწყვეტისათვის.

აპრილში ჩვენ პოლკსა და მის ქვედანაყოფებში შეიქმნა ჯარისკაცთა კომიტეტები. პოლკის კომიტეტში შედიოდნენ ესკადრონიდან და რაზმიდან არჩეული თითო კაცი, და ხუთი ოფიცერი პოლკიდან: 30 არჩეული ჯარისკაცი ოთხი ათასიდან და ხუთი წარმომადგენელი ოცი ოფიცრიდან.

კომიტეტის პრეზიდიუმში ძირითადად აირჩიეს ოფიცრები, როგორც უფრო მცოდნენი და განათლებულნი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი სრულებითაც არ იყვნენ განწყობილი რევოლუციურად. ოფიცრებმა პირველ რიგში დაგმეს დამარცხების მოსურნენი, შეუდგნენ „არაკეთილსაიმედო“ ჯარისკაცთა გამოვლინებას, გააჩაღეს აგიტაცია ომის გასაგრძელებლად და მის გამარჯვებამდე მისაყვანად. მათი მოსაზრება ერთი შეხედვით სარწმუნო იყო: „ვაიძულოთ გერმანელები ხელი მოაწერონ ზავს და მერე ჩვენც სახლებს მივაშურებთო!“

ოფიცრების ასეთმა მცდელობამ ის გააკეთა, რომ ზოგან საერთო კრებებზე ხმას აძლევდნენ რეზოლუციას, რომელიც ფრონტზე შეტევას მოუწოდებდა.

მაგრამ რაღაცას ჩვენც მივაღწიეთ. ერთ-ერთ კრებაზე დავადგინეთ დედაქალაქში გაგვეგზავნა დელეგაცია, რომელიც იქ ყველაფერში უნდა გარკვეულიყო და რომ დაბრუნდებოდა, მოეხსენებინა, თუ რა ხდება ზურგში და რა მიმართულებას დაგვისახავენ ჩვენ, ფრონტელებს, შემდგომში. დელეგაცია აირჩიეს ოთხი კაცის შემადგენლობით: ოფიცერთა მხრიდან აფხაზი თავადი და ასმეთაური გუტიევი, ჯარისკაცებიდან — მე და დავიდოვი. მე და დავიდოვს ჯარისკაცებმა ნათელი განაწესი მოგვცეს: გაგვეგო როდის დაიდებოდა ზავი, მალე მისცემდნენ თუ არა მიწებს გლეხებს, და მოგვეთხოვა მიწის განაწილების დროს არ დავიწყებოდათ ისინიც, ვინც სახგრებში სხედან.

ოფიცერ-დელეგატებს, რასაკვირველია, თავისი გეგმები ჰქონდათ. ჩვენი გამგზავრების წინ მე და დავიდოვი მიგვიხმო აფხაზმა თავადმა და ტკბილად, მამაშვილურად გვესაუბრა. მაგრამ მისი სიტყვები არ მოგვეწონა. მან გვითხრა, რომ პიტერში ჩასვლისთანავე ჩვენ ოთხივენი გამოვცხადდებით დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრთან გუჩკოვთან და პირობას მივცემთ მას, რომ კარგოპო-

ლის მე-5 დრაგუნთა პოლკის პირად შემადგენლობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ომის გაგრძელება საბოლოო გამარჯვებამდე და რომ კარგოპოლელების სულისკვეთება მებრძოლურია.

მისთვის სიტყვა არ შეგვიბრუნებია, ხოლო როცა იქიდან გამოვედით, დავიდოვმა ჩაიცინა:

— მართლაც, რომ მებრძოლურია, მაგრამ სხვა მხრიდან. საერთოდ, მოვილაპარაკეთ, რომ ოფიცრებს დავას არ დავუწყებდით, მაგრამ ვიმოქმედებდით ძველი ფრონტული წესით — წინდახედულად, ვითარების გათვალისწინებით, გვემახსოვრებოდა მთავარი — რომ უნდა შეავასრულოთ ჩვენი თანაპოლკელი ამხანაგების დავალება.

პეტროგრადში ჩავედით 6 აპრილს, ძველი სტილით.

დედაქალაქი მრავალხმიანი ყრიამულით შეგვხვდა. სადგურში და სადგურისწინა მოედანზე მკვირცხლი ბიჭები იღლიაში მთელი კონა გაზეთამოჩრილები წკრიალა ხმით გაიძახოდნენ ახალ ამბებს.

სული რომ მოვითქვით და მიმოვიხედეთ, უნებურად ყური მივუგდეთ, თუ რას გაჰყვიროდნენ მეგაზეთეები. აღმოჩნდა, რომ ბიჭების გუნდი იმას გაჰყვიროდა ხმამაღლა, რის შესახებაც ჩვენ ჩუმად ლაპარაკსაც ვერ ვბედავდით, რომ უფროსებს არ ჩავენიშნეთ!

— ძირს ომი! — წრიპინებდა თეთრთავა ლაწირაკი, ბურღივით რომ მიძვრებოდა ბრბოში.

— ძირს ომი! — იმეორებდა მეორე

ეს ორი სიტყვა ტკბილი მუსიკასავით ესალმუნებოდა გულს:

— ძირს ომი! ძირს ომი! ძირს ომი!

რაც მეტხანს ვუსმენდით, მით მეტად ეხარობდით. მეგაზეთე ბიჭები იმას გაჰკიოდნენ, რაც ჩვენ, მე-5 კარგოპოლის პოლკის ჯარისკაცებს, აზრადაც არ მოგვსვლია.

— ძირს მინისტრი-კაპიტალისტები!

— ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ!

„კონტრიბუცია“, „ანექსია“... უნდა გამოვტყდე, ასეთი სიტყვები პირველად მესმოდა. მაგრამ რაკი ამბობდნენ „ძირს ომი“, „ძირს მინისტრი-კაპიტალისტებიო“, მაშ, ეს კარგი რაღაც უნდა იყოს...

სრული ინფორმაციის მიღების ასეთ მდიდარ შესაძლებლობას რომ წავაწყდით, ცოტა არ იყოს, დავიბენით: ფრონტზე მივეჩვიეთ, რომ გაზეთი სანგარში — ეს მთელი მოვლენა იყო.

როცა ჩვენი ოფიცრები გამოვიდნენ პირველი კლასის ვაგონი-

ლან და შემოგვიერთდნენ ბაქანზე, მე და დავიდოვს ახალი გაზეთების მთელი გროვა გვქონდა იღლიაში.

აფხაზეთის თავადს ჩვენი გაბრწყინებული სახეების დანახვაზე სახე შეეცვალა.

— ახლავე — პირდაპირ მინისტრთან, — გაგვიცხადა მან, — გაზეთებს კი დასვენების დროს გადაათვალიერებთ!

აქ სადგური იყო და არა სანგრები, და თანასწორუფლებიანი ვიყავით, ამიტომ მე გადაჭრით უარვყავი მისი წინადადება.

— არა, ჯერ პეტროგრადის ᲬᲐᲑᲭᲝᲨᲘ წავალთ.

თავადმა ცალყბად ჩაიცინა:

— ვინ არის აქ უფროსი! იქნებ გგონიათ, რომ თქვენ უკვე ჯარისკაცები აღარ ხართ, ხოლო მე თქვენი ოფიცერი?

მისმა ტონმა იმოქმედა, თავი იჩინა ოფიცრისადმი უსიტყვოდ დამორჩილების ჩვევამაც, და მე და დავიდოვი ხმისამოუღებლად გაეყევით აფხაზ თავადს.

სასახლეში რომ შევედით, უნებურად შეეკრთით: სანგრების ტალახის შემდეგ უჩვეულო იყო ეს საუცხოო სილამაზე, ჩვენ, გლეხის ბიჭებს, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა დაგვეძლია შიში ბატონთა სასახლეების წინაშე.

მინისტრის მისაღებში აფხაზმა თავადმა რაღაც გადაუჩურჩულა ადიუტანტს, შემდეგ გვერდზე გაგვიხმო და ჩურჩულით გვითხრა:

— თვითონ მინისტრი არ არის. ამიტომ მიგვიღებს მისი თანაშემწე ᲛᲐᲜᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘ. თქვენ, ტიულენევ, ჩვენი პოლკის პირადი შემადგენლობის სახელით უნდა აღუთქვათ მაღალ უფროსობას სამშობლოს იდეალებისადმი ურყევი ერთგულება. ილაპარაკეთ უბრალოდ, არ აღელდეთ, თქვით, რომ ჩვენ მზად ვართ ვიომოთ საბოლოო გამარჯვებამდე. ახლა ეს მთავარია. სიტყვა თქვენი, გიორგის ორდენის კავალრის ჯარისკაცისა, უფრო დამარწმუნებელი იქნება, ვიდრე ჩემი და ასმეთაურისა.

მე ალმაცერად გავხედე დავიდოვს. მან თვალი ჩამიკრა, მანიშნა, გაჩუმდი, არ შეედაო, იქ კი ვნახოთო.

როცა კაბინეტში შევედით, ჩვენს შესახვედრად წამოდგა სამხედრო მინისტრის თანაშემწე მანიკოვსკი.

აფხაზი თავადი შოლტივით გაიჭიმა და მოახსენა, თუ ვინ ვიყავით, მერე კი ალერსიანად მომმართა:

— ილაპარაკე, ტიულენევ!

ჩავახველე, მეც „სმენაზე“ გავიჭიმე და ასე დავიწყე:

— თქვენო მაღალიმატებულებავ...

მანიკოვსკიმ მოწყალედ გაიღიმა, ხოლო აფხაზმა თავადმა შემისწორა:

— საჭირო არაა „თქვენო მაღალიმატებულებით“ მიმართო მინისტრის ბატონ თანაშემწეს.

მე ყურადღება არ მივაქციე თავადის შენიშვნას.

— თქვენო მაღალიმატებულებავ! ჯარისკაცებმა გამოგვგზავნეს მე და დავიდოვი, — მე თავის ოდნავი დაქნევით მივუთითე ამბანაგისაკენ, — რომ გავიგოთ. თუ როდის დამთავრდება ომი? გვეყოფა! ესაა ჩვენი ჯარისკაცული რეზოლუცია, ხოლო ოფიცერთა სახელით ლაპარაკის უფლებამოსილება მე არ მაქვს.

ღიმილი გაქრა მანიკოვსკის აზიზი სახიდან. მან გაკვირვებით ასწია წარბები და თავადს გადახედა. თავადმა ჩემი მისამართით კბილებში გამოცარა: „არამზადა!“ ადიუტანტმა საჩქაროდ გამოგვიყვანა მე და დავიდოვი კაბინეტიდან. ამით დამთავრდა ჩვენი აუდიენცია სამხედრო მინისტრის თანაშემწესთან.

ოფიცრები მთავარ შტაბში დარჩნენ. ჩვენ მათ აღარ დავუცადეთ და ჩქარა წავედით თავრიზის სასახლეში, სადაც იმყოფებოდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.

თავრიზის სასახლე აფორიაქებულ ფუტკარს ჰგავდა. დაბნეულებმა, ხმაურით გაბრუებულებმა, რის ვაი-ვაგლახით მოვნახეთ კომენდატურა. კვების ბარათები და საერთო საცხოვრებლის ორდერი რომ მივიღეთ, დერეფნებში დავიწყეთ ხეტიალი. სწორედ რომ ხეტიალი, რადგანაც სასახლეში უფრო ხალხმრავლობა იყო, ვიდრე ნევის პროსპექტზე.

სამხედროებს, სამოქალაქოებს, ტყავის ქურთუკიან მუშებს, გამხდარ ბატონებს ფრენჩებსა და ოქროს სათვალეებში — ვის არ ნახავდი აქ! და ყველას გამოხედვაში, როგორც ჩვენ მოგვეჩვენა, ერთნაირი ნაპერწკალი ენთო. თითქოს ყველა ამ ხალხს ენახოს ხანძარი, რომლის ალის ანარეკლიც ჯერ კიდევ ღვიოდა მათ თვალებში.

ერთ-ერთ დარბაზში იდგა ხანდაზმულ ადამიანთა ჯგუფი, ერთი შეხედვით მუშებს ჰგვანდნენ. მე და დავიდოვი შევჩერდით, ყური დავუგდეთ მათ ლაპარაკს. საუბრის შინაარსი ჩვენთვის გაუგებარი

იყო, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ყოველი მათგანი ხშირად იმეორებდა: „ლენინმა თქვა...“

წყნარად ვიდექით, ვცდილობდით ვინმეს ყურადღება არ მიგვექცია, მაგრამ ამ ჯგუფის ერთმა ულვაშებიანმა, გაცვეთილი, ტყავის ქურთუკი რომ ეცვა, შეგვნიშნა:

— სანგრებიდან, ომი?

„ომი“ — ასე უწოდებდნენ ერთმანეთს ჯარისკაცები ფრონტზე. და ასეთმა მომართვამ მაშინვე დაგვაახლოვა ულვაშებიანთან.

— დღეს ჩამოვედით, — ვუთხარი მე.

— რა საჭიროების გამო?

ჩვენ მოკლედ ავუხსენით, საიდან და რისთვის ჩამოვედით.

ულვაშებიანმა თქვა:

— ეჰ, ცოტა დაგვიანეთ! — ერთი-ორი დღით აღრე რომ ჩამოსულიყავით, ლენინს მოუსმენდით.

ლენინი! მის შესახებ ჩვენ ისაევისაგან გვსმენია. ისაევი უსაზღვრო აღფრთოვანებით გვიყვებოდა ბოლშევიკების ბელადის შესახებ. გავიხსენეთ ისიც, რა სიძულვილი და ბოროტება ესახებოდათ სახეზე ჩვენს ოფიცრებს, განსაკუთრებით აფხაზ თავადს, როცა ამ სახელს გაიგონებდნენ.

— ჩვენ თუ შეგვიძლია ლენინის ნახვა? — გაუბედავად იკითხა დავიდოვმა.

ულვაშებიანს, ეტყობა, ასეთი შეკითხვა გულუბრყვილოდ მოეჩვენა და ღიმილით თქვა:

— ამაზე პასუხს, ბიჭებო, მე ვერ მოგცემთ. ახლა ვლადიმერ ილიას ძეს ბევრი საქმე აქვს. თქვენ კი აი რა — იშოვნეთ „პრავდა“, გსმენიათ ასეთი გაზეთის შესახებ? იქ იბეჭდება ამხანაგ ლენინის სტატიები. ყველა დანარჩენი ვაიგაზეთი ქარს გაატანეთ. გასაგებია?

ჩვენ ძალიან მოგვეწონა ეს პიტერელი მუშა!

დაუყოვნებლივ ვისარგებლეთ მისი რჩევით და აქვე, თავრიზის სასახლეში, ვიყიდეთ „პრავდა“.

ერთ-ერთ მომდევნო დღეს მოვხვდით ხმაურიან კრებაზე. თავმჯდომარეობდა შავგვრემანი კაცუნა — როგორც შემდეგ გავიგეთ, — მენშევიკი ჩხეიძე.

ტრიბუნაზე რიგრიგობით ადიოდა სხვადასხვა ორატორი, თითოეული მათგანი იმის პირდაპირ საწინააღმდეგოს ამბობდა, რაც წინა ორატორმა თქვა. მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც მრავალ კრე-

ბას დავესწარით და თავრიზის სასახლის დერეფნებში და დარბაზებში გავერიეთ, უფრო ჭკუით კი არა, გულით ვიგრძენით: ბოლშევიკები იმას ლაპარაკობენ, რასაც მე და დავიდოვი, ჩვენი მე-5 კარგოპოლის პოლკის ყოველი ჯარისკაცი ფიქრობდა.

ფრთაშესხმულები ვბრუნდებოდით ჩვენს პოლკში ყოველივე იმის გამო, რაც რევოლუციურ პეტროგრადში ვნახეთ და გავიგონეთ. ჩვენ ამხანაგებთან მიგვქონდა იმაზე გაცილებით მეტი ფასდაუდებელი რაღაც, ვიდრე რომელიმე იარაღია — ეს იყო ბოლშევიკური სიმართლე, ლენინის სახელი. ჩვენ ახლა ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა პოლკში დაბრუნების შემდეგ.

ჯარისკაცები აღფრთოვანებით შეგვხვდნენ: თურმე გული დაელიათ ლოდინში! თუმცა კრებას, რომელზედაც ჩვენ პეტროგრადში მგზავრობის ანგარიშს ვაბარებდით, ოფიცერი უძღვებოდა, ხოლო რეზოლუციის დაწერა ლოთსა და ბანქოს მოთამაშე პოლკის მღვდელს მიანდეს, — ყველაფერი მაინც ისე გადაწყდა, როგორც ჯარისკაცებმა დაადგინეს: „კმარა ამდენი ყვირილი ომის გაგრძელების შესახებ! კმარა გლეხების მოტყუება!“

ამიერიდან მთელმა პოლკმა იცოდა, ვისთვის უნდა დაეგდო ყური. და მაშინაც კი, როცა ლენინი სტატიას და შენიშვნას მისი რომელიმე ფსევდონიმით აწერდა ხელს, ჩვენ მაინც ვცნობდით მის ხმას, იმიტომ, რომ ისე ღრმად არავის არ შეეძლო ჩაწვდომოდა ჩვენს ფიქრებს, როგორც მას.

ლენინი, ბოლშევიკური პარტია დაგვეხმარა იმ მრისხანე ჟამს აგვერჩია ერთადერთი სწორი გზა ახალი ცხოვრების დამყარებისათვის ბრძოლაში.

ჩვიდმეტი წლის ზაფხულმა პოლკში დაძაბულად ჩაიარა. ჯარისკაცის ულუფის ქურდობაში შემჩნეულმა ოფიცრებმა გაპარვა არჩიეს. ოფიცერთა შემადგენლობის ის ნაწილი, რომელსაც მოსწონდა დროებითი მთავრობა, აგრეთვე თავგამოდებული მონარქისტები, რომლებიც არ კარგავდნენ მეფის ხელისუფლების აღდგენის იმედს, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ ჯარისკაცთა კომიტეტების წინააღმდეგ. მათ უსაზღვროდ სძულდათ უბრალო ხალხი და ცდილობდნენ ყოველი საშუალებით მოეშორებინათ თავიდან აქტიური, რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები.

მოხდა ისე, რომ 1917 წლის აგვისტოში მე (პოლკის ხელმძღვა-

ნელობის აზრით, ბოლშევიკი) გადამიყვანეს სიზრანში, სადაც იდგა ჩვენი დივიზიის სათადარიგო პოლკი. არმიის წესდებები ინერციით ჯერ ისევ ძალაში იყო და — მეც დავემორჩილე.

. მეგონა, რაც უფრო მოშორებით ვიყავი დედაქალაქიდან, მით უფრო წყნარი და მშვიდი იქნებოდა ცხოვრება. მაგრამ დვინსკთან შედარებით პეტროგრადიდან სამჯერ უფრო დაშორებულ სიზრანში ვითარება არანაკლებ დაძაბული იყო, ვიდრე დედაქალაქში.

მალე პატაკი შევიტანე შვებულების შესახებ და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ჩემს მშობლიურ სოფელ შატრაშანში ჩავედი.

იმ დღეებში შატრაშანელები აამოძრავა ცნობამ სამარაში საბჭოების ხელისუფლების დამყარების შესახებ. თუ რას ნიშნავდა ეს, ჩვენ ცოტა გვიან გავიგეთ, როცა შევიტყვეთ, რომ მანამდე ორი დღის წინ — 25 ოქტომბერს სოციალისტური რევოლუცია მოხდა პეტროგრადში — კერენსკის მთავრობა დაემხო, ძალაუფლება თავის ხელში აიღეს მუშებმა და გლეხებმა, ბოლშევიკებმა, შეიარაღებულმა ხალხმა. მუშებისა და გლეხების ახალმა მთავრობამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით მიიღო დეკრეტები — ზავის, მიწის, წოდებათა გაუქმების, მრეწველობის ნაციონალიზაციის და სხვათა შესახებ.

მთელი ჩვენი მაზრის სოფლებში ამოძრავდნენ გლეხები. ყოველდღე იკრიბებოდენ ყრილობებზე, იწონებდნენ საბჭოების ხელისუფლებას. მდიდრები კი, ბუნებრივია, წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

დილიდან დაღამებამდე ხალხი ხმის ჩახლეჩამდე კამათობდა: ვის უნდა ეკუთვნოდეს ძალაუფლება — საბჭოებს თუ დამფუძნებელ კრებას?

თანასოფლელებმა შატრაშანელთა დელეგატად გამგზავნეს სათემო კრებაზე. დელეგატების უმრავლესობას ღარიბები შეადგენდნენ და ჩვენ დავადგინეთ: აღიარებული იქნას საბჭოების ძალაუფლება, ხმა მივცეთ ლენინს. ასეთი განაწესით გავაგზავნეთ ჩვენი წარმომადგენლები საგუბერნიო ყრილობაზე სიმბირსკში. მართალია, განაწესის მეორე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მოვუსმინოთ იმათაც, ვინც ხმას აძლევს დამფუძნებელ კრებას.

საგუბერნიო ყრილობაზე მე მივიღე პოლიტიკური ბრძოლის პირველი კონკრეტული გაკვეთილი. ყველა დელეგატს თან ჰქონდა თავიანთი ამომრჩევლების წერილობითი განაწესი. რაკი ბევრ სო-

ფელსა და ქალაქში ჯერ კიდევ ბატონობდნენ ესერები და მენშევიკები, ამიტომ ბევრ განაწესში, ასე თუ ისე, გამოსჭვიოდა სიმპატიები დამფუძნებელი კრების მიმართ.

და აი ყრილობაზე სიტყვას ამბობს დამფუძნებელი კრების დელეგატი ვოლგისპირეთიდან ვინმე ალმაზოვი. ის ყოველმხრივ უწევს აგიტაციას დამფუძნებელ კრებას, ლანძღავს „გაუზრდელ“ ბოლშევიკებს. მას ხშირად აწყვეტინებენ გესლიანი რეპლიკებით ადგილებიდან, მაგრამ ორატორი ამას არაფრად აგდებს. მისი ზოგადი დასკვნაა: ძირს საბჭოები!..

იწყება კამათი. ერთიმეორის მიყოლებით მიდიან ტრიბუნასთან თემების წარმომადგენლები და ყოველი ოთხი ხუთიდან თავის სიტყვას ამთავრებს მოწოდებით:

— მთელი ძალაუფლება საბჭოებს! გაუმარჯოს ლენინს!

მაშინ კვლავ იღებს სიტყვას ალმაზოვი და შემოაქვს წინადადება:

რადგანაც ყოველ გამომსვლელს თან აქვს დაწერილი განაწესი, საჭირო არაა დროის მოცდენა სალაპარაკოდ, არამედ საკმარისია წაკითხული იქნას ეს განაწესი, სამდივნო კი დაითვლის, რომელ ხელისუფლებას რამდენი მანდატი აძლევს ხმას. როგორც ჩანს, ეს მოღვაწე და მისი თანამებრძოლები კარგად იცნობდნენ ყალბი განაწესების შინაარსს, რომლებიც არ გამოხატავდა ხალხის ჭეშმარიტ ნებას.

ყრილობის პრეზიდიუმმა ისარგებლა წუთიერი დაბნეულობით და მიიღო ალმაზოვის წინადადება.

მაგრამ მაშინვე სცენაზე ავიდა ტანადი, მოხდენილი ახალგაზრდა კაცი, ლამაზი, ფერმკრთალი სახით. მე სცენასთან ახლოს ვიჯექი და ყურადღებით ვუსმენდი მას.

— ამხანაგო დელეგატებო! ნუთუ თქვენ აქ იმისათვის შეიკრიბეთ, რომ სათითაოდ იკითხოთ ქაღალდები? მაშინ რა საჭირო იყო აქ ჩამოსვლა? გამოგეგზავნათ ის ფოსტით — და გზაზე ამდენი ტალახის ზელაც არ დაგჭირდებოდათ. გამოდის, თქვენ აქ უბრალოდ კურიერებად გამოგაგზავნეს? საკითხი, რომელიც ჩვენ დღეს უნდა გადავწყვიტოთ — ძალზე სერიოზულია. თქვენ, როგორც ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ვალდებული ხართ, თქვათ თქვენი სიტყვა და არა ის, რომ წაიკითხოთ ვიღაც უცნობების მიერ შედგენილი ქაღალდები.

ამ ტრიბუნიდან, — განაგრძობდა ორატორი, — ალმაზოვი

ბრალს სდებდა ბოლშევიკებს, ლენინს იმისათვის, რომ მათ გარეკეს დამფუძნებელი კრება. მაგრამ მან არ თქვა მთავარი: თუ რატომ გარეკეს, ხოლო ის იმიტომ გარეკეს, რომ იცავდა ბურჟუაზიის ინტერესებს, ელოლიავებოდა კერენსკის მთავრობას, რომელიც, როგორც ცნობილია, ატყუებდა ხალხს.

ახლა ბატონ კერენსკელებს სურთ კვლავ ჩაიგდონ ძალაუფლება თავიანთ ხელში. არ გამოგივათ, ბატონო ალმაზოვ, ახლა ის დრო აღარ არის! მუშებმა და ღარიბმა გლეხებმა კარგად ისწავლეს გამოცნობა, ვინ არიან მათი მეგობრები და ვინ მტრები. ბოლშევიკები, ლენინი წინადადებას იძლევიან მთელ ქვეყანაში დამყარდეს ნამდვილი სახალხო — საბჭოების ძალაუფლება!

ბოლშევიკების ორატორი ტაშის გრიალსა და „ვაშას“ შეძახილებში ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

— ვინ არის ეს? — ჩურჩულით ვკითხე ჩემს გვერდით მჯდომ ქალაქელ დელეგატს.

— კუიბიშევია, ბოლშევიკი, — სიამაყით მიპასუხა მან.

ალმაზოვის წინადადებას კენჭი უყარეს და ის ხმის უმრავლესობით უარყვეს. სხდომის დასასრულს ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება: მთელ სიმბირსკის გუბერნიაში დაწესდეს საბჭოების ძალაუფლება.

ამ ყრილობამ სამუდამოდ დააკავშირა ჩემი ბედი ბოლშევიკებთან. როცა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, გავემზადე გასამგზავრებლად სიზრანში, ჩემს სარეზერვო პოლკში, სადაც კვლავ ვირიცხებოდი.

მაცილებდა ჩემი თანასოფლელი, ბალტიელი მეზღვაური, საუკეთესო ამხანაგი იაკობ ტინგიშოვი.

— ივანე, რა უნდა გააკეთო შენ პოლკში? — მკითხა მან.

— როგორ თუ რა! — გავიკვირვე. ჯერ ერთი, უნდა გავაფორმო დემობილიზაცია, თორემ დეზერტირად ჩამთვლიან. საჭიროა ყველა დოკუმენტი მქონდეს, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს.

— კი მაგრამ, ვინ მოგცემს დოკუმენტებს? — გაიღიმა იაკობმა.

— როგორ თუ ვინ? საბჭოთა ხელისუფლება. თვითონაც ხომ ხმა მიეცი მას.

— რაც მართალია, მართალია. ახლა ძალაუფლება ჩვენია, სახალხოა და მას ჩვენ ვერავინ წაგვართმევს.

იაკობმა თამბაქო ქაღალდში შეახვია, მოსწია და განაგრძო:

— მაგრამ წართმევას კი ცდილობენ. თავი წამოყო კონტრრევოლუციამ — მენშევიკებმა, ესერებმა და სხვა ჯურის უწმინდურებმა. ხომ გაიგონე, სიმბირსკის საგუბერნიო ყრილობაზე მენშევიკი ალმაზოვი როგორ იცავდა დამფუძნებელ კრებას? ო, როგორ უნდა, რომ ძალაუფლება კვლავ მათ ხელში იყოს. ალმაზოვების მსგავსნი ბევრნი არიან ჩვენს ქვეყანაში. ისინი ადვილად არ დაგვითმობენ იმას, რაც მათ ჩვენ წავართვით, წინააღმდეგობას გასწევენ დაწყევლილები. გამოდის, რომ ომი არ აგვცდება, ხოლო რომ იომო, ძალაა საჭირო.

— მაშ, მისი შექმნაა საჭირო, — ვეუბნები იაკობს.

— ივანე, შენ აღარ ხუმრობ, ნამდვილი ბოლშევიკი ხარ!

— პარტიული ბილეთი არა მაქვს, თორემ ბოლშევიკი რომ ვარ — ამას წყალი არ გაუვა, — გავიღიმე მე. — შენც ხომ უპარტიო ხარ, ბოლშევიკებს კი ხმა მიეცი.

— დიახ, ძმაო, ეს ასეა, — თქვა იაკობმა.

— ცოტა ხნის წინ მე და შენ პირუტყვებად გვთვლიდნენ. ახლა კი დიდ სახელმწიფოებრივ საქმეებზე ვსაუბრობთ. ასეთებად ჩვენ ბოლშევიკებმა გვაქციეს.

— დროა გავწიო სადგურისაკენ, — ავჩქარდი მე, — თორემ შატარებელზე დამაგვიანდება. სახლში მალე ნუ დამელოდები, წითელგვარდიელთა რაზმში შევალ.

დამშვიდობებისას მაგრად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი.

სადგურზე დროზე მივედი. ძლივძლივობით შევძვერი ფრონტიდან დემობილიზებული ჯარისკაცებით გაჭედილ ვაგონში, რომელშიც ცხელოდა და შეხუთული ჰაერი იდგა. წეკოს სქელი ბოლისაგან თავბრუ მეხვეოდა. ყველა კუპეში გაცხოველებული საუბარი იყო. ერთნი ლაპარაკობდნენ „დამთავრებულ ომზე“, ყვებოდნენ სასანგრო ცხოვრების ჭირ-ვარამზე, სხვები ყოველმხრივ იხილავდნენ გლეხებისთვის მიწის გადაცემის საკითხს. საუბარში ხშირად ახსენებდნენ ლენინის სახელს.

რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე თვალი მოვკარი აღმოსავლეთისაკენ მიმავალ შეიარაღებული ჯარისკაცების ეშელონს. ჩემს შეკითხვაზე, რა ნაწილია, საიდან და სად მიდის-მეთქი, ერთმა ჯარისკაცმა მიპასუხა:

— ჩვენ დემობილიზებულები ვართ, მივდივართ სახლებში. ვისაც სად უნდა, იქ ჩამოვა.

ეს რომ თქვა, ამოიღო უბიდან ქაღალდი, გააყოლა მას დაკოჟ-
რებული თითი და ენის ბორძიკით წაიკითხა:

— „არმიის ყრილობა ადგენს: უფლება მიეცეს ჯარისკაცებს
იარაღით დაიცვან სამშობლო კონტრრევოლუციისა და მათი დამ-
ქაშებისაგან... ყველა ჯარისკაცმა უნდა მიიღოს მონაწილეობა საბ-
ჭოების ხელისუფლების დამყარებაში, ამისათვის კი საჭიროა იარა-
ღი. იარაღის წაღება შეიძლება მხოლოდ ორგანიზებულად, ძლიერ
რაზმეულებად მოძრაობის შემთხვევაში...“ მიხვდი, რაშია საქმე? —
მკითხა მან, თან ფურცელს კეცავდა და მუჭში ინახავდა. — ასე
რომ, უიარაღოდ ყოფნა არ შეიძლება.

ის ჩქარა შევიდა ვაგონში, მე კი დიდხანს ვუცქერდი მიმავალ
ეშელონს...

სამოქალაქო ომის ქარცეცხლში

ჩვენს სათადარიგო პოლკშიც, სადაც მე 1917 წლის დე-
კემბერში დავბრუნდი, გამალებული დემობილიზაცია მიდიოდა. ჯა-
რისკაცები ჩქარობდნენ სახლებში წასვლას. ბევრი დოკუმენტებსაც
არ უცდიდა, ისე მიდიოდა სადგურში, ეტენებოდნენ გაქედილ ვაგო-
ნებში და ვაგონის სახურავზეც ადიოდნენ ხოლმე.

ერთ-ერთი პოლკის ყაზარმაში მიმდინარეობდა წითელგვარდი-
ულ რაზმებში მოხალისეთა ჩაწერა.

წითელგვარდიულ რაზმებს აყალიბებდნენ ჯარისკაცთა დეპუ-
ტატების სიზრანის საბჭო და მაზრის სამხედრო კომისარი. მათი
განკარგულების საფუძველზე მე ჩამოვაყალიბე ცხენოსანთა ორ-
რაზმი. შემდეგში ერთ-ერთი მათგანი ყლობას მეთაურობით ომობ-
და სამხრეთში. მეორე გამოყენებული იქნა ვოლგაზე რკინიგზის ხი-
დის დასაცავად და ღარიბთა კომიტეტების დასახმარებლად სიზრა-
ნის მაზრის ტერიტორიაზე. შემდეგ ის მოქმედებდა ჩეხოსლოვაკიის
კორპუსის ამბოხებული თეთრგვარდიული ნაწილების წინააღმდეგ.

რაზმების ჩამოყალიბება იოლი საქმე არ აღმოჩნდა. მართალია,
რაზმში შედიოდნენ და უმთავრესად აქ ღებულობდნენ პარტიისა
და საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობთ, მაგრამ დისციპლინიან
ჯარისკაცებთან ერთად იქ ხვდებოდნენ შფოთისთავებიც, რომლე-

ბიც თავს არიდებდნენ სამხედრო მომზადებას. აცხადებდნენ, რომ სიამოვნებით ვიომებთ, ოღონდ მეცადინეობისგან გაგვანთავისუფლონო. ეს ძმაბიჭები დახეტიალობდნენ ქალაქში და მხოლოდ საღილზე და ვახშამზე ცხადდებოდნენ ყაზარმებში.

და მაინც წითელგვარდიელთა ძირითადი მასა მზად იყო შეესრულებინა ყოველი საბრძოლო ამოცანა, რათა დაეცვა საბჭოთა ხელისუფლება და ამ ამოცანას კიდეც ასრულებდა სიცოცხლის დაუზოგავად!

რაზმებს შორის ურთიერთკავშირი ძალიან ცუდად იყო მოწყობილი. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ინფორმაციას ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობის შესახებ. და უნდა ითქვას, რომ ის კარგად იყო დაყენებული. რაზმების პოლიტიკური კომიტეტები თითქმის ყოველდღე აწვდიდნენ ინფორმაციას პირად შემადგენლობას მიმდინარე მომენტის და რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდებოდა. მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გაენადგურებინათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, მათ შიშს გვრიდა სოციალისტური რევოლუცია, რომელიც შეიძლება მათ ქვეყნებშიც გავრცელებულიყო და დაემხო კაპიტალისტური წეს-წყობილება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება რუსეთში მტკივნეულად მოქმედებდა იმპერიალისტების ეკონომიკურ ინტერესებზეც. მათ არ შეეძლოთ შერიგებოდნენ ძალებისა და საშუალებების ისეთი მდიდარი წყაროს დაკარგვას, როგორიც მეფის რუსეთი იყო.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე წინასწარმეტყველებდა იმპერიალისტური ქვეყნების თავდასხმის გარდუვალობას სოციალიზმის გზაზე მდგომ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოზე, და გვასწავლიდა მზად ვყოფილიყავით სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

და ახლა, როცა რევოლუციის მონაპოვარს საფრთხე დაემუქრა, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რეგულარული არმიის შექმნის თაობაზე. 1918 წლის 28 იანვარს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ჩამოყალიბების შესახებ. დეკრეტში ნათქვამი იყო: „ძველი არმია წარმოადგენდა ბურჟუაზიის მიერ მშრომელთა კლასობრივი ჩაგვრის იარაღს. მშრო-

შელთა და ექსპლუატირებულ კლასებზე ძალაუფლების გადასვლამ წარმოშვა აუცილებლობა ახალი არმიის შექმნისა, რომელიც გახდება საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი...“[1] წითელ არმიაში ღებულობდნენ ყველას, ვინც მზად იყო მთელი თავისი ძალები და სიცოცხლეც კი გაეწირა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა, საბჭოების ხელისუფლებისა და სოციალიზმის დაცვისათვის.

1918 წლის 21 თებერვალს გამოქვეყნდა სახალხო კომისართა საბჭოს მოწოდება „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“. ეს ლენინური მოწოდება ნობათივით გაისმა, მან დარაზმა და აამოძრავა რევოლუციური მასები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასი იყო საბჭოების ხელისუფლება, რევოლუცია.

1918 წლის მარტში მიმიღეს ბოლშევიკების პარტიაში. ეს იყო საბოლოო დამტკიცება გზისა, რომელსაც მე დავადექი ჯერ კიდევ 1917 წელს პეტროგრადში.

მაისის ბოლოს ჩვენს სიზრანის წითელგვარდიულ რაზმს უბრძანეს განეიარაღებინა ჩეხოსლოვაკიელთა კორპუსის აჯანყებული ნაწილების ეშელონები, რომლებიც სადგურ სიზრანში იდგა. ჩვენს წინადადებას — დაეყარათ იარაღი, ამბოხებულებმა შაშხანებისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით უპასუხეს, შემდეგ შეტევაზე გადმოვიდნენ, ძალები უთანასწორო იყო. იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა სიზრანი და უკან დაგვეხია სენგილის მიმართულებით.

წითელი არმიის რაზმებისა და ნაწილების შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, კონტრრევოლუციურმა ძალებმა შეძლეს ხელში ჩაეგდოთ სამარა, სიმბირსკი, ყაზანი. ჩეხოსლოვაკიური კორპუსის ნაწილებმა დაიკავეს რკინიგზის ყველა სადგური პენზიდან ჩელიაბინსკამდე. ციმბირი და ურალი მოწყვეტილი იყო ცენტრალურ სამრეწველო რაიონებს. პეტროგრადი და მოსკოვი უსურსათოდ დარჩა, განწირული იყო შიმშილისათვის.

კაიზერის ჯარების მიერ ოკუპირებულ უკრაინასაც არ შეეძლო სურსათით დახმარებოდა რუსეთის სამრეწველო ცენტრებს.

მთელი აგვისტოს განმავლობაში და სექტემბრის დასაწყისში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ვოლგისპირა ქალაქების გასათავისუფლებლად. ამ დროისათვის წითელგვარდიელთა დაქ-

---

1 საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები, ტ. 1, მოსკოვი, პოლიტიზდატი, 1957, გვ. 356 (რუს.).

საქსული რაზმები უკვე გადაკეთდა რეგულარული არმიის ნაწილებად. ჯერ კიდევ სუსტი, ცუდად შემჭიდროებული წითელი არმიის ნაწილები დაუოკებლად მიილტვოდნენ ბრძოლის ველისაკენ, თავგანწირვით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ. როცა ცნობილი გახდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე ვერაგული თავდასხმის შესახებ, ქვეგანაყოფებსა და ნაწილებში მიტინგებისა და კრებების ტალღამ გადაიარა. მებრძოლები და მეთაურები მოითხოვდნენ ილიჩის სიცოცხლის ხელმყოფელ ორგანიზატორთა ულმობელ დასჯას და მტრისათვის საკადრისი პასუხის გაცემას.

უეცარი შეტევის შედეგად 10 სექტემბერს მე-5 არმიამ გაათავისუფლა ყაზანი, ხოლო 12 სექტემბეოს პირველმა არმიამ — ვ. ი. ლენინის სამშობლო — ქალაქი სიმბირსკი.

ლენინისადმი გაგზავნილ დეპეშაში მებრძოლები სწერდნენ: „ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძევ, თქვენი მშობლიური ქალაქის აღება — ეს თქვენი ერთი ჭრილობის პასუხია, მეორე ჭრილობისა იქნება სამარა!“

ვ. ვ. კუიბიშევის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ვლადიმერ ილიას ძემ მებრძოლებს უპასუხა: „სიმბირსკის — ჩემი მშობლიური ქალაქის აღება ყველაზე საუკეთესო მალამოა ჩემი ჭრილობებისათვის. მე ვგრძნობ სიმხნევისა და ძალების არაჩვეულებრივ მოზღვავებას. ვულოცავ გამარჯვებას წითელარმიელებს და ყველა მშრომელის სახელით მადლობას მოვახსენებ მათ გაღებული მსხვერპლისათვის“[1].

ყაზანის აღების შემდეგ, მწყობრში მობილიზებული ძველი კავალერისტების შევსება რომ მივიღეთ, ჩვენი ცხენოსანი რაზმი ცხენოსან პოლკად გარდავქმენით. დავიწყეთ მეცადინეობა საბრძოლო მომზადებაში.

სამოქალაქო ომის ცეცხლში კომუნისტური პარტია და პირადად ვ. ი. ლენინი, ხელმძღვანელობდნენ რა ახალი არმიის მშენებლობას, ზრდიდნენ პროლეტარულ სამეთაურო-პოლიტიკურ შემადგენლობას. ეს ამოცანა ადვილი არ იყო. მეფის არმიის ოფიცერთა უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ბანაკში იმყოფებოდა. წითელი არმიის მხარეზე გადასულ ოფიცერთა მცირე ნაწი-

---

1 მშრომელთა წერილები ვ. ი. ლენინისადმი, 1917-1924 წწ., მოსკოვი, პოლიტიზდატი, 1960, გვ. 63 (რუს.).

ლი კი თავის მოვალეობას გაუბედავად ასრულებდა; წითელარმიელები მათ არ ენდობოდნენ. საჭირო იყო ომის მძიმე პირობებში უმოკლეს ვადაში გამოგვეჭედა ჯარისკაცებისაგან — მუშების და გლეხებისაგან — რევოლუციის საქმისადმი ერთგული მეთაურთა კადრები.

ხალხიდან გამოსულ მეთაურებს და პოლიტმუშაკებს სამხედრო მომზადება ესაჭიროებოდათ. ამიტომ გაიშალა სამხედრო კურსების ქსელი. შეიქმნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემია.

ისეც ხდებოდა, რომ კურსებზე და აკადემიაში წასვლას ზოგიერთი წითელი მეთაური უხალისოდ ხვდებოდა, თითქმის სასჯელად მიაჩნდა იგი. ასე დამემართა მეც.

1918 წლის ნოემბერში, დიდი ოქტომბრის პირველი წლისთავის სადღესასწაულო დღეებში, გამომიძახა ყაზანის გუბერნიის სამხედრო კომისარმა პეტრენკომ.

— რას შვრები, ტიულენევ, — მომმართა მან ეშმაკური ღიმილით, — ჯერ ვერ მოათავე ომი?..

მე განცვიფრებით მხრები ავიჩეჩე. რასაკვირველია, ვიფიქრე, პეტრენკო ხუმრობს-მეთქი. მან, ისევე როგორც მე, კარგად იცის, რომ მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე მძიმეა, მაშასადამე, ხმლის ქარქაშში ჩაგებაც ჯერ ნაადრევია. ასეც ვუთხარი გუბერნიის სამხედრო კომისარს.

— და მაინც შენ, ტიულენევ, ჯერ ბრძოლა არ მოგიწევს, — სახტად დავრჩი პეტრენკოსაგან, მან კი უკვე სერიოზულად განაგრძო: — არის საგუბერნიო კომიტეტის და გუბერნიის სამხედრო კომისარიატის გადაწყვეტილება გაგაგზავნოთ მოსკოვში სასწავლებლად. ერთი სიტყვით, მოგიწევს სამხედრო აკადემიაში გამგზავრება.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რის აკადემია, რა სწავლა, როცა ბრძოლაა საჭირო!

პეტრენკომ მშვიდად მომისმინა და მითხრა:

— უცნაური ხარ, ამხანაგო ტიულენევ! შენ სწორედ იმისათვის გგზავნიან, რომ შეისწავლო, როგორ უნდა ურტყა მოწინააღმდეგეს ახლებურად. მაშინ შენ მეტი სარგებლობის მოტანა შეგეძლება. და ესეც გაითვალისწინე: აკადემია პირადად ლენინის მითითებით შეიქმნა. ასე, რომ, თუ ჩვენ არ გვემორჩილები, ეს იმას ნიშნავს, რომ არ ემორჩილები ლენინს. გასაგებია? ახლა თვითონ გამოიტანე დასკვნა.

ასეთი სიტყვების შემდეგ რაღა მეთქმოდა.

1918 წლის ნოემბრის ბოლოს მოსკოვში ჩავედი. გენერალური შტაბის აკადემია მოთავსებული იყო შერემეტიევის შესახვევში მონადირეთა ყოფილი კლუბის შენობაში

ოთახი, რომელშიც უნდა მეცხოვრა, ბნელი, უფანჯრო იყო. რომ შევედი, სანთელი ენთო. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო კედელთან ორრიგად დადგმული ვიწრო საწოლები, მათ შორის წინ და უკან ბოლთას სცემდა, უფრო სწორად, გალიაში დამწყვდეული ვეფხვივით ბრდღვინავდა 30 წლის მოხდენილი სამხედრო პირი, ულვაშებიანი, ლამაზად შუაზე გაყოფილი თმით.

დამინახა თუ არა, გაჩერდა და ხმამაღლა, მწარე დაცინვით თქვა:

— კიდევ ერთი ჩიტი მოფრინდა! რაო, ძმაო, მოგბეზრდა ფრონტი?

პასუხად მხოლოდ ხელი ჩავიქნიე. ჩემმა მოსაუბრემ ამოიხვნეშა.

— გიბრძანეს? მეც მიბრძანეს. მაგრამ, ნურას უკაცრავად! წავალ! გინახავს ასეთი უაზრობა — მეომარი ხალხი მერხებთან!

ეს გახლდათ ვასილ ივანეს ძე ჩაპაევი.

ჩემსა და მის საწოლს შორის ერთი საწოლი იყო. მრავალი საღამო გაგვიტარებია ერთად წიგნებსა და ტოპოგრაფიულ რუკებთან.

დეკემბრის პირველ რიცხვებში უნდა შემდგარიყო აკადემიის ოფიციალური გახსნა. ხმა გავრცელდა, რომ ჩვენთან ლენინი მოვაო. ბედმა გამიღიმა: გახსნის დღეს აკადემიის მორიგე ვიყავი. ადვილი გასაგებია, რა მოუთმენლად ველოდი საღამოს. მორიგის სამკლაური უფლებას მაძლევდა უფროსებთან ერთად შეეხვედროდი ლენინს. იმდენჯერ მივედი შემოსასვლელში მდგომ მეკარესთან და ისე დაწვრილებით ავუხსენი მას, რომ ღმერთმა გვაშოროს, არ შეეჩერებინა სამოქალაქოდ ჩაცმული კაცი (რა თქმა უნდა, ავუხსენი ილიჩის გარეგნული აღწერილობა), რომ მოხუცი, ბოლოს და ბოლოს, გაბრაზდა და მიყვირა კიდეც.

საღამოს ხუთი საათისათვის ვესტიბიულში შეგროვდა აკადემიის უფროსობა. ყველა ფიქრობდა, ლენინი ავტომანქანით მოვიდოდა და ამიტომ მანქანის ყოველ საყვირს აყურადებდნენ. გადაწყვიტეს ქუჩაში არ გასულიყვნენ, რომ არ შეექმნათ თვალში საცემი „ზეიმურობა“: იცოდნენ, ილიჩი ამას ვერ იტანდა.

ექვს საათს ათი წუთი აკლდა. უეცრად გაიღო კარი — და ლენინი შემოვიდა. მას კიდევ ორი ამხანაგი ახლდა. ილიჩი გაფითრებული იყო, ეტყობა, ჭრილობა კიდევ აწუხებდა.

დაბნეულობას რომ თავი დააღწია, აკადემიის უფროსი მოსახსენებლად მოემზადა, მაგრამ ლენინმა შეაჩერა, სწრაფად გაუწოდა ხელი, შემდეგ ოდნავ თავის დაქნევით ყველას მიესალმა:

— გამარჯობათ, ამხანაგებო! თუ ჩვენი „აკადემიკოსები“ ადგილზე არიან, პირდაპირ დარბაზში შევიდეთ.

როცა ლენინი სცენაზე გამოჩნდა, დარბაზი შეზანზარდა. ისეთი ოვაცია გაიმართა, თითქოს აქ ასი კი არა, სულ ცოტა ათასი კაცი მაინც ყოფილიყოს.

ვლადიმერ ილიას ძე ლაპარაკობდა სიძნელეებზე, რომლებსაც რესპუბლიკა განიცდიდა, იმაზე, რომ რესპუბლიკამ „ფუფუნების“ ნება მისცა თავის თავს, რაკი ასეთ საპასუხისმგებლო დროს აქ შეკრიბა სასწავლებლად მებრძოლი მეთაურები, მაგრამ ეს იმიტომ გაკეთდა. რომ მას მომავალი ბრძოლებისათვის დასჭირდება გამოცდილი მხედართმთავრები, რომლებიც კარგად უნდა ერკვეოდნენ სამოქალაქო ომის რთულ ვითარებაში, შეეძლოთ ურტყან მტერს სამხედრო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით.

ამ ღირსსახსოვარი დღიდან ჩვენი ადრინდელი განწყობა — თითქოსდა გადასახლებულნი ვიყავით — გაქრა: რაკი პარტია და თვითონ ლენინი მოგვიწოდებენ, რომ საჭიროა სწავლა, მაშასადამე, ასეა საჭირო.

თვით ვასილ ივანეს ძე ჩაპაევიც კი, რომელსაც ჯიუტად ჰქონდა გადაწყვეტილი ფრონტზე დაბრუნება, დაწყნარდა და გადაწყვიტა, რომ უნდა გამოძებნოს რაიმე საფუძვლიანი საბაბი, ურომლისოდაც უხერხული იქნება აკადემიიდან წასვლა. ბოლოს და ბოლოს, საბაბი მონახა...

სამხედრო ისტორიას გვასწავლიდა ძველი მეფისდროინდელი გენერალი ა. ა. სვეჩინი. თავისი საგანი შესანიშნავად იცოდა, კარგადაც გვასწავლიდა. ის სამხედრო სპეციალისტებიდან ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც სწორად შეაფასა ვითარება რუსეთში და ჩადგა იმ ნამდვილი სამშობლოს სამსახურში, რომლისათვისაც იბრძოდა ხალხი.

ერთხელ მეცადინეობაზე ა. ა. სვეჩინმა ჰკითხა ვასილ ივანეს ძეს, მოგვიყევი როგორ აითვისე ლექცია კანასთან ცნობილი ბრძო-

ლების შესახებო, სადაც ჰანიბალის ჯარმა სასტიკად დაამარცხა რიცხვით თითქმის ორჯერ მეტი რომის ჯარი, რაც წარმოადგენდა მოწინააღმდეგის გარშემორტყმისა და მისი ნაწილ-ნაწილ განადგურების კლასიკურ ნიმუშს.

ჩაპაევმა დაიწყო მოყოლა იმით, რომ რომაელებს უწოდა ბრმა კატის კნუტები. სვეჩინმა თავი ვერ შეიკავა ირონიული შენიშვნისაგან:

— ამხანაგო ჩაპაევ, ალბათ, თქვენ რომ ყოფილიყავით რომის ცხენოსანი ჯარის მეთაური, მაშინ ჩვენ ვისაუბრებდით რომაელების მიერ ჰანიბალის განადგურების შესახებ.

ვასილ ივანეს ძე გაცხარდა:

— ჩვენ უკვე ვუჩვენეთ თქვენისთანა გენერლებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა!

მას მხედველობაში ჰქონდა თავისი რაზმების ცნობილი რეიდი თვრამეტი წლის ზაფხულში. ურალსკის მიდამოებში თეთრჩეხებსა და თეთრკაზაკებს შორის ალყაში რომ მოექცა, ჩაპაევმა ელვისებური დარტყმა აგემა მტერს უკან, მის მიერ დაკავებულ ნიკოლაევსკზე, აიღო ქალაქი და ამით შეერთების საშუალება მოუსპო მტრის ორ დიდ დაჯგუფებას.

ერთი სიტყვით, გაიმართა ნამდვილი სკანდალი. ჩაპაევმა გაიჯახუნა კარი.

1919 წლის იანვარში ვასილ ივანეს ძემ დატოვა აკადემია, ის გაგზავნეს აღმოსავლეთის ფრონტზე. ამის შემდეგ ჩაპაევი აღარ მინახავს.

იმავე წლის აპრილში ჩემი სწავლაც შეწყდა. ორმოც კაცთან ერთად მეც გამგზავნეს მოქმედ არმიაში.

კოზლოვში სამხრეთის ფრონტის ბანაკში ბრძანება მივიღე გავმგზავრებულიყავი კურსკთან ახლოს მდებარე შჩიგრაში, დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწედ, დივიზიისა, რომელიც ის იყო ყალიბდებოდა. მძიმედ ამოვიოხრე, როცა ეს დანიშნულება მივიღე: კვლავ არ მწყალობს ბედი — იმედი მქონდა ფრონტზე მოხვედრისა, აქ კი — ჩამოყალიბდიო.

მაგრამ ერთმა შემთხვევამ, მართალია, არცთუ ისე სასიამოვნომ, ყველაფერი ჩემი სურვილის მიხედვით შემოატრიალა... შჩიგრაში მე შევხვდი პოლკოვნიკ შმიდტს, რომლის მეთაურობით ვმსახურობდი ჯერ კიდევ 1915 წელს და რომელმაც ერთხელ ბრძანა

ჩემთვის 25 ზუმბა დაერტყათ. ახლა კი შმიდტს უნდა ემეთაურა დივიზიისათვის.

რა უნდა მექნა? რით, არ ვარწმუნე თავი — სხვა დროა, სხვა ვითარებაა, — არაფერი გამომივიდა: არ შემეძლო ისეთ კაცთან მუშაობა, ვინც ჯარისკაცების გაროზგვის ბრძანებას იძლეოდა.

შტაბის ოთახებში ბევრი ყოფილი ოფიცერი დავინახე. ეს ცოტა არ იყოს, უცნაურად მომეჩვენა. თუმცა იმ დროს ჩვენი ახალგაზრდა არმია უარს ვერ ამბობდა მეფის ყოფილი სამხედრო სპეციალისტების სამსახურზე, მაგრამ აქ, შჩიგრაში, აშკარად გადაამალაშეს.

შტაბის მწერალმა, რომელსაც ჩემი ეჭვები გავუზიარე, თქვა:

— სულ ოფიცრობაა! აი ჩამოვაყალიბებთ დივიზიას, ხოლო საით უკრავენ თავს მა'ს ესინი. ეშმაკმა უწყის.

სადღაც, როგორც ჩანს, მოღალატის ხელი მოქმედებდა.

და მართლაც, როგორც შემდეგ შევიტყვე, თურმე შმიდტმა და მთელმა მისმა ამალამ დივიზიის ჩამოყალიბებას არ მოუცადეს, ისე გადაბარგდნენ თეთრებთან.

შმიდტთან შეხვედრის შემდეგ ვრცელი წერილი გავაგზავნე მოსკოვში. ვაცნობე აკადემიას დივიზიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, ავუხსენი, რატომ არ შემიძლია შჩიგრაში გაჩერება, და ვითხოვე დამხმარებოდნენ, რათა გავეგზავნე რომელიმე მოქმედ ცხენოსან ნაწილში.

პასუხმაც არ დააყოვნა: „იგზავნებით პოკროვსკში ს. მ. ბუდიონის მე-4 ცხენოსან დივიზიაში“.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

1919 წლის ივლისის ბოლოს ძლივს მივაღწიე სარატოვს, სადაც მე-10 არმიის შტაბი იდგა. მასში შედიოდა მე-4 ცხენოსანი დივიზია. შტაბი მოთავსებული იყო ვოლგის გემზე, რომელიც იდგა მცხუნვარე მზის ქვეშ ნავმისადგომთან.

მე-10 არმიის სარდალი ა. ი. ეგოროვი ამ დროს დაჭრილი იყო და სამკურნალოდ ჰოსპიტალში იმყოფებოდა. მას დროებით ცვლიდა შტაბის უფროსი ლ. ლ. კლიუევი, უაღრესად ინტელიგენტური, თავშდაბალი, საუკეთესო სპეციალისტი, წარსულში მეფის არმიის პოლკოვნიკი. მან გულთბილად მიმიღო, ამიხსნა საქმის ვითარება, რომელიც იმ დროისათვის არცთუ სასიამოვნო იყო. თეთრგვარდიელ

ცხენოსანთა კორპუსებმა გაარღვიეს მე-9 და მე-10 არმიებს შორის ზღუდე, შემოუარეს ჩვენს მარჯვენა ფლანგს და ვოლგასთან შეავიწროვეს მე-10 არმიის ნაწილები. მე-4 და მე-6 ცხენოსანი დივიზიების წითელი კავალერისტები გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ ტოპოვკისა და ზოლოტოეს რაიონებში. ბუდიონის მარჯვნივ მოქმედებდნენ ჩვენი მეზღვაურები — კოჟანოვის სახელგანთქმული რაზმი.

— როგორც ხედავთ, — ამბობდა კლიუევი, — ფრონტზე ჩვენი არმიის მდგომარეობა ძალზე მძიმეა. თქვენ უნდა გაემგზავროთ ჯერ პოკროვსკის, შემდეგ კოჟანოვის რაზმის გავლით, და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდებით თქვენს დივიზიაში. თუ გზაში დაიღალეთ, შეგიძლიათ დაისვენოთ, ჩვენ საერთო საცხოვრებელი გვაქვს ქალაქში. გემზე კი შტაბის მუშაკებისთვისაც არ გვყოფნის ადგილები.

მადლობა გადავუხადე ლ. ლ. კლიუევს, დასვენებაზე უარი ვუთხარი და განვუცხადე, მიჯობს დღესვე გავემგზავრო დანიშნულების ადგილზე-მეთქი.

პოკროვსკში შედარებით მალე ჩავედი. მაგრამ დიდხანს ვერ მივაგენი კოჟანოვის რაზმის შტაბს. ბოლოს, ვოლგისაგან მოშორებით, ნავსადგურ ზოლოტოეს მახლობლად მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილ სამ მხედარს შევხვდი. ჩემს მიწერილობას რომ დახედეს, მეთაურთან მიმაცილეს.

კოჟანოვმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდხანს კისაუბრეთ.

— აი ჩვენ, მეზღვაურები, — მითხრა მან, — ცხენოსნები გავხდით და ბედს არ ვემდურით. ბუდიონელებს კარგად შევეწყვეთ. ვფიქრობ, არა მარტო შევაჩერებთ მტერს, არამედ მალე თითონაც გადავალთ შეტევაზე. მაშ, თქვენ დიდი ხანი არ არის, რაც მოსკოვიდან წამოხვედით? საინტერესოა, როგორ გრძნობს თავს ლენინი?

მე კოჟანოვს მოვუყევი ყველაფერი, რაც ვიცოდი.

დილით კოჟანოვმა მითხრა:

— ბრძანება გავეცი, გაამზადონ საზიდარი. მიგიყვანენ ბუდიონის შტაბში.

კოჟანოვს გამოვემშვიდობე და დანიშნულების ადგილზე გავემგზავრე ორ კავალერისტთან — ივანე ლიუტოვთან და რომან კონონოვთან ერთად, რომლებიც თავიანთ ნაწილში ბრუნდებოდნენ ჰოსპიტლიდან. ისინი სულმოუთქმელად მიამბობდნენ თავიანთი დივიზიის ამბებს.

— ჩვენთან კარგი მეომრები არიან, — თქვა ლიუტოვმა, — ხოლო მეთაურებზე ლაპარაკიც არაა საჭირო. ავიღოთ, მაგალითად, ამხანაგი ბუდიონი, ჩვენი დივიზიის მეთაური. თვითონ ის უნტერ-ოფიცერი იყო, მაგრამ ბევრი რამ გადახდენია თავს. კავალერიის რიგებში ომობდა ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომში და იმპერია-ლისტურშიც. მამაცი მეთაურია, ფოლადივით ნაწრთობია.

როგორც კი ლიუტოვი გაჩუმდა, კონონოვი შემეკითხა:

— თუ გაგიგონიათ სტავროპოლის მხარის სოფლები ვოზდვი-ჟენკა, ვოზნესენსკოე, რაგული, არაგირი, ალექსანდროვსკოე?

— საიდან მეცოდინება? მე ამ მხარეში არასოდეს ვყოფილვარ.

— აი იქაც გამრავლდა წითელი რაზმები, როგორც სოკოები ნაწვიმარზე. იპატოვისა და აფანასენკოს შესახებ თუ გსმენიათ?

— ცოტა, — ვაღიარე მე.

— მათ პირველებმა ჩამოაყალიბეს რაზმი. ვანია კოჩუბეის, ბლინოვის შესახებაც არაფერი იცით? ისინიც საუკეთესო მეთაუ-რები არიან. ახლახან ყუბანიდან, სტანიცა ტამანსკის რაიონიდან ჩვენთან მოვიდა ჯარის დიდი ჯგუფი კოვტიუხას მეთაურობით. აი ასე ჩამოყალიბდა ჩვენი მე-6 დივიზია. ბატურინია ახლა მისი მე-თაური.

— აფანასენკო სად არის?

— ალბათ, დაჭრილია და ნაწილში იქნება, სხვაგან სად უნდა იყოს?

— ჩვენი ძმა ჯარისკაცი თუ დაიჭრა, მაშინვე ჰოსპიტალში უკრავენ თავს, მეთაურები კი მწყობრში რჩებიან, — ლაპარაკში ჩაერია ლიუტოვი. — არავითარი თანასწორობა!

პირველები, ვისაც შევხვდი მე-4 დივიზიაში, იყვნენ მისი ახალი მეთაური ოკა ივანეს ძე გოროდოვიკოვი, დივიზიის შტაბის უფრო-სი ივანე დიმიტრის ძე კოსოგოვი და კომისარი ალექსანდრე მიტრო-ფანეს ძე დეტისტოვი. მათ გულთბილად და სიხარულით მიმიღეს. განსაკუთრებით ოკა ივანეს ძემ. მან თავიდანვე მომხიბლა.

— რა კარგია, რომ მოხვედით. ჩვენ დივიზიის შტაბის ფორ-მირება გვინდა და საჭირო ხალხი კი არ გვყავს, — თქვა მან.

— სად არის თქვენი შტაბი? — შევეკითხე.

ოკა ივანეს ძემ ნაღვლიანად გადახედა კოსოგოვს:

— აი ეს ერთი დარჩა.

— დიახ, სწორედ ასეა, — დაეთანხმა კოსოგოვი. მართლაც, მარტო დავრჩი, თუ არ ჩავთვლით ორ მწერალს. სემიონ მიხეილის ძემ თითქმის მთელი ჩვენი შტაბის მუშაკები წაიყვანა, ის კორპუსის შტაბს ქმნის.

გოროდოვიკოვმა წარმომიდგინა თავისი მებრძოლი ამხანაგები — დივიზიის კომისარი და შტაბის უფროსი.

— დივიზიის კომისარი ალექსანდრე მიტროფანეს ძე დეტისტოვი, — თქვა ოკა ივანეს ძემ, — ჩემი თანამემამულეა, დონელი კაზაკი, სტანიცა კაჩალინსკიდან. სოფლის მასწავლებელი იყო, მოხალისედ მოვიდა წითელ არმიაში, მაგრამ მარტო თვითონ კი არა, მთელი წითელგვარდიული რაზმი მოიყვანა. — ოკა ივანეს ძემ მცირეოდენი პაუზის შემდეგ ულვაშების გრეხით განაგრძო: — შტაბის უფროსი ივანე დიმიტრის ძე კოსოგოვიც პროფესიით მასწავლებელია. გერმანიასთან ომის დროს გაიწვიეს ჯარში. 1916 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და კაპიტნის წოდება მიიღო. 1918 წელს წითელ არმიაში შევიდა. ძალიან კარგი შტაბის უფროსია...

— ოკა ივანეს ძე, გადაჭარბებით მაქებ, — ჩაურთო რეპლიკა ივანე დიმიტრის ძე კოსოგოვმა.

ოკა ივანეს ძემ სხვა თავის თანამშრომლებზეც გვიამბო, თავის თავზე კი არაფერი თქვა.

ტანმორჩილი, მკვირცხლი და მხიარული იყო, ბავშვურად მოცინარე სახე ჰქონდა, თავი ეჭირა უბრალოდ და თავმდაბლად. მე ვიგრძენი, რომ ამ კაცს გააჩნდა არაჩვეულებრივი ბუნებრივი ჭკუა და დიდი პრაქტიკული სამხედრო გამოცდილება.

იმპერიალისტურ ომში ოკა ივანეს ძე მსახურობდა დონის კაზაკთა პოლკში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. 1916 წლის შემოდგომაზე, ერთ-ერთ გაფთრებულ ბრძოლაში ის დაიჭრა და ევაკუირებული იქნა როსტოვში. ჰოსპიტალში დაჭრილ ჯარისკაცთა შორის სულ უფრო ხშირად გაისმოდა უკმაყოფილო ხმები: რისთვის ვომობთ? მალე დამთავრდება ომი? ერთხელ რომელიღაც გამოჯანმრთელებულმა ჰოსპიტალში ბოლშევიკური ფურცელი მოიტანა. მასში უბრალოდ და გასაგებად იყო დაწერილი ომის მიზეზების შესახებ, ნათქვამი იყო, ვინ არის ამაში დამნაშავე და რა უნდა გაკეთდეს, რომ თავიდან მოვიშოროთ ომი. ოკა ივანეს ძეს გან-

საკუთრებით დაამახსოვრდა ფრაზა: „ჯარისკაცებო, მიატოვეთ ომი, წადით სახლში, წაართვით მიწა მემამულეს...“

სახლში წასვლა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა. ჰოსპიტლიდან ის გააგზავნეს კაზაკთა 39-ე ცალკე სათადარიგო ასეულში, რომელიც განლაგებული იყო სტანიცა სულინის რაიონში და იცავდა მრეწველ პასტუხოვის ქარხანას და მაღაროებს.

აქ, სამრეწველო ცენტრში, გოროდოვიკოვი პირველად გაეცნო მუშების მძიმე ცხოვრებას. აქვე მოუსწრო მას თებერვლის რევოლუციამ. მუშებთან ერთად ის მხურვალედ დადგა მის მხარეზე. მაგრამ მისი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. დროებითი მთავრობა აგრძელებდა ომს საბოლოო გამარჯვებამდე, ინარჩუნებდა ძველ ბურჟუაზიულ წესებს.

ოკა ივანეს ძე გოროდოვიკოვი, ისე როგორც მთელი ყალმუხი ხალხი, აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ბოლშევიკების რჩევით ის გაემგზავრა თავის მშობლიურ სტანიცა პლატოვსკში. ყალმუხეთში ოკა ივანეს ძემ, ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ცხენოსანი რაზმი. ამ რაზმში მებრძოლები გამოირჩეოდნენ მაღალი დისციპლინით და სოციალისტური რევოლუციის იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულებით. აძაში დიდი დამსახურება მიუძღოდა ო. ი. გოროდოვიკოვს. თავისი სიმამაცით და სიმტკიცით ის მაგალითს აძლევდა ხელქვეითებს. მას ყოველთვის ნახავდით ცხენოსანთა შორის. ოკა ივანეს ძეს უყვარდა ხუმრობა, არავისთვის ენანებოდა თბილი, გულითადი სიტყვა. ის იყო უშიშარი მეომარი, კავალერისტებმა მას „ველის არწივი“ შეარქვეს.

შემდეგში, რაც უფრო მეტად დავუახლოვდი ო. ი. გოროდოვიკოვს, მით მეტად დავრწმუნდი, რომ ის შესანიშნავი მეთაურია, რომლისაგანაც ბევრი რამე შეიძლება ისწავლო.

...საუბრის შემდეგ ვახშამს შევუდექით. მაგრამ ჭამა არ დაგვიმთავრებია, რომ ტელეფონის ზარი გაისმა. კოსოგოვმა აიღო ყურმილი. რეკავდა კორპუსის შტაბის უფროსი ვ. ა. პოგრებოვი. ლაპარაკი რომ დაამთავრა, ივანე დიმიტრის ძემ მე მომმართა:

— სემიონ მიხეილის ძე გიწვევთ კორპუსის შტაბში.

— რა უნდა იყოს? — გავიკვირვე მე.

— ალბათ, თქვენი წაყვანაც სურს, — ივარაუდა ივანე დიმიტრის ძემ.

— ესეც შენი აღდგომის დღე, ბებია!

— არავითარი ბებია! — მტკიცედ მოჭრა ოკა ივანეს ძემ. — თქვენ თავს არავის დავანებებ!

მეორე დღეს გავეშურე ს. მ. ბუდიონთან წარსადგენად. უნდა გამოვტყდე, ეს შეხვედრა, მე ცოტა არ იყოს, მაღელვებდა. მე გაგონილი მქონდა ადრე სემიონ მიხეილის ძესთან გაგზავნილი ჩვენი ორი „აკადემიკოსის“ მარცხი. მან ისინი დაიწუნა იმიტომ, რომ საათანადო მამაცობა ვერ გამოავლინეს ბრძოლაში. სემიონ მიხეილის ძეს, მისივე გამოთქმით, დასანახავად ეზარებოდა „გულაზიზები“ და მშიშარები. ამიტომ იყო, რომ ეჭვებით შეშფოთებული მივემგზავრებოდი მე-4 ცხენოსან დივიზიაში: ვაითუ, მეც არ მოუვიდე თვალში?..

ბევრი გამეგონა იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული ბუდიონის საგმირო საქმეთა შესახებ და რაღაც არაჩვეულებრივ შეხვედრას ველოდი. წარმოვიდგინე, როგორ შევალ შტაბში, მწყობრი ნაბიჯით მივალ მაგიდასთან, რომლის იქითა მხრიდან წამოდგება ზორბა ტანის სამხედრო კაცი სქელი ულვაშებით. გავიჭიმები ლარივით, ბუდიონს ვუპატაკებ მასთან გამოცხადების შესახებ და პასუხად მოვისმენ ჩემი ახალი კორპუსის მეთაურის მისალმებას.

სინამდვილეში სულ სხვანაირად მოხდა. სახლის ეზოში, სადაც ბუდიონი ცხოვრობდა, შემომხვდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც, როგორც შემდეგ გავიგე, სემიონ მიხეილის ძის ცოლი ნადეჟდა ივანეს ასული ყოფილა. ჩემს შეკითხვაზე, თუ სად შემიძლია ვნახო კორპუსის მეთაური, მან გასძახა ფარდულის მხარეს:

— სიომა, მალე მოხვალ? შენთან ამხანაგი მოვიდა.

პასუხად ფარდულიდან შემომესმა:

— სად არის ის ამხანაგი? აქ მოვიდეს ჩემთან.

შევედი ფარდულში, დავინახე მწვანე მაუდის ფრენჩიანი ორი კაცი. ერთი მაღალ-მაღალი, მეორე საშუალო ტანისა. მივედი მაღალთან და ვახსენებ გამოცხადების შესახებ, ის კი იცინის და თავით მანიშნებს იმისაკენ, ვინც ცხენს ჩლიქებს უწმინდავს. მე შეცბუნებული ვდუმვარ. ამ დროს ჩვენთან მოდის ნადეჟდა ივანეს ასული და ქმარს ეუბნება:

— სიომა, მორჩი ერთი ცხენთან ფუსფუსს, ამხანაგი გელოდება.

ბუდიონმა თავი გაანება საქმეს, თავიდან ფეხებამდე ყურადღებით ამათვალ-ჩამათვალიერა და ეშმაკურად გაიღიმა:

— ტიულენევი? კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. საომრად ჩამოდით თუ იმის სანახავად, ჩვენ როგორ ვომობთ? ხვალ ჩვენს წითელ ცხენოსნებს დიდი ომი ელით. მე ჩემთვის ცხენს ვამზადებ. თქვენ რა, შესძლებთ გაემზადოთ დილისათვის, რომ ჩვენთან ერთად ურტყათ მტერს?

მე რაღაც წავილუღლუღე პასუხად, რომელიც ნიშნავდა „მოვასწრებ-მეთქი“.

ბუდიონმა ულვაშებში ჩაიცინა:

— ალბათ, ფიქრობდით, რომ კორპუსის შტაბში მხოლოდ ქალალდებში იჩხრიკებიან. არა, ძმაო, ჩვენთან ასე არაა მიღებული. თუ ბრძოლაა, ბრძოლას უნდა გავდეს, არა ფანქრით, არამედ ხმლით. თუმცა, კალამსაც კარგად უნდა ფლობდე, ჩვენ ასეთი ხალხი თითქმის არა გვყავს, სწორედ ამიტომ გავაწვალეთ ამ საქმით შტაბის უფროსი პოგრებოვი. მაშ ასე, ამიერიდან თქვენ იქნებით მისი თანაშემწე. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ შტაბში მოგიწევთ ჯდომა. ჩვენთან შტაბის მუშაკები უფრო მეტხანს ცხენზე სხედან ხმლით ხელში...

— მესმის, ამხანაგო ბუდიონო! — დავძლიე რიდი და გამოვეჭიმე.

ჩემი დანიშვნის შესახებ რომ გაიგო, გოროდოვიკოვი გაემგზავრა სემიონ მიხეილის ძესთან და სთხოვა დავეტოვებინე დივიზიის შტაბში, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. ჩემთან შეხვედრისას იმედგაცრუებულმა ოკა ივანეს ძემ ხელი ჩაიქნია:

— ბედი არ უნდა! სემიონ მიხეილის ძეს არ სჩვევია გადაწყვეტილების შეცვლა.

მაგრამ მოგვიანებით ოკა ივანეს ძემ მაინც მოახერხა და თავისთან წამიყვანა მე-2 ცხენოსანი ბრიგადის მეთაურის თანამდებობაზე. ასე რომ, მე კვლავ ფრონტის წინა ხაზზე ვიყავი, ერთ-ერთ საპასუხისმგებლო უბანზე ცარიცინის მიმართულებით.

გენერალმა დენიკინმა აქ თავი მოუყარა ცხენოსანთა დიდ არმიას და ცდილობდა ვოლგაში გადაესროლა მე-10 არმიის ნაწილები, მაგრამ წითელი კავალერისტები და მეზღვაურთა რაზმი კოჟანოვის მეთაურობით იგერიებდნენ თეთრგვარდიელთა ყველა იერიშს. სემიონ მიხეილის ძე ბუდიონი კორპუსის შტაბთან ერთად დღენიადაგ იმყოფებოდა ყველაზე ძნელ უბნებზე.

მე, როგორც კორპუსის დაზვერვის უფროსს, კორპუსის მეთა-

ურისა და შტაბის უფროსის დავალებით ყოფნა მიწევდა ხან ერთ, ხან მეორე ცხენოსან ბრიგადაში. მიყვარდა ყოფნა ჯართან, რომელთანაც ერთად არაერთხელ ვმონაწილეობდი ცხენოსანთა იერიშში. ეს მოსწონდა სემიონ მიხეილის ძეს, ის კმაყოფილი იყო ჩემი სამსახურით. როცა 1919 წელს მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა ჩემი კვლავ სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნის შესახებ სამხედრო აკადემიაში, ბუდიონმა მას ასეთი რეზოლუცია დაადო: „თანახმა ვარ გავუშვა ი. ვ. ტიულენევი, მხოლოდ სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ. ს. ბუდიონი“. სემიონ მიხეილის ძემ მეორე დეპეშაზეც უარყოფითი პასუხი გასცა.

მეც ეს მინდოდა. სამოქალაქო ომის დასასრულამდე ვიმყოფებოდი ბუდიონის კორპუსში, რომელიც შემდეგ პირველ ცხენოსან არმიად გადაკეთდა.

აქ მე ბევრი შესანიშნავი ამხანაგი და მეგობარი შევიძინე. ბევრ მათგანთან ბრძოლებში სისხლით შედუღაბებული ეს მეგობრობა მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვა.

სადაზვერვო განყოფილებას რომ ვმეთაურობდი, მჭიდრო კონტაქტში ვმუშაობდი კორპუსის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსთან სტეფანე ანდრიას ძე ზოტოვთან. ამ ასაკოვან, ჩასკვნილ, ფართომხრებიან კაცს, ტიპური რუსული სახითა და ხშირი ქერა ულვაშებით, შესაშური შრომისუნარი გააჩნდა. ჰქონდა რა დიდი სამხედრო გამოცდილება, ბევრ საკითხში შეუცვლელი კონსულტანტი იყო. ჩვენ მალე დავმეგობრდით. თავისუფალ დროს ხშირად ეუყვებოდით ერთმანეთს საკუთარ თავზე.

„ჩვენთან, დონელ კაზაკებთან, — მიყვებოდა სტეფანე ანდრიას ძე, — ბავშვებს პატარაობიდანვე ასწავლიან სამხედრო საქმეს: ცხენზე ჯდომას, სროლას, ცივი იარაღის ხმარებას, ფარიკაობას.

მე ერთი თავზეხელაღებული ბიჭი ვიყავი, მიტაცებდა სამხედრო საქმე. და უნდა გითხრა, იოლადაც ვეუფლებოდი მას. ერთხელ სტანიცის ზეიმზე ჩეხვაში, ცხენით სიარულსა და ჯირითში პირველი მივიჭერი ფინიშთან. ამისათვის სტანიცის მმართველობამ პირველი პრიზით — კაზაკური უნაგირით დამაჯილდოვა. ცხენი ჩვენ არ გვყოლია, დღესასწაულისათვის ის ბიძისაგან ვინათხოვრე.

ან რით უნდა ეყიდა მამაჩემს ცხენი, როცა ჩვენ ღარიბად ვცხოვრობდით, მამაჩემი თორმეტ სულს არჩენდა. აბა სცადე ასეთი ჯგრო ხალხის გამოკვება!

სამხედრო სამსახურის დროც დადგა. მინდოდა ცხენოსნებში მოვხვედრილიყავი, ამისათვის კი ცხენის ყოლა იყო საჭირო. რაკი არა გყავს, — წადი, მეუბნებიან, მხოხავად, ე. ი. ქვეით ჯარშიო. ამ უბედურებიდან სტანიცის მმართველობამ მიხსნა: როგორც კარგი მხედარი და მოხმალავე, გადაწყვიტეს ჩემი აღჭურვა მმართველობის ხარჯზე. მიყიდეს ცხენი 105 მანეთად, 104 მანეთი მისცეს ფორმის ტანსაცმელში, იარაღში, ლოგინის მოწყობილობაში. ასე გავხდი კაზაკად მეფის სამხედრო სამსახურში, ვალად კი დამდეს 209 მანეთი...“

სტეფანე ანდრიას ძემ ისიც მითხრა, რომ მას სამსახური დაუწყია გრაფ პლატოვის დონის კაზაკთა მე-4 პოლკში. აქ მან დაამთავრა პოლკის სკოლა, ხოლო 1907 წელს — ფარიკაობის სკოლა, ჯერ მიანიჭეს უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი უნტერ-ოფიცრის წოდება.

1908 წელს ზოტოვი დატოვეს ზემსახურად, დაამთავრა პოდპრაპორშჩიკების სკოლა, ანუ, როგორც კაზაკები ეძახდნენ, ჰოდხორუნჟების სკოლა. სტეფანე ანდრიას ძე ძალიან ამაყობდა ამ წოდებით, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ კაზაკები. როცა ის ამ ჩინით სახლში დაბრუნდა შვებულებით, მთელი სტანიცა საპატიო მოხუცების მეთაურობით დიდი პატივისცემით შეხვდა მას.

1910 წელს სტეფანე ანდრიას ძე გადაიყვანეს კაზაკთა მე-3 პოლკში. აქ ის ასწავლიდა ახალგაზრდა კაზაკებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს უმთავრესად დონის მე-2 ოლქიდან. მათ შორის იხილა ბევრი თავისი თანამემამულე. ერთხელ ახალმოსულთა პარტიაში შეხვდა სტანიცა კაჩალინსკელ კაზაკს ალექსანდრე მიტროფანეს ძე დეტისტოვს. 1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის ის დააპატიმრეს და მიუსაჯეს პატიმრობა, ვადა რომ მოიხადა, სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ზოტოვმა დეტისტოვი ესკადრონის მწერლად დანიშნა.

დეტისტოვი ძალიან ბევრს კითხულობდა, ხოლო წიგნებს ჩვეულებისამებრ ლეიბ-ქვეშ ინახავდა. ყველა წიგნს, რომელსაც კაზაკები კითხულობდნენ, ესკადრონის ბეჭედი უნდა ჰქონოდა.

ერთხელ ასმეთაურმა ზოტოვს უბრძანა, გაესინჯა, ყველა წიგნი იყო თუ არა ბეჭედდასმული. სტეფანე ანდრიას ძემ უბრძანა კაზაკებს, წიგნები მოეტანათ. და აი ჩამწკრივდნენ ისინი, ვინ სახარებით, ვინ ლოცვანით და ვინ ჟამნით. დეტისტოვმაც მოიტანა სახა-

რება და ჟამნი. საღამოს, როცა ყველანი დაიშალნენ, ზოტოვს მოაგონდა დეტისტოვის ჩვეულება ლეიბქვეშ წიგნის შენახვისა. შეყო ხელი ლეიბქვეშ და იქ მართლაც წააწყდა წიგნს. ამოიღო, დაარტყა ბეჭედი და ადგილზევე ჩადო.

სამხედრო ჩინში განსხვავების მიუხედავად, ზოტოვი და დეტისტოვი კარგი მეგობრები იყვნენ, და აი ერთხელ სეირნობისას დეტისტოვი შეეკითხა:

— სტეფან ანდრიას ძევ, ეს თქვენ დაარტყით ბეჭედი წიგნს, ლეიბქვეშ რომ მქონდა შენახული?

— მე. მერე რა მოხდა?

— მერე თქვენ იცით, რა წიგნი იყო ის?

— საიდან უნდა ვიცოდე? მე ხომ ის არ წამიკითხავს.

დეტისტოვმა ეშმაკურად გაიღიმა.

— ის კარლ მარქსის „კაპიტალი" იყო.

სტეფანე ანდრიას ძემ მთელი იმპერიალისტური ომი მოიარა მე-3 ცხენოსანი დივიზიის მე-3 კაზაკთა პოლკთან ერთად. მისი საბრძოლო მამაცობა აღინიშნა ოთხი გიორგის ჯვრით და სამი მედლით.

მრისხანე 1918 წელს ს. ა. ზოტოვი დაბრუნდა სახლში და მაშინვე შევიდა წითელგვარდიულ რაზმში, რომლის ჩამოყალიბებაც დაიწყო ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში პესკოვატში.

1918 წლის 15 აპრილისათვის პესკოვატის წითელგვარდიულ რაზმში უკვე ირიცხებოდა 500-მდე ქვეითი, 140 კავალერისტი, 4 ქვემეხის არტილერისტები და მეტყვიამფრქვევეთა 6 ჯგუფი.

პესკოვატის რაზმის საბრძოლო დიდება დღითი დღე იზრდებოდა. 1918 წლის ივლისში რაზმი გადაკეთდა პოლკად. მას მიანიჭეს 1-ლი საბჭოთა რევოლუციური კაზაკთა პოლკის სახელწოდება. მოგვიანებით ამ პოლკისა და მასში შემავალი რაზმების ბაზაზე ჩამოყალიბდა დონის კაზაკთა გაერთიანებული მე-2 დივიზია. შემდეგ ის შეუერთდა მოროზოვსკი-დონეცკის დივიზიას. ამასთან, მე-10 არმიის შტაბის ბრძანების თანახმად, ცხენოსანი ნაწილები შევიდნენ 1-ლ ცხენოსანთა კორპუსში, რომელსაც ს. მ. ბუდიონი მეთაურობდა.

ს. ა. ზოტოვი დაინიშნა ამ კორპუსის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსად.

1919 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს სტანიცა ოსტროვს-

	is rayonši daiwyo rtuli da saapasuxismgebelo operacia. čvens cxenosnebs aucilebelad unda moegoT brZolla, raTa uzrunvelyoT armiis nawilebis gadasvla konterSetevaze, winaaRmdeg SemTxeevaSi mTel me-10 armias moubdebodaT ČrdiloeTiT uklanDaxeva.

budionma mibrZana gavmgzavrebulyavi s. k. timoSenkos brigadaSi.

— timoSenkos nawilebi imoqmedebenebi moWinaaRmdegis qveiTi xaris darTvis mTavari mimarTulebiT, — daamabara budionma. — gaemgzavreT masTan da uCvenebT, ras gaswavlidnen akademiaSi. mTavaria — auxsnaT amocanis mniSvnelobaa da, Tu saWiroebaa moiTxovs, moexmareT brigadis meTauris.

brigadis StabSi rukagadafarebul magidas usxdnen brigadis meTauri, misi TanaSemwe serbi danilo serdiCi da komisari p. v. baxturovi. gverdiT, fanjris rafaze iyo saveleTelefoni, romlisac brigadis meTauri brZanebebs aZlevda polkebis meTaurebs.

— risTvis moxvedi? — SemekiTxa timoSenkom.

me movaxsenebi mosvlis mizani.

— kaTili. — semionis konstantinesTan ZmiT yestiT mimiwvia rukasTan da gaangarZo: — čvens uklebi mivilebT brZanebas da eswavlobT viTarebas, amocana naTelia. ZneliaT, magram, imedia, ar gavwbildebiT, SeasrulebT.

SeTanxmdiT, rom serdiCi wava erTi polkSi, baxturovi — meoreSi, me da brigadis meTauri davrCebiT brigadis samanDo punqtSi.

rocaa yvela saiTxi detalurad gaanalizebT, brigadis meTaurma vaxSamze migvibwia. gzad mezobel qoxSi misvlamde farduliSi SeviRebT, sadac TivaS axramunebdnen brigadis meTaurisa da komisris cxenebi.

— romeli cxenia uketesi? — SemoburTnda timoSenkom da SemekiTxa.

me mivuTiTe donel wiTuraze, romelic turme baxturovisa iyo.

— naCrisferze raRaS itqvi?

— arc esaa cudi. CanS araburi sisxli aqvs.

ბახტუროვმა გაიცინა, ეშმაკურად გახედა ტიმოშენკოს, ის, ნამდვილი დონელი კაზაკი, კარგად ერკვეოდა ცხენების ავკარგიანობაში და იცოდა, ბრიგადის მეთაურის ცხენი რომ უფრო ფეხმარდია, მაგრამ უნდოდა შემთხვევა არ გაეშვა ხელიდან და გაექირდა ტიმოშენკო, ასე რომ ამაყობდა თავისი ოთხფეხა მეგობრით.

— იცინე, იცინე! ძალიან გაგეხარდა, ხომ! — უწყინრად აუწია ხმას ტიმოშენკომ. — ჩემი ცხენი უფრო მარდია მის ბარბანსონზე. მართალს ვამბობ, კომისარო?

— კი, იყო ასე, — დაეთანხმა ბახტუროვი.

— ასეა, მაშ, — შემრიგებლურად თქვა სემიონ კონსტანტინეს ძემ.

ვახშმის შემდეგ საუბარი შეეხო მომავალ ოპერაციას, რომლის დაწყება ნავარაუდევი იყო მეორე დილით მოწინააღმდეგის შემოტევასთან დაკავშირებით.

კომისარი და ბრიგადის მეთაურის თანაშემწე მალე გაემგზავრნენ. ბრძოლის წინა ღამეს სამუსაიფოდ ჩვენ ორნი შემოვრჩით.

— როგორ შეცვალა ადამიანების ბედი რევოლუციამ, — თქვა სემიონ კონსტანტინეს ძემ. — აი, მე, მაგალითად, მხოლოდ სოფლის სამრევლო სკოლა დავამთავრე. მეტი არ დამცალდა. ახლა კი ბრიგადას ვმეთაურობ.

სამხედრო სამსახური ტიმოშენკომ დაიწყო 1915 წელს. ის ვადაზე ადრე გაიწვიეს მეფის არმიაში და ჩარიცხეს რიგითად სათადარიგო ბატალიონში, რომელიც ქალაქ ნიკოლაევში იდგა.

თებერვლის რევოლუციის დროს ს. კ. ტიმოშენკო იყო ერთ-ერთი ცხენოსანი დივიზიის მეტყვიამფრქვევეთა ესკადრონის ფელდფებელი. ის ჯარისკაცთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა და აირჩიეს ესკადრონის ჯარისკაცთა კომიტეტში. როცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოხდა, ტიმოშენკო თავის მეტყვიამფრქვევეებთან ერთად უყოყმანოდ მიემხრო ბოლშევიკებს.

მატუზენკოს 1-ლი წითელგვარდიული შავი ზღვის რაზმი, რომელშიც სემიონ კონსტანტინეს ძე შევიდა, მოგვიანებით გარდაიქმნა ყირიმის 1-ლ ცხენოსნურ-გვარდიულ პოლკად. მისი მეთაური გახდა ს. კ. ტიმოშენკო.

ცარიცინთან ბრძოლების პერიოდში პოლკის შემადგენლობაში შეიყვანეს ინტერნაციონალური რაზმი სერბი დანილო სერდიჩის მეთაურობით. შემდეგ მათ შეუერთდა პავლე ვასილის ძე ბახტუ-

როვის კაჩალინის კაზაკთა რაზმი. ყირიმის პოლკი გარდაიქმნა მე-4 ცხენოსანი დივიზიის მე-2 ბრიგადად, რომელსაც იმ დროს მეთაურობდა ს. მ. ბუდიონი. ს. კ. ტიმოშენკო დანიშნეს ბრიგადის მეთაურად, სერდიჩი — თანაშემწედ, ბახტუროვი — კომისრად.

იმ ღამეს მე და სემიონ კონსტანტინეს ძე გვიანობამდე ვისხედით. მან ბევრი ილაპარაკა მებრძოლებისა და მეთაურების შესახებ, აქებდა ინტერნაციონალისტებს.

— საიმედო მეგობრები და კარგი მებრძოლები არიან. მათ თამამად შეგიძლიათ ენდოთ ყველა საქმეში, — ამბობდა ტიმოშენკო.

იმ ზაფხულის მოკლე ღამეს გათენებამდე თვალი არ მოგვიხუჭავს. განთიადისას დაიქუხა მოწინააღმდეგის არტილერიამ. მტრის ქვეითი ჯარი შეტევაზე გადმოვიდა. საყარაულო დაცვის ხაზზე ბრძოლა გაჩაღდა.

ბრიგადის პოლკები განგაშზე წამოიშალნენ და დაიკავეს საწყისი ზღუდეები. მე და სემიონ კონსტანტინეს ძე ცხენებს მოვახტით და რამდენიმე წუთში უკვე სამეთაურო პუნქტში გავჩნდით. ბრიგადის მეთაური მალე გაერკვა ვითარებაში და შესაბამისი განკარგულება მისცა პოლკების მეთაურებს.

— ვიმოქმედებთ ისე, როგორც დათქმული გვქონდა, — თქვა ტიმოშენკომ. — მოწინააღმდეგის ქვეით ჯარს ვაცლით გადმოსვლას მდინარე ხოპერის მარცხენა ნაპირზე, აქ ცეცხლის რკალში მოვამწყვდევთ, შემდეგ კი სწრაფი დარტყმით ფლანგებსა და ზურგში ჩოვწყვეტთ მდინარეს და ტყვედ ჩავიგდებთ.

მე შევნიშნე, რომ ძალთა შეფარდების მიხედვით ეს სარისკოგეგმაა და შეიძლება ის ჩაიშალოს თეთრგვარდიელი ცხენოსნების დიდი ძალების შემოტევის პირობებში.

ბრიგადის მეთაურმა დამამშვიდა:

— ნუ ღელავთ, ჩვენ კარგი მეტყვიამფრქვეველები და არტილერისტები გვყავს. მარჯვნივ დავახვედრებთ ტყვიამფრქვეველებით და ქვემეხებით გაძლიერებულ დივიზიონს. ამას გარდა, — დაუმატა ტიმოშენკომ, — მე ვთხოვ დივიზიის მეთაურს დაეხმაროს ბრიგადას მარცხნიდან მცოცავებზე ცეცხლის გახსნით.

ყველაფერი გათვალისწინებული იყო. ამოცანა სწორად წყდებოდა, თუმცა აშკარა, მაგრამ სრულიად გამართლებული რისკით.

შუადღისას მოწინააღმდეგის ქვეითებმა გადმოლახეს ხოპერი

და ზანტად იწყეს შეტევაზე გადმოსვლა, რადგანაც მათ აკავებდა ფრონტიდან მუშტად შეკრული ბრიგადის ჯგუფი

მაგრამ, აი ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი გადაიტანა მტრის მარცხენა ფლანგზე. ეს იყო იერიშის დაწყების სიგნალი. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ დავინახეთ, როგორ შეიჭრნენ ბრიგადის 23-ე პოლკის ცხენოსნები მტრის ფეხოსანთა ზურგში. თეთრგვარდიელებმა უკანდახევა დაიწყეს.

— საქმე კარგად მიდის, — ვაკაციურად გაიქნია თავი ტიმოშენკომ. — თქვენ აქ დარჩით, მე კი დროა წავიდე.

გააჭენა ცხენი, სათავეში ჩაუდგა ბრიგადის მეორე პოლკს და შეტევაზე გადაიყვანა იგი. თავის დიდ ცხენზე ამხედრებული მისი მძლავრი ფიგურა კარგად მოჩანდა ბინოკლში.

გენერალ სუტულოვის პლასტუნსკის ბრიგადა მთლიანად განადგურდა. ტიმოშენკოს ცხენოსნებმა ტყვედ წამოიყვანეს 1500-მდე თეთრგვარდიელი, ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვიამფრქვევი და საარტილერიო ბატარეა.

კორპუსის მეთაურს დიდი კმაყოფილებით მოვახსენე ბრიგადის ბრძოლისა და მისი მეთაურის სიმამაცის შესახებ.

ს. მ. ბუდიონმა ულვაშებში ჩაიცინა და თქვა:

— საკვირველი არაფერია. ჩვენს ნებისმიერ ბრიგადას შეუძლია წარმატებით გაანადგუროს კაზაკთა დივიზია. განსაკუთრებით ეს ითქმის ტიმოშენკოს ბრიგადაზე. თვითონ ის შესანიშნავი მეტყვიამფრქვევეა და უნარიანად იყენებს ტყვიამფრქვევის ცეცხლის დიდ ძალას. მაგრამ გარდა ამისა, მის ბრიგადაში ბევრია ყოფილი ქვეითი ჯარისკაცი, რომელთაც ნასწავლი აქვთ ხმლის ხმარება. ისინი კარგი მსროლელები არიან და ' ციე იარაღსაც შესანიშნავად ფლობენ, თეთრ კაზაკებს კი არ უყვართ ცეცხლმსროლელი იარაღის ტარება. ვერ იყენებენ ცეცხლის უპირატესობას.

უფრო გვიან მე კიდევ არაერთხელ მინახავს სემიონ კონსტანტინეს ძე ბრძოლაში. ეს იყო მამაცი მეომარი, გულითადი მეთაური, მას შეეძლო გაემხნევებინა მებრძოლები მოსწრებული ხუმრობით, დროულად შეეჭო ისინი ინიციატივისა და გამჭრიახობისათვის, გამოეჩინა გულში ჩამწვდომი მზრუნველობა მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვის. მებრძოლებს უყვარდათ ის და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

ტიმოშენკო გამოირჩეოდა განსაცვიფრებელი ამტანიანობით,

შეეძლო უძილოდ და დაუსვენებლად დიდხანს ჯდომა ცხენზე, შემდეგ კი საათობით ემუშავა რუკასთან ჩატარებული ბრძოლის გასაანალიზებლად ან ახალი ოპერაციის მოსამზადებლად. 24 წლისა ის უკვე მეთაურობდა სახელგანთქმულ მე-6 ცხენოსან, შემდეგში ჩონგარის წითელდროშოვან დივიზიას, რომელმაც მუსრი გაავლო გენერლების მამონტოვისა და შკუროს ცხენოსნებს, გაათავისუფლა ვორონეჟი და კოსტორნაია, ებრძოდა დენიკინელებს დონბასში.

ს. კ. ტიმოშენკო, ბრიგადის კომისარი პ. ვ. ბახტუროვი და მისი თანაშემწე დ. თ. სერდიჩი განუყრელნი იყვნენ ბრძოლებში.

პავლე ვასილის ძე ბახტუროვი უნიჭიერესი, ბრწყინვალე პიროვნება იყო: სიცოცხლით სავსე, გონებამახვილი, შესანიშნავი ორატორი, პოეტი და მუსიკოსი, მედგარი ბოლშევიკი, მამაცი მეომარი.

არანაკლებ კოლორიტული ფიგურა გახლდათ დანილო თეოდორეს ძე სერდიჩიც, გულითადი და უბრალო კაცი, უნარიანი ორგანიზატორი, მამაცი, რევოლუციის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული მეთაური.

ეროვნებით სერბი, 1912 წელს ის გაჭირვებამ მოიყვანა რუსეთში თავის შორეულ ნათესავებთან. მუშაობდა ოდესაში, ეკატერინოსლავში.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1917—1918 წლების მიჯნაზე უკრაინაში, სადაც ყველაზე მეტი იუგოსლავი ამხანაგი იყო, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყეს ჩამოყალიბება მოხალისეთა ინტერნაციონალურმა წითელგვარდიულმა რაზმებმა, რომლებიც შემდეგ წითელი არმიის რიგებს შეუერთდნენ.

დანილო სერდიჩი ამ დროს დნეპროპეტროვსკში (ყოფილი ეკატერინოსლავი) იმყოფებოდა. აქ მან ჩამოაყალიბა და უმეთაურა 1-ლ სერბ-საბჭოთა რაზმს. ეს რაზმი შეიდა რევოლუციური უკრაინული არმიის შემადგენლობაში და გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდა კაიზერის ჯარებთან, რომლებმაც მოახდინეს უკრაინის ოკუპაცია. მოგვიანებით ყველა ინტერნაციონალური რაზმი შეუერთდა წითელი არმიის ოცეულარულ ნაწილებს, კერძოდ, ცხენოსნები შეიდნენ ს. მ. ბუდიონის კორპუსში.

სოციალისტური რევოლუციის მტრებზე გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებულმა დ. თ. სერდიჩმა არ იცოდა, თუ რა იყო შიში ბრძოლაში. მან ერთხელ და სამუდამოდ შეითვისა, რომ კომუნისტი

მეთაური ბრძოლაში მტერს პირველი უნდა ეკვეთოს და იქიდან ყველაზე ბოლოს გამოვიდეს. ჩვენ ყველას გვწამდა, რომ დანილო თედორეს ძე ბრძოლაში არ გიღალატებდა. რა რთული ამოცანის წინაშე არ უნდა ყოფილიყო ის, ყოველთვის ნახულობდა გზას მისი წარმატებით შესრულებისათვის.

მახსენდება, ერთხელ ძალიან გაუჭირდათ მე-10 და მე-11 არმიების ნაწილებს. მათ შორის გაჩნდა დიდი წყვეტილი არე. თეთრგვარდიელებმა ისარგებლეს ამით და გადმოისროლეს მნიშვნელოვანი ძალები მე-10 და მე-11 არმიების ფლანგებზე დარტყმისათვის.

სერდიჩს უბრძანეს მისი მეთაურობით ნიჟნაია ჩირას რაიონში მყოფი ყველა რაზმის გაერთიანება და ამით კარს მომდგარი საფრთხის თავიდან აცილება. დანილო თედორეს ძემ ბრწყინვალედ შეასრულა ეს დავალება. არაერთგზისი კონტრიერიშით გაანადგურა მოწინააღმდეგის ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი, რის შედეგადაც ლიკვიდირებულ იქნა დაუცველი არე და საფრთხეც გაქრა. ამ საბრძოლო მოქმედებისათვის ის წარადგინეს წითელი დროშის ორდენზე.

არნახული ლეგენდარული დიდებით არის მოსილი სერბი ხალხის მეორე შვილის — ჰუსართა ოფიცრის ოლეკო დუნდიჩის სახელი.

დუნდიჩი გამოიქცა გერმანიის ტყვეობიდან რუსეთში. აქ მას მოუსწრო ჯერ თებერვლის, ხოლო შემდეგ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. პროგრესულად განწყობილმა სერბებმა, ხორვატებმა და სლოვენელებმა იარაღი აიღეს ხელში, რათა დაეცვათ ოქტომბრის მონაპოვარი. ოლეკო დუნდიჩმა ჩამოაყალიბა სერბთა საბჭოთა რაზმი, რომლისაგანაც შემდეგ შეიქმნა 1-ლი იუგოსლავიური კომუნისტური პოლკი და ცხენოსანი დივიზიონი. შემდეგ ისინი შეუერთდნენ დონის ნაკრებ პირველ ცხენოსან დივიზიას, ბოლოს კი ს. მ. ბუდიონის ცხენოსან კორპუსს.

პოლკის ერთ-ერთი წარმატებითი იერიშის შემდეგ, რომელსაც ოლეკო დუნდიჩი მეთაურობდა, ს. მ. ბუდიონმა თქვა:

— აი, ამხანაგებო, ჩვენ ვიბრძვით ჩვენს მიწაზე, ვიცავთ ჩვენს ქვეყანას, ისინი კი ომობენ სხვის მიწაზე. ისინი ისე იცავენ თქვენს ინტერესებს, როგორც საკუთარს, რადგანაც კარგად გაეგებათ ყველა პროლეტარის საქმის ერთობა. ესენი ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მებრძოლები, ნამდვილი გმირი-რევოლუციონერები არიან.

დუნდიჩს უნარი შესწევდა ემეთაურა დიდი ჯარის შენაერთი-

.სათვის. მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდა წინადადებაზე — მიეღო ბრიგადა ან დივიზია. დუნდიჩის სტიქიას შეადგენდა შეჭრილიყო მტრის ზურგში ერთი მუჭა მამაცთა რაზმით, დაეთესა იქ პანიკა, თან წამოეყვანა „მოენე“ ან შეეგროვებინა მნიშვნელოვანი ცნობები. მხედრებს უსაზღვროდ უყვარდათ თავისი მეთაური, მზად იყვნენ მასთან ერთად გაეწირათ თავი.

ვორონეჟზე ბუდიონის კორპუსის შეტევის წინ გადაწყდა მოწინააღმდეგის გულმოდგინე დაზვერვა, რათა გამოერკვიათ მისი თავდაცვის სისტემა. 1919 წლის 23 სექტემბერს ცხენოსანი პატრული დუნდიჩის მეთაურობით შეიჭრა მდინარის გაღმა მოწინააღმდეგის ბანაკში.

ღამე იყო. წითელმა მზვერავებმა ადვილად მიაგნეს საგუშაგო რაზმსა და ცხენოსან პატრულებს, რომლებიც მიმოდიოდნენ ფრონტის ხაზის გასწვრივ. რა ქნან, როგორ გასცდნენ მოწინააღმდეგის ღაცვას?

— გაიკეთეთ სამხრეები! — ბრძანა დუნდიჩმა.

წარაფებს რომ მიაღწიეს, სიბნელეში გაისმა შეძახილი:

— შეჩერდით, ვინ მოდის?

და მათ შესახვედრად მოჭრილმა ორმა კაზაკმა შაშხანის ლულა შიუშვირა მზვერავებს. დუნდიჩს წარბიც არ შეუხრია. ის წინ გაშოვიდა და ბრძანებლურად იყვირა:

— თქვენ რა, თავხედებო, დაბრმავდით? თავისიანებს ვეღარ ცნობთ? მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, არამზადებო...

კაზაკები დაიბნენ და წითელი პატრული ფრონტის ხაზზე გაატარეს. დუნდიჩმა თავისი მზვერავებით გაიჯირითა თეთრების ტერიტორიის სიღრმეში, თან იმახსოვრებდა წინაღობის სანგრებში განლაგებასა და ადგილს, რომლის გვერდის ავლითაც შეიძლებოდა ქალაქში შეჭრა. შეაგროვა ძვირფასი ცნობები. ახლა საჭირო იყო ფრონტის ხაზზე უკან გადასვლა თავისიანებთან. მაგრამ თეთრები გონს მოეგნენ და მიხვდნენ, რომ მათ ზურგში წითელი პატრული შეიჭრა და დაიწყეს მისი ძებნა.

გენერალი შკურო სულმოუთქმელად მოელოდა დატყვევებულ ბუდიონელებს. მაგრამ ვერ მიართვეს! მზვერავებმა კვლავ გზაკვალი აუბნიეს მდევრებს და მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავისიანებთან.

24 სექტემბერს ვორონეჟი გაათავისუფლეს.

რამდენჯერ შეუსრულებია ოლეკო დუნდიჩს თავისი მამაცი

მებრძოლების პატარა ჯგუფით ისეთი ამოცანა, რასაც მთელი პოლკი თუ შეძლებდა! ის 24-ჯერ დაიკრა, მაგრამ ბრძოლის ველი არასოდეს არ დაუტოვებია.

ლეგენდარული გმირის დუნდიჩის სახელი ქუხდა მთელ ფრონტზე წითელი დუნდიჩი — ასე შეარქვა მას კ. ე. ვოროშილოვმა და ასე ეძახდა მას მთელი არმია.

1920 წლის ივლისში როვნოს მისადგომებთან დუნდიჩის რაზმი შეიჭრა პოლონელი ნაწილების ზურგში, იქ წარმოუდგენელი პანიკა შექმნა და გაანადგურა ოცზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. უკან დაბრუნებისას მას მოუხდა გაერღვია მტრის ორმხრივი ცეცხლის რკალი. ბედაურმა მარჯვედ გამოიყვანა დუნდიჩი, მაგრამ უკანიდან გაისმა სროლის ხმა და რევოლუციის მამაცი მებრძოლი დაეცა...

ბევრი გმირი, ნიჭიერი მეთაური, რევოლუციის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული ადამიანი გაიზარდა პირველი ცხენოსანი არმიის რიგებში. მათ შორის იყვნენ ალექსანდრე პარხომენკო. თედორე მოროზოვი, თედორე ლიტუნოვი, გრიგორ მირონენკო, კონსტანტინე ტრუნოვი, მედდა ტაისია პლოტნიკოვა, რომელიც დაჯილდოებული იყო ორი წითელი დროშის ორდენით, და მრავალი სხვა.

1919 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ბუდიონის ცხენოსანი კორპუსი კეპინსკაიას და უსტ-მედვედინსკაიას რაიონებიდან გადაისროლეს ვორონეჟის რაიონში გენერლების მამონტოვისა და შკუროს თეთრი ცხენოსნების წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმ დროს, როცა ბუდიონი უკანდახეულ მამონტოველებს დაედევნა სადგურ ტალოვაიასთან, შკუროს ცხენოსნებმა ტულინოვის რაიონში დალაშქრეს და აღმოსავლეთისაკენ უკუაგდეს მე-12 მსროლელი დივიზია. ამის შედეგად ჩვენს მე-13 და მე-8 არმიებს შორის წარმოიშვა ცარიელი სივრცე, რომელიც შკუროს ჩრდილოეთის მიმართულებით თავისუფალი მოქმედებისა და წითელ მხედრიონზე გალაშქრების საშუალებას აძლევდა.

13—14 ოქტომბერს შკუროს კორპუსმა წითლებად მიიჩნია უსმანის (სობაკინოს) რაიონში დაბანაკებული მამონტოვის ცხენოსანთა კორპუსი და ჩაება მასთან ბრძოლაში. შეცდომა ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ გაირკვა. თეთრების კორპუსში გაერთიანდნენ ერთობლივი მოქმედებისათვის. შკუროს ცხენოსანთა კორპუსი გან-

ლაგდა გრაფსკაიას რაიონში, უსმანსა და ვორონეჟში, გენერალ მამონტოვისა — ვორონეჟის სამხრეთ-აღმოსავლეთი.

სამხრეთის ფრონტის ჯარებს ვორონეჟთან ბრძოლაში ინიციატივა უნდა წაერთმიათ მტრისათვის, შეეჩერებინათ მისი შეტევა და მოემზადებინათ პირობები კონტრშეტევისათვის.

სამხრეთის ფრონტი ძლიერდებოდა. მარტო 1919 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე მის განკარგულებაში მოვიდა 2000 პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი. ცენტრალურმა კომიტეტმა ტროცკი გადააყენა სამხრეთის ოპერაციებში ხელმძღვანელობისა და მონაწილეობისაგან. აქ გამოგზავნეს ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. კ. ორჯონიკიძე და პარტიის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. ყველა შენაერთი შეივსო მოსკოვიდან, პეტროგრადიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან, ტვერიდან და სხვა დიდი ქალაქებიდან მოსული ახალი ნაწილებით.

ჩვენი ცხენოსანი ჯარის სამოქმედო რაიონი უსმანის, ზემლიანსკის, კასტორნაიას და ვორონეჟის საზღვრებში წარმოადგენდა გაშლილ ვაკეს. რომელსაც კვეთდა მდინარეები ვორონეჟი და დონი, რომელთა ნაპირებზეც გაჭიმული იყო თეთრების თავდაცვითი ნაგებობანი. ხიდები არ იყო. საინჟინრო გადასასვლელი საშუალებები ბუდიონელებს არ ჰქონდათ.

რკინიგზის ხაზზე გრაფსკაიადან ლისკამდე, ვორონეჟიდან კასტორნაიამდე და ელციდან კასტორნაიამდე მტრის 5—7 ჯავშნოსანი მატარებელი დადიოდა. ისინიც ზღუდავდნენ წითელი ცხენოსანი ჯარის მოქმედებას. ვორონეჟის ჩრდილოეთი გარეუბანი ეკლიანი მავთულხლართებით იყო გარშემორტყმული. გზები წვიმის გამო ძნელადსავალი გახდა, ხოლო მოგვიანებით კიდეც მოიყინა.

ადგილის თავისებურებათა, მტრის ძალების განლაგებისა და მათი თავდაცვისუნარიანობის გათვალისწინებით სამხრეთის ფრონტის სარდლობამ განსაზღვრა ცხენოსანი ჯარის მოქმედებისათვის ძირითადი საოპერაციო მიმართულება ვორონეჟიდან კასტორნაიას გავლით. ამ მიმართულებას უმოკლესი გზით გამოჰყავდა კორპუსი მტრის ზურგში. ვორონეჟისა და სადგურ კასტორნაიას აღებით იჭრებოდა სოლი, რომელიც წარმოიქმნა თეთრების არმიის მიერ ორიოლის რაიონში. ხოლო შკუროსა და მამონტოვის კორპუსების განადგურება ჩაფუშავდა დენიკინის მოსკოვზე გალაშქრების ავანტიურისტულ გეგმას.

საბრძოლო მოქმედების დაწყებისათვის ვორონეჟის რაიონში ბუდიონის კორპუსში იყო მე-4 და მე-6 ცხენოსანი დივიზიები, კორპუსისთვის გადაცემული მე-8 არმიის ცხენოსანთა ქვედანაყოფები, რკინიგზის მსროლელთა ბრიგადა და ორი ჯავშანმოედანი. სულ კორპუსში იყო 5500 ხმალი, 594 ხიშტი, 180 ტყვიამფრქვევი და 26 ქვემეხი.

თეთრების ძალას ვორონეჟში შეადგენდნენ: შკუროს კორპუსი (5000-მდე ხმალი, 2 პოლკამდე ქვეითი და 7 ჯავშნოსანი მატარებელი) და მამონტოვის ცხენოსანი კორპუსი (3000—4000 ხმლით). მტრის ცხენოსანთა საერთო მეთაურობა იკისრა შკურომ. ნავრამ თეთრების კორპუსები განლაგდნენ ერთმანეთისაგან საკმაოდ მოშორებით და მოქმედებდნენ დაქსაქსულად. ამიტომ ბრძოლის გადამწყვეტ მომენტებში თეთრგვარდიელთა რიცხობრივი უპირატესობა თითქმის არ იგრძნობოდა.

ვორონეჟთან და კრომთან ბრძოლაში მტერმა საგრძნობი დარტყმა იგემა. მძარცველობით სახელგატეხილმა მამონტოვისა და შკუროს თეთრმა ცხენოსანმა ჯარმა სამარცხვინოდ დაიხია სამხრეთისაკენ. სადგურ კასტორნაიას რაიონში, ვორონეჟ-კურსკისა და ელეცვალუიკის რკინიგზის გადაკვეთაზე, მდინარეების ოლიმითა და კასტორით დაცულმა თეთრგვარდიელთა ჯარებმა კვლავ ძლიერი დაჯგუფება შექმნეს. ამ რაიონში გადმოისროლეს ეგრეთ წოდებული მარკოვის დივიზიის ოფიცერთა პოლკები. აქვე მოუყარეს თავი უამრავ ტექნიკას, თვით სატანკო ქვედანაყოფების ჩათვლით. თეთრგვარდიელთა სარდლობა საფრანგეთიდან ახალმიღებული რენოს მარკის ტანკებით ცდილობდა დაეშინებინა და შეეჩერებინა წითელი არმიის ნაწილების წინსვლა.

კასტორნაიას თავდაცვით ზღუდეს რომ დავუფლებოდით, საჭირო იყო მდინარე ოლიმის გადალახვა. ეს უაღრესად რთული ამოცანა იყო. ძლიერი ყინვების მიუხედავად ამ დროისათვის მდინარე არ გაიყინა. ტანკები მანევრირებდნენ მოწინავე ხაზის წინ, მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში, ელეცი-კასტორნაია-ოსკოლის, კასტორნაია-ნიჟნედევიცკის რკინიგზის ხაზებზე მოძრაობდა ათამდე ჯავშნოსანი მატარებელი.

ჩვენს მე-4 ცხენოსან დივიზიას ეჭირა ვედუგის, გნილუშის, მელოვატკის რაიონები. მას უნდა შეეტია კასტორნაიას მიმართულებით და გაეფანტა მოპირდაპირე მხარეს მდგომი მტრის დაჯგუფება.

მე-6 ცხენოსანი დივიზია თავმოყრილი იყო კიევკის და ნოვაია ვე-დუგას რაიონებში. მის ამოცანას შეადგენდა: შეეტია სადგურ კას-ტორნაიას მიმართულებით და უზრუნველეყო კორპუსის მარცხენა ფლანგის უსაფრთხოება.

კორპუსის შტაბის უფროსი ვიქტორ ანდრიას ძე პოგრებოვი, ოპერატიული განყოფილების უფროსი სტეფანე ანდრიას ძე ზოტო-ვი და მე დიდხანს ვისხედით და თავს ვიმტვრევდით იმაზე, თუ რო-გორ ჩაგვეტარებინა კასტორნაიას ოპერაცია შექმნილ პირობებში. თითქოს ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო.

— სამწუხაროდ, არც ამინდი ვარგა, — თქვა მოღუშულმა ჩვენი კორპუსის შტაბის უფროსმა ვიქტორ ანდრიას ძემ, — თან ჩვენი დივიზიებიც საგრძნობლად დაფანტულია. მარჯვენა ფრთა უსპენსკოეშია, 40 ვერსზე. იქ ეს-ეს არის მივიდა მე-11 ცხენოსანი დივიზია და კოლესოვის ბრიგადა. მე-4 და მე-6 დივიზიები მარცხე-ნა ფრთაზეა.

— ვიქტორ ანდრიას ძევ, ნება მომეცით მოგახსენოთ ჩემი აზ-რი: მე ვფიქრობ ჩვენი ნაწილების ასეთი განლაგება საშუალებას მისცემს კორპუსს ორივე ფლანგიდან კონცენტრირებული დარტყმა აგემოს მტერს.

— სწორია, — დამეთანხმა კორპუსის შტაბის უფროსი, — მაგ-რამ ამისათვის საჭიროა რიცხობრივი უპირატესობა, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია.

შტაბის უფროსს მხარი დაუჭირა ოპერატიული განყოფილების უფროსმა ს. ა. ზოტოვმა.

— შეტევისათვის ამინდი, მართლაც, შეუფერებელია. მაგრამ რა დაგვრჩენია? — კვლავ ვიცავდი ჩემს აზრს. — აბა, ერთ ად-გილზე ვიდგეთ, რომ მტერმა კვლავ თავისი ნებასურვილი გვიკარ-ნახოს? წავიდეთ სემიონ მიხეილის ძესთან, მოვახსენოთ ჩვენი მო-საზრებანი, დაე, მანაც გამოთქვას თავისი აზრი.

ასეც გადავწყვიტეთ.

ქუჩას რომ გადავდიოდით, ძლიერმა ქარბუქმა კინაღამ წაგვაქ-ცია.

— გამაგრდი, ტიულენევ! — მხიარულად შემომძახა პოგრე-ბოვმა.

წინკარში რომ შევედით და თოვლისაგან ტანსაცმელი დავიბერ-ტყეთ, მან მითხრა:

— ხედავ, როგორი ამინდია? შენ კი ამბობ, შევუტიოთო. ასეთ ამინდში კარგი პატრონი ძაღლს არ გააგდებს გარეთ.

ბუდიონი ჩვენ გველოდებოდა, ზოტოვმა მას მოახსენა ჩვენი მოსაზრება, არც უამინდობა დავიწყებია.

— მე კი მიმაჩნია, რომ ჩვენი შეტევისათვის ზედგამოჭრილი ამინდია, — თქვა სემიონ მიხეილის ძემ. — ეს უზრუნველყოფს შეტევის მოულოდნელობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ თეთრები ჩვენ არ მიგველიან. ჩვენ კი მათ სეტყვასავით დავეცემით თავზე.

ბუდიონი დამაჯერებლად ლაპარაკობდა. ყველა „ჰოს“ და „არას“ რომ სწონიდა, მან მომავალი ოპერაციის გეგმა დაწვრილებით აღწერა.

— ხვალ დილითვე უნდა შევუტიოთ, როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, — დაასკვნა სემიონ მიხეილის ძემ.

ბუდიონს ყველაზე მეტად ის აფიქრებდა, მოვასწრებდით თუ არა ჩვენ ბრძანების გადაცემას, რომ კორპუსის ყველა ნაწილი მომზადებულიყო შეტევისათვის.

გადაწყდა, რომ მე-11 დივიზიასა და კოლესოვის ბრიგადაში მე წავიდოდი, მე-4-ში — პოტაპოვი, ხოლო სემიონ მიხეილის ძე შტაბთან ერთად იქნებოდა მარცხენა ფლანგზე, მთავარ დაჯგუფებაზე.

ძალიან გვიან დავბრუნდი შტაბიდან. ორდინარეცი სავახშმოდ მელოდებოდა.

— ვახშმისათვის არ მცალია, გაამზადე ცხენები, მე-11 დივიზიაში მივდივართ.

— ასეთ ქარბუქში? მეთერთმეტემდე ხომ ორმოცი ვერსია.

— თუნდაც ასი იყოს! გადადება არ შეიძლება.

— მე რა, მე მზად ვარ. სანამ თქვენ ივახშმებთ, ცხენები მზად იქნება.

ღამით დაცვის ოცეულის თანხლებით გავემგზავრე სტადნიციდან, სადაც კორპუსის შტაბი იდგა. ქარბუქი კვლავ მძვინვარებდა, ყინვა ძლიერდებოდა. სოფლის ბოლოს რომ გავაღწიეთ, მებრძოლებმა ერთხელ კიდევ შეამოწმეს ცხენების შეკაზმულობა, მე კი ამ დროს რუკაზე ჩვენი მოძრაობის მარშრუტი დავაზუსტე.

ჩვენ ჭენებ-ჭენებით ზუსტად დათქმულ დროს მივედით მე-11 დივიზიის შტაბში.

როცა თავით ფეხებამდე დათოვლილი შტაბში შევედი, ყვე-

ლამ — აქ კი თავი მოეყარა დივიზიის მეთაურთა მთელ შემადგენლობას, — გაკვირვებით შემომხედა.

— თქვენ ბუდიონის შტაბიდან ხართ? — მკითხა დივიზიის მეთაურმა მატუზენკომ.

— დიახ! — ისე გავითოშე, რომ ლაპარაკი მიჭირდა, დიდხანს ვისრესე გათოშილი ხელები და ბოლოს, როგორც იქნა, ამოვიღე და გადავეცი შეტევის ბრძანების პაკეტი.

მატუზენკომ სასწრაფოდ თვალი გადაავლო მას. გაკვირვებით შემომხედა. ხოლო შემდეგ ხმამაღლა წაუკითხა ბრძანება იქ მყოფ დივიზიის კომისარს ოზოლინს, ბრიგადის მეთაურებს მარკოზაშვილს, პოდმოზკოს, პატოლიჩევს და კოლესოვს.

— ყველაფერს შევასრულებთ, ტიულენევ, სწორედ ასე მოახსენეთ ამხანაგ ბუდიონს, — როგორც ძველ ნაცნობს, ისე მომმართა კოლესოვმა ბრძანების გაცნობის შემდეგ.

— მე ახლა არ მივდივარ. ნაბრძანები მაქვს, თქვენთან დავრჩე.

ბრიგადების მეთაურებმა საბრძოლო დავალებები მიიღეს. ოპერაციის ჩანაფიქრი მარტივი იყო: მოწინააღმდეგისათვის შეტევა სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, მისი ალყაში მოქცევა და განადგურება სადგურ კასტორნაიას რაიონში.

დავიშალენით ნაშუაღამევს. დასვენებისათვის ოთახი გამომიყვეს, მაგრამ მე სიამოვნებით მივიღე ოზოლინის მოწვევა და მასთან წავედი.

დივიზიის კომისარი დაბინავებული იყო ღარიბი გლეხის ქოხში. ჩვენ სიამოვნებით გავიშოტეთ სურნელოვანი თივის გროვაზე, რომელიც ორდინარეცმა პირდაპირ იატაკზე დაყარა. დაღლილობამ ძნელი გზის შემდეგ თავისი გააკეთა, მებლიტებოდა თვალები, მაგრამ მსურდა ახლო გამეცნო ოზოლინი, მესაუბრა მასთან, დაწვრილებით გამომეკითხა დივიზიის საბრძოლო და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

თითქოს ჩემს შეკითხვას უპასუხაო, კონსტანტინე ივანეს ძემ თქვა:

— მაგარი დივიზიაა!.. ბევრი მებრძოლი მეფის ცხენოსანთა ჯარში ნამსახურია. საკავალერიო საქმე იციან და უყვართ. კომუნისტები და კომკავშირელები ყველა პოლკში არიან, ისინი იძლევიან ტონს. ბევრია მოხალისედ მოსული ბუშა, ისინი გამოეხმაურნენ

პარტიის მოწოდებას: „პროლეტარებო — ცხენზე!“ ბევრი მეთაური ჯერ კიდევ წითელ გვარდიაში იბრძოდა. ასე რომ ძალა საიმედოა! თუმცა მე რას ვაქებ? ხვალ თითონ იხილავთ დივიზიას ბრძოლაში. — ოზოლინი გაჩუმდა, ხელები თავქვეშ ამოიდო, გაიხსენა ახლო წარსული და განაგრძო: — ფრონტზე წასვლის წინ ჩვენ ყველა პოლკში მიტინგებს ვატარებდით. თქვენ ვერ წარმოიდგენთ მებრძოლების აღტაცებას, როცა მათ შევატყობინეთ, რომ ჩვენი დივიზია უერთდება ბუდიონის ცხენოსან კორპუსსო, მიწა ზანზარებდა აღფრთოვანებულთა „ვაშასაგან“. მარტო ამით შეიძლება ვიმსჯელოთ ჩვენი მებრძოლების განწყობილებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ მეთერთმეტე დივიზია არ შეარცხვენს ბუდიონელთა საბრძოლო დიდებას!

— მითხარით, კონსტანტინ ივანეს ძე, ყინვა ხომ არ შეაშინებს თქვენს მეომრებს? — ვკითხე მე.

— არა. ყინვისა არ გვეშინია. მებრძოლები კარგად არიან ჩაცმული, — და თითქოს ამის დასადასტურებლად თავისი მაუდის ჩაფხუტი გამომიწოდა, თანაც სიამაყით შენიშნა: — ნამდვილი ბუდიონურია...

ჩვენი საუბარი თანდათან პირად თემას შეეხო. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა კონსტანტინე ივანეს ძემ ჩათვლიმა, მე კი კიდევ დიდხანს ვიწექი და ვფიქრობდი ამ კაცზე, რომელმაც თავის 26 წლის ასაკში ამდენი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ შეინარჩუნა სულის სიმტკიცე.

ოზოლინი დაიბადა ლიბავის ნავსადგურში, მუშის ოჯახში. ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა. ექვსი წლის კოსტია გააგზავნეს სოფელში ბიძამისთან, რომელიც თითონ მოჯამაგირეობდა ბარონთან. ორი წლის შემდეგ ბიჭი დაბრუნდა და შეუდგა ყდაში ჩასმის ხელობის შესწავლას, ხოლო საღამოობით წერა-კითხვას სწავლობდა. 1905 წლის რევოლუციის დროს, როცა მამამისი და მისი ამხანაგები ბარიკადებზე იბრძოდნენ, 12 წლის კოსტია მათი დავალებით აკრავდა და მიმოფანტავდა პროკლამაციებს.

ბევრი ტანჯვა-წამება მოუტანა კონსტანტინეს 1914 წელმა. მაშინ ის მეწისქვილის ქვეოსტატად მუშაობდა დობენკის მაზრის გრენდსგოფის მამულში. აქ მას შეუყვარდა წისქვილის მოიჯარის ქალიშვილი ირინე. ქალიშვილი თანაუგრძნობდა, მაგრამ მის მამასა და დედინაცვალს ქორწინების გაგონებაც კი არ სურდათ. მაშინ

ახალგაზრდები გაიქცნენ მშობლების დაულოცავად. დასახლდნენ ტუკუმის მაზრაში, სადაც ოზოლინმა, როგორც კვალიფიციურმა მეწისქვილემ, მიიღო ოსტატის ადგილი აქციონერული საზოგადოების წისქვილში.

მაგრამ მოკლე აღმოჩნდა ახალდაქორწინებულთა ბედნიერება. გაჩაღდა მსოფლიო ომი, გერმანელებმა დაიკავეს კურლანდიის გუბერნია. დამპყრობლები ძარცვავდნენ მოსახლეობას. მათ, ცხადია, არც წისქვილი გადაურჩა, სადაც ოზოლინი მუშაობდა. ახალგაზრდა ოსტატს ზოგჯერ უხდებოდა საუბარი გერმანელ ჯარისკაცებთან. როცა გუბერნიაში რუსეთის ჯარები შევიდნენ, ვიღაცის დაბეზღებით ხელისუფლებამ ოზოლინი დააპატიმრა „მტერთან კავშირისათვის“.

ოზოლინი იჯდა საკანში ლატვიელ და პოლონელ სოციალ-დემოკრატების ჯგუფთან ერთად. ზოგიერთ მათგანს ციხეში გატარებული ჰქონდა თხუთმეტი წელი. საკანში ხშირად საუბრობდნენ პოლიტიკურ თემებზე, ზოგჯერ ცხარე კამათიც იმართებოდა. სწორედ აქ შეიტყო კონსტანტინემ, რომ მუშებს ჰყავთ თავისი პარტია, რომლის მიზანია მეფის თვითმპყრობელობის დამხობა, ქვეყანაში პროლეტარიატის ძალაუფლების დამყარება.

ოზოლინის საქმე რამდენიმე თვე იყო გამოძიებაში. მას ემუქრებოდა სამხედრო სასამართლოზე გადაცემა. მაგრამ უეცრად ციხის კარები გაიღო. ლატვიელთა პატრიოტული ბატალიონების დაჟინებითი მოთხოვნით ხელისუფლება იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებინა უსამართლოდ დაპატიმრებული ლატვიელები.

ციხიდან რომ გამოვიდა, კონსტანტინე გაემგზავრა ნიჟნი ნოვგოროდში, რომ მოწყობილიყო ქარხანაში, სადაც მისი ბიძა მუშაობდა. მაგრამ როგორც კი გამოცხადდა რეგისტრაციაზე სამხედრო უფროსთან, ის მობილიზებული იქნა არმიაში და ჩარიცხეს 62-ე სათადარიგო პოლკში. მალე ფრონტზე გაგზავნა ელოდა. მას არ სურდა ხალხის მტრების ინტერესებისათვის ებრძოლა და მიაღწია სპეციალისტების რაზმში დანიშვნას. რამდენიმე თვე იმუშავა სამხედრო საწარმოებში. შემდეგ მაინც გააგზავნეს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, მძიმე არტილერიის მე-2 ცალკე დივიზიონში.

1917 წლის მარტში ჯარისკაცთა და უნტერ-ოფიცერთა ხალხმრავალ კრებაზე რიგითი ოზოლინი აირჩიეს იმ კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელიც მეთაურობდა სამხედრო ნაწილს.

აგვისტოში „არასაიმედო“ საარტილერიო დივიზიონი მოხსნეს წინა ხაზიდან და სმოლენსკში გაგზავნეს. აქ კონსტანტინე ოზოლინმა კავშირი დაამყარა ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან და ის პარტიის რიგებშიც მიიღეს.

ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში დივიზიონი ბოლშევიკების დასაყრდენი გახდა. ის აქტიურად მონაწილეობს დროებითი მთავრობის ერთგული ჯარების განიარაღებაში. 1917 წლის ოქტომბერში დივიზიონის პირადი შემადგენლობა კ. ი. ოზოლინს ირჩევს თავის მეთაურად.

სმოლენსკიდან არტილერიის დივიზიონი გააგზავნეს ტამბოვში დასაშლელად. აქ კ. ი. ოზოლინი ლატვიელთა ყოფილი ბატალიონების ნარჩენებისაგან ქმნის ეგრეთ წოდებულ ლატვიელ მსროლელთა კოლონას. ლატვიელებს შეუერთდნენ მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები სამხედრო ტყვეთაგან. ასე წარმოიშვა განსაკუთრებული დანიშნულების კომუნისტური რაზმი კონსტანტინე ოზოლინის მეთაურობით.

ოზოლინის რაზმს მაშინვე მოუხდა მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ გამოსვლა, ტამბოვის გუბერნიაში კონტრრევოლუციური ამბოხების ჩაქრობაში მონაწილეობა.

1918 წლის ზაფხულში რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ბრძანებით ოზოლინის რაზმი სამხრეთის ფრონტზე მე-9 არმიაში მივიდა. იქ ის შეუერთდა ლატვიელთა დამკვრელურ ჯგუფს. ორი თვის შემდეგ არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ბრძანებით ოზოლინი აყალიბებს ცხენოსანთა განსაკუთრებულ ბრიგადას და ინიშნება მის კომისრად.

ამ ბრიგადის კომისრად ის მთელ წელიწადს რჩება. მაშინდელი წელიწადი მოვლენათა სწრაფი სვლისა და დაძაბულობის მიხედვით სხვა დროის ათწლეულს უდრიდა. შემდეგ კონსტანტინე ივანეს ძე მე-11 ცხენოსანი დივიზიის კომისრად დანიშნეს.

...და აი გათენდა.

ოპერაცია უნდა დაეწყო მარკოზაშვილის ბრიგადის ორ პოლკს. ჩამოქვეითებული კავალერისტები მიეშურებოდნენ მდინარე ოლიმის გადასალახავად. მათ მარჯვნივ იმყოფებოდა პოდმოზკოს ბრიგადა, მარცხნივ — კოლესოვის ბრიგადა. პატოლიჩევის ბრიგადა ცენტრში განლაგდა.

კომისარი ჩამოქვეითებულთა პირველ ეშელონში იყო, რომლის მოქმედებაც წყვეტდა ბრძოლის წარმატებას.

ჩამოქვეითებული კავალერისტები ღარტაფის გავლით მდინარეს მიუახლოვდნენ. მოწინააღმდეგე ცეცხლს არ ხსნიდა. როგორც კი ჩვენები ოლიმის ნაპირს მიადგნენ, სროლა ატეხეს მტრის ქვემეხებმა. მაგრამ ჩვენმა ბატარეებმა შეძლეს საცეცხლე დარტყმის ნეიტრალიზება.

ოლიმი თხელი ყინულით იყო დაფარული. პირველივე ჯარისკაცი, რომელმაც ფეხი შედგა ყინულზე, წელამდე ჩავარდა წყალში და უკან გადმოხტა ნაპირზე.

— რას იზამ, მოგვიწევს ბანაობა, — მხიარულად, თითქოს არაფერიაო, თქვა ოზოლინმა.

ასწია ყინულის ქურქი და შევიდა გაყინულ წყალში. მას მეომრებიც მიყვნენ.

შემდეგ იერიშზე გადავიდნენ კოლესოვისა და პატოლიჩევის ბრიგადების კავალერისტები. თეთრების ქვეითთა ნაწილები ასეთ ელვისებურ იერიშს არ მოელოდნენ და სასწრაფოდ დაიწყეს უკანდახევა ოლიმის მარჯვენა ნაპირზე.

დასველებული, გაყინულტანსაცმლიანი მებრძოლები შესხდნენ მდინარის მეორე ნაპირზე გადაყვანილ ცხენებზე და კვლავ განაგრძეს მტრის დევნა.

თითქმის თვით სოფლამდე და სადგურ კასტორნაიამდე მივიდნენ ჩვენი ცხენოსნები. მაგრამ აქ შეტევა შეფერხდა. გენერალმა პოსტოვსკიმ რკინიგზის კვანძის დასაცავად გადმოისროლა ოფიცერთა პოლკები, რომელთა ზურგს უკან გონს მოეგო თეთრების უკანდახეული ქვეითი ჯარიც.

დივიზიის მეთაურმა მატუზენკომ, ბრიგადის მეთაურმა კოლესოვმა და მე გადავინაცვლეთ ახალ სამეთაურო პუნქტზე, შეშფოთებით ვადევნებდით თვალს ბრძოლის ველს, ვცდილობდით აღგვედგინა კავშირი 42-ე მსროლელ დივიზიასთან, რომელიც უნდა მოსულიყო მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანდა.

დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა. ჩვენი პოლკები ხან ცხენებზე ამხედრებული, ხან ქვეითი მწყობრით უტევდნენ თეთრების პოზიციებს, მაგრამ უშედეგოდ. საღამოს მოწინააღმდეგე კონტრშეტევაზე გადმოვიდა. მარცხენა ფლანგზე მოვიგერიეთ იერიში, მარჯვენაზე კი პოდმოზკოს ბრიგადას უკანდახევა მოუხდა. მაგრამ აი ბო-

ლოს მოაღწიეს 42-ე დივიზიის მოწინავე ნაწილებმა და მტრის წინსვლა შეჩერებული იქნა. ამ დროს კორპუსის მთავარმა ძალებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი კასტორნაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით. მე-4 და მე-6 დივიზიებმა, რომლებსაც თვითონ ბუდიონი მიუძღოდა, გადაკრეს რკინიგზა და თეთრებს სამხრეთით უკანდასახევი გზა მოუკრეს.

მე-11 დივიზია კვლავ გადაეშვა სწრაფ შეტევაზე. მოწინააღმდეგემ უკვე ვეღარ გაუძლო ამ დარტყმას, ჯარისკაცები ჯგუფებად ბარდებოდნენ ტყვედ. მარტო მე-11 ცხენოსანმა დივიზიამ თავის უბანზე დაატყვევა ათას ხუთასი ჯარისკაცი, ხელთ იგდო სამი ჯავშნოსანი მატარებელი და ბევრი სხვადასხვა სახის სამხედრო ნადავლი.

კასტორნაიას ოპერაცია ბრწყინვალედ დასრულდა.

წითელი ცხენოსნების გამარჯვებამ კასტორნაიასთან დასაწყისი მისცა ჩვენს საერთო შეტევას და გენერალ დენიკინის თეთრი არმიის დამარცხებას.

1919 წლის 17 ნოემბერს რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ სამხრეთის ფრონტის სარდლობის მოხსენების შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთის ფრონტის 1-ლ ცხენოსან კორპუსს დარქმეოდა რსფსრ ცხენოსანი არმია. არმიის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში შევიდნენ კ. ე. ვოროშილოვი და ე. ა. შჩადენკო, ხოლო შემდეგ რკპ(ბ) ცარიცინის კომიტეტის ყოფილი მდივანი ს. კ. მინინი.

ამ აქტის. ოფიციალური გაფორმებისათვის სტარო-ოსკოლკის რაიონის სოფელ ველიკაია მიხაილოვკაში, სადაც იმყოფებოდა კორპუსის შტაბი, ჩამოვიდა სამხრეთის ფრონტის სარდლობა — ა. ი. ეგოროვი და ი. ბ. სტალინი.

სამხრეთის ფრონტისა და კორპუსის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ფრონტის სარდალმა ალექსანდრე ილიას ძე ეგოროვმა წაიკითხა ბრძანება სამხრეთის ფრონტის 1-ლი ცხენოსანი კორპუსის რსფსრ ცხენოსან არმიად გარდაქმნის შესახებ.

— ამიერიდან, — თქვა მან, — კორპუსის შტაბი კისრულობს არმიის ორგანიზმის ყველა ფუნქციას და იქცევა ცხენოსანი არმი-

ის შტაბად. ვთხოვ პირველი ცხენოსანი არმიის შტაბის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ს. ა. ზოტოვს მოახსენოს სამხრეთის ფრონტის სარდლობას ვითარება და ის ამოცანები, რომლებსაც არმიის ნაწილები ასრულებენ.

ს. ა. ზოტოვმა გახსნა საქაღალდე და დაიწყო მოხსენება:

— მოწინააღმდეგის განადგურების ამოცანათა საერთო ფონზე დონბასში ფრონტის დირექტივის შესაბამისად პირველი ცხენოსანი არმია არმიის სარდლის ბუდიონისა და მისი შტაბის გადაწყვეტილებით უნდა გახდეს ძირითადი ძალა — ტარანი, რომელიც უნდა შეიჭრას მტრის რიგებში დონბასის მისადგომებიდან აზოვის ზღვამდე. მისი გაბედული მოქმედება საშუალებას მისცემს სამხრეთის ფრონტის ჯარებს ნაწილ-ნაწილ გაანადგუროს მოწინააღმდეგის ძალები.

ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრებმა მოიწონეს ზოტოვის მოხსენება. დასასრულ, ი. ბ. სტალინმა თქვა:

— ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, როგორც სწორად მოგვახსენა აქ ამხანაგმა ზოტოვმა, რომ მოწინააღმდეგის ფრონტი გავხლიჩოთ ორ ნაწილად, არ მივცეთ საშუალება უკრაინაში მყოფ დენიკინის ჯარებს დაიხიონ ჩრდილოეთ კავკასიაში. ამაშია გამარჯვების საწინდარი. და ეს ამოცანა ფრონტის სარდლობამ დააკისრა პირველ ცხენოსან არმიას.

ამოცანა ფრიად საპასუხისმგებლოა, ის მოითხოვს ძალების მაქსიმალურ დაძაბვას. ცხენოსან არმიას მოუწევს დონბასის გავლა, სადაც შეიძლება არ იქნეს ფურაჟი. მაგრამ მას შეეგებება დონბასის პროლეტარიატი, რომელიც ელოდება წითელ არმიას და მისთვის არაფერს დაიშურებს... თავის მხრივ ფრონტის სარდლობა ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ცხენოსანი არმია ყველა აუცილებელით.

ამ სხდომაზე ს. მ. ბუდიონს გადაეცა საპატიო რევოლუციური იარაღი (ხმალი) და მასთან ერთად — წითელი დროშის ორდენი, ხოლო ს. ა. ზოტოვს — სახელობითი ოქროს საათი.

შტაბში მუშაობამ იმატა და მნიშვნელოვნად გართულდა. არმიის დაზვერვის უფროსის მოვალეობას რომ ვასრულებდი, მე უკვე აღარ ვიზღუდებოდი მარტო მიღებული სადაზვერვო მონაცემების ჩამოთვლით, არამედ გულმოდგინედ ვაანალიზებდი მათ და ვაკეთებდი სათანადო დასკვნებს, პროგნოზებსაც კი მომავლისათვის.

ამავე დროს რამდენჯერმე დავფიქრებულვარ: „შემიძლია კი ამის გაკეთება? ხომ არ სჯობს სამწყობრო სამსახურში ჩავდგე?“

ჩემი სურვილი სარდლობას მოვახსენე. სემიონ მიხეილის ძე ბუდიონს და კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვს გაგონებაც არ სურდათ ჩემი შტაბიდან წასვლის შესახებ.

— ეს რა, გაქცევა მოისურვე? — მითხრა ვოროშილოვმა. — სიძნელეებს შეუშინდი? თუ იქნებ ჩვენთან არ გსურს იმუშაო? არა, ჩემო ძმაო, შენი პოსტი აქ არის. მოვა დრო და ჩვენ შენ გაგაგზავნით მეთაურის თანამდებობაზე. მანამ კი იმუშავე აქ და სიძნელეების ნუ გეშინია. კაცს ყველაფერი შეუძლია. დაეყრდენი შენს თანაშემწეებს, ჩვენც მოგეხმარებიო...

1919 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში ცხენოსანმა არმიამ წაიწია გამოსასვლელ ზღუდეზე გადამწყვეტი დარტყმისათვის. დადგა დონბასის განთავისუფლების დრო.

დენიკინმა თავის ძალებს თავი მოუყარა კუპიანსკთან და ცდილობდა აქ შეეჩერებინა წითელი არმიის შეტევა. ჩვენ უნდა აგვეღო სადგური სვატოვო და გადაგვეჭრა ჩრდილოეთიდან დონბასში მიმავალი რკინიგზის ხაზი. ეს ამოცანა დაეკისრა მე-4 და მე-11 დივიზიებისაგან შემდგარ დამკვრელურ ჯგუფს.

16 დეკემბერს ნისლიან, სუსხიან დილას მეოთხე დივიზიის საში ბრიგადა მივიდა სადგურ სვატოვოსთან და... „ალყა შემოარტყეს უკან“. ხუთმა ჯავშნოსანმა მატარებელმა ცეცხლი გაუხსნა მათ.

რკინიგზის ზოლს გაღმა თვით მაღალი გრძელი სერის ქანობამდე გაჭიმული იყო დიდი სოფელი ნოვო-ეკატერინოსლაველი. იქამდე შიდიოდა მხოლოდ ერთადერთი გზა — რკინიგზის ვაკისი. მაგრამ ჩვენმა მზვერავებმა მაინც შეძლეს სოფელში შესვლა და გვაცნობეს, რომ იქ მოწინააღმდეგე არ არის, გარდა ოფიცერთა ასეულებისა და სხვადასხვა რაზმისა, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ სადგურზე ჯავშნოსან მატარებლებთან.

ეს რომ გაიგო, მეორე ბატარეის მეთაურმა შაპოვალოვმა გადაწყვიტა იერიში მიეტანა ზურგიდან ჯავშნოსან მატარებელზე. მისი ბატარეა ადგილიდან მოწყდა და ტყვიამფრქვევთა გააფთრებული ცეცხლის ქვეშ ხმაურით გაიჭრა რკინიგზის ზოლს გაღმა. გავიდა რამდენიმე წუთი და შაპოვალოვის ქვემეხებმა ზურგიდან დაარ-

ტყეს ჯავშნოსან მატარებლებს. დარტყმამ მიაღწია მიზანს — წინას მომდევნო ჯავშნოსნის ორთქლმავალი ლიანდაგს ასცდა და გზა გადაუღობა ყველა დანარჩენს. მარტო ერთმა ჯავშნოსანმა მატარებელმა შეძლო გაქცევა. ის გარბოდა და თან უწესრიგოდ ესროდა წითელ ცხენოსნებს, რომლებიც ნიაღვარივით გაიჭრნენ სადგურისაკენ...

თეთრები სერიოზულად შეაშფოთა ამ გარღვევამ მათ ზურგში. მტერმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, აქ გაენადგურებინა ჩვენი ნაწილები. გენერალმა მამონტოვმა გლეხურ ოთხთვალებზე დასვა ორი ათასი ოფიცერი. ორი ცხენოსანი დივიზიის და შკუროსა და ულაგაის ცხენოსნების ნარჩენთა დახმარებით, ისინი სოფლისაკენ გამოიჭრნენ, სურდათ ესარგებლათ მოულოდნელობით. მაგრამ ჩვეხი დაზვერვა არ თელემდა. განთიადისას მე-19 პოლკის მეთაური სტრეპუხოვი გოროდოვიკოვს მოახსენებდა:

— ამხანაგო დივიზიის მეთაურო! კუპიანსკიდან ქედზე მოძრაობს თეთრების აღალი, პირდაპირ ჩვენზე მოდიან... ცხენოსნები კი ცოტა ყავთ. ნება მომეცით ერთბაშად ავიყვანო.

— რა ნებართვა მოგცე? წადი და იმოქმედე. მაგრამ მომახსენე, ხომ არაა იქ რამე აღალზე სერიოზული, — გზა დაულოცა მას გოროდოვიკოვმა და ბრძანა დივიზია განგაშით ფეხზე დაეყენებინათ.

ვერც კი მოასწრო მე-19 პოლკმა იერიშისათვის მომზადებულიყო, რომ აღალიდან ქვეითები გადმოხტნენ. მათი ჯაჭვი წინ მოიწევდა. დივიზიამ გაშლა ვერ მოასწრო, რომ შემოუტიეს თეთრების ქვეითებმა და ცხენოსნებმა. ჩვენი პოლკები ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდნენ უკან სოფლისაკენ. იქ კიდევ — სადგური უზარმაზარი ნადავლით და ჩვენი აღალით!.. სიბნელეში მე-4 დივიზიის ყველა ჩვენი ნაწილი სოფელში დაეშვა. მათ კვალდაკვალ იქ შეიჭრნენ მოწინააღმდეგის ქვეითები. ღამის ლაშქრობით და დღის ბრძოლებში დაღლილ თეთრებს არ შეეძლოთ ქუჩის ბრძოლაში ჩაბმა. ჩვენს ცხენოსნებსაც ღონე გამოელიათ და არ შეეძლოთ კონტრიერიშზე გადასვლა.

ასე გაათიეს ღამე ორივე მხარის ჯარებმა ერთი და იმავე სოფლის სხვადასხვა ბოლოში. მხოლოდ განთიადისას გარეკეს სწრაფად მტერი განლაგებიდან ერთობლივი მოქმედებით დასახმარებლად მოსულმა მე-11 დივიზიის ბრიგადამ და მე-4 დივიზიის ნაწილებმა. თეთრებმა უკან დაიხიეს სამხრეთით სოფელ მელოვატკაში, სადაც

დაიწყეს თავმოყრა და დაჯგუფება, დონბასიდან მოსული ჯავშნოსანი მატარებლების საფარ ქვეშ.

ორ მომდევნო დღეს კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლა, რომელმაც ვერც ერთ მხარეს, ვერც ჩვენ და ვერც მოწინააღმდეგეს, წარმატება ვერ მოუტანა. განსაკუთრებით გვიშლიდნენ ხელს თეთრების ჯავშნოსანი მატარებლები. ჯავშნოსნები ჩვენც გვქონდა, მაგრამ მათ ვერ მოაღწიეს გზის უვარგისობის გამო.

19 დეკემბრის გვიან საღამოს ბუდიონი, ვოროშილოვი, ზოტოვი და მე მე-4 არმიის შტაბში მივედით. ვითარებას რომ გავეცანით, შევუდექით შემდგომი მოქმედების გეგმის განხილვას. თათბირი განთიადამდე გაგრძელდა.

უეცრად დეკემბრის დილის სიწყნარე აფეთქების ხმამ დაარღვია. ეს სიბნელეში თეთრების ჯავშნოსანი უახლოვდებოდა სოფელს. კიდევ ორჯერ გასკდა ბომბი სულ ახლოს.

— როგორც ჩანს, დღეს თვალის მოხუჭვის საშუალებას არ მოგვცემენ, ჩვენ კი გუშინდელი ღამის შემდეგ არ გვიძინია, — შშვიდად თქვა სემიონ მიხეილის ძემ.

მე ფრთხილად ვურჩიე მათ გადაგვენაცვლებინა სოფლის მეორე ნაპირას, სადაც მოწინააღმდეგის ბომბები ვერ აღწევდნენ.

— თქვენ, ძვირფასო, ჩვენზე ნუ ნაღვლობთ. თუ საჭირო იქნება, გადავალთ. სჯობს გაიგო, რატომ სდუმან ჩვენი ნადავლი ჯავშნოსანი მატარებლები? — იკითხა კლიმენტი ეფრემის ძემ და შეუდგა ორდინარეცის მიერ მოტანილი ჩაის სმას

სადგურამდე მისვლა ვერ მოვასწარი, რომ გაისმა ჩვენი სიპასუხო სროლა. თეთრებისათვის წართმეული ჯავშნოსანი მატარებლები ერთ ღამეში გაარემონტეს და სროლა აუტეხეს მტრის ჯავშნოსან მატარებელს, რომელიც მოულოდნელობისაგან მაშინვე ჩაჩუმდა.

მალე დაზვერვამ გვაცნობა, რომ მელოვატკიდან ქედზე დაიწყეს შემოსვლა ცხენოსანთა დიდმა კოლონებმა, ჩვენმა პოლკებმაც დაიწყეს ქედზე გაშლა და დაელოდნენ, სანამ მოწინააღმდეგე აღმოჩნდებოდა ცხვირწინ.

დაახლოებით თერთმეტი საათისათვის თეთრებმა შენიშნეს ჩვენი შემხვედრი მოძრაობა და დაიწყეს იერიშისათვის გაშლა. შეუიარაღებელი თვალით ჩანდა, როგორ იშლებოდა შარაგზის აქეთ-იქით ცხენოსანთა უზარმაზარი კოლონები, როგორ გაიშალა ფრონტად მთელი პოლკები,

ო. ი. გოროდოვიკოვმა მიმართა საკომანდო პუნქტზე მოსულ ბრიგადების მეთაურებს:

— თვითონ ხედავთ, მოწინააღმდეგე ემზადება ჩვენზე საიერიშოდ. ჩემი გადაწყვეტილებაა: მეორე ბრიგადა მას აქ შეხვდეს. მოემზადოს ბატარეა. ცეცხლი გახსნას ჩემი სიგნალის მიხედვით. პირველი და მესამე ბრიგადები გაემართებიან ზევით სოფლების იურიევკისა და მარიეევკისაკენ. როგორც კი თეთრები მოაღწევენ, აქ შეუტიეთ ფლანგებიდან.

მარჯვნივ მოშორებით ქუხდა არტილერია. იქ უტევდა ჩვენი მე-9 მსროლელი დივიზია. 1-ლი და მე-3 ბრიგადები სწრაფად შემობრუნდნენ ხევში და წინ გაემართნენ.

მოწინააღმდეგე ამასობაში ახლოვდებოდა. მალე მან ცეცხლი გახსნა ორი ბატარეით. ყუმბარა ხან თავს გადაეელებოდა, ხან მიზნამდე ვერ აღწევდა. მაგრამ, აი ეროი ყუმბარა საკომანდო პუნქტიდან ოცდაათიოდე ნაბიჯზე გასკდა. ნამსხვრევებმა და გაყინული მიწის ბელტებმა თავზე გადაგვიქროლეს. აცმუკდნენ ცხენები. კლიმენტი ეფრემის ძემ თავისი ცხენის სადავე მოსწია და ხუმრობით შენიშნა:

— აი სულელები! რა ტყუილად ხარჯავენ ბომბებს? თქვენ კი, როდის გაუმასპინძლდებით მათ? — მიუბრუნდა მე-2 ბატარეის მეთაურს შაპოვალოვს.

— მაშინვე, როგორც კი ამხანაგი დივიზიის მეთაური მიბრძანებს... მე ვფიქრობ, დროა დავიწყოთ, თუ არა, იყნოსავენ ბატარეებს და მოგვიწევს პოზიციის გამოცვლა, — უპასუხა შაპოვალოვმა და პასუხის მოლოდინში შეხედა გოროდოვიკოვს.

— მაშ, დაიწყე! ურტყი მათ ორივე ბატარეიდან! — უპასუხა გოროდოვიკოვმა.

საკომანდო პუნქტს ჩაუარა 21-ე ცხენოსანმა პოლკმა და დაიწყო საიერიშოდ გაშლა. მებრძოლებმა ბუდიონი და ვოროშილოვი შენიშნეს და მხიარულად მიესალმნენ მათ.

— აჰა, დონელ-სტავროპოლელები, — იცნო ძველი ნაცნობები კლიმენტი ეფრემის ძემ. მას ისინი ახსოვდა ცარიცინის ოპერაციებიდან, როცა მე-10 არმიას სარდლობდა.

— ბატარეებო... ცეცხლი!.. — გასცა ბრძანება შაპოვალოვმა.

დაიქუხეს ქვემეხებმა.

ოთხი შავ-ნაცრისფერი სვეტი აღიმართა მოწინააღმდეგის მწკრივში.

— კარგია! პირველო ბატარეავ, დაუშინე კოლონას ყუმბარები!.. მეორე — დაუშინე ბატარეას... ცეცხლი! — იძახდა შაპოვალოვი.

ვაკეზე მეომართა მწკრივები ხელისგულივით მოჩანდა. არტილერისტები მოუღლელად მუშაობდნენ. რამდენიმე წუთში მათ ყუმბარებით და შრაპნელით დაფარეს მოწინააღმდეგე. თეთრები არ მოელოდნენ ასეთ გააფთრებულ ცეცხლს. მწკრივები შედრკა, დაიშალა, ცეცხლისაგან რომ თავი დაეცვათ, ქვეითები, მხედრები, ოთხთვალები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, მტრის რიგებში ყველაფერი აირ-დაირია.

და აი მტერს თავზე დააცხრნენ, როგორც მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი, აელვარებული ხმლებით, მჭექარე „ვაშას“ ძახილით მე-2 ბრიგადის პოლკები...

— ხედავ, სემიონ მიხეილის ძევ, რა დღე დავაყარეთ კადეტებს! — წამოიძახა გახარებულმა გოროდოვიკოვმა. — ნება მომეცი, მეც ჩავერთო იერიშში, აქ მე აღარაფერი მესაქმება...

— აქ ჩვენც აღარაფერი გვესაქმება, — მხარი დაუჭირა მას კ. ე. ვოროშილოვმა, აიწია უზანგებზე და მიუშვა ცხენი.

ჩვენც მათ მივყევით. ქარი გვიწიოდა ყურებში, ლამის მოგვტაცა ქუდები. კავალერისტები დაედევნენ ჩამორჩენილ მხედართა პატარა ჯგუფებს. თეთრი ცხენოსნები, სამჯერ რომ აღემატებოდნენ რიცხობრივად ჩვენს მეორე ბრიგადას, ისე შეაძრწუნა ცეცხლის ნიაღვარმა და ცხენოსანთა დარტყმამ, რომ გონს ვერ მოეგო და წინააღმდეგობა ვეღარ გაგვიწია.

დეკემბრის 20 რიცხვში ცხენოსანი არმია დონბასში შევიდა. ჩვენ შევჩერდით სადგურ პერეეზდნიაში.

ფურაჟის საქმე ცუდად იყო. მოსვენებას არ მაძლევდა აზრი: „რით გამოვკვებოთ ცხენები?“ შევიხედე საჯინიბოში და რას ვხედავ, ცხენები თივას ახრამუნებენ!

შევედი ქოხში, ვხედავ — ჩემი ორდინარეცი ზის ქოხის პატრონთან, ძველ მეშახტესთან და სვამს ჩაის, უფრო სწორად, ჩაის კი არა, ბალახის ნახარშს. დიასახლისი კი აცხობს პურის კვერებს.

— ეს საიდან? — გამიკვირდა.

მუშამ საყვედურით შემომხედა.

— შენ რა, ამხანაგო მეთაურო, გეგონა, თეთრებს ვერაფერს დავუმალავდით? ან ფიქრობ, თქვენ არ გელოდით?

სიამოვნებით მივუჯექი მაგიდას, სადაც თუხთუხებდა სამოვარი, ოჰ, რა გემრიელი მომეჩვენა ეს ბალახის ნახარში!

მაგრამ ვერ მოვასწარი შემესვა ფინჯანიც კი, რომ სასწრაფოდ შტაბში გამომიძახეს. იქ ხშირად ცხადდებოდნენ მუშები — ახალგაზრდები და ხნიერები — არმიაში მიღების სათხოვნელად.

საღამოს ორდინარეცმა მითხრა:

— მართლაც რომ ოქრო ხალხია ეს მეშახტეები, ამხანაგო მეთაურო! თითონ არაფერი გააჩნიათ და ჩვენთვის კი უკანასკნელ ლუკმას არ იშურებენ.

ცხენოსან არმიელებს მუდამ ემახსოვრებათ გულთბილი ამხანაგური შეხვედრები დონეცკელ მუშებთან. არ ყოფილა ისეთი რაიონი, სოფელი თუ ქალაქი, სადაც ჩვენს შესახვედრად არ მოსულიყვნენ მეშახტეები სიმღერით, დროშებით და პურ-მარილით.

თეთრების ზურგში აჯანყდა ლუგანსკი — კლიმენტი ეფრემის ძის მშობლიური ქალაქი. ამ აჯანყებამ წაართვა მათ რაიმე მანევრირების საშუალება ჩვენი არმიის მარცხენა ფლანგზე.

მუშებიც ჩაებნენ თეთრებთან ომში: ანგრევდნენ შახტებს, მოჰქონდათ და მალავდნენ ინსტრუმენტებს, წყობილებიდან გამოჰყავდათ ელექტროსადგურები, მოწყობილობანი; მაგრამ როგორც კი საჭირო იქნებოდა სინათლე და ქვანახშირი წითელი არმიისათვის, მუშებს დაუყოვნებლივ მოჰყავდათ წესრიგში ყველა დაზიანებული ობიექტი. მახსოვს, ერთხელ რა სიძულვილით ლაპარაკობდა თეთრი ტყვე ოფიცერი:

— შევეცადეთ, გავმაგრებულიყავით ჩრდილოეთ დონეცზე, მაგრამ ამ წყეულ რაიონში ყველა თქვენს, წითლების, მხარეზეა. სამწუხაროა, — დაუმატა მან, — ჩვენ ამას ძალიან გვიან მივხვდით!

...დამარცხებული, ორ ნაწილად გაყოფილი თეთრი არმიები სასწრაფოდ იხევდნენ ყირიმისაკენ და დონს გაღმა.

1920 წლის 2 იანვარს დენიკინმა გააერთიანა ყველა ჯარი გენერალ სიდორინის საერთო სარდლობის ქვეშ, რომელსაც ოპერატიული თვალსაზრისით დაუმორჩილა გენერალ კუტეპოვის „მოხალისეთა“ კორპუსი, დონის როსტოვს იცავდნენ „მოხალისეები“, ხოლო ნოვოჩერკასკს — დონელები, ცენტრში კი შვერილზე თავი

შოუყარა გენერლების ტოპორკოვის და მამონტოვის ცხენოსან კორპუსებს.

თეთრები ვარაუდობდნენ, როსტოვის მისადგომებთან შეეჩერებინათ წითლების შეტევა, რომ უზრუნველეყოთ ძვირფასეულობათა ევაკუაცია როსტოვიდან და ტაგანროგიდან და არმიების ზურგის ძალების გაყვანა დონს გაღმა. მაგრამ მტრის ეს ვარაუდი არ გამართლდა. 6 იანვარს მათ უკან დაიხიეს როსტოვ-ნოვოჩერკასკის პლაცდარმზე.

მიუხედავად გააფთრებული მრავალდღიანი ბრძოლებისა დონბასში, წითელ არმიას არ დაუკარგავს საბრძოლო სულისკვეთება. მან დაუყოვნებლივ შეუტია მტერს.

8 იანვარს 20 საათზე მე-6 ცხენოსანი დივიზია შეიჭრა როსტოვში. ქალაქის განაპირა ქუჩებში სიწყნარე და სიცარიელე სუფევდა. მხოლოდ ცენტრში დათარეშობდნენ მთვრალი თეთრი ოფიცრები. ისინი მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს, როცა წითელმა ცხენოსნებმა დაიკავეს ქალაქის ნახევარი. გაიმართა ქუჩის ბრძოლები, დილამდე გრძელდებოდა სროლა, ჩვენები ქუჩებს ერთიმეორის მიყოლებით ათავისუფლებდნენ.

იმავე საღამოს მე-4 ცხენოსანმა დივიზიამ დაიკავა ნახჭევანი. მოწინააღმდეგე თავგანწირულად ცდილობდა დაკარგული პოზიციების დაბრუნებას. განთიადისას მათი ორი ქვეითი პოლკი მოვიდა და შეუტია ჩვენს ცხენოსნებს. მაგრამ ჩვენები ჩამოქვეითდნენ და კონტრიერიშზე გადავიდნენ. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ თეთრების ორივე პოლკი დატყვევებული იქნა. ამ ბრძოლაში ჩვენს ცხენოსნებს დიდი დახმარება გაუწია სვერდლოვის სახელობის ავტოჯავშნოსანმა რაზმმა.

9 იანვარს დილით მე-4 ცხენოსანმა დივიზამ დაიკავა სტანიცა აქსაი, ხოლო 10 იანვარს თეთრებისაგან საბოლოოდ გაწმინდა როსტოვი.

ძალთა კიდევ ერთი მოკრეფა, კიდევ ერთი შეთანხმებული ძლიერი დარტყმა და წითელი არმიის ნაწილებს შეეძლოთ მტრის მხრებზე გადავლით გადაელახათ მდინარეები დონი და მანიჩი. მაგრამ საჭირო იყო შეტევისათვის მომზადება: უნდა შექმნილიყო დამკვრელი ჯგუფი ცხენოსანი დივიზიებისაგან, გადაჯგუფებულიყო მე-8 არმიის ნაწილები.

მაგრამ ჩრდილო-კავკასიის ფრონტის სარდლობამ ეს არ გააკე-

ითა. თავი იჩინა წარმატებებისაგან თავბრუდახვევამ და მოწინააღ-
მდეგის ძალთა შეუფასებლობამ, შეტევა დაწყებული იქნა საჭირო
მომზადების გარეშე, თეთრებმა კი ამ დროისათვის მოასწრეს გა-
მაგრება.

17 იანვარს დილით მე-4, მე-6 და მე-11 ცხენოსანი დივიზიები
დაიძრნენ სტანიცა ოლგინკის მიმართულებით, ხოლო მე-9 და მე-12
მსროლელმა დივიზიებმა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ არმიის
მარჯვენა ფლანგს — ბატაისკზე. ერთდროულად უნდა დაერტყა
მტრისათვის მე-8 არმიის ნაწილებს როსტოვიდან, მაგრამ მათი გა-
დაჯგუფება გაჭიანურდა, და გადამწყვეტი მომენტისათვის ისინი
ბატაისკის პოზიციებამდე ვერ მოვიდნენ.

დილის 10 საათზე ცხენოსანი არმიის ნაწილებმა გადალახეს
გაყინული დონი. მოწინააღმდეგე ხელს არ გვიშლიდა გადალახვი-
სას, მაგრამ მარცხენა ნაპირზე კონტრიერიშზე გადმოვიდა. ბრძოლამ
მთელ დღეს გასტანა. ჭაობიანმა ადგილმდებარეობამ, ცხენოსნების
შეზღუდულმა მოქმედებამ და არტილერიის უქონლობამ (მისი გა-
დატანა შეუძლებელი შეიქმნა) იძულებული გაგვხადა უკან დაგვე-
ხია.

19 იანვარს ჩვენმა ცხენოსნებმა და ქვეითებმა, როგორც იქნა,
არტილერია მოიშველიეს და კვლავ განაახლეს შეტევა ბატაისკზე.
შუადღისთვის ორივე მხარის ცხენოსნები ზვავივით დაიძრნენ ერთ-
მანეთისაკენ. ექვსსაათიანი ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს არტილერი-
ამ და ჯავშნოსანმა მატარებლებმა, რომლებიც თეთრებს ჩვენზე
მეტი ჰქონდათ, თეთრებმა კვლავ უკან დაახევინეს ჩვენს ნაწილებს
დონის მარჯვენა ნაპირზე.

პირველი ცხენოსანი არმიის სამხედრო რევოლუციურმა საბ-
ჭომ მოახსენა ფრონტის სარდალს ბატაისკის რაიონში წარმატების
მიღწევის შეუძლებლობის შესახებ და წამოაყენა ადრე დამუშავე-
ბული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პირველი ცხენოსანი არ-
მიის გადაჯგუფებას და თავმოყრას სტანიცა პლატოვის რაიონში,
საიდანაც უნდა დაწყებულიყო შეტევა სტანიცა ტიხორეცკის მიმარ-
თულებით. მაგრამ ფრონტის სარდალმა ამჯერადაც არ დაგვიჭირა
მხარი. გვიბრძანა კვლავ შეტევაზე გადასვლა, რომ, რადაც არ უნ-
და დაგვჯდომოდა, აგვეღო ბატაისკი.

21 იანვარს კვლავ გაჩაღდა ბრძოლა. სტანიცა ოლგინკა რამ-
დენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, მაგრამ ბატაისკამდე მისვლა

მაინც ვერ შევძელით. დღის მეორე ნახევარში მძიმე მდგომარეობა შეგვექმნა. მოწინააღმდეგე შეეცადა მოეწყვიტა ჩვენი ჯარები გადასასვლელებისაგან. მხოლოდ მე-4 ცხენოსანი დივიზიის პირველი ბრიგადის (ცხენოსანი არმიის რეზერვი) გადამწყვეტი მოქმედების შედეგად თავი დავაღწიეთ ალყას, მაგრამ კვლავ იძულებულნი გავხდით უკან დაგვეხია.

ბატაისკისათვის წარუმატებელ ბრძოლებში პირველმა ცხენოსანმა და მე-8 არმიებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, თუმცა მოწინააღმდეგეც ძლიერ დაზარალდა. იანვრის ბოლოს ჩვენი ჯარები შეეცადნენ შეტევაზე გადასვლას მდინარე მანიჩთან. მაგრამ აქაც შეუთანხმებელი მოქმედებისა და სათანადო მომზადების უქონლობის გამო ბრძოლებმა ჩვენთვის წარუმატებლად ჩაიარა.

ს. მ. ბუდიონს მოახსენეს, რომ დაიღუპა მე-11 დივიზიის კომისარი კ. ი. ოზოლინი.

— ძალზე სამწუხაროა, რომ ასეთი შესანიშნავი ადამიანი დავკარგეთ. თავს არ უფრთხილდებიან ჩვენი კომისრები და მეთაურები, — მძიმედ ამოიოხრა ბუდიონმა.

ჩვენდა უსაზღვროდ სასიხარულოდ ხმა კ. ი. ოზოლინის დაღუპვის შესახებ სწორი არ გამოდგა და რამდენიმე დღის შემდეგ ის როსტოვში გაჩნდა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, კონსტანტინე ივანეს ძე დაჭრილა დივიზიის მარჯვენა ფლანგზე გამგზავრების დროს. სისხლიდან იცლებოდა, ისე მისულა სოფლამდე. აქ მას როგორღაც უშოვნია ცხენი და წასულა წითლების მიერ დაკავებულ სტანიცაში. მერე გადაულახავს გაყინული დონი, შემდეგ კი ხარურმით როსტოვში მოსულა.

თეთრები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ ჩრდილოეთი კავკასია. ამ მიზნით ისინი ატარებდნენ სასწრაფო მობილიზაციას.

გენერალმა დენიკინმა შეძლო შეევსო თავისი არმია და შეექმნა ძლიერი ცხენოსანი ჯგუფი გენერალ პავლოვის მეთაურობით. 24 თებერვლისათვის პავლოვს უკვე ჰქონდა 15900 ხმალი, 3 ჯავშნოსანი მატარებელი და დაახლოებით 4000 ხიშტი.

ამგვარად, მტერმა შეძლო შეეკრიბა და საბრძოლო მდგომარე-

ობაში მოეყვანა სოლიდური ძალა. მართალია, ამ დროისათვის, დონბასში და როსტოვთან დამარცხების შემდეგ, თეთრგვარდიელ ჯარისკაცთა შორის გამარჯვების რწმენა ძლიერ შერყეული იყო. კავკასიის მთის კალთებზე ბევრმა მათგანმა ეგრეთ წოდებულ „მწვანე რაზმებში“ დეზერტირობა არჩია.

დენიკინელთა ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. პარტიამ, ვ. ი. ლენინმა გააძლიერეს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ხელმძღვანელობა. ფრონტის სარდლად დაინიშნა ტუხაჩევსკი, სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრად კი სერგო ორჯონიკიძე. ახალმა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება შეტევის დაწყების შესახებ. პირველ ცხენოსან არმიას საერთო საჯარისო არმიებთან ურთიერთქმედებით ფლანგსა და ზურგში დარტყმით უნდა დაემარცხებინა მოწინააღმდეგე.

ამ ამოცანის შესასრულებლად პირველი ცხენოსანი არმიის დივიზიებმა დაძლიეს მტრის წინააღმდეგობა და გამანადგურებელი დარტყმები აგემეს მას სადგურ ტორგოვის, ბელაია გლინას და ეგორლიკის რაიონებში. ამით წინასწარ გადაწყდა კონტრრევოლუციურ ძალთა მთელი სამხრეთი დაჯგუფების კრახი.

განსაკუთრებით მარჯვედ მოქმედებდნენ ჩვენი არტილერისტები და მეტყვიამფრქვეველები. არტილერიამ სწრაფად წაიწია წინ და ღია პოზიციებიდან დაუშინა გამანადგურებელი ცეცხლი მოწინააღმდეგის კოლონებს. საზიდრებითა და მათზე დადგმული ტყვიამფრქვევებით იჭრებოდნენ ცხენოსანთა მოწინავე ჯგუფებში და საშუალება ეძლეოდათ 300—400 ნაბიჯიდან გაეხსნათ ცეცხლი. მტრის სარდლობა დაიბნა და ვეღარ შეძლო ბრძოლების მართვა. ამის შედეგად დაიწყო პანიკა, უწესრიგო უკანდახევა.

თეთრების გადარჩენილმა საკავალერიო ნაწილებმა ეგორლიკში დაიხიეს. 26 და 27 თებერვალს ქვეითების დახმარებით სცადეს შეტევაზე გადმოსვლა, მაგრამ ცხენოსანი არმიის ენერგიულმა კონტრდარტყმამ ისინი საწყის მდგომარეობაში უკუაქცია.

მარტის დასაწყისში კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ უბრძანა მე-10 არმიისა და პირველი ცხენოსანი არმიის ნაწილებს საბოლოოდ გაენადგურებინათ გენერალ პავლოვის ცხენოსანთა ჯგუფი ეგორლიკის რაიონში.

3 მარტს ეგორლიკთან გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა. ის თეთრი ცხენოსნების დამარცხებით დამთავრდა.

ბუდიონის ცხენოსანმა არმიამ ტორგოვთან, ბელაია გლინასთან და ეგორლიკთან ბრძოლებში ხელთ იგდო 7000 ტყვე, 67 ქვემეხი, 153 ტყვიამფრქვევი, 1000-მდე საზიდარი და 5 ჯავშნოსანი მატარებელი.

პირველი ცხენოსანი არმიის საველე შტაბი თავიანთი დივიზიების უშუალო საბრძოლო განლაგებაში იმყოფებოდა.

ერთხელ ჩვენი შტაბის კოლონა ხუტორ კოზიურინის და სტანიცა პლატოვის გავლით მოძრაობდა, ე. ი. იმ ადგილებში, სადაც ბუდიონმა დაიწყო თავისი პირველი ცხენოსანი რაზმის ჩამოყალიბება. ვოროშილოვმა შემოგვთავაზა შეგვეველო ბუდიონის ნათესავებთან. მან ხუმრობით უთხრა ბუდიონს:

— სემიონ მიხეილის ძევ, აბა როგორ გინდათ, დღეს ხომ ვესტუმრებით თქვენს საგვარეულო მამულს? ვნახოთ როგორ ცხოვრობენ შენი ნათესავები.

— ხუტორ კოზიურინში ცხოვრობს ჩემი სიდედრი, შესანიშნავი ქალი, დარია ანდრიას ასული, — გამოეპასუხა ბუდიონი, — ხუთი მებრძოლი ვაჟის დედა, მეექვსე კი, მისი ქალიშვილი ნადეჟდა ივანეს ასული, ჩემი მეუღლეა. 1918 წელს ყველა ისინი პარტიზანულ-ცხენოსან რაზმში შეივიდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. უფროსი ვაჟი, გრიგორი, მხეცურად მოკლეს თეთრებმა კუბერლესთან, ხოლო საშუალო, ნიკიფორე, გმირულად დაიღუპა გაშუნთან. აშკამად ჩვენს არმიაში დარჩა სამი ძმა გონჩაროვები და მეოთხე — ნადეჟდა ივანეს ასული. აი როგორი ნათესაობა მყავს! ხოლო ჩვენი „სახლკარი“ იმ რკინიგზის ჯიხურზე დიდი არაა, სადაც შენ მამასთან ერთად ცხოვრობდი ოდესღაც, კლიმენტი ეფრემის ძევ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თქვენი ქოხი ხისა იყო, დარია ივანეს ასულისა კი ტალახითაა შელესილი.

— როგორმე არ გავცდეთ ასეთ ხუტორს.

— ტიულენევ, მეომრებს უბრძანე კარგად უთვალთვალონ, თორემ ისე გავცდებით, როგორც შენ გიყურებ, — მომმართა სემიონ მიხეილის ძემ. — ერთხელ შემოდგომაზე ასეთი რამ შემემთხვა. გადავწყვიტეთ ხუტორში შეგვერბინა ნათესავების მოსანახულებლად. დიდხანს ვიტრიალეთ, ხუტორი კი თითქოს მიწამ ჩაყლაპა! ბოლოს თივის ზვინს წავაწყდით და გადავწყვიტეთ იქ ღამის გათევა. დილით რომ გავიღვიძეთ, ვხედავთ ხუტორი ჩვენს გვერდით ყოფილა. აი ასეთი სასწაულებიც ხდება...

წინ მიმავალი მებრძოლები ვიღაცას ხმამაღლა გამოელაპარაკნენ, ჩვენ შევჩერდით, ყური მივუგდეთ.

— სად ეშმაკებში მოდიხართ, ქოხი არ დამინგრიოთ, მე ხომ ძვირფას სტუმარს ველოდები, — მოგვესმა ქალის ხმამაღალი ლაპარაკი.

— ცოტა წყნარად, დედილო, აქ თვითონ ბუდიონი მოდის, მასთან ერთად კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვია, — განუმარტეს მას მეომრებმა.

— მერედა, თქვე ყაჩაღებო, რატომ მაშინვე არ მითხარით? — ხელები გაშალა ქალმა. ეს იყო დარია ანდრიას ასული, სემიონ მიხეილის ძე ბუდიონის სიდედრი. მისალმების შემდეგ ქოხში შეგვიპატიჟა. ჩვენ ძლივს მოვთავსდით იქ.

— აბა, დედილო, მოგვიყევი, როგორ ცხოვრობთ აქ თქვენ? — ჰკითხა ბუდიონმა.

— როცა წითელმა რაზმებმა დაიწყეს ცარიცინისკენ დახევა, მთელმა ჩვენმა ხუტორმა გადაწყვიტა მათ გავყოლოდით. — დაიწყო მოყოლა დარია ანდრიას ასულმა. — ის იყო, შარაგზას დავადექით, რომ უეცრად ცხენოსანი თეთრგვარდიელები გამოჩნდნენ. რამდენჯერმე დაგვაბრუნეს უკან. მაგრამ, როგორც კი კაზაკები მოეფარებოდნენ თვალს, კვლავ იმ გზაზე გავწევდით ხოლმე, საითაც წითელი რაზმები წავიდნენ. მთელი კვირა ასე ვიბორიალეთ ველებში. ერთხელაც ბედმა გვიმტყუნა და თეთრებმა გაჩხრეკისას მედეედევის ბიჭს შაშხანა და ვაზნები უნახეს. რა დღე დაგვათიეს ამისათვის, მოსაყოლად ძნელია. ბიჭუნას ზურგი აუჭრელეს მათრახებით... ჩვენც გვაწვალეს. ბოლოს ჩვენი ხარები და ძროხებიც დავარდნენ. საჭმელიც გაგვითავდა. და ცარიელ-ტარიელები უკან დავბრუნდით ხუტორში. — დარია ანდრიას ასულმა მძიმედ ამოიოხრა, მერე სიძეს მიუბრუნდა და განაგრძო: — თეთრგვარდიულმა უფროსობამ გული გაგვიწყალა შენ შესახებ დაკითხვებით, სიო-მა. გვითხარი, დედაბერო, მეუბნებიან, ის ხომ შენი სიძეა, ვინ არის, რას წარმოადგენს? კარგი იყო, გავჩუმებულიყავ, მაგრამ ვერ მოვითმინე. ჰოდა, ვეუბნები მათ: ის ძალიან ყოჩაღია, ვინ იცის კიდევ რამდენი მოგხვდებათ მ:ისგან! ამისათვის მე მათ მათრახი გადმომიჭირეს! რამდენჯერ გამროზგეს, ვერ დაითვლი. ყველა შენს ფოტოსურათს მოითხოვდა, მე კი ის საიმედოდ გადავმალე.

ცოტახნით გაჩუმდა და შემდეგ თავისი ვაჟიშვილების შესახებ დაიწყო მოყოლა:

— მეცოდება უფროსი, თეთრგვარდიელებმა რომ აწამეს. რამდენიმე კაცი ხევში დახვრიტეს. გვამები ორი კვირა დაუმარხავად ეყარა. წავედით გვამების წამოსაღებად და თეთრგვარდიელებმა გამოგვრეკეს: გვითხრეს, თუ კიდევ მოხვალთ, ტყვიას დაგახლითო. ძლივს მოვახერხე ნიკიფორეს გვამის წამოღება და ქრისტიანულად დამარხვა.

დარია ანდრიას ასულს ნაოჭებით დაღარულ სახეზე ცრემლები ღვარივით ჩამოსდიოდა.

ვოროშილოვი და ბუდიონი ამშვიდებდნენ მას, როგორც შეეძლოთ.

პირველი ცხენოსანი არმიის ნაწილები, დენიკინელ ურდოთა განადგურების შემდეგ, კავკასიის მთისწინეთში განლაგდნენ. თავისუფალი დრო რომ გამონახეს, მეომრებმა ცხენის აღჭურვილობის შეკეთება დაიწყეს. ხოლო როცა ამ საქმესაც მორჩნენ, მოიწყინეს. ზოგიერთებს სახლში წასვლა და თავისიანების მონახულება მოუნდა, სხვებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საბრძოლველად მიუწევდათ გული.

გაზაფხულის მზის თბილი სხივები არემარეს აცოცხლებდა. ყუბანში ყვაოდა ვაშლის ხის ბაღები.

მალე თეთრი პანების პოლონეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში ჩაება პირველი ცხენოსანი არმია. იმ დროისათვის მე ახალ თანამდებობაზე — მე-4 ცხენოსანი დივიზიის ბრიგადის მეთაურად გამაწესეს.

ერთხელ ლაშქრობისას ცხენი შევაჩერე 21-ე ცხენოსანი პოლკის კოლონასთან, რომელიც ისვენებდა.. მებრძოლები შემომეხვივნენ. ბევრ მათგანს კარგად ვიცნობდი.

— როგორ გრძნობთ თავს? — ვეკითხები მებრძოლებს.

— ნორმალურად, — მპასუხობენ ყველანი ერთად. — მაგრამ, აი დღეს სალაშქროდ ისე გამოვედით, რომ ლუკმა არ ჩაგვსვლია პირში. კიდევ კარგი, რომ ცხენებს დაალევინეს წყალი. ჩვენ უჭმელობით არ დავიხოცებით, მაგრამ ცხენებს რომ არ მისცენ საკვები, უკრაინამდე, ალბათ ,ვერ მივაღწევთ.

დიახ, სურსათ-სანოვაგისა და ფურაჟის მხრივ ძალიან გვიჭირდა. ადგილებზე სურსათ-სანოვაგე არ იყო, ხოლო მის დროულად მოწოდებას სამხედრო მეურნეები ვერ ახერხებდნენ.

ამ დღეს ნაპრილობევი თავი მტკიოდა, მაგრამ ვცდილობდი მეჩუმრა, რომ როგორმე გამეხიარულებინა მებრძოლები. ბრიგადის კომისარმა მეგარმონეს „კაზაჩკის“ დაკვრა სთხოვა და მებრძოლთა საერთო მოწონებით ცეკვა დაიწყო. ის შეცვალეს წრეში შემოსულმა ბრიგადის შტაბის კომენდანტმა ლოსევმა, კარგად მოცეკვავე მებრძოლებმა. დამთავრდა ცეკვა, მეომრები სიცილით ამბობდნენ:

— აი ესეც, დავნაყრდით და ახლა შეგვიძლია გავწიოთ წინ...

...როსტოვს ცხენოსანი არმიის ყველა დივიზია ერთდროულად მოადგა. გველოდა ქალაქის მშრომელებთან შეხვედრა.

კვირა დღეს დილაადრიან დონის სარკინიგზო ხიდზე გაიბაწრა კავალერისტთა კოლონები.

სადოვაიას ქუჩა, რომელზედაც მოდიოდნენ ცხენოსანთა პოლკები, წითელი დროშებით იყო მორთული. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ ქალაქის მკვიდრნი, რომლებიც ხალისით გვეხალმებოდნენ. პოლკების ორკესტრები გაპრიალებული სპილენძის საყვირებით სამხედრო მარშებს აგრიალებდნენ.

ქალაქგარეთ იპოდრომზე ჩატარდა პარადი, რომელზეც როსტოვის პროლეტარიატმა, მისმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა პირველი ცხენოსანი არმიის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს გადასცეს დროშები დენიკინელთა ურდოებზე გამარჯვების სამახსოვროდ.

პირველი ცხენოსანი არმია რაც უფრო უახლოვდებოდა ფრონტს, მით უფრო ძნელდებოდა ლაშქრობა. ამ სიძნელეებს იწვევდა ხშირი შეფერხება სურსათ-სანოვაგისა და ფურაჟის მიღებაში. რკინიგზა მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი, მატარებლები არარეგულარულად დადიოდა. ადგილობრივი რესურსები საკმარისი არ იყო.

გზადაგზა ცხენოსან არმიას უნდა მოესპო ზოგიერთი თეთრგვარდიული ბანდა, კერძოდ მახნოს ბანდა.

მახსოვს, დილით ადრე, როცა მე-2 ცხენოსანი ბრიგადა ჩიგირინის სამხრეთით მიდიოდა, ჩვენთან ცხენით მოიჭრა ადგილობრივი მცხოვრები და გვაცნობა, რომ განთიადისას კოცურას ბანდამ ქალაქის ბანკი გაძარცვა, ახლა კი ანგარიშს უსწორებს პარტიულ და საბჭოთა მუშაკებსო.

ამ ცნობის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გავგზავნე ორი ესკადრონი და ვუბრძანე ალყა შემოერტყათ და გაენადგურებინათ

ბანდა ქალაქში. იმავე დროს ბრიგადის ძირითადი ძალები ჩიგირინისკენ შემოვაბრუნე. ბანდიტები გავანადგურეთ, ვინც ცოცხალი გადარჩა, თითქმის ყველა ტყვედ ავიყვანეთ. ბანდის ნაძარცვი ქონებიდან ამოღებული იქნა ორ მილიონამდე ფული. ქალაქში წესრიგი დამყარდა.

ათასკილომეტრიანი ლაშქრობა რომ მოაწყო, წითელი კავალერია თავის დროზე მივიდა უმაღლესი სარდლის მიერ მითითებულ განლაგების პუნქტში და ამით გადაჭრით შეცვალა ძალთა შეფარდება მხარეებს შორის. მან გაარღვია პოლონელთა თავდაცვა სკვირის რაიონში და აიძულა პილსუდსკის არმია არა მარტო დაეტოვებინა კიევი, არამედ უკუქცეულიყო ლვოვსა და ვარშავამდე.

პოლონეთის ფრონტზე პირველი ცხენოსანი არმიის უმნიშვნელოვანესი ოპერაციებია: ჟიტომირის გარღვევა, როვნოს აღება. ლვოვისა და ზამოსტიეს მისადგომებთან ბრძოლა წარმოადგენს ცხენოსანი ჯარის საბრძოლო მოქმედების კლასიკურ მაგალითს სამოქალაქო ომში.

იმ შორეულ ბრძოლის წლებში ჩვენ ხშირად ვმღეროდით ჩვენი საყვარელი სამხედრო კომისრის — პოეტ პ. ვ. ბახტუროვის სიმღერას:

> მოქუფრული მთებიდან, დაბურული ტყიდან
> ჩვენი კავალერია გამოიჭრა მინდვრად, —
> უნდა გავავარჯიშოთ მუხლიცა და მკლავიც,
> რათა ბოლო ბურჟუებს შევანანოთ თავი...

წითელმა არმიამ გამართა ეს უკანასკნელი ბრძოლა, რომელიც ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა.

მტრები ტაქტიკას იცვლიან

სამოქალაქო ომი ძირითად ფრონტებზე დამთავრდა... მაგრამ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ზოგიერთ განაპირა ადგილას: შორეულ აღმოსავლეთში, ამიერკავკასიასა და შუა აზიაში ჯერ კიდევ მოქმედებდნენ გადარჩენილი კონტრრევოლუციური ბანდები. წითელი არმიის ნაწილები ებრძოდნენ მათ თანამიმდევრულად და მედგრად.

1921 წელი ჩვენი ქვეყნისათვის იყო ომიდან მშვიდობიან მშე-

ნებლობაზე გადასვლის წელი. ახლა საბჭოთა ხელისუფლების ბედი წყდებოდა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ სამეურნეო ფრონტზეც.

ნაწილობრივ წითელი არმიაც ჩაერთო სოციალისტურ მშენებლობაში. შეიქმნა ეგრეთ წოდებული შრომითი არმია.

სამხედრო აკადემიაში ბრუნდებოდნენ მისი ყოფილი მსმენელები, სხვადასხვა დროს სამოქალაქო ომის ფრონტებზე რომ იყვნენ გაგზავნილნი. მათ შორის — ისეთი გამოჩენილი მხედართუფროსები, როგორიც იყვნენ: დიბენკო, ფედკო, ტრიანდაფილოვი, ბელიცკი, ურიცკი, ალკსნისი და სხვები. მეც დავბრუნდი მოსკოვში.

აკადემიის პირადი შემადგენლობის აქტიურობა მაღალი იყო. ჩვენ, მსმენელები, ყოველდღიურად უდიდესი ინტერესით ვიხილავდით სამოქალაქო ომის საბრძოლო ოპერაციებს, თითქოს ვაჯამებდით წითელი არმიის ნაწილებისა და შენაერთების გამოცდილებას. დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე წმინდა თეორიულ საკითხებსაც. მახსოვს, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს მოხსენებამ სამხედრო დოქტრინისა და წითელი არმიის შესახებ.

1921 წლის მარტში უნდა შემდგარიყო პარტიის მორიგი X ყრილობა. აკადემიის მსმენელები დიდი ინტერესით ელოდნენ მის გახსნას. ზოგიერთი მათგანი ყრილობის დელეგატად იყო არჩეული, სხვები კი, მათ შორის მეც, მიწვეული ვიყავით ყრილობაზე როგორც სტუმრები.

ყრილობის გახსნის დღეს ჩვენ — ბელიცკი, ურიცკი, ფედკო, ბორშჩევსკი, როშალი და მე კრემლში, მგონი, ყველაზე ადრე მივედით. ერთი სული გვქონდა, როდის ვნახავდით ლენინს, გავიგონებდით მის ხმას.

...აი, პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოჩნდა ვლადიმერ ილიას ძე. ყველა დამსწრე ადგა და მქუხარე ტაშით მიესალმა საყვარელ ბელადს. დარბაზი დიდხანს არ ცხრებოდა. მაგრამ როგორც კი ლენინმა დაიწყო სიტყვა, მაშინვე სიჩუმე გამეფდა.

ჩვენ სულმოუთქმელად ვუსმენდით ლენინს...

ამ შედარებით მშვიდობიან პერიოდში აშკარად შეიარაღებულ ბრძოლაში დამარცხებულმა მტერმა შეცვალა ტაქტიკა. სოფლად კულაკურ ელემენტებზე დაყრდნობით, მან მოაწყო შეთქმულებები და ამბოხებები, რომლებიც ჩაღდებოდა ციმბირში, უკრაინაში, ტამბოვის გუბერნიაში და სხვა რაიონებში.

ყრილობის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე თეთრგვარდიულმა ელემენტებმა მეფის ყოფილი გენერალის კოზლოვსკის მეთაურობით მოაწყვეს კონტრრევოლუციური ამბოხება კრონშტადტში.

მათ წამოაყენეს დემაგოგიური ლოზუნგი „საბჭოები კომუნისტების გარეშე“. ამ ლოზუნგმა მიიზიდა ნაკლებად შეგნებული, მერყევი ელემენტები, რომლებიც კრონშტადტის გარნიზონში ცოტანი როდი იყვნენ.

ამბოხებულებს ჰქონდათ 135 ქვემეხი, ასამდე ტყვიამფრქვევი. სამხედრო გემები, რომლებიც მათ მხარს უჭერდნენ, გამზადებული იდგნენ ნავსადგურში.

დადგა გაზაფხული. საცაა ყინულის არტახებისაგან უნდა განთავისუფლებულიყო ფინეთის ყურე კრონშტადტიდან პიტერამდე, რაც საშუალებას მისცემდა მეამბოხეებს გამოეყვანათ გემები ზღვაში.

კრონშტადტის კონტრრევოლუციური შტაბი ცდილობდა დრო გაეყვანა და ამით ყინულზე შეტევის საშუალება მოესპო წითელი არმიის ნაწილებისათვის.

5 მარტს აღდგენილი იქნა მე-7 არმია მ. ნ. ტუხაჩევსკის სარდლობით. შეიქმნა ორი საბრძოლო უბანი: ჩრდილოეთის (სესტრორეცკის) და სამხრეთის (ორანიენბაუმის). ჩრდილოეთის უბნის უფროსად დაინიშნა ე. კაზანსკი, სამხრეთისა — ა. სედიაკინი.

მე-7 არმიის სარდლობამ ამბოხებულებს გაუგზავნა ულტიმატუმი. მაგრამ კრონშტადტი დუმდა. მაშინ, 7 მარტს ტუხაჩევსკიმ ბრძანება გასცა იერიში მიეტანათ ციხე-სიმაგრეზე. 8 მარტს ჩვენი ჯარები ყინულზე იერიშისათვის დაიძრნენ. კრონშტადტის ფორტებიდან და გემებიდან გახსნეს ინტენსიური ცეცხლი. მე-7 არმიის ნაწილებმა დიდი დანაკარგებით უკან დაიხიეს.

ვითარება მოითხოვდა სასწრაფო ზომების მიღებას. მაშინ ვ. ი. ლენინის წინადადებით პარტიის X ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კრონშტადტში გაეგზავნათ დელეგატებისა და სტუმრების ნაწილი. წარგზავნილთა შორის იყო მეთაურთა ჯგუფიც სამხედრო აკადემიიდან — დიბენკო, ფედკო, ურიცკი, საბლინი, ბორშჩევსკი, როზე, მე და მრავალი სხვა. ამას გარდა საგუბერნიო კომიტეტებმა შიიღეს ცენტრალური კომიტეტის მითითება გამოეყოთ საუკეთესო კომუნისტები ამბოხების ჩაქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოსვლა დაიწყეს კომუნისტებმა და

კომკავშირელებმა მოსკოვიდან, კიევიდან, ტვერიდან, სმოლენსკიდან, ფსკოვიდან, კალუგიდან, რიაზანიდან, ვიტებსკიდან, ნოვგოროდიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან. თვით პეტროგრადშიც გამოცხადებული იქნა კომუნისტების მობილიზაცია.

11 მარტს დილით ადრე პეტროგრადში მოვიდა სპეციალური მატარებელი კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით, მასთან ერთად აქ მოვიდნენ X ყრილობის დელეგატები და სტუმრები, ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის, სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრები, საგუბერნიო კომიტეტების მდივნები, დივიზიებისა და პოლკების მეთაურები და კომისრები, აგიტატორები, ჟურნალისტები, მწერლები. ამ მატარებელს მოყვევი მეც.

მე-7 არმიის სარდლობას ამ დროისათვის გააჩნდა შემდეგი ძალები. ორანიენბაუმში იდგა მ. რეიტერის 32-ე ბრიგადა, ნ. ბობროვის 167-ე ბრიგადა და 187-ე ბრიგადა, რომლის მეთაურობა ი. ფედკოს დააკისრეს. ყველა ეს ძალა შეაერთეს დივიზიად, რომლის მეთაურობა პ. დიბენკოს მიენდო. მალე უნდა მოსულიყო ეშელონები ვ. კ. პუტნას 27-ე ომსკის დივიზიის ნაწილებით. ამ დივიზიის 79-ე ბრიგადა გ. დ. ხახანიანის მეთაურობით უკვე ჩამოიტვირთა ორანიენბაუმის რაიონში.

79-ე ბრიგადის პოლკებში მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა ჯანსაღი არ იყო. მებრძოლთა შორის გაისმოდა ხმები, რომ საზღვაო ციხე-სიმაგრეს ყინულის გზით ვერ მივუდგებით — ყინული ვერ გაუძლებსო, რომ ამბოხებულების დამარცხება შეუძლებელიაო და ა. შ.

ამის შედეგად ნეველის 235-ე და მინსკის 237-ე მსროლელთა პოლკებში მღელვარება დაიწყო და მათ უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ კრონშტადტის იერიშში. ამ პოლკებში სასწრაფოდ გაემგზავრენ სამხრეთის ჯგუფის კომისრად დანიშნული კ. ე. ვოროშილოვი, შეერთებული დივიზიის უფროსი პ. დიბენკო, ბრიგადის მეთაური ი. ფედკო, ყრილობის რამდენიმე დელეგატი. მათ შორის ვიყავი მეც.

14 მარტს 17 საათზე პოლკები მოაწყვეს ყაზარმების წინ. მათ წინაშე გამოვიდა კ. ე. ვოროშილოვი. მან წაიკითხა მე-7 არმიის სარდლობის ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ნეველის 235-ე, მინსკის 237-ე პოლკები ფიცის გატეხვისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისათვის განიარაღდებიან, ხოლო

ამბოხების წამომწყებნი გადაეცემიან სასამართლოს. პოლკებს ჩამოერთმევათ საბრძოლო დროშები, ხოლო პირად შემადგენლობას — წითელი არმიის მეომრის წოდება.

ამ ბრძანებამ თავზარი დასცა მებრძოლებს. დიბენკოს ბრძანებით მათ იქვე დააწყვეს იარაღი. განიარაღებული პოლკები ყაზარმებში წაიყვანეს. ჩვენც ყველანი მათ გავყევით და მთელი ღამე ჭრაქის შუქზე ახსნა-განმარტებით მუშაობას ვუტარებდით მათ. გონს მოსულმა მეომრებმა თვითონ გაკიცხეს ამბოხების წამომწყებნი. მებრძოლებმა ითხოვეს დაებრუნებინათ მათთვის იარაღი და გაეგზავნათ შეტევის ყველაზე საშიშ უბანზე.

დივიზიის მეთაურმა ვ. კ. პუტნამ, რომელიც ცოტა მოგვიანებით მოვიდა ორანიენბაუმში, ასევე მიმართა სარდლობას თხოვნით მიეცათ პოლკებისათვის საშუალება გამოესყიდათ თავიანთი დანაშაული კრონშტადტზე შეტევის დროს.

სარდლობამ მიზანშეწონილად მიიჩნია შეეცვალა თავისი წინა გადაწყვეტილება. იმ ღამესვე დაურიგეს მებრძოლებს იარაღი. 15 მარტს განთიადისას მთელი შემადგენლობა შეკრიბეს მიტინგზე. აქ პოლკებს დაუბრუნეს დროშები.

კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვმა წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა. მან მოუწოდა მებრძოლებს გამოეჩინათ გმირობა და პირველები შეჭრილიყვნენ კრონშტადტში. ამავე მიტინგზე ვოროშილოვმა წარმადგინა მე როგორც 237-ე პოლკის ახალი მეთაური. შემდეგ გამოვედით დივიზიის მეთაური პუტნა და მე, აგრეთვე პოლკის მეთაური და მებრძოლი.

იმავე დღეს, 15 მარტს, სამხრეთი ჯგუფის შტაბის უფროსმა ი. ვ. საბლინმა ხელი მოაწერა ბრძანებას ჩემი დანიშვნის შესახებ, ხოლო საღამოს მე ვმონაწილეობდი ოპერაციულ თათბირზე ორანიენბაუმში, სადაც შეკრებილი იყვნენ სამხრეთი და ჩრდილოეთი ჯგუფების ჯარების შენაერთთა მეთაურები და კომისრები, არტილერიის უფროსები და სხვა სპეციალისტები.

ამ თათბირზე დაამტკიცეს იერიშის გეგმა: ღამით ჩვენი ჯარი მოულოდნელად უნდა გაჭრილიყო ფინეთის ყურით ორანიენბაუმის და სესტრორეცკის მხრიდან, შეჭრილიყო ციხე-სიმაგრეში და გაენადგურებინა ამბოხებულები. გადამწყვეტი როლი იერიშში ეკისრებოდა სამხრეთის ჯგუფს. იერიშის დაწყება დანიშნული იყო 17 მარტს ღამით, საარტილერიო ცეცხლის გახსნა — 16 მარტს 14 საათისათვის.

ზუსტად დანიშნულ დროს ჩვენმა არტილერიამ გრიგალისებური ცეცხლი დაატეხა თავს ციხე-სიმაგრეს, ფორტებს და ხომალდებს. მაშინვე გაისმა საპასუხო სროლა. სროლა შეწყდა მხოლოდ შებინდებისას.

16 მარტს დღის მეორე ნახევარში მე ბატალიონებისა და ასეულების მეთაურებთან ერთად ძლიერი არტილერიის ცეცხლქვეშ ვაწარმოებდი დაზვერვას. ჩვენ შევიგულეთ შეტევის დასაწყისი ზღუდე, საბრძოლო განლაგების რაიონები და გულმოდგინედ განვსაზღვრეთ ქვედანაყოფების მოძრაობის აზიმუტები.

პოლკში რომ ვბრუნდებოდით, ცაში ჩვენი თვითმფრინავები გამოჩნდნენ. ისინი კრონშტადტის მიმართულებით მიდიოდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მოგვესმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა.

შეტევის დაწყებამდე ცოტა დრო რჩებოდა. მე ბატალიონების მეთაურებს მივეცი საბრძოლო განკარგულება: კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ საბრძოლო მზადყოფნა, თავის დროზე დაენაყრებინათ ხალხი და ზუსტად დანიშნულ დროზე მისულიყვნენ შეტევისათვის მინიშნებულ ამოსავალ ზღუდეზე.

როცა ყველაფერი მზად იყო, მე შევთავაზე ჩემს კომისარს და შტაბის უფროსს დანაყრებულიყვნენ და ცოტა კიდეც წაეძინათ იერიშის წინ.

17 მარტს 4 საათზე და 15 წუთზე 235-ე და 237-ე პოლკებმა და პიტერის მუშათა რაზმმა ფეხი შედგეს ყინულზე მაშველი სადგურის რაიონში. მთელ პირად შემადგენლობას ეცვა თეთრი შესანიღბავი ხალათები. პირველ ეშალონში შემტევმა ასეულებმა მიიღეს საიერიშო კიბეები, დაფები და თოკები ჩატეხილი ყინულის გადასალახავად.

იერიშის წინა დღეებში ყინულმა დნობა დაიწყო, თოვლი ჭყაპად იქცა, წყალი ყინულს თავზე მოექცა. ხმა გავრცელდა, რომ ამბოხებულებმა კრონშტადტის ირგვლივ ყინული დაამსხვრიესო, მაგრამ ამან ვერავინ ვერ შეაშინა.

მებრძოლი მწკრივები უხმაუროდ გაემართნენ ციხე-სიმაგრისაკენ. კავშირი ხორციელდებოდა ტელეფონით და სინათლის სიგნალიზაციით, რომელიც პოლკის შტაბმა დაამუშავა.

ნათელი ღამე იდგა. ბატალიონის ერთ-ერთმა მეთაურმა უკმაყოფილოდ შენიშნა:

— მთვარეე, ის არ ხარ დღეს, ჩვენ რომ გვინდა...

შორს ოდნავ მოჩანდა ფორტების შავი ქონგურები. ხალხი მწკრივად უახლოვდებოდა მას გაუსროლელად.

უეცრად ყინულზე პროექტორების თვალისმომჭრელმა სხივებმა გაიელვა. ირგვლივ დღესავით განათდა. გეგონებოდათ საარტილერიო ცეცხლით ყინული იწვისო — ისე მოეფინა მთელ ყურეს დამაბრმავებელი წითელი შუქი.

ციხე-სიმაგრე ჭურვებს აყრიდა შემტევ ჯარს.

ჩვენებმა მას შეაგებეს არტილერიის ცეცხლი. ისროდა მძიმე არტილერია კრასნაია გორკადან. ციხე-სიმაგრის დაბომბვა დაიწყო ჩვენმა ავიაციამ.

ბრძოლა თანდათან გაძლიერდა და დილისათვის უკიდურესად დაიძაბა.

აი, სახაზო გემის 12-დიუმიანი ქვემეხის ჭურვი აფეთქდა მე-2 ბატალიონის ცხვირწინ. მებრძოლები შეჩერდნენ.

— წინ, მხოლოდ წინ! — გავეცი ბრძანება.

გავიარეთ ერთი ფორტი, მეორე, მივედით კრონშტადტის განაპირა მდებარე კრონშლოტთან, გადავლახეთ უწესრიგოდ დაგებული მავთულის ხლართი. ორმა ასეულმა გარს შემოუარა ფორტს მარჯვნიდან და მარცხნიდან და შიგ შეიჭრა.

მოწინააღმდეგის ძალები ამ უბანზე ცოტა იყო და მან უკან დაიხია. მე ვაცნობე სამხრეთის ჯგუფის შტაბს, რომ კრონშლოტის ფორტი აიღო 237-ე პოლკმა და პიტერელ კომუნართა რაზმმა.

მაგრამ დღის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგემ მოიკრიბა რეზერვები და კონტრიერიშზე გადმოვიდა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ფორტები რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ძალები არათანაბარი იყო... ამბოხებულები რეზერვებს აბამდნენ ბრძოლაში და განუწყვეტლივ გადმოდიოდნენ იერიშზე.

წითელარმიელები გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ კრონშლოტის შენარჩუნება ვერ შევძელით. დიდი ზარალი განვიცადეთ, დაირღვა კავშირი, გამოგველია რეზერვები...

შემდეგში პავლე ექვთიმეს ძე დიბენკომ ხატოვნად და ზუსტად აღწერა იერიშის ეს დაუვიწყარი საათები.

„4 საათსა და 30 წუთზე ფორტებთან ახლოს მარცხენა ფლანგზე უღიმღამოდ და თითქოს დაბნეულად აკაკანდა ერთადერთი ტყვიამფრქვევი. ეს ტიულენევის პოლკია, რომლის მებრძოლთა ერთმა ნაწილმა ადრე აჯანყება მოაწყო და ცდილობდა კრონშტად-

ტელებთან შეერთებას, დღეს მტკიცე ხელით გააძევა თავის რიგებიდან გამცემლები და არაჩვეულებრივი ენთუზიაზმით უტევს მეამბოხეთა ფორტებს. კიდევ წუთი და ათობით ტყვიამფრქვევის კაკანი და შაშხანების ერთიანი ბათქი არღვევს აქამდე გამეფებულ სიწყნარეს.

თითქოს რკინის ჯაჭვი აიწყვიტესო, აგრიალდნენ მეამბოხეთა ქვემეხები. სადღაც შორს გაისმა შეძახილი „ვაშა“, და კვლავ, თითქოს სუნთქვა შეწყვიტესო, ყველაფერი დადუმდა.

...ტელეფონები არ მუშაობენ. კავშირი დროებით წყდება. ერთიმეორის მოყოლებით განადგურდა საკონტროლო სადგურები და მათთან ერთად — თავდადებული გმირი მეკავშირეები. ბოროტად სტვენს და სკდებიან შმაგ მორევში ჭურვები, ასობით ორმო გაჩნდა ყინულზე.

მსროლელთა ერთიანმა ბათქმა, „ვაშას“ შეძახილმა გააყრუეს ყურე. კვლავ ამუშავდნენ ტელეფონები. გმირულად დაღუპული მეკავშირეები სხვებმა შეცვალეს. ასობით მამაცი დაეცა კრონშტადტის მისადგომებთან. მათი გაცივებული სხეულები თეთრი ხალათებით იყო დაფარული...

...ტიულენევის პოლკმა, გმირულ ერთსაათიან უთანასწორო ბრძოლაში დანაკარგი ნახა... ბუდიონელი ტიულენევი, რომელმაც შეიცნო თავისი უდიდესი პასუხისმგებლობა და გაითვალისწინა რა, რომ ძლიერდებოდა ბრძოლა პეტროგრადის ჭიშკრის აღებისათვის, ერთხელ კიდევ ცდილობს გადასვლას კონტრიერიშზე, მაგრამ ვინ გაუძღვეს მებრძოლებს ომში. აღარაა მეთაურთა შემადგენლობა — განადგურებულია. აღარაა შტაბი და თვით შიკრიკებიც კი“[1].

დიახ, მართლაც ასე იყო. სამხრეთის ჯგუფის შტაბის ნებართვით პოლკი გამოყვანილი და გადასროლილი იქნა პავლე ექვთიმეს ძე დიბენკოს ნაკრები დივიზიის განკარგულებაში, რომელმაც დაიკავა მოედანი და ბრძოლას ეწეოდა კრონშტადტის ცენტრში.

ბრძოლა მხოლოდ საღამოს 7 საათისათვის მიწყნარდა. მეამბოხეთა ნაწილი, მათ შორის მათი მეთაურები — კოზლოვსკი და პეტრიჩენკო, მიხვდნენ რა, რომ ბრძოლა წააგეს, ფინეთში გაიქცნენ.

დემორალიზებულ მოწინააღმდეგეს საბოლოო დარტყმა აგემეს

---

1 პ. ე. დ ი ბ ე ნ კ ო. მეფის ფლოტის წიაღიდან დიდი ოქტომბრისაკენ. მოსკოვი, სამხედრო გამომცემლობა, 1958, გვ. 179—180 (რუს.).

ცხენოსნებმა, რომლებიც შემოიჭრნენ ყინულზე ორანიენბაუმის მხრიდან.

18 მარტს მთელი ღამე ვწმენდდით ქალაქს ამბოხებულთაგან.

18 მარტს კრონშტადტში ბრძოლა დამთავრდა. მეამბოხეთა მთელი გარნიზონი განიარაღებული იქნა. შტურმის მონაწილენი — X პარტყრილობის დელეგატები და ნაწილებისა და შენაერთების მეთაურთა შემადგენლობა შეიკრიბა ყოფილ საზღვაო საკრებულოს შენობაში. ვოროშილოვმა, უშუალოდ რომ ღებულობდა ბრძოლაში მონაწილეობას და კინაღამ დაიღუპა ტყვიამფრქვევის ცეცხლით (მის გვერდით დაიჭრა მისი დავალებების შემსრულებელი ხმელნიცკი), გამოაქვეყნა ცენტრალური კომიტეტისადმი გასაგზავნი მოხსენება.

„კომუნისტების გამძლეობამ და ერთობამ ერთხელ კიდევ გაიმარჯვა... — ნათქვამი იყო მოხსენებაში. — საჭირო გახდა ძალების წარმოუდგენელი დაძაბვა, რათა შეგვენარჩუნებინა ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირა მხარე მაინც. კომუნისტებს მაგარი ნერვები აღმოაჩნდათ. განიცადეს რა მარცხი ჩვენი კრონშტადტიდან განდევნის ცდაში, ამბოხებულები შედრკენ, დაიწყო მათი ხრწნა...

ამჟამად მდგომარეობა მტკიცეა. ჩვენ გავიმარჯვეთ, და გავიმარჯვეთ, უპირველეს ყოვლისა, მორალურად. თეთრგვარდიელთა პროვოკაცია გამოაშკარავებულია. კრონშტადტი რევოლუციის ციხე-სიმაგრედ იქცევა.

ჩვენ, ყრილობის წევრები, რომლებიც კრონშტადტის სექციაში ვმუშაობთ, მივესალმებით ყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს და ვულოცავთ მას კრონშტადტის გაწითლებას“[1].

18—19 მარტს დაზუსტდა ჩვენი დანაკარგი. ჩვენმა 237-ე პოლკმა მეომართა ნახევარი დაკარგა. ბევრი მამაცთა სიკვდილით დაეცა, ბევრი დაიჭრა და ჰოსპიტალში იქნა ევაკუირებული.

კრონშტადტის ციხე-სიმაგრის დროებით მეთაურობა დაეკისრა პ. ე. დიბენკოს. ბალტიკის ძველმა მეზღვაურმა, სამხედრო-საზღვაო საქმის ბრწყინვალედ მცოდნემ, ზამთრის სასახლის იერიშის მონაწილემ, ბალტიის ფლოტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების დღეებში წი-

---

1 სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 115, ს. 70, გვ. 69 (რუს.).

თელარმიელი მასების წინამძღოლმა, მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი წესრიგის დამყარებას კრონშტადტში.

და აი ეხსენებათ ჩვენ, მარა ამხანაგები. მასთან ერთად შტაბში: ივანე ფედკო, სემიონ ურიცკი, იური საბლინი და მე. დიბენკო გვიზიარებს უკანასკნელ ცნობებს მეამბოხეთა შესახებ:

— მათი ძირითადი მასა ქალაქში დარჩა. ისინი აღიარებენ თავიანთ დანაშაულს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და პირობას იძლევიან პატიოსანი შრომით გამოისყიდონ იგი. მაგრამ ამბოხებულთა ნაწილი და ვერაგი კონტრრევოლუციონერები გაიქცნენ ფინეთში. სამწუხაროა, რომ ჩვენ ხელში ვერ ჩავიგდეთ კოზლოვსკი და პეტრიჩენკო, — ამოიოხრა პავლე ექვთიმეს ძემ. — ამბოხებულთა ამ „იდეურმა“ ბელადებმა უსირცხვილოდ გაიტაცეს დიდი თანხა საბჭოთა ხაზინიდან. ზოგიერთ ამ არამზადას აყოლილ კაცებს სურდათ აეფეთქებინათ სახაზო გემები „სევასტოპოლი“ და „პეტროპავლოვსკი“, ქვემეხების კოშკურების ქვეშ მათ უკვე შეწყობილი ჰქონდათ პიროქსილინის კოკები, მაგრამ ძველმა მეზღვაურებმა დააკავეს ბოროტმოქმედნი. „სევასტოპოლის“ ეკიპაჟმა დააპატიმრა თავისი ოფიცრები და პეტროგრადს რადიოგრამით აცნობა: „ვნებდებით“. 18 მარტს დილით სახაზო გემი „პეტროპავლოვსკიც“ დანებდა...

ფედკომ ხუმრობით მომმართა:

— ეს შენ გაუშვი, ტიულენევ, არამზადები. რადაც არ უნდა დაგჯდომოდა, ფინეთში უკანდასახევი გზა უნდა გადაგეჭრა მათთვის.

— დიახ, სწორია, — დავეთანხმე მე. — მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზევით ძალა არაა. სამწუხაროდ, ვერ შევძელით ხელში ჩაგვეგდო კოზლოვსკი და პეტრიჩენკო.

— ძალა არ ეყო!.. — მაღიზიანებდა ფედკო.

— შენ, ივანე თეოდორეს ძევ, ტიულენევს ნუ უტევ, — თქვა დიბენკომ, — ვინ აიღო პირველად კრონშლოტის ფორტი? მისმა 237-ე პოლკმა. ალბათ, ჩვენ ვერ შევძლებდით ისე სწრაფად ხელთ გვეგდო პეტროგრადის ჭიშკარი და კუთხის მოედანი, ტიულენევის პოლკი რომ არ შეჭრილიყო კრონშლოტში და ამით თავისკენ არ მიეზიდა ჩვენს წინააღმდეგ მოქმედი ამბოხებულები.

მეგობრულ საუბარში გართულები დიდხანს დავრჩით დიბენკოსთან. გავიხსენეთ სამოქალაქო ომის არცთუ დიდი ხნის წინათ გარდასული დღეები.

ივანე თედორეს ძე ფედკო მოყვა იმის შესახებ, თუ კომუნისტების დახმარებით როგორ გამართა შეიარაღებული ბრძოლა სამხედრო დიქტატორის თათარ ჯაფარ საიდამეტის წინააღმდეგ, რომელმაც ინტერვენტების დახმარებით ამბოხება მოაწყო ყირიმში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

— ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში, — განაგრძო მოგონებანი ფედკომ, — ჩვენ შევეჯახეთ ავანტიურისტს, არმიის ყოფილ სარდალს სოროკინს, რომელმაც 1918 წლის 21 ოქტომბერს პიატიგორსკში დახვრიტა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და სცადა დაემყარებინა თავისი დიქტატურა.

ივანე თედორეს ძე ფედკომ უაღრესად რთულ პირობებში გამოავლინა მხედართმთავრის არაჩვეულებრივი უნარი. კეთილი სიტყვით, და რაც მთავარია, პირადი მაგალითით ის ამხნევებდა განაწამებ მეომრებს და ასე მიიყვანა ისინი კავკასიიდან ასტრახანამდე. ასტრახანში შეიქმნა ახალი მე-11 არმია, რომელმაც სხვა შენაერთებთან ურთიერთქმედებით გაანადგურა დენიკინი, გაათავისუფლა ჩრდილოეთი კავკასია და ამიერკავკასია.

ივანე თედორეს ძე უფრო მეტად გაიტაცა ამბების მოყოლამ, ჩვენ კი, მართალია, ეს ყველაფერი ვიცოდით. მაგრამ მაინც დიდი ყურადღებით ვუსმენდით მას.

დიბენკომ დახედა საათს და ადგა:

— მაშ ასე, დღეისათვის კმარა. — ხვალ გეპატიჟებით, ამხანაგებო, სახაზო გემ „სევასტოპოლზე“.

ბოლოს დიბენკომ გამოგვიცხადა, რომ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ უბრძანა მას დაურიგოს სამხედრო აკადემიის ყველა მსმენელს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამბოხების ჩაქრობაში, საზღვაო ტანსაცმლის კომპლექტი ტარების უფლებით. გვიან ღამით დავიშალეთ ჩვენს ოთახებში მოსასვენებლად.

მეორე დღეს ვიყავით სახაზო გემ „სევასტოპოლზე“, დავათვალიერეთ გემი და ვნახეთ ის დაზიანებანი, რომელიც მან მიიღო ავიაციისა და მძიმე სანაპირო არტილერიის ბომბებისაგან.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ჩვენ, აკადემიის მსმენელები, გავემგზავრეთ პეტროგრადში და აქედან — მოსკოვში.

აპრილის ბოლოს მივიღე ჩათვლა სამხედრო ისტორიაში და შევუდექი დიპლომზე მუშაობას როსტოვთან პირველი ცხენოსანი

არმიის საბრძოლო მოქმედების შესახებ. მე მეგონა, რომ აკადემიის ᲩᲡმენელებს ომში მონაწილეობა აღარ მოგვიწევდა, მაგრამ შევცდი. კვლავ მალე მომიხდა ხელში ამეღო ხმალი და ნაგანი, ხოლო სადიპლომო სამუშაო სხვა დროისათვის გადამედო. მაისში მსმენელთა დიდი ჯგუფი აკადემიიდან გაგვაგზავნეს ტამბოვში ანტონოვშჩინის სალიკვიდაციოდ.

მე გამომიძახეს მთავარ შტაბში და შემომთავაზეს დროებით ᲗᲔთაურობა ციმბირის მე-15 ცხენოსანი დივიზიისა, რომელიც შედიოდა ტამბოვის რაიონის ჯარების შემადგენლობაში.

არსებითად კრონშტადტის ამბოხება და ანტონოვშჩინა ერთი და იმავე ჯაჭვის რგოლები იყო. კლასობრივი მტერი ცდილობდა ახალი ტაქტიკის გამოყენებას. მას სურდა გამოეგლიჯა ბოლშევიკების ხელიდან ძალაუფლება უკვე არა აშკარა ბრძოლაში, არამედ შიგნიდან საბჭოთა წყობილების აფეთქებით.

ამბოხებებმა იფეთქა ციმბირში, უკრაინაში, ტამბოვის გუბერნიაში და ქვეყნის ზოგიერთ სხვა რაიონში.

თუ ამბოხებულებმა კრონშტადტში წამოაყენეს ლოზუნგი „საბჭოები კომუნისტების გარეშე“, ანტონოვის ბანდები მოქმედებდნენ „სასურსათო გაწერის წინააღმდეგ ბრძოლისა“ და „თავისუფალი ვაჭრობისათვის“ დროშით. მათ წყობილებიდან გამოჰყავდათ რკინიგზები, აფერხებდნენ ცენტრისაკენ პურის გადაზიდვას, კლავდნენ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ საბჭოთა დაწესებულებებს, მხეცურად აწამებდნენ მშრომელებს. სარგებლობდნენ რა ადგილობრივი კულაკობისა და მათ მიერ მოტყუებული საშუალო გლეხობის ნაწილის მხარდაჭერით. ანტონოვის ბანდების თავკაცებმა 1920 წლის დამლევისათვის შექმნეს ორი არმია, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ დეზერტირები, სისხლის სამართლის დამნაშავენი და გადარჩენილი თეთრგვარდიელები.

თავიდან ანტონოვის ბანდებთან ბრძოლას ეწეოდნენ ადგილობრივი რაზმები, რომლებმაც, ბუნებრივია, ვერ შეძლეს მათი სრული ლიკვიდაცია. ანტონოვშჩინის საბოლოო ლიკვიდაციისათვის 1921 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისია და ტამბოვში გაიგზავნა წითელი არმიის ნაწილები.

თავდაპირველად ტამბოვის რაიონის ჯარებს სარდლობდა პავ-

ლოვი. მაისში ის გადაყენებული იქნა და ამ თანამდებობაზე დანიშნეს ამხ. ტუხაჩევსკი. მან განამტკიცა შენაერთებისა და ნაწილების შტაბები სამხედრო აკადემიის მსმენელებისაგან, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიასთან ერთად შეიმუშავა ანტონოვის ბანდების სალიკვიდაციო ოპერაციის გეგმა.

სამოქმედო რაიონი დაყოფილი იქნა საბრძოლო უბნებად. თითოეულ მათგანში შეიქმნა პოლიტიკური კომისია სამაზრო კომიტეტის მდივნის, უბნის უფროსისა და კომისრის, საგანგებო კომისიის უფროსის და პროკურორის შემადგენლობით. კომისიებს დიდი უფლებები მიენიჭათ. მათ შეეძლოთ, დამოუკიდებლად ადგილზევე გაესამართლებინათ და გამოეტანათ სიკვდილით დასჯის განაჩენი ბანდიტიზმისათვის.

ტამბოვიდან მე კოზლოვში გავემგზავრე, სადაც ციმბირის მე-15 ცხენოსანი დივიზიის შტაბი და ამ დივიზიის ორი ცხენოსანი ბრიგადა იდგა, ხოლო მესამე მოქმედებდა ქალაქ კირსანოვის რაიონში გრიგორი კოტოვსკის ბრიგადასთან ერთად.

კოზლოვის საბრძოლო უბნის შემადგენლობაში ცხენოსანი ნაწილების გარდა შედიოდა საგანგებო დანიშნულების ნაწილების ადგილობრივი რაზმები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო კომუნისტებით, მუშებითა და კომკავშირელებით. ეს რაზმები ძირითადად იცავდნენ რკინიგზის ხაზს, რომელიც აგრეთვე დაყოფილი იყო უბნებად.

ანტონოველები მოქმედებდნენ ცალკე ბანდებად 50-დან 500 კაცამდე. ისინი შეიარაღებული იყვნენ შაშხანებით, ტყვიამფრქვევებით და გადაკეთებული თოფებით. ბანდიტები მგზავრობდნენ ცხენებით და ოთხთვალებით. ანტონოველთა ტაქტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ხშირად იცვლიდნენ ადგილს და თავს ესხმოდნენ წითელი არმიის მცირერიცხოვან ქვედანაყოფებს. მაგრამ როცა ბანდას თავს დაესხმოდნენ, ისინი თვითონ იყოფოდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად და იფანტებოდნენ სხვადასხვა მიმართულებით, რათა შემდეგ განსაზღვრულ დროსა და წინასწარ დათქმულ პუნქტებში კვლავ შეგროვილიყვნენ.

ამბოხებულთა მეთაურები წითელი არმიის მოქმედებას გებულობდნენ ადგილობრივი კულაკებისაგან, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ანტონოვის მოძრაობას.

ჩვეულებრივ, როცა ჩვენ ალყას შემოვარტყამდით ამა თუ იმ სოფელს, სადაც ბანდიტები იყვნენ, ისინი უეცრად ქრებოდნენ. შეხვალ სოფელში და მათი ჭაჭანება არ ჩანს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბანდიტები მალავდნენ იარაღს და ხელს ჰკიდებდნენ გლეხურ სამუშაოს, თავს მშვიდობიან მცხოვრებლებად ასაღებდნენ.

სადგურ კოჩეტოვკის რაიონში ცხენოსანმა ქვეგანაყოფებმა რამდენჯერმე შეუტიეს ბანდას, რომელიც ხობატურის ტყეში იმალებოდა, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. გამოირკვა, რომ ახლომახლო სოფლების კულაკები თურმე ქარის წისქვილის ფრთებისა და კოცონების საშუალებით ატყობინებდნენ ბანდიტებს საფრთხის შესახებ.

მაგონდება ერთი ასეთი ეპიზოდი. სოფელ კოჩეტოვკაში ვიყავი, იქ მაცნობეს, რომ კარასის ბანდა 500 მხედრის რაოდენობით განლაგდა ხობატურის ტყეში.

განგაშზე ამდგარი პოლკი ჭენებით გაეშურა. მაგრამ ადგილზე რომ მივედით, ვერავინ ვერ აღმოვაჩინეთ. გავაგზავნე სხვადასხვა მიმართულებით მზვერავთა ჯგუფები, რომ ტყე გულმოდგინედ დაეზვერათ. დაზვერვამ აღმოაჩინა კარასის ბანდა პატარა მდინარის მაღალი ბალახით დაფარულ დაჭაობებულ ნაპირზე. ეტყობა, ბანდიტები დაბნელებას ელოდებოდნენ, რათა უეცრად დასხმოდნენ კოჩეტოვკას (ამის შესახებ ადრეც გვითხრეს მეტყევეებმა).

პოლკმა დაუყოვნებლივ დაიწყო ბანდის გარსშემორტყმა. ბანდის განლაგების შუაგულში შეიჭრა ორი ესკადრონი, ხელთ ვიგდეთ 200-მდე ტყვე, ავკუწეთ 50-მდე ბანდიტი. მხოლოდ ზოგიერთმა, მათ შორის ბანდის დაჭრილმა მეთაურმა კარასმა, მოასწრო გაქცევა. ამ ბრძოლის შემდეგ ბანდამ, რომელიც ძირითადად ლიპეცკის მაზრის ტერიტორიაზე მოქმედებდა, არსებობა შეწყვიტა.

ჩვენ ვახდენდით ლობანის ბანდის ლიკვიდაციასაც, რომელშიც 100-ზე მეტი კაცი იყო. ისინი თარეშობდნენ კოჩეტოვკის, ალექსანდროვკის და მოსალოვკის რაიონში. ერთ-ერთ ამ სოფელში ბანდა ხელთ იგდო ციმბირის მე-15 ცხენოსანი დივიზიის პირველი ბრიგადის კავალერიის პოლკმა. პოლკის მეთაურმა მოგვახსენა, რომ ბანდის მეთაური ლობანი მოკლულია, იგი გამოიცნეს მცხოვრებლებმა და დამარხესო. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ „მკვდრეთით აღმდგარი“ ლობანი რამდენიმე ბანდიტით კვლავ გამოჩნდა სოფელ ალექსანდროვკაში, გაუსწორდა ადგილობრივ ღარიბ გლეხობას და

შურისძიებით დაემუქრა მათ, ვინც უარს ამბობდა მეამბოხეთა დახმარებაზე.

შეშინებულმა გლეხებმა ამის შესახებ აცნობეს ცხენოსანი ბრიგადის შტაბს. მე ბრძანება გავეცი სასწრაფოდ გამოეძიათ ეს საქმე. გვამის ნახვისას აღმოჩნდა, რომ მოუკლავთ სხვა ბანდიტი, რომელიც ძალიან ჰგავდა ლობანს. გახარებულ გლეხებს, რომელთაც ეგონათ, რომ თავიდან მოიცილეს საძულველი ბანდის მეთაური, სიჩქარეში მხედველობიდან გამორჩათ ნამდვილი ლობანის გამოსაცნობი ნიშანი — ერთ-ერთი ბრძოლისას ხმლით მოკვეთილი ქუსლი. მკვდარ ორეულს კი ფეხი მთელი ჰქონდა.

ანტონოვშჩინასთან ბრძოლა დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ მოსახლეობა არ დახმარებოდა წითელ არმიას. საშუალო გლეხობამ იწყო კულაკობის ამბოხების დანაშაულებრივი მიზნების შეცნობა, მან მხარი აღარ დაუჭირა ბანდიტებს. ამას ხელი შეუწყო პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ. ადგილობრივმა მოსახლეობამ უფრო ხშირად თვითონ დაიწყო ბანდიტთა პატარა ჯგუფების განიარაღება.

1921 წლის ივლისის ბოლოს მე უნდა დავბრუნებულიყავი მოსკოვში აკადემიაში. ჩემს მაგივრად ციმბირის მე-15 ცხენოსანი დივიზიის მეთაურად დაინიშნა ნ. დ. ტომინი, წითელი არმიის შესანიშნავი მეთაური, გმირულად რომ იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე ადმირალ კოლჩაკის ჯარებისა და ატამან დუტოვის ბანდების წინააღმდეგ.

მაგრამ ტამბოვის რაიონის ჯარების სარდალმა მ. ნ. ტუხაჩევსკიმ არ გამიშვა და შემომთავაზა პირველი ცხენოსანი ბრიგადის მეთაურობა. ერთდროულად დამნიშნეს მე-3 რაიონული პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარედ, რომლის შტაბიც იმყოფებოდა სოფელ სტარო-სესლავინოში.

უნდა მოვყვე ამ პერიოდის ერთი ეპიზოდის შესახებ.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სტარო-სესლავინოს რაიონის ხუტორში ხშირად იმალებიან ბანდიტები და ინაწილებენ დატაცებულ ქონებას.

ხუტორში რომ მივედით, დავკითხეთ მეპატრონე: ხომ არ ყოფილან მასთან ბანდიტები და ხომ არ გადამალეს რამე ნაძარცვი ქონებიდან სახლში ან ეზო-კარმიდამოში? მეპატრონე ყველაფერს

კატეგორიულად უარყოფდა: ბახდიტები ხუტორში არასოდეს არ ყოფილან და ჩემთან არც არაფერი გადაუმალავთო.

— თუ რამეს ნახავთ, საკუთარი თავით ვაგებ პასუხს, — განაცხადა მან.

მცირეოდენი ჩხრეკის შემდეგ ჯარისკაცებმა ფარდულთან ფიჩხის ქვეშ ორმოში აღმოაჩინეს დიდი ფუთები მანუფაქტურით. კულაკი დაიბნა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ჯიუტად მტკიცებას:

— არ ვიცი, ვინ ჩაფლა აქ მანუფაქტურა.

— კიდევ რა არის გადამალული? — ეკითხე მე.

— არაფერი არაა, თუ რამე ნახოთ, ჩამომახრჩეთ!..

დიდხანს ეჩხრიკეთ, მაგრამ ვერაფერი ვერ ვიპოვეთ. უცებ თავში გამიელვა აზრმა: ხომ არ არის რაიმე ჩაფლული ბოსტანში ნარგავების ქვეშ? და კავალერისტებს ვუბრძანე ხმლის წვერით გაესინჯათ მიწა. ძალიან მალე მათ აღმოაჩინეს ორი ორმო: ერთი ხახვის ნარგავქვეშ, მეორე — კიტრის ქვეშ. ის პირამდე სავსე იყო ყოველგვარი საქონლით, რომელიც ბანდიტებს სადგურ კოჩეტკოვკაში დაეტაცათ.

— სულ ეს არის? — კვლავ ეკითხე მეპატრონეს.

მან თავი დახარა. ცდილობდა დაეფარა თვალების მგლური ბრიალი:

— დიახ. ესაა ყველაფერი. რაც გენებოთ, ის მიყავით.

ჩვენ წასვლას ვაპირებდით, როცა კომისარმა სახლის ახლოს ნაგვისა და ნაცრის გროვა შენიშნა.

— ივან ვლადიმერის ძევ! აქაც ხომ არ გაგვიმზადეს საჩუქარი? — და მან ნაგვის გროვაში სტკუცა ხმალი. ხმალი ისე თავისუფლად ჩაერჭო მიწაში, როგორც დანა კარაქში. აღმოჩნდა, რომ აქაც ყოფილა ახალი ორმო, საიდანაც მებრძოლებმა ამოიღეს 50 შაშხანა და ყუთი შტამპებითა და ეგრეთ წოდებული „გლეხთა კავშირის“ ბეჭდებით. იქვე ინახებოდა სოფლის აქტივისტების სიები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხუტორის მეპატრონე კულაკს მიეზღო დამსახურებისამებრ.

1921 წლის შემოდგომისათვის ანტონოვშჩინა ტამბოვის გუბერნიაში ძირითადად ლიკვიდირებული იქნა და მე კვლავ დავბრუნდი მოსკოვში სამხედრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად.

სასწავლო წლის დაწყებამდე მრჩებოდა თავისუფალი დრო.

ამხანაგების რჩევით კავკასიაში გავემგზავრე, რათა ცოტა დამესვენა.

ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქს მაშინ სარდლობდა კ. ე. ვოროშილოვი, როცა როსტოვში ჩავედი, კლიმენტი ეფრემის ძეს მოვახსენე ჩამოსვლის მიზანი, მან სოჭში გამიშვა და თან მითხრა:

— სოჭი საუცხოო კურორტია, იქ თქვენ კარგად დაისვენებთ. ჰო, მოინახულეთ ამხანაგი ოზოლინი. ის სოჭის თავდაცვის რაიონს მეთაურობს. კონსტანტინე ივანეს ძე კარგად მოგაწყობთ და თქვენც მიეხმარებით მას მუშაობაში...

ამხანაგ ვოროშილოვს მადლობა მოვახსენე და გავემგზავრე სოჭში ნოვოროსიისკის გავლით, სადაც იმყოფებოდა შტაბი კოჟანოვისა — სამოქალაქო ომის ფრონტებზე ჩემი ნაცნობისა. ის უწევდა ორგანიზაციას მთელი შავი ზღვის სანაპიროს დაცვას.

ჩვენ ერთმანეთს შევხვდით როგორც ძველი მეგობრები. კოჟანოვმა გამომიყო კატერი, რომლითაც ჩავედი სოჭში. ნაპირზე გადმოსვლისთანავე პირდაპირ თავდაცვის რაიონის შტაბში ოზოლინთან წავედი.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს. და აი, ის, კოსტია ოზოლინი, კვლავ ჩემს წინაა. — ისეთივე ენერგიული, დაუღალავი მუშაობაში, როგორსაც მას მეთერთმეტე ცხენოსანი დივიზიიდან ვიცნობდი.

კონსტანტინე ივანეს ძემ მაშინვე გამოიღო სეიფიდან ტოპოგრაფიული რუკა. მაჩვენა როგორ აშენებს შავი ზღვისპირეთის თავის უბანზე თავდაცვის სიმაგრეებს და შემომთავაზა, თუ დაღლილობას არ ვგრძნობ, ხვალ მასთან ერთად გავმგზავრებულიყავი რეკოგნოსცირებაზე სანაპირო ბატარეებისათვის საცეცხლე პოზიციების შესარჩევად.

სოჭის თავდაცვის რაიონი სამხედრო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჯაშუშები, კონტრაბანდისტები და სხვა მტრული ელემენტები დაძვრებოდნენ მთელ სანაპიროზე, მთელი დღეები დავდიოდი ოზოლინთან ერთად ცხენით, ვარჩევდით საცეცხლე პოზიციებს არტილერიისათვის და მოხერხებულ ადგილებს სანაპიროს დაცვისათვის განსალაგებლად.

ასე გავატარე ჩემი „დასვენება“. როცა მეცადინეობას შევუდექი, უამრავი სამუშაო დამაწვა თავზე: უნდა ჩამებარებინა ჩათვლები სხვადასხვა სამხედრო საგნებში და დამეწყო სადიპლომო ნაშ-

რომის წერა. ბევრი დღე და უძილო ღამე ვუჯექი წიგნებსა და კონსპექტებს.

სწორედ ამ დროს მოხდა ისეთი ამბავი, რომელმაც დიდი თავდადებული შრომისათვის განმაწყო. მუშათა და გლეხთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პლენუმზე 1922 წლის თებერვალში, წითელი არმიის მე-4 წლისთავის საზეიმო დღეს წილად მხვდა ბედნიერება შევხვედროდი ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. საზეიმო სხდომაზე დიდ თეატრში იმყოფებოდა თითქმის ყველა უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა. აქ იყვნენ სტალინი, ფრუნზე, სკლიანსკი, უნშლიხტი, ს. ს. კამენევი, ლებედევი, მურალოვი და სხვები. მიგვიწვიეს ჩვენც, სამხედრო აკადემიის მსმენელებიც: დიბენკო, ფედკო, ურიცკი, მე და სხვები. ჯერ კიდევ კრების გახსნამდე ილიჩი მოვიდა ჩვენთან, სამხედრო აკადემიის მსმენელებთან, და დაგვიწყო გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ ვცხოვრობთ და ვსწავლობთ.

— აი, მითხარით თქვენ, — მომმართა მე ვლადიმერ ილიას ძემ, — რა უფრო ძნელია, სწავლა თუ ბრძოლა?

— სწავლა, — ვუპასუხე მე.

მე მხარი დამიჭირეს აკადემიის სხვა მსმენელებმაც. ვლადიმერ ილიას ძემ გაიცინა, ხოლო შემდეგ სერიოზულად თქვა:

— წითელი არმია ძალიან კარგად ურტყამდა მტრებს, მაგრამ ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა სწავლა და ისიც მაღალ დონეზე სწავლა.

ამას რომ ამბობდა, ის თითოეულ ჩვენთაგანს გვაკვირდებოდა, თითქოს გვამოწმებდა, ვიზიარებდით თუ არა მის აზრს. შემდეგ ცოტახანს გაჩუმდა და კეთილი ღიმილით დაუმატა:

— მოფიქრება არ უნდა: ბრძოლა უფრო ადვილიაო! — და კვლავ გაიცინა.

პლენუმზე ყველა ჩვენთაგანი დაგვაჯილდოვეს მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

ეს სიგელი ინახება ჩემთან როგორც უძვირფასესი რელიქვია და სამახსოვრო ილიჩთან იმ ბედნიერი, დაუვიწყარი შეხვედრისა.

გადიოდნენ წლები...

სამოქალაქო ომის დროს წითელი არმიის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს გარეშე და შინაური მტრების განადგურებამ ჩვენ საშუალება მოგვცა შევდგომოდით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. მაგრამ ამავე დროს კომუნისტური პარტია არასოდეს არ

ივიწყებდა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობას, იმპერიალისტებისაგან ახალი თავდასხმის შესაძლებლობას. ის მოუწოდებდა მუშებს და გლეხებს ყოველმხრივ განემტკიცებინათ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, ყოფილიყვნენ მუდმივ მობილიზებულ მზადყოფნაში.

ჰეშმარიტად ბევრი უდიდესი მოვლენა მოხდა სამოქალაქო ომის შემდგომი ორი ათეული წლის მანძილზე... ჩემი თაობის რომელ ადამიანს არ ახსოვს პირველი ხუთწლედების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ჰეროიკით მოსილ დნეპრჰესის კაშკაშა სინათლე, სტალინგრადის ქარხნის კონვეიერიდან ჩამოსული პირველი სამაგულო ტრაქტორი, მაგნიტკის მშენებლობა, იზოტოვის, სტახანოვის, ჭეტროპოლიტენის გვირაბგამყვანი მოსკოველი კომკავშირელების შრომითი გმირობა.

მაგრამ ჩვენ სხვა რამესაც ვხედავდით: კვლავ ჩამოწვა მსოფლიოში ქარიშხლის მომასწავებელი ღრუბლები. და აი, 1939 წლის სექტემბრის ერთ ცხელ დღეს პირდაპირი ტელეფონით გამომიძახა მოსკოვმა.

ასეთი გამოძახებები მაშინ ჩემთვის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლისათვის მოულოდნელი რამ არ იყო. თავდაცვის სახკომი, გენერალური შტაბი რეგულარულად გვეკითხებოდნენ ჯარების საბრძოლო სწავლების შესახებ, თურქეთთან და ირანთან სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებებზე.

მაგრამ ამ დღეს სულ სხვა რამ მელოდა — თავდაცვის სახკომის კ. ე. ვოროშილოვის ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა გავემგზავრებულიყავი კიევში.

ვითარება რთული იყო და მე არ გამკვირვებია კიევში სასწრაფო გამოძახება. ფაშისტური გერმანია დასავლეთში „მცირე სისხლით“ გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანელ-ფაშისტთა ჯარები პოლონეთში შეიჭრნენ. ხელთ იგდეს ზემო სილეზიის სამრეწველო რაიონი და უკვე მეათე დღეს გადალახეს ვდინარე სანი და მიადგნენ ლვოვს.

შეეძლო კი საბჭოთა მთავრობას გულგრილად ეცქირა, ჰიტლერელთა ჯარები როგორ უახლოვდებოდნენ ჩვენს სახელმწიფო საზღვარს? შეეძლო მას ბედის ანაბარა მიეტოვებინა მილიონობით დასავლეთ უკრაინელი და ბელორუსი?

როგორც კი ჩავფრინდი უკრაინის დედაქალაქში „P—10“ ორმოტორიანი მზვერავგამანადგურებლით, მაშინვე, აეროდრომიდანვე გავემართე კიევის სამხედრო ოლქის შტაბში, სადაც მიმიღო სარდალმა ს. კ. ტიმოშენკომ.

— არის თავდაცვის სახკომის კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვის ბრძანება ახალ თანამდებობაზე თქვენი დროებით დანიშვნის შესახებ, — მითხრა ტიმოშენკომ. — ჩაიბარეთ უკრაინის ფრონტის მე-12 არმია: სატანკო და ორი ცხენოსანი კორპუსის, ორი ცალკე სატანკო ბრიგადის შემადგენლობით. ეს საფრონტო მოძრავი ჯგუფია. ჯგუფის ამოცანაა — დაიძრათ გერმანელ-ფაშისტთა ჯარების შესახვედრად, შეაჩეროთ მათი წინსვლა აღმოსავლეთისაკენ, უზრუნველყოთ დასავლეთ უკრაინის მოსახლეობის უსაფრთხოება.

იმავე დღეს გავემგზავრე რაიონულ ცენტრ გოროდოკში, სადაც განლაგებული იყო შტაბი საბჭოთა ჯარების ჯგუფისა, რომელიც მონაწილეობდა განმათავისუფლებელ ლაშქრობაში.

ჯგუფის შტაბში ჩვენ მიერ შედგენილი გეგმა უბრალო იყო: გადაგველახა ბუგი, სწრაფად წაგვეწია ჩორტკოვს იქით. არავითარი საარტილერიო მომზადება არ მოგვეწყო, რათა არ გამოგვეწვია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

17 სექტემბერს ჩვენი ჯარები გადავიდნენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრის სიგრძეზე. მალე ჩვენ უკვე მდინარე სტრიის გაღმა გერმანიის მე-14 არმიის დამრტყმელი ნაწილების უშუალო სიახლოვეს ვიყავით.

„როგორ მოიქცევიან ფაშისტები, როცა პირისპირ შეგვეჩეხებიან? — ვფიქრობდი მე. — გაბედავენ კი აშკარა შეჯახებას, რათა ძალით გაიჭრან აღმოსავლეთისაკენ?..“

გერმანიის სარდლობის წარმომადგენელთან შეხვედრა დროგობიჩში შედგა. სარივით გაჭიმულმა, ქედმაღალმა ოფიცერმა ხმის ამოუღებლად მოისმინა ჩვენი მოთხოვნა გერმანელთა ნაწილების მდინარე სანს იქით დახევაზე. შემდეგ მან თქვა, რომ ახლავე დაუკავშირდება თავის უფროსს და გადასცემს ჩვენი საუბრის შინაარსს..

— იმედი მაქვს ეს ულტიმატუმი არაა და ჩვენ კეთილ მეგობრებად დავრჩებით, — ჩაიცინა ოფიცერმა. მაგრამ იგი მხოლოდ ტუჩებით იღიმებოდა, თვალებში კი სიკეთე არ მოუჩანდა. — რაც

შეეხება ამათ... პოლონელებს, — მან აგდებულად ჩაიქნია ხელი, — მათთან საქმე გათავებულია...

მე შემაყრაყოლა ამ ცინიკური სიტყვების გამო, და მკვახედ მოვუშერი ფაშისტს:

— ჩვენ პოლონეთს არ ვეომებით. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხები, რომლებიც უსამართლოდ ჩამოაცილეს საბჭოთა კავშირს, ისწრაფიან თავის სამშობლოსთან შეერთებას.

— რასაკვირველია! — შემოკრა ქუსლები ერთმანეთს ჰიტლერელმა, თითქოს სავსებით მეთანხმებოდა.

ფაშისტებმა ვერ გაბედეს ჩვენთან აშკარა სამხედრო კონფლიქტი. დადგენილი იქნა დროებითი დემარკაციული ხაზი, განისაზღვრა მდინარე სანს იქით გერმანელ-ფაშისტთა ჯარების უკან დახევის ზუსტი დრო. სიტყვამ მოიტანა და ფაშისტები უკან რომ იხევდნენ. თავი ვერ შეიკავეს, ჩვენზე შურისძიებით დაწვეს და ააფეთქეს ნავთობსახდელი ქარხანა დროგობიჩში. დიდი შრომა გასწიეს ჩვენმა მესანგრეებმა, რომ ქალაქი დაწვისაგან გადაერჩინათ.

ჩვენი მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, ჰიტლერელები ყოველგვარი საბაბით აჭიანურებდნენ დემარკაციულ ხაზს იქით უკან დახევას. დიდი სურვილი ჰქონდათ, ეთარეშათ დასავლეთ უკრაინაში. ამ გაჯანჯალებას იმით ხსნიდნენ, რომ ჯერ მთლიანად არ არისო დაძლეული წინააღმდეგობა პოლონეთის არმიის ჯგუფისა, რომელსაც გენერალი ანდერსი სარდლობდა.

საბჭოთა კავშირის სიძულვილით დაბრმავებული ანდერსი ცდილობდა შეეფერხებინა ჩვენი ჯარების წინსვლა, მაგრამ გამანადგურებელი დარტყმა რომ იგემა, მიატოვა თავისი ჯარისკაცები და შეეცადა უნგრეთში გაქცევას. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული, მსუბუქად დაჭრილი ანდერსი თავის სხვა ოფიცრებთან ერთად ავიყვანეთ ტყვედ.

ტყუილუბრალო სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ანდერსს წინადადება მივეცი მიმართვა დაეწერა პოლონელი ჯარისკაცებისადმი, რათა მათ ნებაყოფლობით დაეყარათ იარაღი. ის დიდხანს ჯიუტობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დამთანხმდა.

რამდენიმე დღის შემდეგ დასავლეთ უკრაინა მთლიანად გაიწმინდა გერმანელი ფაშისტებისაგან.

28 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა საბჭოთა კავშირ-

გერმანიის ხელშეკრულება საზღვრის შესახებ. დემარკაციულმა ხაზმა გადაიწია ბუგამდე. მალე დასავლეთ უკრაინა თავისი ხალხის ნება-სურვილით შევიდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ამით დასრულდა ჩემი დროებითი ჩასვლა კიევის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქის ჯარებში. ჩქარა კვლავ კავკასიაში დავბრუნდი.

1939 წლის სექტემბრის დღეების შემდეგაც ხშირად მაგონდებოდა ქედმაღალი ჰიტლერელი ოფიცერი, რომელთანაც მოლაპარაკებას ვაწარმოებდი დროგობიჩში. რა ხაზგასმული თავაზიანობითაც არ უნდა მოქცეულიყო, ფაშისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის „მეგობრობის“ რა ფრაზებიც არ უნდა წარმოეთქვა, მე ვგრძნობდი, რომ ჩემს წინაშე იდგა მტერი და ვიცოდი, კიდევ მოიწევდა მისთანებთან შეხვედრა ბრძოლის ველზე.

ასეც მოხდა...

და კვლავ გრძოლა...

გრძელია ივნისის დღე.

უკვე ბინდდებოდა, როცა დავტოვე მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბი. კაბინეტიდან გასვლის წინ გადავშალე მაგიდის კალენდრის ფურცელი. ხვალ 22 ივნისია, კვირადღე. თუმცა უკანასკნელი თვეების კვირადღეები მხოლოდ პირობითად ითვლებოდა ჩემთვის არასამუშაოდ: ვითარება, მიუხედავად საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტისა, ყოველდღიურად დაძაბული ხდებოდა, და მე როგორც ოლქის ჯარების სარდალს, უამრავი საქმე მქონდა.

მანქანა, რომელიც რბილად მიდიოდა გახურებულ ასფალტზე, საერთო ნაკადს შეუერთდა და გაუყვა ფართო ცენტრალურ მაგისტრალს.

მძღოლის გვერდით დაღლილი ვიჯექი და ვათვალიერებდი შაბათის საღამოს გაზეთს. სამხედრო მოქმედებები სირიაში... მდგომარეობა ლიბია-ეგვიპტის ფრონტზე... ინგლისის ჰიდროპლანის დაღუპვა... გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავის გამოჩენა ინგლისის ტერიტორიაზე. ჩვეულებრივი, უკვე თვალს მიჩვეული ცნობები დასავლეთის ფრონტიდან.

და ამავე სვეტში მარჯვნივ — დედაქალაქის ქრონიკა: დილა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე; პიონერების ბანაკად გამგზავრება»; პატარა იხფორმაცია ხიმკში საწყლოსნო სტადიონის მომავალ გახსნასთან დაკავშირებით.

ჩემდაუნებურად გავიფიქრე იმის შესახებ, რა უნდა გამეკეთებინა ხვალ. შეიძლება გამომენახა რამდენიმე საათი და წავსულიყავი ხიმკში, თუ დღე გამეტარებინა ჩემს აგარაკზე ფიჭვნარში.

მოსკოვი ელექტრონათურებით იყო გაჩირაღდნებული. სანამ მანქანა შუქნიშანთან იდგა, მე უგულისყუროდ ვკითხულობდი აფიშებს სარეკლამო ფარზე: „ერმიტაჟში“ ამ დღეებში დაიწყება ლეონიდ უტიოსოვის ჯაზ-ორკესტრის გასტროლები. ორშაბათიდან დედაქალაქის კინოთეატრებში ახალი კინოსურათი — „ცენსკის ხეობის განძი“. საიდანღაც ღია ფანჯარიდან მოისმოდა ავტომანქანის საყვირის ხმებთან და ხალხის ჟრიამულთან ერთად შერწყმული პოპულარული სიმღერის სიტყვები:

„საყვარელ ქალაქს შეუძლია მშვიდად იძინოს
ნახოს სიზმრები, და გაზაფხულზე მწვანედ იმოსოს...“

საყვარელ ქალაქს შეუძლია მშვიდად იძინოს!.. შეგვეძლო კი ჩვენ მაშინ გაგვეთვალისწინებია, რომ იმავე ღამეს ობობასნაირი სვასტიკიანი თვითმფრინავები ბომბებს დააყრიდნენ ჩვენს მშვიდობიან ქალაქებს.

რა თქმა უნდა, ვითარება საგანგაშო იყო: ჰიტლერი ემზადებოდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისათვის. მაგრამ არ გვჯეროდა, თუ ეს ასე მალე მოხდებოდა.

სამსახურის გამო ყოველდღიურად ვეცნობოდი სასაზღვრო სამხედრო ოლქებიდან გენერალურ შტაბში შემოსულ პატაკებს. ისინი არასანუგეშონი იყო. გახშირდა ჩვენი სახელმწიფო საზღვრის დარღვევები ფაშისტური თვითმფრინავების მიერ. სერიოზულ დაფიქრებას იწვევდა ის ფაქტიც, რომ დამრღვევი თვითმფრინავები ჩვენს საზღვრებში დაფრინავდნენ სრული საბრძოლო შეიარაღებით.

მაგრამ დამრღვევთა მიმართ რაიმე ზომების მიღება აკრძალული იყო. თვლიდნენ, რომ ასეთი ინციდენტები სხვა არა იყო რა, თუ არა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების ცალკეულ ოფიცერთა პროვოკაცია.

ბალტიისპირეთის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქში ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა აიძულეს ფაშისტების თვითმფრინავების რგოლი მიწაზე დაშვებულიყვნენ. მაგრამ ამ, არც თუ შემთხვევითი

ეპიზოდის შემდეგაც აკრძალული იყო დამრღვევების წინააღმდეგ ცეცხლის გახსნა.

ამის გაფიქრებისთანავე შეუძლებელი იყო თავიდან მომეცილებინა ის შფოთიანი ეპვი, რომელიც გარს მეხვია ამ უკანასკნელ დროს: ასე მტკიცეა ვითომ თავდაუსხმელობის პაქტი, რომელსაც ხელი მოაწერა ფაშისტური გერმანიის მთავრობამ? შეიძლება კი ვენდოთ ჰიტლერის სიტყვას, რომელმაც დაიპყრო ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, სისხლის მდინარე დააყენა ევროპის ველებზე? ერთი მხრივ სამახსოვრო ფოტოსურათი: ჰიტლერი და მოლოტოვი ბერლინში პაქტზე* ხელმოწერის შემდეგ, მეორე მხრივ — სსრ კავშირის საჰაერო საზღვრის დარღვევის ხუთასზე მეტი შემთხვევა, აღრიცხული მოკლე პერიოდში. დიახ, ფაქტები სხვა რამეს მიგვანიშნებდნენ, გვძაბავდნენ, გვაფრთხილებდნენ.

ჩვენს სახელმწიფო საზღვართან თავს იყრიდა გერმანელთა ჯარები. ამის ახსნა შეიძლებოდა მხოლოდ იმით, რომ მზადდებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმა. ეპვს იწვევდა გერმანიის მთავრობის სასწრაფო მოქმედება — 20 ივნისიდან დაწყებული აპატიმრებდნენ ყველას, ვინც ასე თუ ისე საბჭოთა კავშირის მიმართ სიმპათიურად იყო განწყობილი. ისტორია გვასწავლის, რომ ომის ერთ-ერთ წინასწარ მაუწყებელ ფაქტორს წარმოადგენს თავის ქვეყანაში იმ ელემენტთა იზოლაცია, ვინც თანაუგრძნობს იმ სახელმწიფოს, ვის წინააღმდეგაც დღეს თუ ხვალ საბრძოლო მოქმედება დაიწყება.

რასაკვირველია, 22 ივნისის, ამ საბედისწერო დღის წინ, ჩვენ არ ვიცოდით, რომ ჯერ კიდევ 1940 წლის ივლისში ფაშისტური გერმანიის მთავრობას მიუღია გადაწყვეტილება სსრ კავშირზე თავდასხმის შესახებ, ხოლო იმავე წლის 18 დეკემბერს ჰიტლერმა ხელი მოაწერა № 1 დირექტივას, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა როგორც „ბარბაროსას გეგმა“. მაგრამ ამის მიუხედავად არავის არ შეეძლო ვაეძულებინეთ ჩვენ, ძველი სამხედროები გვერწმუნა ფაშისტური გერმანიის განცხადებათა გულწრფელობა.

...მოსკოვი კი რა კარგი იყო ამ უკანასკნელი მშვიდობიანი ივნისის საღამოს! უნებურად მომაგონდა განვლილი დღე.

შუადღისას კრემლიდან დამირეკა პოსკრებიშევმა:

---

* უნდა იყოს ბერლინში მოლაპარაკების დროს და არა პაქტზე ხელმოწერის შემდეგ (მთარგმნელი).

— თქვენ დაგელაპარაკებათ ამხანაგი სტალინი...

ყურმილში მესმის ძიყრუებული ხმა:

— ამხანაგო ტიულენევ, როგორ არის მოსკოვის საჰაერო თავდაცვის საქმე?

მთავრობის მეთაურს მოკლედ მოვახსენე ამ დღისათვის, 21 ივნისისათვის მიღებული საჰაერო თავდაცვის ზომების შესახებ.

ამის პასუხად მითხრა:

— გაითვალისწინეთ, რომ მდგომარეობა მშვიდი არაა და თქვენ უნდა მოიყვანოთ საბრძოლო მდგომარეობაში მოსკოვის საჰაერო თავდაცვის ჯარების მზადყოფნა სამოცდათხუთმეტ პროცენტამდე.

ამ მოკლე საუბრის შედეგად მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს სტალინს მიეღო ახალი საგანგაშო ცნობები გერმანელების სამხედრო გეგმების შესახებ.

იქვე მივეცი განკარგულება ჩემს თანაშემწეს საჰაერო თავდაცვის დარგში გენერალ-მაიორ მ. ს. გრომადინს.

საღამოს თავდაცვის სახალხო კომისართან საბჭოთა კავშირის მარშალ ტიმოშენკოსთან და გენერალური შტაბის უფროსთან არმიის გენერალ გ. კ. ჟუკოვთან ვიყავი და გავიგე, რომ მოახლოებული ომის შემაშფოთებელი სიმპტომები დასტურდება. ყურადღებას იპყრობდა საეჭვო ფუსფუსი გერმანიის საელჩოში. ყველა რანგის თანამშრომელი სწრაფად მიემგზავრებოდა მანქანებით ქალაქგარეთ.

— მოგვიანებით კვლავ ჟუკოვთან შევიარე.

— ოლქების შტაბებიდან მიღებული მოხსენებების მიხედვით, — მითხრა მან, — დასავლეთის საზღვარზე თითქოს ყველაფერი წყნარადაა, მაგრამ სარდლები გაფრთხილებულნი არიან შესაძლო თავდასხმის შესახებ ფაშისტური გერმანიის მხრიდან. ეს ვარაუდი დასტურდება ჩვენი დაზვერვის მონაცემებით.

მე დავინტერესდი, ძალთა რა შეფარდებაა ახლა ჩვენსა და გერმანელებს შორის.

— გერმანელებს, რამდენადაც ცნობილია, საერთო უპირატესობა არა აქვთ, — მოკლედ მიპასუხა ჟუკოვმა.

ამრიგად, ომის რეალური საფრთხე სრულიად ნათლად წარმოისახა.

...დაღლილი, მოახლოებულ სამხედრო საფრთხეზე აფორიაქებული ფიქრებით გადმოვედი ავტომანქანიდან წყნარ რეევის შესახვევში, სადაც ვცხოვრობდი ოჯახით — ცოლით და ორი შვილით.

22 ივნისის ღამის 3 საათზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. სასწრაფოდ კრემლში მიხმობდნენ...

გზად გენერალურ შტაბში შევიარე. გენერალი გ. კ. ჟუკოვი „ვჩ“-თი ელაპარაკებოდა სასაზღვრო სამხედრო ოლქების შტაბებს. ტელეფონზე ლაპარაკის შემდეგ ჟუკოვმა მოკლე ინფორმაცია მომცა იმის შესახებ, რომ გერმანიის ავიაცია ბომბავს კოენოს, როჟნოს, სევასტოპოლს, ოდესას.

კრემლში შემომხვდა კომენდანტი და მაშინვე საბჭოთა კავშირის მარშალთან ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვთან მიმიყვანა. კლიმენტი ეფრემის ძემ მკითხა:

— სად არის მომზადებული საკომანდო პუნქტი უმაღლესი სარდლობისათვის?

— ასეთი ამოცანა ჩემს წინაშე არავის დაუყენებია, — ვეუბნები ვოროშილოვს. მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბი და ქალაქის საჰაერო თავდაცვა საკომანდო პუნქტებით უზრუნველყოფილია. თუ საჭიროება მოითხოვს ამ შენობების გადაცემა შეიძლება უმაღლესი სარდლობისათვის...

შემდეგ ვოროშილოვმა გამომიცხადა, რომ მე დამნიშნეს სამხრეთის ფრონტის ჯარების სარდლის თანამდებობაზე. წინადადება მეძლეოდა დანიშნულების ადგილზე იმ დღესვე გავმგზავრებულიყავი.

კრემლიდან დაბრუნებისთანავე წავედი მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბში. ჩემი მითითების თანახმად ვოროშილოვმა მაშინვე გამოყო საველე შტაბი სამხრეთის ფრონტისათვის და დაიწყო რკინიგზის სპეციალური შემადგენლობის მომზადება შტაბის მუშაკების გასამგზავრებლად ფრონტზე.

მომზადებული ვიყავი იმისათვის, რომ ჩვენ ომის ზღურბლზე ვართ და აი, ისიც დაიწყო... მაგრამ არ მინდოდა დაჯერება იმისა, რაც მოხდა.

ომი მე, კადრის სამხედრო პირს არ მაშინებდა, თუმცა წინასწარ ვგრძნობდი, რომ ეს ახლანდელი ომი გაცილებით მძიმე იქნებოდა, ვიდრე ორივე ადრინდელი.

სახლში ყველაფერი მზად მქონდა გასამგზავრებლად. გაცილებისას მეუღლემ წყნარად მკითხა:

— როგორ ფიქრობ, ვანია, რამდენხანს გაგრძელდება ომი?

არ ვიცი რატომ, მაგრამ არც დავფიქრებულვარ ისე ვუპასუხე:

არანაკლებ სამი წლისა...

22 ივნისს საღამოს რკინიგზის შემადგენლობა სამხრეთის ფრონტის საველე სამმართველოთი გავიდა ჩაბნელებული, პირმოქუშული მოსკოვიდან.

მგზავრობისას ფრონტის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან გენერალ-მაიორ გ. დ. შიშენინთან და სამხედრო საბჭოს ხევრ კ. ვ. ზაპოროჟეცთან ერთად ვსწავლობდი მომავალი საბრძოლო მოქმედების რაიონს. გვიანობამდე ვუსხედით ოპერატიულ რუკებს, ვსაუბრობდით ომმავალი ბრძოლების შესახებ.

ადრე გავიღვიძე და გავხსენი შუქშენიღბვის მძიმე ფარდა, ვაგონში უიმისოდაც დახუთული ჰაერი იდგა. ფანჯარაში გამოჩნდა დნეპრის განიერი ცისფერი ზოლი: მატარებელი რკინიგზის ხიდზე გაიქიმა. მოშორებით მწვანე გორაკებზე აციმციმდა კიევ-პეჩორის მონასტრის მოოქროვილი გუმბათი...

ჩემს გვერდით იდგა ზაპოროჟეცი. მას სახე თითქოს გაქვავებოდა. ჩვენ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, მაგრამ ჩანდა, რომ ორივე ერთ რამეზე ვფიქრობდით: „იუნკერსებს“ უკვე მოესწრო მოფრენა ძველ და ბარად ახალგაზრდა ლამაზ კიევში.

მართალია ჩვენ ვიცოდით, რომ კიევი არ დაზიანებულა ფაშისტური თვითმფრინავების უეცარი თავდასხმისაგან, მაგრამ მაინც ყურადღებით გადაგვჭრნდა ბზეოა პეჩორის ტერასებისაკენ, მაღლა აღმართულ სახურავებზე ვეძებდით დაბომბვის კვალს. არა, ყველაფერი წესრიგშია! ჩვენმა მეზენიტეებმა და მფრინავებმა საშუალება არ მისცეს მტერს გაეკეთებინა თავისი ბნელი საქმე. ქალაქი ჩვენს წინ გაშლილიყო მწვანე მაქმანში გამოწყობილი. ქვევით, ხიდის მარჯვნივ წითელი ყუთის მსგავსი ტრამვაი გავიდა სლობოდკიდან დილის პირველ რეისზე. დნეპრიდან გრილი სიო ჩვენამდე აღწევდა. არ გვჯეროდა, რომ ახლახან ქალაქის თავზე გამოჩნდნენ გერმანული ბომბდამშენები.

მაგრამ ომი ნამდვილად იყო, და ჩვენ მალე დავრწმუნდით, რომ კიევი სამხედრო ქალაქია. რკინიგზის სადგურის ახლოს პირამიდასავით აღმართული ვერცხლისფერი ალვის ხის თავზე ნელა ქანაობდა „ძეხვი“ — საჰაერო გადამღობი აეროსტატი. შენობების კედლებზე შავი ისრები უჩვენებდნენ თავშესაფრებში შესასვლელებს. ბაქანი ახალ ფორმაში გამოწყობილი სამხედროებით იყო

სავსე. ახალგაზრდა მეთაური წკრიალა ხმით იძლეოდა განკარგუ
ლებებს. ღია ფერის მაისურებიანი ახალწვეულები სანივთე ჩანთე
ბით და ქამრებზე მოქანავე სალაშქრო ქვაბურებით, რომლებსა
ჯერ ვერ მოესწრო სამხედრო ფორმაში გამოწყობა, სწრაფად ნა
წილდებოდნენ ვაგონებში.

ჩვენ დაგვხვდა კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი
შტაბის წარმომადგენელი. პირსავსე სახეზე ლოყები ჩაცვენოდა
თვალები ჩალურჯებოდა, ეტყობოდა მთელი ღამე უძილოდ გაეტა
რებინა.

მან ოდნავ ჩახლეჩილი ხმით მოგვახსენა ის, რაც ჩვენ უკვე ვი
ცოდით: გერმანელ ფაშისტთა ჯარების უეცარი შემოჭრის გამო ვი
თარება სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მძიმე შეიქნა.

მოვიკითხე დაწვრილებითი ცნობები წინა დღის საბრძოლო
მოქმედების შესახებ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. შტაბისტმ
უხერხულად გაშალა ხელები. რა ხდებოდა კიევს იქით და მით უმე
ტეს უფრო მოშორებით, ოლქის საზღვრისპირა უბნებზე, მან არ
იცოდა. რასაკვირველია ამაში მას ბრალს ვერ დავდებდი. გერმანიის
ავიაციამ უეცარი დაბომბვით ომის პირველი წუთებიდანვე გამო
იყენა მწყობრიდან კავშირგაბმულობის მთელი რიგი ხაზები დ
კვანძები.

ვცადე ქალაქიდან დავკავშირებოდი სამხრეთ-დასავლეთის
ფრონტის სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ მ. პ. კირპონოსს, მაგრა
ტელეფონი „ვჩ“ არ მუშაობდა, ხოლო რადიოთი ლაპარაკს ბევრ
დრო სჭირდებოდა, მე კი მოცდა არ შემეძლო, ჩქარა უნდა წავსუ
ლიყავი სამხრეთის ფრონტის საკომანდო პუნქტში ვინიცაში.

24 ივნისს საღამოს სპეციალური მატარებლით ჩავედი ვინიცა
ში. ჩემს გაკვირვებასა და წყენას საზღვარი არ ჰქონდა: საკომანდო
პუნქტი სრულიად მოუმზადებელი იყო, აქ არ აღმოჩნდა ტელეფო
ნისა და ტელეგრაფის არც ერთი აპარატი, არც ერთი რადიოსად
გური.

მობილიზაცია გავუკეთეთ ადგილობრივ საშუალებებს და მათ
მეშვეობით დავამყარეთ კავშირი ჯარებთან, რაზედაც იხარჯებოდ
ძვირფასი დრო.

მე-9 არმიისა და მე-17 მსროლელი კორპუსის შტაბებთან ლა
პარაკის დროს დავადგინე, რომ სამხრეთის ფრონტის მთელ სიგრ
ძეზე მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარები და ავიაცია აწარმოებ

გაძლიერებულ დაზვერვას, აგრეთვე სისტემატურად ბომბავს რკინიგზის კვანძებს — ულერინკას, ეაზატინს, პომოშჩნაიას და ქალაქებს ოდესას და სევასტოპოლს. შესაძლებლობა მქონდა პირადად მენახა, აგრეთვე როგორ განიცადა ვინიცამაც გააფთრებული საჰაერო თავდასხმა.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ მოკლეთ მაცნობა „ვჩ"-ით ფრონტის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა კირპონოსმა. მან მითხრა, რომ ფრონტის მარჯვენა ფლანგზე ვლადიმირ-ვოლინსკის, ლუცკის, დუბნოს და როვნოს რაიონებში მოწინააღმდეგე შემოიჭრა დიდი ძალებით. მტრის სატანკო ნაწილებმა მოაღწიეს როვნოს, დუბნოს, ხოლო ქვეითები სწრაფად მოიწევენ ლვოვისაკენ, ბროდისაკენ...

კირპონოსმა მითხრა, რომ ის ღებულობს აუცილებელ ზომებს, რათა შეაჩეროს მტრის შემოტევა და მიაყენოს მის დაჯგუფებას კონტრდარტყმა მომსვლელი მოძრავი შენაერთებით.

ვინიცაში ჩემი ჩასვლის მეორე დღეს შტაბმა მიიღო თავდაცვის სახალხო კომისრის დირექტივა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვიდან შეიქმნა არმიის ჯგუფი საბჭოთა კავშირის მარშლის ს. მ. ბუდიონის სარდლობით. სამხრეთის ფრონტის არმიებს ეძლეოდათ თავდაცვითი ამოცანები: დაეცვათ სახელმწიფო საზღვარი თავიანთ ზონებში და არ დაეშვათ გერმანელ-ფაშისტთა ჯარების შემოჭრა ჩვენს ტერიტორიაზე.

უნდა ითქვას, რომ სამხრეთ-დასავლეთთან შედარებით, ჩვენი სამხრეთი ფრონტი ითვლებოდა შედარებით „მშვიდად". 22 ივნისის და შემდგომ რამოდენიმე დღის განმავლობაში ჯარების მდგომარეობაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

ჩვენ გადავწყვიტეთ გვესარგებლა ამ სიწყნარით და მოგვეყვანა ჯარები საბრძოლო მზადყოფნაში, მოგვეწესრიგებინა ზუსტი კავშირი, უმოკლეს დროში დაგვეჯგუფებინა საზღვარზე და ბრძოლაში ჩაგვება დამცველი ჯარები. ამოცანა ადვილი არ იყო. 22 ივნისს ღამით საზღვრის ახლოს იდგნენ მხოლოდ ცალკეული ბატალიონები, დაცვის ჯარების მთავარი ძალები კი სასწავლო ბანაკებში იმყოფებოდნენ, საზღვრიდან ზოგან ოცდაათი, ზოგან კი მთელი სამოცდაათი კილომეტრის მანძილზე.

მაგრამ სიწყნარე ცოტახანს გაგრძელდა. უკვე 26 ივნისის ღამეს მოწინააღმდეგის ორმა დივიზიამ არტილერიის ძლიერი ცეცხ-

ლისა და ავიაციის მხარდაჭერით შემოუტია ჩვენს ნაწილებს. იასის ჩრდილოეთით ათ კილომეტრზე სკულიანის რაიონში. მათ შეძლეს პრუტის გადმოლახვა და ხელთ იგდეს სკულიანი. 116-ე მსროლელი დივიზიის კონტრიერიშის მეოხებით ჰიტლერელები გადარეკილ იქნენ მდინარის გაღმა, ამასთან მათ დაკარგეს 700-ზე მეტი კაცი მოკლულისა და დაჭრილის სახით.

1 ივლისს იასის და ბოტოშანის ჩრდილოეთ რაიონიდან მე-11 გერმანული და მე-3 რუმინული არმიების დიდი ძალები გადმოვიდა შეტევაზე მოგილიოვ-პოდოლსკის და ბელცის მიმართულებით.

გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა. მთავარი დარტყმის მიმართულებებით ძალებსა და საშუალებებში მტერს ორმაგი, სამმაგი უპირატესობა ჰქონდა და ჩვენი ნაწილების კონტრიერიში რომ მოიგერია. 7 ივლისს მოადგა ხოტინის, ტირნოვოს და ბელცის მიჯნას. ამავე დროს მოწინააღმდეგის 1-მა სატანკო ჯგუფმა და მე-17 არმიამ დაიკავა ქალაქი ბერდიჩევი. ჩვენი მე-18 და მე-9 არმიების ჯარები ალყაში მოქცევის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ.

სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით ფაშისტური ჯგუფები ძირითად მიზნად ისახავდნენ უეცარი, ელვისებური დარტყმით გაენადგურებინათ საბჭოთა ჯარები პოლონეთთან და უნგრეთთან მოსაზღვრე რაიონებში, ხელთ ეგდოთ დასავლეთი უკრაინა, დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი დიდი სასურსათო და სამრეწველო რესურსების გარეშე და შეექმნათ პირობები აღმოსავლეთისაკენ წარმატებით წინსვლისა.

ამ ამოცანის განხორციელებამ მოითხოვა სამხედრო ტექნიკის უზარმაზარი მასის თავმოყრა. ჰიტლერმა სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების ჯარების წინააღმდეგ გადმოისროლა ეგრეთწოდებული „სამხრეთი“ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სამი საველე არმია, ერთი სატანკო ჯგუფი, ორი რუმინული არმია და უნგრული კორპუსი.

სულ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით უტევდა გერმანიის ორმოცზე მეტი ქვეითი, სატანკო და მოტორიზებული დივიზია, აგრეთვე სატელიტი ქვეყნების ოცდაათამდე ქვეითი დივიზია და ბრიგადა.

ფაშისტთა ამ ძალებს წინ აღუდგნენ: მე-5, მე-6, მე-12 და 26-ე არმიები და რამდენიმე მექანიზებული კორპუსი კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქისა, რომელსაც შემდეგ სამხრეთ-დასავ-

ლეთის ფრონტი დაერქვა; მე-9 და 18-ე არმიები, სამხრეთის ფრონტის მე-2, მე-16 და მე-18-ე მექანიზებული კორპუსები, რომლებიც ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების ბაზაზე შეიქმნა.

1941 წლის 10 ივლისის ორი ფრონტის საბრძოლო მოქმედებათა ურთიერთშეთანხმებულობისა და კოორდინაციის მიზნით შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთი მიმართულება საბჭოთა კავშირის მარშალის სემიონ მიხეილის ძე ბუდიონის სარდლობით.

ფრონტებს შორის დადგინდა გამყოფი ხაზი: კრემენჩუგი, ვინიცა, კილომია.

მხარეების ძალთა შეფარდებას თუ განვიხილავთ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, უნდა აღინიშნოს, რომ ის რაოდენობით თანაბარი იყო. მაგრამ რადგანაც ინიციატივა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ხელში აღმოჩნდა, მათ თავიანთი ძალ-ღონის კონცენტრაცია მოახდინეს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მათ მიერვე ამორჩეული მიმართულებებით და ამ მიმართულებებზე შეძლეს შეექმნათ დიდი რიცხობრივი უპირატესობა.

სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების ჯარების მოქმედება გამომდინარეობდა მთავარი სარდლობის საერთო ამოცანებიდან: უკუგვეგდო მუხანათური შემოჭრა და შეგვეჩერებინა მტრის შემოტევა. ომის პირველ დღეს თავდაცვის სახკომის ოპერატიულ დირექტივაში, რომელიც პირდაპირი სადენით გადაეცათ სასაზღვრო ოლქების ჯარებს, ასე იყო მითითებული: „ჯარები ყველა ძალებითა და საშუალებებით უნდა დაატყდნენ თავს მტრის ძალებს და გაანადგურონ ისინი რაიონებში, სადაც მათ დაარღვიეს საბჭოთა საზღვარი“. მაგრამ რომელ ზღუდეზე, რა ძალებითა და საშუალებებით უკუგდებულიყო მტრის უეცარი თავდასხმა მითითებული არ იყო. მდგომარეობა კი დაბეჯითებით მოითხოვდა ამას. მოწინააღმდეგემ ჩაშალა ჩვენი თავდაცვის გეგმა და თავს მოგვახვია თავისი ნება — გვაიძულა გვეწარმოებინა საომარი მოქმედება ჩვენთვის არახელსაყრელ პირობებში.

არ გაგვაჩნდა რა კონკრეტული, ვითარებიდან გამომდინარე გეგმა, ჩვენი ჯარი იძულებული იყო ეწარმოებინა საომარი მოქმედება შემთხვევით ზღუდეებზე. ამ მოქმედებათა ხასიათი გაურკვეველი და ძალების მიხედვით შეფარდება ჩვენთვის არახელსაყრელი იყო.

ბრძოლები დაქსაქსულ ხასიათს ატარებდნენ. თავდაცვის მთლი-

ანი ფრონტი არ იყო. ამის მტკიცებით სრულებითაც არ მინდა დავამცირო სიმამაცე იმ მეომრებისა, რომლებმაც პირველი ძლიერი დარტყმა მიიღეს მტრისაგან და, რომლებმაც არნახული გამძლეობა და შეუდრეკელობა გამოავლინეს. მათი ხსოვნა საუკუნეებს გაუძლებს!

ჩვენი მეომრები მაშინაც კი მედგრად იცავდნენ დაკავებულ ზღუდეებს, როცა მოწინააღმდეგე ახორციელებდა ღრმა შემოსვლას და გარემოცვას ფლანგებიდან. ამის შედეგად მტერი, მთავარი დარტყმების მიმართულებებით კომპაქტური დაჯგუფება რომ ჰქონდა, ავიწროებდა ჩვენს ნაწილებს.

საბჭოთა ჯარები ეწეოდნენ შეუპოვარ თავდაცვით ბრძოლებს, მაგრამ ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის შეჩერება. ამიტომ ომის პირველი დღეებიდანვე ჩვენ დავიწყეთ სახალხო-სამეურნეო ქონების ევაკუაცია უკრაინის საზღვრისპირა ოლქებიდან. პარტიისა და მთავრობის ამ ბრძნულმა გადაწყვეტილებამ საშუალება მოგვცა გადაგვერჩინა მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები. მოქმედი ფრონტისაგან მოშორებით, ღრმა ზურგში აღორძინებულმა ამ საწარმოებმა მოაწყეს სამხედრო პროდუქციის წარმოება, რომელიც აგე მწვავედ ესაჭიროებოდა წითელ არმიას.

ევაკუირებული იქნა აგრეთვე ასეულობით სასოფლო-სამეურნეო მანქანა, მილიონობით პირუტყვი.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის შესრულება ადვილი საქმე როდი იყო. ბევრი სარკინიგზო ვაგონი გახდა საჭირო მუშებისა და მათი ოჯახების, ჩარხებისა და სხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების გადასაზიდად, მოძრავი შემადგენლობა კი ძლივს კმაროდა ფრონტზე ჯარების ოპერატიული გადაყვანისა და საბრძოლო მასალების მისატანად. მაგრამ უკრაინის რკინიგზელთა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ფრონტების შტაბების მუშაკების, მათ შორის ჩვენი სამხრეთის ფრონტის ერთობლივი დაუღალავი მუშაობის მეოხებით ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდა.

მძიმე განსაცდელი გვადგა თავს. გული გვეკუმშებოდა ტკივილისაგან, როდესაც ევაკუირებულებსა და ლტოლვილებს ვხედავდით.

ახლაც თვალწინ მიდგას ხან დამწუხრებული სახე მოხუცისა, რომელიც შემომხვდა სამხედრო გზაზე ცეცხლმოდებულ პერვომა-

ისკიდან უკანდახევისას, ხან მოზარდისა, რომელსაც ხელში აეყვანა თავისი დაჭრილი და. თვალწინ მიდგას აგრეთვე ბკაცრი, გაუღიმარი სახის ახალგაზრდა ქალი, მეთაური დამტვერიანებული ტონანახევრიანი ავტომანქანების კოლონისა, რომელსაც დნეპროპეტროვსკიდან მოჰქონდა სახარატო ჩარხები. არ შემიძლია დავივიწყო უბედურებისაგან გაქვავებული სახე პარტიული მუშაკისა, რომელმაც პირველსავე დაბომბვის დღეს დაკარგა ცოლი და ორი ვაჟი.

სამხრეთის ფრონტი

სამხრეთის ფრონტის წინ იდგა მარჯვენა ფლანგი საარმიო დაჯგუფებისა „სამხრეთი“: გერმანიის მე-11, რუმინეთის მე-3 და მე-4 არმიები და უნგრეთის კორპუსი. ამ ჯგუფს უპირისპირდებოდა ჩვენი 28 დივიზია.

მოწინააღმდეგის ძალებისა და საშუალებების განლაგება შეესაბამებოდა მათ მიერ წინასწარ დასახულ გეგმას: შეებოჭა სამხრეთის ფრონტის ჯარები, ამავე დროს აქტიურად დახმარებოდა თავის მე-17 და მე-6 არმიებს და სატანკო ჯგუფს საბჭოთა ჯარების განადგურებაში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთაზე. ბელაია ცერკოვის, კაზატინის და ვინიცას რაიონში საარმიო დაჯგუფება „სამხრეთის“ ძირითად ძალთა გამოსვლით ჰიტლერელებს განზრახული ჰქონდათ მთავარი დარტყმა გადაეტანათ სამხრეთის ფრონტის ჯარებზე.

ვაკე სტეპები აადვილებდა ყველა სახეობის ჯარების მოქმედებას. ამავე დროს მხედველობაში იყო მისაღები ერთი დამახასიათებელი თავისებურება, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სამხრეთის ფრონტის ჯარების საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობაზე.

მდინარეები პრუტი, დნესტრი, სამხრეთ ბუგი მიედინება ძირითადად ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. გერმანელ ფაშისტთა სარდლობა, რომელიც ჩვენ ჯარებს ბოჭავდა და ამ სამდინარო ზღუდეებს იცავდა, ძირითადი ძალებით დარტყმას აწარმოებდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რათა გაჭრილიყო ჩვენს ფლანგსა და ზურგში.

აი, რატომ მოხდა, რომ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარ-

ცხენა ფლანგზე მდგომარეობის გართულების გამო ჩვენ სამხრეთელები იძულებული გავხდით, მძიმე ბრძოლებით დაგვეხია უკან. 22 ივნისიდან 25 ივლისამდე ჩვენმა ჯარებმა უკან დაიხიეს პრუტიდან და დნესტრიდან, აგვისტოს შუა რიცხვებისათვის გერმანელებმა შეგვავიწროვეს სამხრეთ ბუგთან. 15 აგვისტოდან კი ბრძოლამ გადაინაცვლა სამხრეთ ბუგის მარცხენა ნაპირზე და დნეპრის მარჯვენა ნაპირზე.

სამხრეთის ფრონტის ჯარების საომარი მოქმედების რაიონში აგებული იყო ბევრი თავდაცვითი ნაგებობა და გადამღობი საშუალება — ტრანშეა, ტანკსაწინააღმდეგო ორმო, ბოძკინტი, რკინისჯვარედინა და საცეცხლე პოზიცია.

მაგრამ ვერცერთი მათგანი, ოდესის ზღუდის გარდა, იმის გამო, რომ ფრონტის სარდლობას რეზერვი არ გააჩნდა, სრულად ვერ იქნა გამოყენებული.

ორი კვირის საბრძოლო მოქმედების შემდეგ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთაზე მძიმე მდგომარეობის შექმნის გამო იძულებულნი გავხდით გამოგვეყვანა სამხრეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარები და გადაგვეკეთებინა თავდაცვა.

ჩვენი მეომრები გააფთრებით უმკლავდებოდნენ მტრის შემოტევას, ამეღავნებდნენ მამაცობას და გმირობას, ხშირად თვითონ გადადიოდნენ კონტრიერიშზე, დიდ ზიანს აყენებდნენ ჰიტლერელებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

მაგალითად, 8 ივლისს ფელჩიუს რაიონში მოწინააღმდეგემ გადმოლახა პრუტი, ძალები შემოიკრიბა და დაიწყო წინსვლა აღმოსავლეთის მიმართულებით. 150-ე მსროლელი დივიზია კონტრიერიშზე გადავიდა, მიაყენა რა მტერს მნიშვნელოვანი დანაკარგები, აღიდგინა მდგომარეობა და გერმანელები დასავლეთის ნაპირზე გადარეკა.

ხოლო მეორე დღეს 95-ე დივიზიაც გადავიდა კონტრიერიშზე სხვა ზღუდიდან, დააშარცხა გერმანიის 67-ე ქვეითი პოლკი და რუშინელთა 63-ე საარტილერიო პოლკის ორი დივიზიონი, ხელთ იგდო ომის პირველი თვის პირობებში საკმაოდ დიდი ნადავლი: 82 ტყვე, 20 ქვემეხი, 68 ავტომანქანა, 400 ოთხთვალა და 600 ცხენი.

საომარი მოქმედების მსვლელობაში დავადგინეთ, რომ ბოტოშანისა და იასის რაიონში მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა დიდ დაჯგუფებას (15-20 დივიზია), რაც ადასტურებდა ჩვენს პირვანდელ

მოსაზრებას, რომ მას განზრახული ჰქონდა მოეხდინა ძლიერი დარტყმა ბელცისა და ვინიცას მიმართულებით, გარსშემორტყმოდა სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის ძირითად ძალებს და ჩვენი ფრონტის მარჯვენა ფრთას.

ამ დროისათვის მტერს სამხრეთის ფრონტის ჯარებთან შედარებით ჰქონდა ორმაგი უპირატესობა ცოცხალი ძალისა და ერთნახევარჯერ მეტი — არტილერიის მხრივ. ჩვენი ჯარების ოპერატიული სიმჭიდროვე შეადგენდა ერთ დივიზიას 70 კილომეტრის ფრონტზე. ასეთი მდგომარეობა მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევდა შეექმნა კიდევ უფრო დიდი უპირატესობა ძალებში გათვალისწინებულ დარტყმათა მიმართულებით.

შექმნილ მდგომარეობაში ჩვენ შეგვეძლო ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის შესრულება მხოლოდ მოძრავი თავდაცვის მეთოდით, გამაგრებული რაიონისა და სამდინარო ზღუდეების გამოყენებით, რათა მოგვეგო დრო და მაქსიმალური ზიანი მიგვეყენებინა მტრისათვის.

სამხრეთის ფრონტის სარდლობა გეგმავდა დაეჭირა თავდაცვა უკანდახეული ჯარებით ლეტიჩევის გამაგრებული რაიონისა და მდინარე დნესტრის ზღუდეზე. გათვალისწინებული იყო ძირითადი ძალ-ღონე მიმართულიყო მარჯვენა ფლანგზე. ამასთან ჯარების უკეთ მართვის მიზნით ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნდა მთელი ეს გამაგრებული რაიონი დამორჩილებოდა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტს, რადგანაც ლეტიჩევის გამაგრებული რაიონი უმთავრესად მის ზოლში იმყოფებოდა.

ცხელი ივლისი იდგა.

მზისგან გახურებულ მიწას ბუღი ასდიოდა. ხოლო დასახლებულ პუნქტებში კიდევ უფრო ცხელოდა. სიცხისაგან იწვოდა სახლები, ხეები. უქარო ამინდის გამო უმოძრაოდ, სვეტებად იდგა ბოლი.

ებრუნდებოდი კოტოვსკიდან, სადაც იდგა მთელ ფრონტზე საზელგანთქმული 102-ე მსროლელი პოლკი, რომელსაც მეთაურობდა მტკიცე ნებისყოფის, შეუპოვარი, მამაცი, რაღაცით ჩაპაევის მსგავსი პოლკოვნიკი ლაპშოვი.

ქალაქის სამხრეთით გაჭიმული იყო შარაგზა მუხლუხა დაგლე-

ჯილი ტანკებით, და ბომბებისაგან ახლად ამოთხრილი ორმოებით. ულრუბლო, ლურჯ ფერმკრთალ ცაზე გუნდად ტრიალებდნენ „მესერშმიტები“, თანდათან მზარდი, გულშემზარავი ღმუილით რომ პიკირებდნენ გზაზე.

აი, ესეც, კოტოვსკის მიმართულება, რომელიც შესაძლებელია, ხვალ ან ზეგ გამოჩნდეს გაზეთების ფურცლებზე სამხრეთში უკვე არსებულის — კიშინიოვის გვერდით...

როცა შტაბში მივედი, სასიხარულო ცნობით შემომხვდნენ:

— ვღებულობთ შევსებას მთელ ორ არმიას — მეექვსეს და მეთორმეტეს!

მაგრამ ვაი, რომ სიხარული ნაადრევი გამოდგა. ამ არმიების მოსვლით ჩვენი ჯარების მდგომარეობა კი არ უმჯობესდებოდა, არამედ უარესდებოდა, რადგანაც ის ორივე არმია, რომელიც მოქმედებდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთაზე, ძლიერ მოქანცული იყო განუწყვეტელი ბრძოლებით და უკან იხევდა სანახევროდ ალყაში მოქცეული. გერმანელები ყოველდღე აძლიერებდნენ დაწოლას, რათა მოეჭრათ უკანდასახევი გზა, შეეკრათ საალყო რგოლი. საარმიო შტაბებს არ ჰქონდათ ოპერატიული კავშირი ზემდგომ შტაბებთან. ამიტომ სამხრეთის ფრონტის სარდლობა ვერ ღებულობდა რეგულარულ ინფორმაციას საქმის მდგომარეობის შესახებ.

მე რამდენჯერმე მივეცი წინადადება მე-6 და მე-12 არმიების სარდლებს ბრძოლით გამოსულიყვნენ ალყიდან. ამის შესახებ მოვახსენე უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკსაც 4 აგვისტოს: „პონედელინს[1] კვლავ ვუდასტურებ ბრძანებას ახალი შეტევით გაიკაფოს გზა და გამოვიდეს ალყიდან“.

მე-2 მექანიზებულმა კორპუსმა, რომელიც მოქმედებდა ხრისტინოვკისა და უმანის რაიონიდან ჩრდილოეთის მიმართულებით და მე-18 არმიის ნაწილებმა, რომლებიც აჩერებდნენ მოწინააღმდეგეს კოპაი-გოროდის, გაისინის და ობოლოვკის ხაზზე, შეეცადნენ შეექმნათ ფართო ჭიშკარი მე-6 და მე-12 არმიების ალყიდან გამოსაყვანად.

---

[1] 1941 წლის 25 ივლისს ნახევრად ალყაში მყოფი მე-6 და მე-12 არმიები გაერთიანდა ერთ ჯგუფად მე-12 არმიის ყოფილი სარდლის გენერალ-მაიორ პ. გ. პონედელინის საერთო სარდლობით.

შაგრამ 4 აგვისტოს, იმ დღეს, როცა იწერებოდა მოხსენება უმაღლესი მთავარსარდლობისათვის, სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქანცგამოცლილი მე-6 და მე-12 არმიები უკვე ალყაში მოექცნენ უმანთან. სამ დღეს თავგანწირულ წინააღმდეგობას ეწეოდნენ ამ არმიების მეომრები. მაგრამ მათი ბედი გადაწყვეტილი იყო. ბევრი მეომარი დაიღუპა ცხარე ბრძოლაში, ზოგი მათგანი ტყვედ ჩავარდა, და მხოლოდ ნაწილმა, წვრილ-წვრილ ჯგუფებად შეძლო გამოსვლა ალყიდან.

მნიშვნელოვანი ჯარებისა და საშუალებების დაჯგუფებით ჰიტლერული ჯარები აგრძელებდნენ გადამწყვეტ შეტევაზე გადმოსვლას მთელი სამხრეთის ფრონტზე. მე-18 და მე-9 არმიების შესაყარზე კადიმის და ბალტის რაიონში, ღრმად შემოიჭრნენ ჩვენს თავდაცვაში. ამავე დროს დუბოსარის და გრიგორიოპოლის რაიონში გერმანელთა ნაწილებმა გადმოლახეს დნესტრი, სამხრეთის ფრონტს რეზერვები არ გააჩნდა. ყველა ღონისძიებას ჩვენს არმიებს შორის არსებული გარღვევის სალიკვიდაციოდ არსებითი შედეგი არ მოუცია. იმის მიუხედავადაც კი, რომ ორმა მსროლელმა დივიზიამ და მე-2 ცხენოსანმა კორპუსმა რვა კილომეტრზე უკუაგდეს ჩრდილოეთისაკენ მოწინააღმდეგის 30-ე საარმიო კორპუსის ნაწილები, მთლიანად გაანადგურეს მათი ერთი ქვეითი პოლკი და გაათავისუფლეს ბალტა, მდგომარეობა კვლავინდებურად მძიმე იყო.

დამთავრდა ივლისი.

ჩვენი ფრონტის მარჯვენა ფრთამ დაიკავა თავდაცვის ახალი ხაზი; ტალნოე, ხრისტინოვკა, ბალტა, მოძრავი თავდაცვის, კონტრიერიშებისა და მანევრირების მეოხებით, ჩვენმა ჯარებმა საშუალება არ მისცეს ჰიტლერს ალყაში მოვექციეთ და გავენადგურებინეთ, როგორც ამას გეგმავდა „სამხრეთის“ ჯგუფის შტაბი.

თავის დღიურში გენერალმა გალდერმა 1941 წლის 18 ივლისს ჩაწერა: „მოწინააღმდეგემ კვლავ გამონახა საშუალება გამოეყვანა ჯარები გათვალისწინებული ალყის საფრთხიდან. ასეთ საშუალებებად ითვლება: ერთი მხრივ, გააფთრებული კონტრიერიშები ჩვენი მდევარი მე-17 არმიის რაზმების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, დიდი ხელოვნება, რითაც მოწინააღმდეგეს გამოყავს ჯარი საშიში რაიონებიდან...“ მაგრამ მიუხედავად ჩვენი ძლიერი კონტრდარტყმებისა, საერთო ვითარება ჩვენი მეზობლის — სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის მთელ ზოლში მძიმე იყო. გერმანელები კი ამ დროისათვის,

იყენებდნენ რა თავიანთ უპირატესობას ძალებში, განაგრძობდნენ წინსვლას აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. საფრთხე შეექმნა კიევს.

ჩვენი სარდლობა ხვდებოდა თუ რა სერიოზული საფრთხე შეიქმნებოდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების მიერ უკრაინის ოკუპაციით, კიევის დაცემით. უკრაინის მტრის ხელში ჩაგდება გვაკარგვინებდა რკინას, ქვანახშირს, მარგანეცს, რითაც ასე მდიდარია ეს რესპუბლიკა.

ამას გარდა, უკრაინაზე გადიოდა გზა საბჭოთა კავშირის ძირითად სანავთობო ბაზისაკენ — კავკასიისაკენ.

მტერი განაგრძობდა სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარების შევიწროებას, ცდილობდა გაჭრილიყო სამხრეთის ფრონტის ფლანგებსა და ზურგში და გაენადგურებინა ისინი.

ასეთ პირობებში საჭირო იყო მოხერხებული ზღუდის დაუყოვნებლივ დაკავება, მისი მყარი თავდაცვის მოწყობა და მოწინააღმდეგის შეჩერება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა კიევის მიმართულებას. მაგრამ სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის რეზერვი უკვე ამოწურული იყო...

27 ივლისს საავიაციო დაზვერვამ აღმოაჩინა მოწინააღმდეგის მოტოკოლონის მოძრაობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები მოდიოდნენ გაისინის, კოსონოვოსა და კრავჩუნკის მიმართულებით. სტრატეევკის, სარაჟინკის, ბარსუკის, ობჟილას, ევტოდიას, ჩერნეჩეს, უხაჟანის, ვოლოვოს და დემოვკის რაიონებში აღინიშნებოდა ყველა სახეობის ჯარის თავმოყრა და ინტენსიური მოძრაობა ხევებში, განსაკუთრებით ბალტიდან 25 კმ-ზე მოშორებული ლიუბომირკთან.

ტყვეების დაკითხვით გავიგე, რომ ლიპოვეცის ჩრდილოეთით 22 ივლისიდან მოქმედებდა ბრძოლებში ძლიერ შეფერთხილი ავსტრიის 297-ე ქვეითი დივიზია. მისი 523-ე და 524-ე პოლკები, რომლებიც ჩაგოვისა და სტრიჟანის ზღუდიდან უტევდნენ, თითქმის მთლიანად განადგურდა. ჰიტლერელების მე-16 სატანკო დივიზიამაც საგრძნობი დანაკარგი განიცადა.

სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სადაზვერვო განყოფილების მონაცემებიც ანალოგიური იყო. 26 ივლისს დღის მეორე ნახევარში ავიაციამ შენიშნა მოტომექანიზებული კოლონის მოძრაობა ბელაია ცერკოვიდან ტარაშჩისაკენ. რადიოდაზვერვამ გვაცნობა, რომ

27 ივლისს გიჩინის, ჯამანის და ოპაჩის რაიონში თავი მოიყარა რუმინეთის მე-4 ცხენოსანთა კორპუსმა.

ამრიგად, მოწინააღმდეგე, რომელიც აქტიური თავდაცვით ბოჭავდა ჩვენს ჯარებს უმანის მიმართულებით, ცდილობდა გაჭრილიყო გაისინის რაიონიდან აღმოსავლეთისაკენ და მოქცეოდა უმანსა და ხრისტინოვკის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოქმედ ჩვენს ჯარებს ფლანგსა და ზურგში.

27 ივლისს დღის მეორე ნახევარში ჩვენ დავტოვეთ გაისინი და ლადიჟინი; მოწინააღმდეგე განაგრძობდა შეტევის განვითარებას ზიატკოვცზე და ლევკოვზე.

კოტოვსკის მიმართულებით მტერი ცდილობდა არ დაეშვა ჩვენი ჯარების შეერთება კადიმის რაიონში და ამასთან უზრუნველეყო თავისთვის შესაძლებლობა. ახალი მოძრავი ნაწილები ჩაება ბრძოლაში, რათა გასულიყო სამხრეთ ბუგისაკენ. ამ მიმართულებით შეტევის გაგრძელების შედეგად ჰიტლერელები გავიდნენ მირონ-იაოშნიაგის ზღუდეზე და დაიკავეს ბელოჩე.

კიშინიოვის მიმართულებითაც გაძლიერდა დაწოლა როგისა და გრიგორიოპოლის ზღუდეზე.

ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ მთელ სამხრეთის ფრონტზე ძალიან დაძაბული ვითარება შეიქმნა. აუცილებლად საჭირო იყო ფრონტის გაძლიერება ახალი, დასვენებული ჯარებით, მაგრამ ისინი არ გაგვაჩნდა.

ფრონტის სამხედრო საბჭომ აცნობა მთავარსარდალს, რომ მოწინააღმდეგის შეჩერება და მისთვის საპასუხო დარტყმის მიყენება ხრისტინოვისა და კადიმის ზღუდეზე ახალი ძალების გარეშე ძნელი იყო. ჩვენ ვითხოვეთ ნებართვა, გამოგვეყვანა ჩვენი ჯარები ახალ ზღუდეზე და ამავე დროს რეზერვიდან ხუთი მსროლელი და ორი-სამი საავიაციო დივიზიით მაინც გაძლიერებულიყო ფრონტი.

მაგრამ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების მთავარსარდლობის შტაბი, რომელსაც უმნიშვნელო რეზერვები გააჩნდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მათ. მთავარსარდლობის შტაბი შეცდომით თვლიდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედი მოწინააღმდეგის დიდი შენაერთები ძლიერ შეფერთხილი იყო და მათ ორმაგ უპირატესობას ცოცხალი ძალის მხრივ არ ითვალისწინებდა.

თავის დროზე ვერ მივიღეთ უკანდახევის სანქცია, ამიტომ

ჩვენ განვაგრძობდით თავგანწირულ, უთანასწორო ბრძოლას, გვქონდა დიდი დანაკარგები.

მოწინააღმდეგე მთელ თავის ძალ-ღონეს მიმართავდა სამხრეთის ფრონტის მარჯვენა ფრთისა და დნესტრსა და სამხრეთ ბუგს შორის მოქმედი ნაწილების გასანადგურებლად. უმანის მიმართულებით მან იერიში მიიტანა ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან, ცდილობდა მოეჭრა ჩვენი ჯარებისათვის აღმოსავლეთისაკენ უკან დასახევი გზა.

საჭირო გახდა დუბოსარის, უმანის და სხვა მიმართულებებით მოქმედი ჩვენი მეომრებისა და მეთაურების დაუჯერებელი ძალ-ღონე, რათა შეუსვენებელი კონტრიერიშებით გაგვეხსნა ეს მარწუხები, თავიდან აგვეცდინა ალყაში მოქცევის საფრთხე.

განსაკუთრებული კრიზისული მდგომარეობა შეიქნა სამხრეთის ფრონტზე 5 აგვისტოსათვის, როცა გერმანელ ფაშისტთა ჯარები სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის წინ დნეპრს მოადგნენ. ამან საშუალება მისცა ჰიტლერთა სარდლობას გადმოესროლა თავიანთი ძირითადი ძალები სამხრეთში სამხრეთის ფრონტის არმიების ფლანგსა და ზურგში. ასე მაგალითად, ნოვ. მირგოროდის, ნოვ. არხანგელსკის და უმანის რაიონში თავმოყრილი იყო ათამდე დივიზია, მათ შორის გენერალ კლეისტის ჯავშანსატანკო ჯგუფიც. გოლოვანოვსკის, კრივოე ოზეროს და პერვომაისკის რაიონში იდგა ხუთამდე დივიზია.

ამავე დროს დნესტრის მარჯვენა ნაპირზე ტირასპოლის რაიონში თავს იყრიდა აგრეთვე მტრის ათამდე დივიზია, რომლებიც ბრძანებას ელოდნენ, რათა გადმოელახათ დნესტრი.

სულ ჩვენი ფრონტის ჯარების პირდაპირ უკვე იდგა 46-მდე დივიზია, მათ შორის 4 მოტორიზებული და 6 სატანკო.

ოთხმაგზე მეტი უპირატესობა ქვეითებისა მთავარი დარტყმის მიმართულებებზე, აგრეთვე დიდი რაოდენობა ტანკებისა და მოტოქვეითებისა საშუალებას აძლევდა გერმანელებსა და რუმინელებს გაეგრძელებინათ შეტევა

სამხრეთი ფრონტის სარდლობა თვლიდა, რომ შემდეგში მოწინააღმდეგე შეეცდება მოამწყვდიოს ჩვენი ჯარი მდინარეებს დნესტრს და სამხრეთ ბუგს შორის. ამის შესახებ სრულიად ნათლად მეტყველებდა ჩვენს მიერ ხელში ჩაგდებული გერმანიის მე-11 არმიის ოპერატიული ცნობა.

ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრები საღად რომ აფასებდნენ ვითარებას და ძალების შეფარდებას, მივიდნენ ერთადერთ დასკვნამდე: თავიდან რომ ავიცდინოთ მარცხი, საჭიროა არა იძულებითი, მტრის დაწოლით ნაკარნახევი უკანდახევა, არამედ გეგმაზომიერი გადასვლა ახალ ზღუდეებზე და იქ მოძრავი თავდაცვის ორგანიზაცია.

მაგრამ ახალ ზღუდეებზე გადასვლის აუცილებლობა აღიარებული იქნა მხოლოდ 5—6 აგვისტოს. ამიტომ უკანდახევა განხორციელდა გაცილებით რთულ ვითარებაში.

განუწყვეტელი ბრძოლების გამო ჩვენი ჯარები ძლიერ დასუსტდა. რაიმე რეზერვის უქონლობამ საშუალება არ მოგვცა მოგვეხდინა საჭირო მანევრი, რათა ხელი შეგვეშალა მოწინააღმდეგის ღრმად შემოჭრისათვის ჩვენს ფლანგსა და ზურგში. ფრონტი იჭიმებოდა და სულ უფრო შემობრუნებას იწყებდა ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

6 აგვისტოსათვის ჩვენთვის უნდა გადმოეცათ ცხრა მსროლელი და სამი ცხენოსანი დივიზია. ისინი ყალიბდებოდნენ დნეპრს გაღმა და ჯერ მთლიანად შეიარაღებულნი არ იყვნენ.

დრამატული მოვლენები კი ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. მოწინააღმდეგე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ჩაეკეტა მე-9 და მე-18 არმიის ნაწილები დნესტრსა და სამხრეთ ბუგს შორის.

ძილში ვგრძნობ, რომ ვიღაც მანჯღრევს:

— ამხანაგო სარდალო, თქვენ აპარატთან გთხოვენ!

ძლივს ვახელ დამძიმებულ თვალებს. შენიღბული ფანჯრის ვიწრო ჭუჭრუტანაში მოჩანს ბნელი ცა. საათი დაახლოებით ღამის სამს უჩვენებს.

მთლიანად გამოვფხიზლდი, როცა გავიგე, რომ აპარატთან მთავარი სარდალი ს. მ. ბუდიონი იყო.

ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ვახსენებ ვითარებას, რომელიც შეიქმნა გუშინ 1941 წლის 8 აგვისტოს:

ვოზნესენსკის რაიონში ვასილიევკისა და რაკოვოს ზღუდეზე დუნაის ფლოტილიასთან ურთიერთმოქმედებით მთელი დღე ეწეოდა ბრძოლას მე-9 ცხენოსანი დივიზია. ამ რაიონშივე მოქმედებდა ჩვენი ავიაცია. მტრის მცდელობა — გაჭრილიყო სამხრეთისაკენ — ჩაიშალა. — გავისწორე მხრებზე ჩამოცურებული ფარაჯა. იგრძნობოდა ღამის სიცივე და განვაგრძე: — როგორც ჩვენს მიერ

ხელში ჩაგდებული ბრძანებიდან ჩანს ჰიტლერელთა მთავარი ძალები მოქმედებენ პერვომაისკის და ვოზნესენსკის მიმართულებით. ალბათ დღეს ისინი დაიწყებენ ბუგზე გადმოსვლას. რადგანაც მე გადავწყვიტე ჩემი ავიაცია გამოვიყენო უმთავრესად ნიკოლაევის ჩრდილოეთით დარტყმისათვის, გთხოვთ თქვენმა ავიაციამ დარტყმა მიაყენოს მტრის ამ დაჯგუფებას.

სემიონ მიხეილის ძემ მიპასუხა:

— ავიაციას მიეცემა დავალება დაბომბოს ის მიზნები, თქვენ რომ მიუთითეთ. მე მაინტერესებს, კონკრეტულად რა გაკეთდა უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ მითითებული თავდაცვის ძირითადი ზღუდის გასამაგრებლად?

მთავარსარდლის კითხვას მე ვუპასუხე:

ზღუდე მდინარე ინგულეცზე მზადაა. დამთავრებულია ტანკსაწინააღმდეგო ორმოს და ხეკარპების გათხრა, მაგრამ სანგრები ჯერ ყველგან არ არის გათხრილი. გთხოვთ იქონიოთ მხედველობაში, რომ ფრონტს არ გააჩნია საინჟინრო საშუალებები. გუშინ მივიღეთ დეპეშა, რომ საინჟინრო მასალების პირველი პარტია — მავთულხლართები და ფეთქებადი ნივთიერება — იტვირთება. დღეს გადავწყვიტე გავაგზავნო ზაპოროჟიეში ჩემი წარმომადგენლები იქ არსებული ადგილობრივი რესურსების გამოსანახავად...

საუბრის დასასრულს ამხანაგმა ბუდიონმა მაცნობა:

— გაითვალისწინე, უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ მითითებული ზღუდის გარდა, როგორც გუშინ გენერალური შტაბის უფროსმა თქვა, აუცილებელია მომზადდეს გამთიშველი ზღუდე კრივოი როგიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე საკსაგანის გაყოლებით ვერხნე-დნეპროვსკისაკენ.

მოახსენა თუ არა სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების მთავარსარდალმა უმაღლეს მთავარსარდლობას ჩვენი საუბრის შინაარსი, ჩემთვის ცნობილი არ არის. მაგრამ ორი დღის შემდეგ ტელეფონით რომ ვესაუბრე გენერალური შტაბის უფროსს, საბჭოთა კავშირის მარშალს ბ. მ. შაპოშნიკოვს და ოპერატიული სამმართველოს უფროსს გენერალ-მაიორ ა. გ. ვასილევსკის, მე დავრწმუნდი, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში კარგად იციან ჩვენი ფრონტის ჯარების მდგომარეობა.

და ის კვლავ მძიმედ რჩებოდა. ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ

შებრუნებული ფრონტით და იგერიებდნენ მტრის იერიშებს არა მარტო დასავლეთიდან, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც.

რვა აგვისტოდან დაწყებული გერმანელები ჯიქურ აწვებოდნენ მე-9 და ზღვისპირეთის არმიების შესაყარზე ჩვენი 30-ე და 51-ე მოქმედი დივიზიების ზოლს. ეს დივიზიები განიცდიდნენ დიდ ზარალს და მათი უკანდახევის გამო წარმოიქმნა ფრონტზე ცარიელი ზოლი ყოვგანისა და ბერეზოვკის მიმართულებით.

ასეთი მდგომარეობის გამო მე-9 არმია იძულებული გახდა უკან დაეხია პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ ნიკოლაევის რაიონში გადასასვლელისაკენ, ხოლო ზღვისპირეთის არმია — სამხრეთით ოდესის პოზიციებისაკენ. მე-9 არმია სისხლისაგან იცლებოდა. მაგრამ არ შეეძლო დაეჩქარებინა უკანდახევა, რადგანაც მეზობელმა, მე-18 არმიამ ვერ მოასწრო სამხრეთ ბუგზე გადასვლა. საჭიროა იმის აღნიშვნა თუ როგორ უჭირდა მას გამაგრება, როცა იღებდა მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების მძლავრ დარტყმებს!

10 აგვისტოს ნიკოლაევის ჩრდილოეთ უბანზე დაიწყო თავმოყრა და ბრძოლაში ჩაბმა სამხრეთ ბუგზე გადასულმა მე-18 არმიის ნაწილებმა. მეზობელმა მე-9 არმიის ნაწილებმა დაწოლა გააძლიერეს. გერმანელები ცდილობდნენ ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან დაერტყათ ნიკოლაევისათვის და ალყაში მოემწყვდიათ ორივე არმიის ჯარები.

ახლა ნათელი გახდა, რომ ნიკოლაევთან მყოფი მტრის მთავარი ძალები მახეს გვიგებდა.

ჩვენ სწორად შევაფასეთ შექმნილი მდგომარეობა, თან გავითვალისწინეთ, რომ მართალია გერმანელები ფლანგებიდან დარტყმის და მანევრების დიდი მოყვარულები არიან, მაგრამ თვითონაც მტკივნეულად განიცდიან ფლანგებზე დარტყმის საფრთხეს. ასეთი საფრთხის შექმნა შეეძლო მხოლოდ მე-2 ცხენოსან კორპუსს, რომელიც ბრძოლებში ჩაერთო ვოზნესენსკთან. ჩვენ გადავწყვიტეთ გადმოგვესროლა ის ნოვი ბუგის რაიონში. 12 აგვისტოსათვის ცხენოსნები შემოვიდნენ ამ რაიონში და საგრძნობი დარტყმა მიაყენეს გერმანელთა სატანკო დივიზიის ერთ-ერთი კოლონის კუდს, რომელიც მოემართებოდა ვოზნესენსკის რაიონიდან კრივოი როგისაკენ.

გავიდა ორი დღე. მე-9 არმიის ფრონტი მიუახლოვდა ნიკოლაევს, ხოლო გერმანელთა მდევარი დივიზიების დაწოლა არ სუსტდებოდა. სამხრეთ ბუგზე გადასასვლელები მოწინააღმდეგის ავია-

ციამ მოსპო და უკან დახეული ჯარები კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მდგომარეობას უშველა საინჟინრო ჯარების მამაცურმა მოქმედებამ. ნავები, ტივები, კარჭაპები და ნიკოლაევის გემთსაშენის მცურავი დოკიც — ყველაფერი გამოყენებული იქნა იმისათვის, რომ სწრაფად აგვეგო საძი კილომეტრი სიგრძის ერთადერთი მოტივტივე ხიდი.

ამ ხიდით გადავიყვანეთ ჯარი და გადავიტანეთ მატერიალური ნაწილი სამხრეთ ბუგის აღმოსავლეთ ნაპირზე.

მოხერხებულად მოქმედებდნენ დუნაის და პინსკის ფლოტილიების გემებიც, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჯარის გადასვლას.

საერთოდ განუწყვეტელი ბრძოლებით გამოსვლა ნიკოლაევის ალყიდან წარმატებით ჩატარდა.

12 აგვისტოს უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკმა ნება დართო სამხრეთის ფრონტს გადაეყვანა მე-18 და მე-9 არმიები ახალ მიჯნაზე: კრივოი როგზე, მდინარე ინგულზე და ბუგის ლიმანზე — რათა მტკიცედ დაგვეცვა ოდესა და ნიკოლაევი.

14 აგვისტოს მიწურულისათვის მე-16 სატანკო დივიზიამ და ესესელთა მოტოდივიზიამ „ადოლფ ჰიტლერი“ შეძლეს გაჭრილიყვნენ ჩვენი არმიების ზურგში.

მეორე დღეს ფრონტის შტაბი ნიკოლაევიდან ბერისლავში გადავიდა. მაგრამ ახალ საკომანდო პუნქტზე ცოტახანს დავრჩი. მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა. ვოზნესენსკის, ნოვაია ოდესის და ნიკოლაევის რაიონში მე-18 და მე-9 არმიების გადასვლისას სამხრეთ ბუგის მარცხენა ნაპირზე მათ მიუსწრეს მტრის სატანკო ძალებმა და დნეპრისაკენ უკანდასახევი გზა გადაუღობეს.

ღამით კვლავ გავფრინდი ნიკოლაევში. ბერისლავიდან ნიკოლაევამდე მანძილი მოკლეა, რომ იტყვიან „ორი ნაბიჯია“, მაგრამ მფრინავს დიდი სიმამაცისა და სიმშვიდის გამოჩენა დასჭირდა, რათა მშვიდობიანად დაესრულებინა ფრენა. ფრონტის ხაზის თავზე ჩვენ გერმანელი მეზენიტეების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოვხვდით.

ნიკოლაევში მაშინვე მოვიწვიე თათბირი მაღალი რანგის მეთაურებისა, რათა არმიების სამხედრო საბჭოების წევრებთან და კორპუსების მეთაურებთან ერთად განმეხილა შექმნილი საშიში ვითარება, მიმეღო გადამჭრელი ზომები შემოჭრილი მოწინააღმდეგის ჯარების სალიკვიდაციოდ.

ამ თათბირზე წარმოდგენილი გეგმა მარტივი იყო: განთიადისას კონტრიერიში მიგვეტანა გერმანელებზე არტილერიისა და ნაღმტყორცნელების ცეცხლის მხარდაჭერითა და მათ საფარქვეშ. შემტევ საბრძოლო ნაწილებში იქნებოდა არტილერია, რომელსაც ევალებოდა მოძრაობაშივე გაშლილიყო და გაეხსნა მასიური ცეცხლი ფაშისტთა ტანკებისათვის.

გენერლებმა სმირნოვმა, მალინოვსკიმ, ბელოვმა და სხვებმა ბევრი კარგი წინადადება, დამატება და დაზუსტება შეიტანეს გეგმაში. მათ აზრი გამოთქვეს იმის შესახებაც, რომ თვითონ ყოფილიყვნენ პირველ ეშელონში და პირადად ეხელმძღვანელათ ჩვენი კონტრშემტევი ჯარისათვის.

ბრძოლამ მთელ დღეს გასტანა და გამარჯვება ჩვენ მოგვიტანა: მოწინააღმდეგის ნაწილები, რომლებმაც უკანდასახევი გზა გადაუღობეს ჩვენს შენაერთებს დნეპრს გაღმა, უკუგდებულნი იქნენ და დიდი ზარალიც ნახეს.

17 აგვისტოს ღამით მე-12 ცხენოსანი კორპუსის ჯარები, მე-18 და მე-9 არმიები გადავიდნენ ინგულეცზე და ბრძანება მიიღეს დაეხიათ დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ამ ოპერაციაში შესანიშნავად მოქმედებდა ქვეით ჯარებთან ერთად ჩვენი ავიაცია. ამ დღეს მე-20 საავიაციო დივიზიის მფრინავებმა მტერს დააყარეს 115 ბომბი.

აი, როგორ გამოეხმაურა გერმანიის სარდლობა ჩვენი ავიაციის მოქმედებას აგვისტოს ამ ცხელ დღეს:

„ძლიერმა დაბომბვამ დიდი ზიანი მოგვაყენა. 48-ე სატანკო კორპუსის სამეთაურო პუნქტი მუდმივი დაბომბვების გამო გადატანილი იქნა...“

„რით აიხსნება ის მდგომარეობა, — ვეკითხებოდი საკუთარ თავს, — რომ გერმანელებმა არ გამოიყვანეს ნიკოლაევთან ოპერაციისათვის მეტი ძალები?“

პასუხი ერთი უნდა ყოფილიყო. რეზერვის არმიის ახლად ჩამოყალიბებული დივიზიების წინ წაწევა, რომელსაც დნეპროპეტროვსკის რაიონში მეთაურობდა გენერალ ნ. ე. ჩიბისოვი. ახლად შექმნილმა არმიამ როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, დახმარება გაუწია ჩვენი ფრონტის ვეტერანებს მე-18 და მე-9 არმიებს დაეხიათ დნეპრს იქით და ხელი შეუშალეს გერმანელებს გადაელახათ დნეპრი კრემენჩუგთან.

სარეზერვო არმიის შემადგენლობაში იყო რვა მსროლელი და სამი ცხენოსანი დივიზია, ორი სატანკო ბრიგადა. არმიის ამოცანა იყო მზადყოფნის კვალობაზე წამოწეულიყო მიჯნაზე: კრემენჩუკი, ალექსანდრია, კრივოი როგი და შემდეგ სამხრეთით მდინარე ინგულეცის გაყოლებით.

ასეთი დაჯგუფების შექმნამ იმ მომენტში, როცა გერმანიის სარდლობას გამოუვალად მიაჩნდა ჩვენი მდგომარეობა, შეაშფოთა მოწინააღმდეგე, შეაშინა ის თავისი ჯარების მდგომარეობამ დნეპროპეტროვსკის მიმართულებით.

მართალია, გერმანელებმა არ იცოდნენ, რომ 15 აგვისტოსათვის სარეზერვო არმიის დივიზიებს არ გააჩნდათ არც ერთი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და ტყვიამფრქვევი. მათ ჰქონდათ მარტო სამთო ქვემეხები, რომელთა უმრავლესობა პანორამის გარეშე იყო.

18 აგვისტოსათვის გენერალ ჩიბისოვის სარეზერვო არმიის ახალი დივიზიების ფორმირება დამთავრდა და მათი უმრავლესობა ბრძოლაში ჩაება. დივიზიებმა მიიღეს შაშხანები, ხელის ტყვიამფრქვევები, ცოტა რაოდენობის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები. მაგრამ ადრინდელივით მწვავედ იგრძნობოდა დაზგისა და საზენიტო ტყვიამფრქვევების, პოლკის არტილერიის უკმარისობა. საკმარისი არ იყო კავშირგაბმულობის საშუალებებიც.

და მაინც ახალი დივიზიების წაწევამ დასავლეთისაკენ იმ დროს, როცა ჩვენი არმიების მდგომარეობა ნიკოლაევთან უმძიმესი იყო, მოწინააღმდეგეზე მოახდინა გასაოცარი შთაბეჭდილება, მისი ყურადღება და ძალები ჩამოაშორა არა მარტო ნიკოლაევს, არამედ კრემენჩუგსაც.

ჰიტლერელთა სარდლობა დარწმუნდა რა ახალი საბჭოთა სარეზერვო არმიის არსებობაში, გადაწყვიტა გაერღვია მისი თავდაცვა აღმოსავლეთით ორი მოტორიზებული კორპუსის ძალებით და გაჭრილიყო დნეპროპეტროვსკისაკენ. ერთი კორპუსი დნეპრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით უტევდა, მეორე — კრივოი როგიდან ზაპოროჟიესაკენ. 48-ე მექანიზებული კორპუსს და მე-11 გერმანულ არმიას ამოცანად ჰქონდათ დასახული ალყაში მოექციათ ჩვენი მე-9 და მე-18 არმიები ნიკოლაევის რაიონში.

სარეზერვო არმიის მეწინავე ნაწილებმა, ვერ გაუძლეს რა მოწინააღმდეგეების მძლავრ ჯავშნიან დარტყმას, უკან დაიხიეს და

საბრძოლო მოქმედებათა ფრონტი გაიშალა უშუალოდ დნეპროპეტროვსკთან და ზაპოროჟიესთან.

ორ დღეს გრძელდებოდა აქ მძიმე სისხლისმღვრელი ბრძოლა. ამ დროისათვის სარეზერვო არმიამ სამხრეთ-დასავლეთ მიმართულების მთავარსარდლობის რეზერვიდან მიიღო ორი სატანკო ბრიგადა — სულ ასამდე ტანკი და ცხენოსანი დივიზია, რათა მტრისათვის მიეყენებინა კონტრდარტყმა პლაცდარმზე.

19 აგვისტოს, ინათა თუ არა, მიწა შეზანზარდა ყუმბარებისა და ბომბების მძლავრი აფეთქებებისაგან. ასე დაიწყო ავიაციის დახმარებით ჩვენი შეტევა დნეპროპეტროვსკის პლაცდარმზე.

შეტევაზე გადასულთ გერმანელები შეხვდნენ ძლიერი საარტილერიო ცეცხლით და ბომბების დაშენით. ჩვენ მალე დავრწმუნდით, რომ ჩვენი იერიში სასურველ შედეგს არ იძლეოდა, ხოლო ტანკების დანაკარგები ბევრი გვქონდა.

ბრძოლას დნეპროპეტროვსკის პლაცდარმზე გააფთრებული ხასიათი ჰქონდა. სარეზერვო არმიამ თავისი კონტრიერიშებით, უეჭველია, უდიდესი დახმარება აღმოუჩინა დაუძლურებულ მე-18 და მე-9 არმიებს, მისცა მათ საშუალება ჩამოშორებოდა მოწინააღმდეგეს და მისულიყო დნეპრზე გადასასვლელებთან.

არასოდეს დამავიწყდება ხანძრით გაჩირაღდნებული 1941 წლის 18 აგვისტო.

ჩვენ ზაპოროჟიეში ვიყავით. უცბად მიწა შეირყა ფეხქვეშ, დიდი ძალის აფეთქებამ ჰაერი შეძრა. თორმეტტონიანი მუხტის დინამიტმა მოსპო დნეპროჰესი, საბჭოთა ხალხის სიამაყე.

ხიდისა და კაშხალის აფეთქების შედეგად კუნძულ ხორტიცზე მოწყვეტილი აღმოჩნდა თითქმის ერთ ქვეითამდე პოლკი. ის წარმატებით იცავდა თავს, ხოლო შემდეგ დიდი სიძნელის მიუხედავად გადავიდა აღმოსავლეთ ნაპირზე.

კაშხალის აფეთქებამ მკვეთრად ასწია წყლის დონე დნეპრის სამხრეთ დინებაში, სადაც ამ დროს დაიწყო ჩვენი ორი არმიისა და ცხენოსანთა კორპუსის გადასვლა.

ჩვენი ჯარები გადადიოდნენ დნეპრზე ნიკოპოლიდან ხერსონამდე არსებულ მონაკვეთზე. აქ მდინარის სიგანე საშუალოდ დაახლოებით ორ კილომეტრს უდრის. პონტონები და მდინარეზე გადასასვლელი სხვა საშუალებები ჩვენ ცოტა გვქონდა. ისინი საკმარისი იყო მხოლოდ მსუბუქი ბორნების გასამართავად. სასწრაფოდ

იძებნებოდა ადგილობრივი საშუალებები. გადასვლისათვის იყენებდნენ დნეპროპეტროვსკის სამდინარო სანაოსნოს საბუქსირო კატარღებს, გემებს, კარჭაპებს და მოტივტივე ნავმისადგომებს. ყოველი წუთის უმკაცრესმა გაანგარიშებამ, დატვირთვისა და გადმოტვირთვის ზუსტმა ორგანიზაციამ, ბუქსირების სადღეღამისო მუშაობამ საშუალება მოგვცა 22 აგვისტოს დილისათვის ჯარების ძირითადი მასა გადაგვეყვანა დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე.

მდინარის გადალახვა განსაკუთრებით გაუძნელდათ ცხენოსნებს. ქვემეხებისა და ტრანსპორტის გარდა, გადასაყვანი იყო ცხრა ათასამდე ცხენი. მე-9 ცხენოსანმა დივიზიამ ცხენები კარჭაპებზე დატვირთა, მაგრამ მე-5 დივიზიას კარჭაპები არ ჰქონდა, და ცხენები ცურვით შეუდგნენ მდინარის გადალახვას. მართალია, მდინარის ამ უბანზე შუაში კუნძული იყო, რაც შესვენების საშუალებას იძლეოდა გადასვლისას, მაგრამ იმ დროისათვის კაშხალის აფეთქების გამო წყლის დონის მომატება საფრთხეს უქმნიდა კუნძულსა და მასზე დროებით მყოფთ. მხოლოდ ცხენოსნების გამძლეობამ და სიმამაცემ იხსნა მდგომარეობა: დივიზია გადავიდა დიდი დანაკარგების გარეშე.

მადლობა არმიისა და ფრონტის მესანგრეებს, მეპონტონეებს და დნეპრის გემების ეკიპაჟებს, რომლებმაც თავგანწირვით იშრომეს დნეპრზე გადასასვლელების მოწყობისათვის, იმ დაუვიწყარ 1941 წლის აგვისტოს დღეებში.

მძიმე უკანდახევითი ბრძოლებით დაქანცულები, განუწყვეტელი დაბომბვის, არტილერიისა და ნაღმმტყორცნელების ცეცხლქვეშ მყოფნი, მიწის ყოველ ნაგლეჯს რომ ებღაუჭებოდა, ჩვენი მე-18 და მე-9 არმია იგერიებდა გერმანელთა მოძრავი შენაერთების გაშმაგებულ იერიშებს და იხევდა დნეპრს იქით.

ხშირად შექმნილი აუცილებლობა — ბრძოლა გაგვემართა შემობრუნებულ ფრონტზე — კიდევ უფრო ართულებდა ვითარებას. არმიებს უძნელდებოდათ შეექმნათ საპირო ოპერატიული განლაგება და მოეწესრიგებინათ მისი ზუსტი მართვა. მაგრამ ასეთ პირობებშიც კი საბჭოთა მეომრები მტერს დიდ ზარალს აყენებდნენ.

ჩვენ დავიხიეთ დნეპრს იქით. მწარე, აუტანელი იყო იმის შეგნება, რომ დნეპრის მარჯვენა ნაპირის ვრცელი ტერიტორია მტრის ხელში იყო, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, ჰიტლერელები პასუხს აგებდნენ ჩვენზე მოყენებული ბოროტმოქმედებისათვის.

თავის დღიურში გენერალი გალდერი წერდა: „საერთო ვითარება უფრო თვალნათლად გვიჩვენებს, რომ რუსეთის სიდიდე ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასეთ... რუსები დროთი იგებენ...“

გერმანელი გენერალი მართალი იყო. ჩვენ მოვიგეთ სამოცდაათი დღე-ღამე, ორნახევარი თვე, რომელიც ძალზე საჭირო იყო ქვეყნისა და არმიის ძალების შემდგომი მობილიზაციისათვის.

მაგრამ ბრძოლების პირველ თვეებში ვერ განხორციელდა განზრახული შეტევის ჩვენი სტრატეგიაც.

ჩემი შეხედულებით ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო საზღვრისპირა ოლქების მოუმზადებლობა უეცარი დარტყმის მოსაგერიებლად, ჯარების წინაშე დასმულ ამოცანათა ერთნაირობა და მისი შეუსაბამობა 1941 წლის ივნის-ივლისში შექმნილ კონკრეტულ ვითარებასთან.

მე არ ვცდილობ მუქი საღებავებით დავხატო ომის დასაწყისი პერიოდი როგორც ჩვენ მთლიან წარუმატებლობათა და შეცდომათა ჯაჭვი. მაგრამ ყაჩაღური თავდასხმისათვის დიდხანს მომზადებული მტრის გააფთრებული შეტევის გამო საზღვრებიდან უკანდახევა დიდ მსხვერპლად დაგვიჯდა.

მით უფრო დიდია დამსახურება საბჭოთა ხალხისა, ჩვენი არმიისა, რომელმაც შეძლო არა მარტო შეეჩერებინა გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინსვლა აღმოსავლეთისაკენ, არამედ ბოლოს და ბოლოს კიდეც გაენადგურებინა ისინი, გაეთავისუფლებინა ფაშისტური ჩაგვრისაგან ევროპის ბევრი სახელმწიფო.

ურალზე და მოსკოვთან

1941 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში, როცა ჩვენი სარეზერვო არმიის ჯარები კონტრდარტყმას აყენებდნენ დნეპრის მარცხენა ნაპირზე შემოჭრილ მოწინააღმდეგეს, მე დავიჭერი დნეპროპეტროვსკთან. ჭრილობა სერიოზული აღმოჩნდა და მოსკოვში გადამიყვანეს. იგი ნელა შუშდებოდა. მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში წოლამ 1941 წლის 13 ოქტომბრამდე მომიწია. სამხედრო ქირურგი პეტრე ვასილის ძე მანდრიკა ყველა ზომას ღებულობდა, რათა შემნარჩუნებოდა ფეხი. ოთხი კვირის შემდეგ მყესმა თანდათან იწყო შეხორცება, ხოლო კიდევ ერთი კვირის შემდეგ მე უკვე ჰოსპიტლის ეზოში უყავარჯნოდ დავდიოდი.

იმ დროს დიდი სამამულო ომის მდგომარეობა ყველა ფრონტზე ძალზე მძიმე იყო. გერმანელ-ფაშისტთა ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, მოიწევდნენ მოსკოვისაკენ, როსტოვისაკენ, გარსშემოერტყნენ ლენინგრადს.

მოსკოვის თავზე დროდადრო გამოჩნდებოდნენ ხოლმე მტრის თვითმფრინავები. ჩვენ, დაჭრილები, საჰაერო განგაშისას პალატებიდან თავშესაფარში გავყავდით. ფრონტელებს არ გვსიამოვნებდა თავშესაფარში სიარული და ვცდილობდით საჰაერო განგაშის დროს პალატაში დავრჩენილიყავით. მაგრამ პეტრე ვასილის ძე შანდრიკა მოითხოვდა დავმორჩილებოდით საერთო წესს.

— თუ თქვენ ბომბი მოგკლავთ თავშესაფარში, — ხუმრობით ამბობდა ის, — მე ნაკლებ პასუხს მომთხოვენ.

ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის მოსკოვს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. დაიწყო ბევრი ქარხნის და სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ევაკუაცია ქალაქიდან. წასასვლელად ემზადებოდა ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტალიც.

მწყობრში ჯალე დაბრუნება მსურდა და წერილი გავუგზავნე ამხანაგ სტალინს, რომელიც საბჭოთა კავშირის მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს საშუალებით გადავეცი.

წერილით ვაცნობებდი, რომ ჯანმრთელობა აღდგენილი მაქვს, თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ იყო, და, რომ შემიძლია შეუდგე მუშაობას.

წერილი უპასუხოდ არ დარჩენილა. 13 ოქტომბერს გამომიძახეს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში და სტალინმა კრემლში, თავის სამუშაო კაბინეტში მიმიღო.

ი. ბ. სტალინს სადღაც ეჩქარებოდა, ამიტომ ჩვენი საუბარი ხანმოკლე აღმოჩნდა. უპირველესად მან ჩემი ჯანმრთელობა გამოიკითხა. ამ შეკითხვას მე მოველოდი და ვუპასუხე, რომ თავს შესანიშნავად ვგრძნობ, ყოველ წუთს შემიძლია შეუდგე მუშაობას. კრინტი არ დამიძრავს იმის შესახებ, რომ სიარულის ნება მეძლეოდა მხოლოდ სპეციალურად დამზადებული ორთოპედიული ფეხსაცმელით.

ამას მოჰყვა ახალი კითხვა, რომელმაც დამასევდიანა:

— შეგიძლიათ დაუყოვნებლივ გაემგზავროთ ურალში?

„ურალში! ზურგში! — გამიელვა თავში. — ეს ნიშნავს, დაემშვიდობო ფრონტზე გაგზავნის იმედს!“

როგორც ჩანს, სტალინმა ჩემს თვალებში ამოიკითხა ეს მოუსვენარი აზრი, ამიტომ თითოეულ სიტყვას ხაზგასმით დაუმატა:

— გაემგზავრებით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური დავალების შესასრულებლად. გაითვალისწინეთ დავალება ძალიან სასწრაფო და მნიშვნელოვანია.

და, არ დაუცადა რა ჩემს თანხმობას, საკითხი ისე ჩათვალა გადაწყვეტილად, უბრძანა იქვე კაბინეტში მყოფ პოსკრებიშევს მოემზადებინათ ჩემთვის მანდატი.

ღამის პირველ საათზე კვლავ შევხვდი ი. ბ. სტალინს. მან მიმიღო ქალაქის გარეთ მდებარე აგარაკზე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხვა წევრების თანდასწრებით. ლაპარაკი ჩამოვარდა სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარების უკანდახევის მიზეზებზე. მკითხეს ჩემი მოსაზრება. მე ვუპასუხე ის, რაც მათთვის კარგად იყო ცნობილი:

სამხრეთის ფრონტის ჯარები იძულებული იყო უკან დაეხია დნეპრს გაღმა იმიტომ, რომ ტანკებით კარგად შეიარაღებული ჭარბი ძალების მქონე მოწინააღმდეგე შემოდიოდა ჩვენს ფლანგებსა და ზურგში. ჩვენ არ გვყავდა საჭირო რეზერვები შემოვლით მოქმედი მტრის ჯავშანსატანკო დარტყმის მოსაგერიებლად. ხოლო არსებული ძალები შებოჭილი იყო მტრის მნიშვნელოვანი ძალების მიერ ფრონტზე. თავდაცვითი მიჯნები კი, რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ მოამზადა, რეზერვის უყოლობის გამო თავის დროზე არ იქნა დაკავებული.

ტანკების, ჯავშანსამსხვრევი ყუმბარების და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის უქონლობის გამო სამხრეთის ფრონტის ჯარებში მნიშვნელოვნად დაქვეითდა მტრის ტანკებთან ბრძოლის ეფექტიანობა.

მაგრამ მიუხედავად ყველა სიძნელეებისა და შემომტევი მოწინააღმდეგის დიდი რიცხობრივი უპირატესობისა, ჩვენი ჯარები იბრძოდნენ უაღრესად თავგანწირულად, ხშირად გადადიოდნენ კონტრიერიშებზე, აყენებდნენ მტერს დიდ ზიანს.

შემდეგ საუბარი შეეხო ჩემს მომავალ გამგზავრებას ურალში.

— ფრონტზე მდგომარეობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად და ეფექტიანად შევძლებთ ჩვენ რეზერვების მომზადებას, — თქვა იოსებ ბესარიონის ძემ. — აი, თქვენ ამხანაგო ტიულენევ გევალებათ სასწრაფოდ გაემგზავროთ ურალში სარეზერვო

დივიზიების ფორმირებისა და სწავლებისათვის. საჭიროა ყველაზე სერიოზული ყურადღება მიაქციოთ მათთვის ახლოს ბრძოლის, განსაკუთრებით ტანკებთან ბრძოლის შესწავლას.

მანდატში, აქვე სტალინის აგარაკზე რომ მომცეს, ნათქვამი იყო: „1. ამით დასტურდება, რომ ირმიის გენერალი ამხ. ი. ვ. ტიულენევი არის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელი ახლად ჩამოსაყალიბებელი დივიზიების სწავლებისა და შექმნის საქმეში ურალის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე.

2. ამხ. ი. ვ. ტიულენევს ეძლევა ამოცანა ჩამოაყალიბოს 14 მსროლელი და 6 ცხენოსანი დივიზია, მოაწყოს მათი სწავლება ბრძოლის თანამედროვე ხერხების მიხედვით და შექმნას ისინი, რათა 2 თვის განმავლობაში დივიზიები წარმოდგენილი იქნან როგორც სრული საბრძოლო ერთეულები.

3. დაევალოს ყველა საბჭოთა, სამხედრო და პარტიულ ორგანიზაციას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ამხ. ი. ვ. ტიულენევს მასზე დაკისრებული ამოცანის შესრულებაში.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე
ი. სტალინი“.

მეორე დღეს ოფიცრებისა და გენერლების ჯგუფთან ერთად ურალში გავემგზავრე. მათ შორის იყო ძალიან კარგი ამხანაგი, სამხედრო საქმის ჩინებული მცოდნე არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ა. კ. სივკოვი, რომელმაც აკადემიის კედლებიდან ბევრი არტილერისტი გამოუშვა, და ჩემი ძველი თანამოსამსახურე გენერალ-ლეიტენანტი პ. ს. რიბალკო.

ცივი, ქარსუსხიანი შემოგვგოზა იდგა. ხეებს სცვიოდა შეჭარხლული სამოსელი, ნაძვების მწვანე თათებზე ეყარა ვერხვისა და არყის ხიდან ჩამოცვენილი ყღალი ფოთლები...

მატარებელი სულ უფრო და უფრო შორდებოდა ფრონტის ხაზს, მაგრამ ომზე ფიქრი არ გაშორდებოდა. დიდი განსაცდელი შეხვდა ჩვენს ხალხს. სიძნელე იყო ყველგან: სამხრეთშიც, სადაც ომი მძვინვარებდა, ფრონტისპირა მოსკოვშიც და ზურგშიც, საითაც დაუსრულებელ ნაკადად მოედინებოდა ევაკუირებული ქარხნების მოწყობილობებით დატვირთული ეშელონები, გვერდის ავლით რომ უსწრებდა ჩვენს მატარებელს.

ერთ-ერთ ქალაქში, სადაც ყალიბდებოდა ორი დივიზია — ქვე-

ითი და ცხენოსანი, — ჩვენ შევჩერდით და ერთი დღე-ღამე დავრჩით. ოქტომბრის მოკლე დღე ძირითადად დაგვჭირდა იმისათვის, რომ ჯერ დასაწყისშივე ზერელედ გავცნობოდით მეთაურთა შემადგენლობას, გაგვერკვია პირველ რიგში რა სჭირდებოდა დივიზიას.

საღამოს მოხსენება გავაკეთე თემაზე, — მდგომარეობა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, რომელიც როგორც მე მიმაჩნდა ერთნაირად აინტერესებდა როგორც მებრძოლებს, ისე მეთაურებს; შევაჯამე გამოცდილება, რომელიც მივიღე მტერთან ბრძოლის ხუთი თვის მანძილზე.

გარნიზონის კლუბში შეკრებილი ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურები, რომლებმაც ომის შესახებ მხოლოდ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებიდან და საგაზეთო კორესპონდენციებიდან იცოდნენ, დიდი ყურადღებით უსმენდნენ ჩემს საუბარს.

გულწრფელად გაძახარა რეზერვისტების მორალურმა მდგომარეობამ. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ ისინი ფრონტისკენ ილტვიან, რათა ჩქარა ეკვეთონ მტერს. მაგრამ ჩვენ გვესმოდა, რომ მარტო საბრძოლო სულისკვეთება საკმარისი არაა ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში. მე დავრწმუნდი, რომ ამ შენაერთების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

სვერდლოვსკში ჩასვლისას ჩვენ სამხედრო ოლქის საბჭოს წევრებთან ერთად, რომელშიაც შედიოდა პარტიის სვერდლოვის საოლქო კომიტეტის მდივანი, განვიხილეთ მუშაობის გეგმა და შევუდექით მის განხორციელებას.

სულ ოლქის ტერიტორიაზე უნდა ჩამოგვეყალიბებინა თოთხმეტი მსროლელი და ექვსი ცხენოსანი დივიზია, ათი მსროლელი ბრიგადა და ოცდაერთი მოთხილამურეთა პოლკი.

ჯარების ეს რაოდენობა უნდა აღგვეჭურვა, შეგვეიარაღებინა და გვესწავლებინა მათთვის მინიმალურად მოკლე დროში. სამუშაო იყო რთული, მაგრამ მეტად აუცილებელი და საპატიო. ის არ წყდებოდა არც დღისით და არც ღამით. მე ყველგან ვიყავი, სადაც კი ყალიბდებოდა ახალი ნაწილები, ვამოწმებდი როგორ მიმდინარეობდა სამხედრო მომზადება.

დაახლოებით ჩამოსაყალიბებელი ჯარების ერთი მესამედი მთლიანად უნდა ყოფილიყო მზად 1941 წლის 1 ნოემბრისათვის, დანარჩენი პოლკები და დივიზიები — 20 ნოემბრისათვის.

ყველა მომმარაგებელ ორგანოს და სამხედრო ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ სარეზერვო ნაწილებისა და შენაერთების ფორმირებაში დასჭირდათ ძალების უდიდესი დაძაბვა. მუშაობის დიდი ნაწილი შეასრულა ურალის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭომ და შტაბმა. კოლოსალური დახმარება აღმოგვიჩინეს ურალის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ჯარების იარაღითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფის საქმეში.

„ურალმაში" გვიმზადებდა ტანკების ჯავშანს. თავდაპირველად ქარხნისათვის ადვილი არ იყო გადართულიყო წარმოების ზეჩქარ ტემპზე, რაც ასე საჭირო იყო ამ საგანგებო, შფოთიან დროს. მაგრამ ადამიანები შრომობდნენ უდიდესი აღფრთოვანებით, ძალთა დაუზოგავად. მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები დღეღამეობით არ ტოვებდნენ საამქროსა და ყველა დავალებას ვადაში ასრულებდნენ.

მახსოვს ქარხნის დირექტორმა მკითხა:

— არ შეიძლება ტანკები რომ გაუხეხავი ჯავშანით ჩავაბაროთ?

— ჯანდაბას გახეხვა! — დავეთანხმე მე. სილამაზესა და პრიალს ომის შემდეგ მივცემთ მანქანებს. შედუღებული ნაკერების გახეხვისათვის დიდი დროა საჭირო, დრო კი ჩვენთვის ოქროდ ფასობს!

ხელდაკაპიწებული შრომობდნენ ურალის ბევრი ქარხნის მეიარაღეები, რომლებიც ასი ათასობით შაშხანას და ტყვიამფრქვევს ამზადებდნენ.

ცხენოსანი ნაწილების უზრუნველყოფაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ბაშკირელმა პატრიოტებმა, რომლებმაც მოაწყვეს უნაგირებისა და მოკაზმულობის მასობრივი შეგროვება ადგილობრივ მოსახლეობაში.

ახალი ფორმირების ჯარების საბრძოლო მომზადების პროცესში ძირითადი ყურადღება ექცეოდა საბრძოლო გამოცდილების შესწავლას, სამამულო ომის მსვლელობის პირველ თვეებში რომ დაგროვდა.

თანამედროვე ბრძოლის ხერხების შესწავლა და ქვედანაყოფებისა და ნაწილების შექმნა ხორციელდებოდა ბრძოლებთან მიახლოებულ პირობებში. საბრძოლო მომზადებისათვის გამოყოფილი

დროის ოცდაათი პროცენტი ეთმობოდა მეცადინეობებს ღამის პირობებში.

ვითვალისწინებდით რა ჩამოსაყალიბებელი დივიზიების ტერიტორიალურ გაფანტულობას, მათი უფრო ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ შეგვექმნა ორი ოპერატიული ჯგუფი, რომლებიც შემდეგში შეიძლება გამხდარიყვნენ საარმიო ხელმძღვანელობის ბირთვი. ურალის სამხედრო ოლქის შტატს დაემატა ჯარების სარდლის ორი მოადგილე და ოლქის შტაბის უფროსის ორი მოადგილე. მათთან შეიქმნა ორი ჯგუფი (10-12 კაცი თითოეულში) კარგად მომზადებული ინსპექტორებისაგან, რომლებიც ყველა სახეობის ჯარებს წარმოადგენდნენ. ერთი ჯგუფი განლაგდა ჩელიაბინსკში, მეორე — პერმში.

ჩვენი მუშაობის ერთი თვის შემდეგ — ნოემბრის შუა რიცხვებში — მოვახსენე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს, რომ ყველა, ოცივე დივიზია ძირითადად დაკომპლექტებულია (შეიარაღების ზოგიერთი რაოდენობის გამოკლებით), ხოლო მათი ქვეგანაყოფები და ნაწილები შექმნილია. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ საჭიროებდნენ საბრძოლო წესისა და თანამედროვე ბრძოლის ხერხების პრაქტიკული ჩვევების ათვისებას.

მოსკოვთან მძიმე მდგომარეობის შექმნის გამო და იმ მიზნით, რომ მიგვეცა შესაძლებლობა ახლად ჩამოყალიბებული დივიზიებისათვის საბრძოლო ვითარების დაუფლებისა, მე წინადადებით მივმართე უმაღლეს მთავარსარდლობას გადაგვესროლა ისინი ურალიდან მოსკოვის შორეული ზურგის თავდაცვით ზღუდეზე. ამასთან ერთად საჭიროდ მიმაჩნდა ყველა დივიზია გაგვეერთიანებია ერთ საბრძოლო სარეზერვო არმიად.

ერთხელ, როცა მივემგზავრებოდი სვერდლოვსკიდან კამიშლოვში, მატარებელი გაჩერდა პატარა სადგურში. ჩემს ვაგონთან მოირბინა აღელვებულმა რკინიგზელმა და მაცნობა, რომ მოსკოვიდან მირეკავდნენ. გავეშურე სადგურში ტელეფონთან. პოსკრებიშევმა მითხრა, რომ დამელაპარაკება ი. ბ. სტალინი.

ერთი წუთის შემდეგ გავიგონე უმაღლესი მთავარსარდლის აუჩქარებელი, მშვიდი ხმა:

ჩვენ დაგირეკეთ თქვენი წინადადების თაობაზე — შექმნილიყო საარმიო მმართველობა სარეზერვო დივიზიებისათვის, გადაგვესროლა ისინი ვოლგაზე რიბინსკის და იაროსლავლის რაიონში.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი ეთანხმება თქვენს წინადადებას. ამ სარეზერვო არმიის ხელმძღვანელობას გავალებთ თქვენ. თქვენს განკარგულებაში გეძლევათ რაპოპორტის მესანგრეთა არმია, რომელიც განლაგებულია რიბინსკში. თანახმა ხართ?

მადლობა მოვახსენე სტალინს ნდობისათვის და დავეთანხმე.

1941 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა სარეზერვო არმიის მმართველობა, რომელმაც გააერთიანა რიბინსკის, იაროსლავლის, ივანოვოს რაიონში ურალიდან გადმოსროლილი ყველა დივიზია. არმიის სარდლად უმაღლესმა მთავარსარდლობის ბანაკმა მე დამნიშნა, შტაბის უფროსად კი — გენერალ-პოლკოვნიკი თ. ი. კუზნეცოვი.

მითითებულ რაიონში სარეზერვო არმია მოსვლისთანავე შეუდგა მოსკოვის ზურგის თავდაცვითი ზღუდის მომზადებას.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის გეგმის შესაბამისად, მე არმიის შტაბთან ერთად ერთი კვირის ვადაში მოვახდინე გულდასმითი რეკოგნოსცირება და განვსაზღვრე თავდაცვის ზოლი. წინა მხარე გადიოდა რიბინსკის, უგლიჩის, პერეიასლავლ-ზალესკის, შუიას ხაზზე. თავდაცვის სიღრმე შემოიზღუდა იაროსლავლის, კოსტრომის, ივანოვოს ხაზით.

დეკემბრის ბოლოს მოვახსენე უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს, რომ ზურგის თავდაცვითი ზღუდე შექმნილია, ხოლო სარეზერვო დივიზიები მზად არიან შეასრულონ ყოველგვარი საბრძოლო ამოცანა.

1942 წლის იანვარში სარეზერვო არმიის დივიზიების უმრავლესობა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის ბრძანებით გაიგზავნა დასავლეთის, კალინინისა და ვოლხოვის ფრონტების სარდლების განკარგულებაში.

იანვრის ყინვიან ღამეს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის გამოძახების თანახმად გავემგზავრე მოსკოვში ფრონტზე დივიზიების გაგზავნის შესახებ მოსახსენებლად.

ქალაქში გვიან ღამით მოვედით. სახლშიც არ შემივლია, ისე გავემართე პირდაპირ გენერალურ შტაბში.

გენერალური შტაბის უფროსი საბჭოთა კავშირის მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი თავის კაბინეტში იჯდა, ღრმად ჩაფიქრებული რუკას დასცქეროდა. როცა მასთან შევედი გულთბილად მომესალმა:

— უკვე, ჩამოხვედით? — აბა, როგორ მიდის თქვენთან მუშა-

ობა? ჟუკოვს, კონევს და მერეცკოვს ფრონტზე დივიზიები გაუგზავნეთ?

როგორც მთავარბანაკმა გვიბრძანა ყველაფერი ისე შევასრულეთ, ბორის მიხეილის ძევ. მთლიანად შევაიარაღეთ, თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მივეცით. შესანიშნავი მეომრები არიან ეს ურალელები! — ვერ მოვითმინე მე, რომ არ შემექო შევსება. — მაღალი, მხარბეჭიანი, სიცოცხლისუნარიანი ხალხია, განწყობილება ყველას საუცხოო აქვს. როცა ჩვენ მათ ფრონტზე ვაცილებდით, მეც მათთან ერთად მინდოდა გამგზავრება ბორის მიხეილის ძევ და ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ვერ მოვახერხე.

— როგორ, თქვენ ჭრილობა არ გაწუხებთ?

ვცდილობდი ძალა არ დამეტანებინა დაჭრილი ფეხისათვის, ისე გავიარე კაბინეტში.

— აი, ხომ ხედავთ, ბორის მიხეილის ძევ, ჭრილობა განიკურნა, მე ყოველ წუთს მზად ვარ ფრონტზე წასასვლელად.

— მაშ, კარგი, გეთაყვა, — დამამშვიდა შაპოშნიკოვმ, — დასვენეთ მგზავრობის შემდეგ და ხვალ შემომიარეთ. — და ჩემდა საწყენად დაუმატა: — ჯერ მაინც ნაადრევია თქვენთვის სანგრებში ხოხვა, შეიძლება ფეხი დაიზიანოთ და მით უარესი იქნება თქვენთვის.

დააკვირდა რა მარშალი ქაღალდებს წინ რომ ეწყო, მაშინვე შეცვალა საუბრის თემა: — თქვენ როგორ ფიქრობთ ივან ვლადიმერის ძევ, შეძლებს თუ არა ჩვენი „უ—2"-ე ბომბდამშენის ამოცანის შესრულებას?

— რას ბრძანებთ, ბორის მიხეილის ძევ? — გავიკვირვე მე — რა ბომბდამშენი უნდა გამოვიდეს „უ—2"-დან! მას რაძდენიმე კილოგრამი ტვირთის აწევა თუ შეუძლია. სიჩქარეც ხომ ისეთი აქვს, რომ სანადირო თოფითაც ჩამოაგდებ, რომ არაფერი ვთქვა შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლზე.

— აი მეც ასე ვფიქრობდი, — გაიღიმა შაპოშნიკოვმა, — სპეციალისტებმა კი დაგვარწმუნეს, რომ ღამით დაბომბვისას ეს თვითმფრინავი ფასდაუდებელია. ჩვენ უკვე მოვამზადეთ ხუთი პოლკი. ხვალ ორასი თვითმფრინავი გაფრინდება და მთელი ღამის განმავლობაში დაბომბავენ ფაშისტთა ჯარებს...

ბორის მიხეილის ძემ კარგი დასვენება მისურვა და კვლავ ჩა-

ერთო მუშაობაში. იგი დაღლილი და დაფიქრებული იყო და არც კი გაუგია როგორ გავედი კაბინეტიდან.

უკვე მოგვიანებით, ამიერკავკასიის ფრონტზე ყოფნისას მომაგონდა ბ. მ. შაპოშნიკოვთან საუბარი „უ—2“-ის შესახებ ასე რომ ისახელა თავი, როგორც ღამის ბომბდამშენმა. მართლაც რომ ცეცხლი შეუნთეს მათ ფაშისტებს! ყველაზე გამოწრთობილი ჰიტლერელებიც კი ფითრდებოდნენ მარტო ერთი სიტყვის „რუს-ფანერის“ გაგონებაზე, როგორც მათ უწოდეს ჩვენს საბრძოლო „კუკურუზნიკებს“.

მეორე დღეს ბ. მ. შაპოშნიკოვთან ყოფნის შემდეგ ი. ბ. სტალინთან ვიყავი.

როგორც ჩანს, სტალინი მიხვდა, რისთვის გამოვცხადდი მასთან, რადგან სიტყვის თქმაც არ მაცალა, შემომთავაზა დავმჯდარიყავი და მითხრა:

— ვიცი, ვიცი, რაც გსურს. მოგბეზრდა ზურგში ყოფნა?

— სწორედ ასეა, ამხანაგო სტალინ!

— რას იზამ, უნდა დავაკმაყოფილოთ შენი თხოვნა.

ერთი დღე-ღამის შემდეგ კი, 1942 წლის 19 იანვარს მე მომცეს ბრძანება ახალი დანიშვნის შესახებ — სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების მთავარსარდლის მოადგილედ.

და აი მე კვლავ მოქმედ არმიაში მივდივარ.

სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების შტაბი ვორონეჟში იმყოფებოდა, სამეთაურო პუნქტი — სვატოვოში. როცა ადგილზე მივედი და შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების ჯარები, რომლებიც შედიოდნენ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების შემადგენლობაში, გადავიდნენ შეტევაზე და გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ.

მოწინააღმდეგის გამაგრებული ზღუდე რომ გაარღვია და გადალახა მისი გააფთრებული წინააღმდეგობა, ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 100-ზე მეტ კილომეტრზე, გაათავისუფლეს ქალაქები ბარვენკოვო, ლოზოვაია და 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

მთლიანად იქნა განადგურებული 68-ე დივიზია, 57-ე დივიზიის 236-ე ტანკსაწინააღმდეგო და 179-ე ქვეითი პოლკები; დიდი დანაკარგი განიცადეს ჰიტლერელთა 44-ე, 62-ე, 94-ე და 295-ე ქვეითმა დივიზიებმა. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს უზარმაზარი ნადავლი და რამდენიმე ასეული ტყვე.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მიღწეული წარმატების განვითარება და გამაგრება ამ მიმართულებით, აუცილებელი რეზერვების უქონლობის გამო ვერ შევძელით.

ვერც კი მოვასწარი ხეირიანად გავცნობოდი სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების ჯარებს, რომ მივიღე ახალი დანიშნულება — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლობა.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დირექტივის მიხედვით მევალებოდა დაუყოვნებლივ, თვითმფრინავით გავმგზავრებულიყავი ახალი სამსახურის ადგილზე.

არ მინდოდა წინახაზიდან წასვლა, მოქმედი არმიის დატოვება, მაგრამ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დირექტივა განხილვას არ ექვემდებარებოდა. მაიმედებდა მხოლოდ ერთი — ამიერკავკასიაში კარგახანს ვიცხოვრე და მასთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებდა. 1927—1930 წლებში ვმეთაურობდი განსაკუთრებულ ბრიგადას, რომელშიც შედიოდა სამი ჩვეულებრივი პოლკი და სამი ეროვნული პოლკი: ქართული, აზერბაიჯანული, სომხური. სიტყვამ მოიტანა და ამ უკანასკნელს მეთაურობდა ყოფილი ცხენოსანი არმიელი, შემდეგში საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი. 1938 წლის დასაწყისიდან 1940 წლის შუა ხანებამდე ვიყავი ამერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი. იქ მე 1940 წელს პირველი რანგის კომანდარმს მომენიჭა არმიის გენერლის წოდება...

და აი ჯერ კიდევ ორი წელიც არ გასულა, რომ მე კვლავ მიეემგზავრები ამიერკავკასიაში.

კავკასიის მთისწინეთში

თებერვლის პირველ რიცხვებში დონბასში იდგა შედარებით კარგი ამინდი. ქარბუქი მიწყნარდა. სტარობელსკის აეროდრომზე მელოდებოდა თვითმფრინავი, რომელიც ს. კ. ტიმოშენკომ ჩემს განკარგულებაში გადმომცა. ჩვენ დილით გავფრინდით და შუადღეზე მშვიდობიანად ჩავედით ქალაქ მინერალურ წყლებში. შემდეგ უნდა გვეფრინა მახაჩკალის თავზე კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბაქომდე. ამას მოუნდებოდა რამდენიმე საათი. ჩემთვის კი ძვირფასი იყო ყოველი წუთი.

— ხომ არ აჯობებდა გადაგვეჭრა პირდაპირ, მოკლე გზით, კავკასიის მთავარ ქედზე? მივეცი წინადადება შეფ-პილოტს. ის გაბედული კაცი აღმოჩნდა — თანახმა იყო მეტეოროლოგიური ცნობების გარეშე ეფრინა უცნობ ტრასაზე.

...თვითმფრინავიდან მოჩანდა მთების ფანტასტიკური მოხაზულობა — მწვერვალებისა და ფერდობების გატეხილი ხაზები, უწესრიგოდ ცვლიდნენ ერთმანეთს ნათელი და ბნელი ლაქები, თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ თოვლიანი მწვერვალები.

მთები, ისევე როგორც ზღვა, განგაწყობს ფიქრებისადმი. ფრენისას საკუთარ თავს ერთი და იგივე კითხვას ვუსვამდი — რით არის გამოწვეული უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის გადაწყვეტილება ჩემი ამიერკავკასიაში სასწრაფოდ გადაყვანის თაობაზე? „დაუყოვნებლივ, თვითმფრინავით“ — სწორედ ასე იყო ნათქვამი დირექტივაში. რა მოხდა იქ? შეიძლება სიმშვიდე არ სუფევს საზღვარზე ირანთან ან თურქეთთან? ნუთუ ომი აქაც მოაღწევს?“ — ვფიქრობდი მე. ჩემდა უნებურად გამახსენდა ი. ბ. სტალინთან შეხვედრა 1938 წელს, როცა პირველად დამნიშნეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის თანამდებობაზე.

გზას რომ მილოცავდა, მან მითხრა:

— გულმოდგინეთ მოამზადეთ ჯარები. შესაძლებელია მოგვიხდეს მოქმედება ძალიან რთულ პირობებში.

1939 წელს, დასავლეთ უკრაინაში განმათავისუფლებელი ლაშქრობის შემდეგ მე მოსკოვში ჩამოვედი და მიმიღო ი. ბ. სტალინმა, მან კვლავ მკითხა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მდგომარეობის შესახებ.

ეს რომ გამახსენდა, მთებს დავუწყე ცქერა არა როგორც ბუნების ერთ-ერთ სასწაულს, არამედ თითქოს ფრენისას ვახდენ ადგილის რეკოგნოსცირებას.

40 წუთის შემდეგ ჩვენ დაეფრინდით თბილისის აეროდრომზე. თბილისელები გულთბილად შემხვდნენ. ჩემი ჩამოსვლა განსაკუთრებით ჩემს ძველ მეგობარს გიორგი სტურუას გაეხარდა. ჯერ კიდევ 1927 წლიდან ვიცნობდი ძმებს ვანო და გიორგი სტურუებს. ისინი ძველი რევოლუციონერ-ბოლშევიკები, ყოველთვის ხალისით ეხმარებოდნენ საგანგებო ბრიგადის პოლკებს. ახლაც დიდ იმედებს ვაშყარებდი მეგობრის დახმარებაზე. უნდა ითქვას, რომ გიორგი სტურუამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-

მჯდომარემ, ძალიან ბევრი რამ გააკეთა გერმანელ ფაშისტთა ურდოების გასანადგურებლად კავკასიის მთისწინეთში.

აეროდრომზე დამხვედრთა შორის იყვნენ აგრეთვე სარდლის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ხოდეევი და შტაბის უფროსი ა. ი. სუბოტინი. ამ ამხანაგებმა იმ დღესვე ჩამაყენეს საქმის კურსში.

ამიერკავკასიის ფრონტს დიდ სამამულო ომში თავისი გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით განსაკუთრებული ადგილი ეჭირა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების და დაღესტნის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარები მოწოდებული იყვნენ ფხიზლად და საიმედოდ დაეცვათ სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა ახლო აღმოსავლეთის მხრიდან.

1942 წლის მძიმე დროს, როცა ჰიტლერელთა ურდოები დაიძრნენ კავკასიის მთავარი ქედის მთისწინეთისაკენ, რათა ხელში ჩაეგდოთ გროზნოსა და ბაქოს ნავთობის წყაროები და ამიერკავკასიის გავლით შეეღწიათ ახლო აღმოსავლეთში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შემდეგ გარდაქმნილი ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების წინაშე დაისვა რთული და ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანა. გარკვეულ წილად იზოლირებული რომ აღმოჩნდა, ფრონტს უნდა გაეკეთებინა ჯარების საბრძოლო მოქმედება მტრის ალყის პირობებში: ჩრდილოეთით და სამხრეთით — ფაშისტი ოკუპანტები. აღმოსავლეთით — თურქეთი და ირანი, ეგვიპტის მხრიდან — გენერალ რომელის ფაშისტური ჯარები. თუმცა, ირანი და თურქეთი ნეიტრალურნი იყვნენ, მაგრამ ეს სრულებით არ ათავისუფლებდა ამიერკავკასიის ფრონტს საიმედო თავდაცვისაგან აღმოსავლეთის მხრიდან. ამასთან სახეზე იყო ფაშისტური თვითმფრინავეების მიერ თურქეთის საზღვრის დარღვევის დაუსჯელი ფაქტები. თურქეთის სარდლობამ საბჭოთა საზღვრის სიახლოვეს თავი მოუყარა ოცდაექვს დივიზიას. ყოველივე ეს ადასტურებდა იმას, რომ თურქეთი გარკვეულ ვითარებაში შეიძლება ჩაბმულიყო ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიაში ხელში ჩამივარდა ივლისის თვის თურქული ჟურნალი „ბოზკურტი“, სადაც გამოქვეყნებული იყო „დიდი თურქეთის“ რუკა, მასში შეტანილი იყო ამიერკავკასიისა და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკები.

გერმანიის თავდასხმამ სსრ კავშირზე გააქტიურა ირანში ჰიტლერული აგენტურის საქმიანობა, რომელიც ანტისაბჭოთა პლაცდარმად გადაიქცა. ეს საშუალებას აძლევდა გერმანელებს მათთვის მოსახერხებელ ყოველ მომენტში დაერტყათ საბჭოთა კავშირისათვის ამ მიმართულებიდანაც.

შეეძლო საბჭოთა მთავრობას დამშვიდებით ეცქირა მდგომარეობისათვის, რომელიც ჩვენს სამხრეთ საზღვრებთან იქმნებოდა?

ჯერ კიდევ 1941 წლის ივლისში ოლქში განლაგდა ოთხი არმია: 46-ე და 45-ე თურქეთის საზღვრების დასაცავად; 47-ე და 44-ე ირანის საზღვრების დასაცავად. თვითდაცვის მიზნით საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 წლის 26 თებერვალს მოსკოვში დადებული ხელშეკრულების მე-6 პუნქტის საფუძველზე, 1941 წლის 25 აგვისტოს ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე შეყვანილი იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები. ერთდროულად ირანის სამხრეთ ნაწილში შეყვანილი იქნა ინგლისის ჯარები.

საბჭოთა ჯარების შეყვანით ირანში და იქედან ჰიტლერული გერმანიის აგენტურის განდევნით განიმუხტა ვითარება სსრ კავშირის სამხრეთ საზღვარზე, ლიკვიდირებული იქნა პირდაპირი საფრთხე ბაქოსადმი, რომელიც იმ დროს იძლეოდა ქვეყანაში მოპოვებული ნავთობის დაახლოებით სამ მეოთხედს.

ამიერკავკასიის ოლქის ნაწილების სამხედრო მზადყოფნის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ საერთო მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შეიარაღება არაა საკმარისი. საჭირო იყო სასწრაფოდ მოგვეწყო იარაღის დამზადება ადგილობრივი მრეწველობის ბაზაზე.

ამიერკავკასიის რესპუბლიკები მოკლე დროში გადაიქცნენ წითელი არმიის მძლავრ არსენალად. თბილისის, ბაქოს, ერევნის, მახაჩკალის და სხვა ქალაქების ბევრი საწარმო მთლიანად გადავიდა სამხედრო პროდუქციის: ავტომატების, ნაღმსატყორცნების, ყუმბარების, ბომბების, გრანატების, ვაზნების, ცეცხლმფრქვეველების, საწვავიანი ბოთლების, სხვადასხვა სახის საჭურვლისა და ტანსაცმლის წარმოებაზე.

კავკასიის მთელი მოსახლეობა აქტიურად უჭერდა მხარს თავდაცვის ფონდის შექმნის პატრიოტულ მოძრაობას და შეჰქონდა ამ ფონდში პირადი დანაზოგი, ფასეულობანი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები. შეგროვებული ფულით აგებული იქნა და წითელ

არმიას გადაეცა ათეულობით სატანკო კოლონა, საავიაციო ესკადრილია, საარტილერიო ბატარეა და სატორპედო კატარღა. მაგალითად, დაღესტანში აგებული იქნა მძიმე ჯავშნოსანი მატარებელი „დაღესტანის კომკავშირელი“. აზერბაიჯანის ახალგაზრდების მიერ შეგროვებული სახსრებით შეიქმნა ავიაგამანადგურებელთა ესკადრილია „ბაქოელი კომკავშირელი“.

სამხედრო პროდუქციის წარმოების ზრდამ ამიერკავკასიაში საშუალება მისცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს შეემცირებინა ცენტრალიზებული მიწოდება ამიერკავკასიის ფრონტისათვის. ახლა ჩვენ ქვეყნის სამრეწველო ცენტრებიდან ვღებულობდით სამხედრო ტექნიკის მხოლოდ უმნიშვნელოვანეს სახეებს — თვითმფრინავებს, ტანკებს, ქვემეხებს.

ჩვენ უნდა გადაგვეწყვიტა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი — ჯარების შევსება საბრძოლო მოქმედებისათვის მომზადებული პირადი შემადგენლობით. არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში, აზერბაიჯანში ან სომხეთში ხალხის რეზერვების უკმარისობა იგრძნობოდა, მაგრამ წვევამდელთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობიდან ცუდად ფლობდა რუსულ ენას, აუცილებელი შეიქნა ეროვნული ნაწილებისა და დივიზიების ჩამოყალიბება. ამისათვის მეთაურთა კადრები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იყო.

კავკასიაზე შემოტევით ჰიტლერი ვარაუდობდა განხეთქილება შეეტანა კავკასიის ხალხთა ოჯახში და განეწყო ისინი რუსი ხალხის წინააღმდეგ. „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფის თათბირზე, რომელიც 1942 წლის 1 ივნისს შედგა, ჰიტლერმა მისთვის დამახასიათებელი რიხით განაცხადა: „ჩემი ძირითადი აზრია დავიკაო კავკასიის ოლქები, რაც შეიძლება საფუძვლიანად გავტეხო რუსეთის ძალები... თუ მე ვერ მივიღებ მაიკოპისა და გროზნოს ნავთობს, მაშინ უნდა შევწყვიტო ომი“.

მაგრამ ჰიტლერელები ანგარიშში მოტყუვდნენ. კავკასიაზე მომდგარმა საფრთხემ კიდევ უფრო შეამჟიდროვა მისი ხალხები ერთიან ძმურ ოჯახად, კიდევ უფრო მტკიცედ დაუკავშირა ისინი დიდ რუს ხალხს.

ამიერკავკასიის ბევრ ქალაქში ჩატარდა კრებები და მიტინგები. 1942 წლის 23 აგვისტოს ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშის-

ტურ მიტინგზე თბილისში მხურვალე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სტურუამ, აკადემიკოსმა ნ. ორბელმა, გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა პოეტმა სამედ ვურგუნმა, სევასტოპოლის დაცვის მონაწილემ, საბჭოთა კავშირის გმირმა მ. გახოკიძემ. „ჩვენ მიუვალ ზღუდეებად გავხდით მთის ყოველ ბილიკს, ყოველ ხევს, სადაც მტერს ღახვდება გარდუვალი სიკვდილი, — წერდნენ მიტინგის მონაწილეები თავის მიმართვაში ამიერკავკასიის ხალხებისადმი. — ჩვენ არასოდეს არ დავიჩოქებთ მხეცი გერმანელი ყაჩაღების წინაშე, რა სიძნელის გადალახვაც არ უნდა დაგვჭირდეს. ჩვენ ვიცით, მხურვალედ გვწამს: მტერი განადგურებული იქნება!“

ახალგაზრდობის მიტინგზე თბილისში მგზნებარედ მიმართა ახალგაზრდა მეომრებს დაღუპული მეომრის დედამ სოფიო შალამბერიძემ: „მებრძოლო! მე, მოხუცი დედა, გლოცავ შენ, მოგიწოდებ შენ — მოჰკალი ფაშისტი!“

აზერბაიჯანელმა პოეტმა ახმედ ჯამილმა ხოტბა შეასხა ამიერკავკასის ახალგაზრდების გამარჯვების ურღვევ რწმენას:

ჰაღარა მთებო, თქვენი დანახვაც
მტერს შიშის ზარსა გვრის,
შემოგინახავს მართლა არაკად
სული ჰაბუკურ წვის.
ბრძოლაში გვიხმ.ბს ჩვენი მთა-ველი,
არც რა შიში გვაქვს რის,
მშობლიურ მიწის ყველა მტკაველი
არის სამარე მტრის.

ხალხმრავალი ანტიფაშისტური მიტინგი შედგა ორჯონიკიძეში შე-11 არმიის მებრძოლთა საძმო საფლავთან. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ჰაბუკებმა და ქალიშვილებმა პარტიისადმი, სამშობლოსადმი ერთგულების ფიცი დადეს.

ამ ფიცს რომ ასრულებდა ათეულ ათასობით ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ლეკი, ოსი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ათი ეროვნული — ქართული, აზერბაიჯანული, სომხური დივიზია.

ოლქის სამხედრო საბჭომ დასვა საკითხი უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წინაშე ამიერკავკასიის ფრონტის შექმნისა მი-

სი ყველა ორგანოთი და უფლებით, და რასაკვირველია, ოლქის შტაბის საფრონტო შტაბად რეორგანიზაციის შესახებ.

უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაამტკიცა ჩვენი წინადადება. 1942 წლის აგვისტოში ამიერკავკასიის ფრონტი მოქმედი გახდა.

უმაღლესმა მთავარსარდლობამ ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა: მოგვეწყო მტკიცე თავდაცვა. ეს საკითხი წყდებოდა ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომაზე, როცა ფაშისტურმა ურდოებმა რამდენიმე დღეში როსტოვი დაიკავეს. იმ დროს ამიერკავკასიის ოლქის მაშინდელმა სარდლობამ, კავკასიის დაცვის ამოცანას რომ წყვეტდა, წამოაყენა ერთი შეხედვით საკმაოდ დასაბუთებული წინადადება— შეგვეკავებინა მოწინააღმდეგე მდინარე სულაკის ნაპირებთან, მახაჩკალის ჭიშკრის ვიწრო ხევებში, რისი გაკეთება მცირერიცხოვანი ჯარითაც კი შეიძლებოდა.

მაგრამ ამ გეგმაზე რომ ვფიქრობდი, დავრწმუნდი, რომ ის მცდარია, რადგანაც ჩვენ ჯარებს ართმევდა მანევრირებისათვის საჭირო პლაცდარმს, პასიურობისათვის სწირავდა მათ. ჩვენი ჯარების დახევა სულაკის ნაპირებისაკენ ნიშნავდა გროზნოს ნავთობის საწარმოების, ჩრდილოეთ ოსეთის ვრცელი რაიონისა, მასთან ერთად ქ. ორჯონიკიძისა და ბოლოს დაღესტანის მოზრდილი ნაწილის დაკარგვას.

მაგრამ შტაბის ზოგიერთი მუშაკი განაგრძობდა მტკიცებას: „და მაინც უმჯობესია თავდაცვა სულაკის ნაპირთან. იქ სიმაგრეებიც თითქმის მზადაა, ხოლო ფრონტის საზღვარი კი დაღესტნით შემოიფარგლება“.

თავის გეგმას რომ იცავდნენ ეს ამხანაგები, ასე მსჯელობდნენ: „მტერმა რომ შექმნას რიცხობრივი უპირატესობა და ტანკების დაწოლით, მოპიკრე ბომბდამშენების დარტყმის შედეგად ჩვენ ვერ შევძლოთ მდინარე თერგზე პლაცდარმის შენარჩუნება? არ გაიღება მაშინ მახაჩკალის ჭიშკარი? არ გაიჭრებიან აქედან გერმანელები ბაქოში?

აგვისტოს დასაწყისში ამ თემაზე საუბარი მქონდა უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთან გენერალ-პოლკოვნიკ ა. მ. ვასილიევსკისთან. მე მოვახსენე მას კავკასიის დაცვის ახალი გეგმა, რომელიც ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ მიიღო. ეს გეგმა ითვალისწინებდა მთავარი თავდაცვითი ზღუდის შექმნას მდინარე თერგზე, ძლიერი ტეტ-დეპონებით ყიზლარის, სტაროჩერ-

ვლენის, მოზდოკის, მალკინის, პრიშიბის რაიონებში. უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაამტკიცა იგი.

სწორი გამოდგა ჩვენი ფრონტის ოპერატიული განყოფილების მუშაკების მიერ გამოთქმული მოსაზრება: თავდაცვა აგვეგო არა მარტო ჩვენს სანაპიროზე, არამედ მოწინააღმდეგისაკენ მიმართულ მოპირდაპირე მხარეზეც. გათვალისწინებული იყო იქ რამდენიმე ხიდწინა პოზიცია — პლაცდარმის შექმნა. ჩვენ მხედველობაში ვიღებდით ჩვენთვის უკვე ცნობილ გერმანელთა საბრძოლო პრაქტიკას: ისინი, როგორც წესი, არ იწყებდნენ მდინარის გადალახვას თუ წინასწარ არ გაწმენდნენ თავიანთ სანაპიროს.

თერგის სამხრეთ ნაპირზე წყალგაღმა პოზიციის დაკავებით ჩვენს ჯარებს შესაძლებლობა ექნებოდათ ადვილად ეთვალთვალათ და განუწყვეტლივ გაეკონტროლებინათ მოწინააღმდეგის მოქმედება გაშლილ სტეპიან ადგილზე. ჩვენ გვრჩებოდა პლაცდარმი კარგად განვითარებული რკინიგზების, გზატკეცილების და გრუნტის გზებით, ესე იგი იგი ყველაფრით, რაც კი საჭირო იყო მანევრირებისათვის და ძალთა თანდათანობით მოკრებისათვის კონტრშეტევაზე გადასასვლელად.

ეს გეგმა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც სასარგებლო იყო — დაცული იქნებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების უსაფრთხოება და გროზნოს ნავთობის სარეწები და ქარხნები.

ჩვენი მეზობელი — ჩრდილო კავკასიის ფრონტი — იმ დროისათვის მნიშვნელოვნად დასუსტებული იყო. მისი დივიზიები ქერჩის მარცხიანი ბრძოლების შემდეგ მცირერიცხოვანნი, ცუდად აღჭურვილნი და ძალზე გაჭიმულნი იყვნენ. კრასნოდარისა და არმავირის დაცემის შემდეგ მდინარე ურუხიდან და თერგიდან ყუბანამდე მთელ სივრცეზე, არსებითად იმყოფებოდა გენერალ-ლეიტენანტ რ. ი. მალინოვსკის ჯარების პატარა ჯგუფი. გერმანელებს შესაძლებლობა მიეცათ დაუბრკოლებლად შეეტიათ ჩერკესკის, ბუდიონოვსკ-მოზდოკის, ბუდიონოვსკ-გეორგიევსკ-პროხლადნის, ვოროშილოვსკ-მინერალური წყლების, პიატიგორსკ-ნალჩიკის მიმართულებით. საფრთხე შეექმნა ჩრდილოეთ კავკასიის უმდიდრეს რაიონებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილები იმყოფებოდა თერგის იქითა მხარეს, ამიერკავკასიის ფრონტის დაცვის ძირითადი მიჯნიდან შორს, აუცილებელი იყო ყველა ზომის მიღება, რათა შეგვე-

ჩერებინა მტრის მოწოლა და უზრუნველგვეყო მატერიალური ფასეულობებისა და მოსახლეობის გეგმაზომიერი ევაკუაცია. ამ მიზნით გზადაგზა ყალიბდებოდა და მიდიოდა ქალაქ მინერალური წყლებისაკენ გენერალ მალინოვსკის ჯარების ჯგუფის დასახმარებლად მოძრავი რაზმები.

ვითარებას ართულებდა ის, რომ მთელი რკინიგზა ბაქო-როსტოვის ხაზზე გაჭედილი იყო საქარხნო მოწყობილობების ეშელონებით და ლტოლვილებით. უკიდურესი დაძაბვით მომუშავე გზას არ შეეძლო ყველა შემადგენლობა გაეტარებინა, ისინიც იდგნენ სარეზერვო ხაზზე და ელოდნენ თავიანთ რიგს. ეს ჩვენ გვართმევდა ჯარების მანევრირების შესაძლებლობას და გვზღუდავდა საბრძოლო მასალების მოტანაში.

გულისტკივილით ვუცქერდით ჩვენ ათასობით ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ამ გრძელ, ნაღვლიან ეშელონებს. დათბილული ვაგონები იდგნენ თითქმის ერთიერთმანეთის მიჯრით ნალჩიკიდან ბესლანამდე, გუდერმესიდან მახაჩკალამდე, დერბენტიდან ბაქომდე.

რა ხდებოდა კასპიის სანავსადგურო ქალაქებში. განსაკუთრებით მახაჩკალასა და ბაქოში! ვერავითარმა ძალამ ვერ აიძულა ხალხი დაეტოვებინათ ნავმისადგომები, დროებით შესახლებულიყვნენ ბინებში და დაეცადათ ორგანიზებული ევაკუაციისათვის. განაწამები, მტირალი ქალები მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გაგზავნას.

მრავალათასიან ლტოლვილთა შორის თავი იჩინა ეპიდემიურმა დაავადებებმა. საჭირო შეიქნა საგანგებო ზომების მიღება. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ბაქოსა და მახაჩკალის პარტიულმა ორგანიზაციებმა, ბევრი ლტოლვილი კოლმეურნეობაში მოაწყვეს, დანარჩენები ევაკუირებულ იქნენ კრასნოვოდსკში და უფრო შორს ქვეყნის სიღრმეში.

ამიერკავკასიის რკინიგზელები და კასპიელი წყალტრანსპორტელები ხელებდაკაპიწებული შრომობდნენ. მათ მტრის ცეცხლქვეშ კავკასიაში გადაიყვანეს ასი ათასზე მეტი ჯარისკაცი, ასეულობით ცხენი, გადაზიდეს ათასობით ტონა ტყვია-წამალი, სურსათი, სანოვაგე, ასეულობით ქვემეხი, საველე ჯამზარეულო, ოთხთვალა, სატვირთო ავტომანქანა, მრავალი ადამიანი და მატერიალური ფასეულობანი.

ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ დონისა და ყუბანის დაბლობი

სტეპებიდან კავკასიის მთებისაკენ. მაგრამ ხალხი სულით არ ეცემოდა, არ კარგავდა გამარჯვების რწმენას. აი რას სწერდნენ ამ მძიმე დროს, მაგალითად, ბაქოს მენავთობეები ამიერკავკასიის ფრონტის მეომრებს:

„ძვირფასო ამხანაგებო!

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან სამხრეთში გააფთრებული ბრძოლების დღეებში ჩვენ, ორდენოსანი სარეწის მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები ჩვენს მხურვალე სალამს გითვლით თქვენ. გვინდა გითხრათ, ამხანაგებო, იყავით შეუდრეკელნი ამ ბრძოლებში, ნუ დაზოგავთ ნურც ძალას, და სიცოცხლესაც კი ნუ დაიშურებთ მშობლიური კავკასიისათვის, ყველაფერი გააკეთეთ, რათა მტერი შეაჩეროთ, ხოლო შემდეგ უკუაქციოთ. ასეთია სამშობლოს ბრძანება, ასეთია ჩვენი მოთხოვნა — მენავთობეებისა...

იბრძოლეთ ფრონტზე გააფთრებით, გაბედულად, უშიშრად. დაე თითოეულმა თქვენთაგანმა გაჟლიტოს რაც შეიძლება მეტი ფაშისტი და გამარჯვებით დაბრუნდეს.

თავის მხრივ ჩვენ გპირდებით ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ნავთობის ამოღება გავზარდოთ ყოველდღიურად. ქვეყანა მიიღებს იმდენ ნავთობს, რამდენიც მას დასჭირდება!“

ბევრი ასეთი წერილი მოდიოდა ფრონტის ჯარებში საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და სხვა ოლქებისა და რესპუბლიკების მშრომელებისაგან. მათში გამოხატული იყო მხურვალე სიყვარული სამშობლოს დამცველებისადმი.

თავიანთ საპასუხო წერილებში მეომრები ეფიცებოდნენ ხალხს, კომუნისტურ პარტიას, რომ შეაჩერებდნენ და გაანადგურებდნენ მტერს.

ჰიტლერელები თვლიდნენ, რომ წითელ არმიას ძალა არ შესწევს შეაჩეროს მათი ძლევამოსილი წინსვლა და მით უმეტეს გადავიდეს თავდაცვითი ბრძოლებიდან შეტევაზე. გერმანიის მთავრობა კვლნით აცხადებდა, რომ გროზნოსა და ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება თითქმის გადაწყვეტილია. მთელი კავკასიისა და ამიერკავკასიის დაცემა ახლოსაა.

მაგრამ დრო გადიოდა და ეს წინასწარმეტყველება არ მართლდებოდა.

გერმანელ-ფაშისტთა ჯარები, რომლებიც კავკასიას უტევდნენ, არმიის „ა“ ჯგუფში გაერთიანდნენ, რომელსაც 1942 წლის 10 სექ-

ტემბრამდე სარდლობდა გენერალ-ფელდმარშალი ლისტი, ხოლო 1942 წლის 22 ნოემბრიდან — გენერალ-პოლკოვნიკი ევალდ ფონ კლეისტი.

პრუსიის გენერლების რამდენიმე თაობის შთამომავალი, პირველი იმპერიალისტური ომისა და საფრანგეთზე ლაშქრობის მონაწილე კლეისტი იყო ძველი, გამოცდილი მხედარმთავარი, მტკიცე თანამიმდევარი „კანის თეორიისა“, ერთგული მოწაფე მოლტკესისა და შლიფენისა, ტარანული სატანკო დარტყმის სპეციალისტი.

1941 წლის ნოემბრის ბოლოს გენერალ-პოლკოვნიკ ფონ კლეისტის არმიამ მარცხი განიცადა როსტოვთან. ტყვე გერმანელი ოფიცრების ერთსულოვანი ჩვენებებით როსტოვის მარცხიანი ოპერაცია ძალიან მტკივნეულად განიცადა კლეისტმა. ამიტომ ის გულმოდგინედ ემზადებოდა, რომ აღედგინა თავისი შელახული პრესტიჟი.

დასაწყისი ძალიან წარმატებით გამოუვიდა. ციმლიანსკის, კონსტანტინოვკის, როსტოვის, ნოვოჩერკასკის. ბატაისკის აღებამ და ელვისებურმა წინსვლამ სამხრეთში ფრთები შეასხა კლეისტს. მართალია, გამარჯვების ძირითადი დიდება ფელდმარშალ მანშტეინმა მიითვისა, მაგრამ რაც უფრო შორს მიდიოდა კლეისტი, მით უფრო დამოუკიდებელი ხდებოდა იგი. დაბოლოს, ბრძანება რომ მიიღო „ა“ საარმიო ჯგუფის მთავარსარდალად დანიშვნის შესახებ, მთლიანად დარწმუნდა კავკასიის ოპერაციის წარმატებაში.

კლეისტს ამისათვის ყველა საფუძველი ჰქონდა: ის მეთაურობდა ყველაზე რჩეულ ჯარს.

დიდ იმედებს ამყარებდა კლეისტი თავის სატანკო არმიაზე. კავკასიაზე შეტევა „სატანკო ლაშქრობად“ ესახებოდა და ვარაუდობდა, რომ სტავროპოლის პლატოზე და თერგის ველზე გასვლისას მის სატანკო არმადას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა და მძლავრი დარტყმით ბაქოსკენ გაიჭრებოდა.

კლეისტის 1-ლი სატანკო არმია იმ დროს შედგებოდა ყველაზე რჩეული გენერალ-მაიორ ბესტჰოფენის მე-3 სატანკო, გენერალ-მაიორ გერის მე-13 სატანკო და გენერალ ფონ მაკის 23-ე საკადრო დივიზიებისაგან. კლეისტს ჰქონდა ათასამდე ტანკი და თვითონ უბრძანებდა ამ არმადას კავკასიამდე, შემდეგ კი სარდლობა გადასცა თავის საუკეთესო გენერალ ფონ მაკენზენს.

კლეისტს ექვემდებარებოდა გენერალ-პოლკოვნიკ რუოფის

მე-17 საველე არმიაც. ეს უზარმაზარი არმია, რომელიც შედგებოდა შვიდი დივიზიისაგან, დაყოფილი იყო კორპუსებად და განსაკუთრებულ ჯგუფებად. შესანიშნავად იყო აღჭურვილი ათეულ ათასობით ავტომანქანით და მოტოციკლეტით, გამოწრთობილი იყო ბრძოლებში.

ჰიტლერმა კლეისტის კავკასიის ჯგუფს დაუმორჩილა რუმინეთის ჯარები: მე-5, მე-6 და მე-9 ცხენოსანი დივიზიები, მე-2 და მე-3 სამთო მსროლელი და მე-19 ქვეითი დივიზიები.

კავკასიის მთავარი ქედის მაღალმთიან უბნებზე საბრძოლო ოპერაციების წარმართვისათვის გათვალისწინებული იყო გენერალ რუდოლფ კონრადის 49-ე სამთო-მსროლელი კორპუსი. ამ კორპუსში შედიოდნენ გერმანიის საუკეთესო ალპური დივიზიები: 1-ლი და მე-4 სამთო-მსროლელი, 97-ე და 101-ე — მსუბუქი ქვეითი.

პირველ მათგანს, რომელსაც „ედელვეისი“ ერქვა, მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი ლანცი. ალპური დივიზია „ედელვეისი“ გერმანიის არმიის სიამაყე იყო და კლეისტი არ ეშვობდა, რომ „ედელვეისები“ გაიჭრებოდნენ კავკასიის ქედიდან ზღვისაკენ.

არანაკლებ ცნობილი იყო მე-4 სამთო-მსროლელი დივიზია. ალპინისტებად დაბადებულნი, ტიროლელებით დაკომპლექტებულნი უკვე ნაომარი იყვნენ საფრანგეთსა და იუგოსლავიაში.

ამ დივიზიების დროშებზე ეხატა მთების თეთრი ყვავილები. ორივე დივიზია მომარაგებული იყო ყველაზე სრულყოფილი აღჭურვილობით, დაწყებული მსუბუქი ქვემეხებიდან ალპენშტოკებით, კომპასებით და საძინებელი ტომრებით დამთავრებული.

რაც შეეხება 97-ე და 101-ე მსუბუქ-ქვეით დივიზიებს, ომის დასაწყისში ისინი ჩვეულებრივი ქვეითი დივიზიები იყვნენ. კავკასიაში შეტევისას ორივე შენაერთმა, რომელთაც ჰქონდათ სამთო ომის ერთგვარი გამოცდილება საფრანგეთსა და იუგოსლავიაში, მიიღო აღჭურვილობა და შევიდა 49-ე კორპუსში დასავლეთ კავკასიონის მთისწინეთსა და ზოგიერთ გადასასვლელზე ოპერაციების საწარმოებლად.

ჩამოთვლილი ოთხი შენაერთის გარდა, კლეისტს კიდევ ჰყავდა რუმინეთის ორი სამთო-მსროლელი დივიზია.

ტანკების დაცვა ჰაერიდან და მათთვის „გზის გაკაფვა“ დავალებული ჰქონდა გერმანიის „პირველ ასს“ გენერალ. ფელდმარშალს რიხტჰოფენს. მე-4 საჰაერო ფლოტს, რომელსაც ის მეთაუ-

რობდა, მიეცა ამოცანა უზრუნველეყო წარმატება ოპერაციებისა სტალინგრადთან და კავკასიაში.

აეროდრომების დიდი ქსელი კროპოტკინში, არმავირში, ტიხორეცკში, კრასნოდარში, მაიკოპში, ელისტაში და სხვა ადგილებში საშუალებას აძლევდა მას განეხორციელებინა ფართო მანევრი. ავიაციის გენერალი რიხტჰოფენი მე-4 საჰაერო ფლოტში შემავალ ორივე კორპუსს ხან კავკაიის, ხან სტალინგრადის ფრონტზე გადაისროდა ხოლმე, იმის მიხედვით თუ როგორი იყო საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობა.

1942 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში ჰიტლერელთა ჯარებმა დაიკავეს ყუბანი, დონი, ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვანი ქალაქები და რკინიგზის კვანძები. მათი მარჯვენა ფრთა ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს სწვდებოდა, მარცხენა — კალმიკის ველებს. დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა გროზნოსა და ბაქოს ნავთობის მრეწველობა.

გერმანელთა სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრი ნათელი იყო: მტერს ეწადა ჩვენი ძალების დანაწევრება, არმიების ურთიერთმოქმედების მოშლა.

ჩვენი ამიერკავკასიის ფრონტი გაიშალა შავი ზღვის სანაპიროზე ტუაფსედან ბათუმამდე და შემდეგ საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის გაყოლებით. დაცვა კავკასიის მთისწინეთში შედგებოდა საბრძოლო მოქმედების სამი რაიონისაგან: აღმოსავლეთი — კასპიის ზღვიდან მაღალმთიან უღელტეხილებამდე: ცენტრალური — კავკასიის ქედის ყველაზე მაღალი მთების ჯაჭვში და დასავლეთი — ტყიანი მთისწინეთის მაიკოპიდან ნოვოროსიისკამდე.

ცენტრალურ რაიონს, რომელიც წარმოადგენდა ფრონტის მე-მეტისმეტად ძნელად მისადგომ უბანს და მისაწვდომი იყო მხოლოდ კარგად ნავარჯიშები ალპური ჯარებისათვის, იცავდა მცირე ძალები. ის როგორღაც დამაკავშირებელი იყო ფრონტის მარჯვენა და მარცხენა ფლანგების ე. ი. საბრძოლო მოქმედების აღმოსავლეთი და დასავლეთი რაიონებისა.

მოგვიანებით, ჯარებს, რომლებიც ბრძოლებს ეწეოდნენ მარჯვენა ფლანგზე, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ჩრდილოეთი ჯგუფი ეწოდა, ხოლო დასავლეთ კავკასიაში, ნოვოროსიისკიდან მთავარ ქედამდე მოქმედ ჯარებს — ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შავი ზღვის ჯგუფი.

შევაჩეროთ მტერი, მოვქანცოთ ის თავდაცვით ბრძოლებში, შოვიგოთ დრო რეზერვების თავმოსაყრელათ, ხოლო შემდეგ უკუ-ვაგდოთ და გავანადგუროთ — ასეთი იყო სამშობლოს ბრძანება კავკასიის დამცველებისათვის.

ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო მცირე დროში აგ-ებშენებინა ათეულ ათასობით საცეცხლე წერტი, სანგარსავლები და ტრანშეები. სამხედრო მოქმედებათა კავკასიის თეატრს ბრძო-ლების დასაწყისში არ ჰქონდა საკმარისი თავდაცვითი ნაგებობები, გარდა ძალიან ცოტა მოძველებული ძელმიწურებისა.

კომუნისტური პარტიის მოწოდებით ათასობით ადამიანი — ქალები, მოხუცები, მოზარდები გამოვიდნენ თავდაცვითი ზღუდე-ების მშენებლობაზე. მეომრებთან ერთად ისინი აშენებდნენ სიმაგ-რეებს ტუაფსეს ჩრდილოეთით; ხერგავდნენ ქვის ბარიერებით მა-ღალმთიანი უღელტეხილების გზებს და ბილიკებს, ბურღავდნენ გრანიტის კლდეებს და აწყობდნენ შიგ ტოლს საქართველოს სამხედ-რო და ოსეთის სამხედრო გზებზე, მუხლებამდე წყალში მდგომნი ჭრიდნენ სანგრებს ურუხისა და თერგის ნაპირებზე, ტყვიამფრქვე-ვის ბუდეებს აკეთებდნენ ჩიპერ-აზაუს მყინვარებში, ტანკსაწინააღ-მდეგო ორმოებს და ტრანშეებს თხრიდნენ ფართო დერბენდის ჭიშ-კარში.

ეს მძიმე, დაძაბული შრომა მთელ ათასკილომეტრიან ფრონტზე არ წყდებოდა არც დღისით და არც ღამით. საკმარისი არ იყო ინს-ტრუმენტი, კლდეების ასაფეთქებელი ნივთიერება, მავთულხლართი და ტანკსაწინააღმდეგო რკინის ჯვარედინა ბოძები, ტრანსპორტი ხალხის ერთი უბნიდან მეორეზე გადასაყვანად. ყველაფერი ეს უნ-და გვეშოვა, თუნდაც ქვესკნელიდან ამოგვეღო. და კიდეც ვიშოვეთ! ქარხნებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლმეურნეო-ბების სამჭედლოებში დღედაღამ იჭედებოდა წერაქვები, ძალაყინე-ბი, წალკატები; ბარებს მოსახლეობაში აგროვებდნენ. ძველი რელ-სებიდან ტანკსაწინააღმდეგო რკინაჯვარედინებს აკეთებდნენ. ბა-ქოში ფეთქებადი ნივთიერების წარმოება მოაწყვეს.

მთელი ამ გიგანტური სამუშაოს ორგანიზაცია მოაწყო ადგი-ლობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ამიერკავკასია, დაღესტანი და ოსეთი ერთ მეგობრულ, ფრონტულად დისციპლინირებულ, საბრძოლო ბანაკად გაერთიანდა.

რამდენიმე კვირაში საინჟინრო თავდაცვითი ნაგებობები გარს

შემოერტყნენ სამხედრო მოქმედებათა კავკასიის თეატრს. ეს იყო ისეთი კვირები, რომლის დავიწყებაც არ შეიძლება. ხალხი ძალ-ღონეგამოლეკამდე მუშაობდა, ჩვრებით იხვევდნენ დასისხლიანებულ დაკოჟრილ ხელებს, რამდენიმე დღე-ღამე უქმელნი და უძილონი იყვნენ, უძლებდნენ მტრის მასირებულ დაბომბვას. ღამით მუშაობდნენ მთვარისა და კოცონის შუქზე, კოცონს მაშინვე აქრობდნენ, როგორც კი გერმანელთა თვითმფრინავები გამოჩნდებოდნენ.

მოკლე დროში აგებული იქნა ასი ათასამდე თავდაცვითი ნაგებობა, მათ შორის სამოცდაათი ათასზე მეტი საცეცხლე წერტი. გაიჭრა ექვსას სამოცი კილომეტრი სიგრძის ტანკსაწინააღმდეგო თხრილი, ქვეითთა საწინააღმდეგო სამას თექვსმეტი კილომეტრი სიგრძის წინაღობი, ხოლო სანგარსავლები და ტრანშეები — ათას ექვსას ოცდაცხრამეტი კილომეტრი სიგრძისა.

ამ სამუშაოს შესრულებას დასჭირდა ცხრა მილიონ ასორმოცდაათი ათასი კაცდღე, ხუთასი ათასამდე კუბამეტრი ხე-ტყე, ცხრამეტი ათასი ტონა ცემენტი, თოთხმეტი ათასი ტონა რკინა, რვაას ოცდაათი ტონა ეკლიანი მავთული.

დიახ, ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მოუხდა ჩვენი ფრონტის საინჟინრო ჯარების უფროსს გენერალ ა. ვ. ბაბინს. ეს დაუღალავი კაცი, საინჟინრო საქმის დიდი სპეციალისტი მთელ თავის ცოდნას, თავის მდიდარ გამოცდილებას ახმარდა მინდობილ საქმეს, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა მტკიცედ ჩაეკეტა კავკასიის მთებთან მისასვლელები მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარებისათვის.

ხელებდაკაპიწებული შრომობდა კავკასიის დაცვის ცხელ დღეებში ფრონტის მთელი შტაბი, მისი ყველა მუშაკი დილიდან გვიან ღამემდე და ხშირად ღამღამობითაც საბრძოლო პოსტებზე იყვნენ.

პატივისცემის გრძნობით ვიგონებ ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრს პ. ი. ეფიმოვს. ის იყო გამოცდილი პარტიული მუშაკი, ღრმად პრინციპული, რკინისებური სიმტკიცის ადამიანი, ფასდაუდებელი უნარის მქონე, რომელსაც შეეძლო აენთო ადამიანების გული და წარემართა ისინი საგმირო საქმეებისაკენ. მე მხიბლავდა მისი სხვა თვისებებიც: ამხანაგებისადმი გულისხმიერება და ამავე დროს მაღალი მომთხოვნელობა, შრომისუნარიანობა. პ. ი. ეფიმოვი შესანიშნავად ერკვეოდა საბრძოლო ვითარებაში, სარგებლობდა ავტორიტეტით არა მარტო ფრონტის შტაბში, არამედ ჯარებშიც,

სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ბრძოლებს შორის ჩამოვარდნილი დროებითი სიწყნარისას, თუ ყველაზე დაძაბულ მომენტებში, როცა მოწინააღმდეგის იერიში იერიშს მოსდევდა.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა ომის დამთავრების შემდეგ, მე კი ჩემს თავს კვლავ იმ ადამიანთა წრეში ვხედავ, ვისთან ერთადაც მიხდებოდა ამიერკავკასიაში ბრძოლა.

სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ა. ი. დემენტიევი, ფრონტის კავშირგაბმულობის უფროსი გენერალ-მაიორი ი. ფ. კოროლიოვი, არტილერიის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. პესტოვი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ნ. ე. გლუშენკოვი, ხოლო შემდეგ მისი შემცვლელი ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის პოსტზე ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი კ. ა. ვერშინინი, ზურგის უფროსი საინტენდანტო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ნ. ა. ნაიდენოვი, ოპერატიული განყოფილების მუშაკები გენერალ-მაიორ ს. ე. როუდენსტვენსკის მეთაურობით... ხალხი ზოგი ჩემზე უფროსი, ზოგი უმცროსი ასაკით, სხვადასხვა ხასიათის, ერთნი მშვიდნი, მეორენი ფიცხნი ერთმანეთს ავსებდნენ, შეადგენდნენ იმ შეკრულ კოლექტივს, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ზუსტ, ღრმა ნდობასა და ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული მუშაობა ჯარების მართვის ყველა როლში.

სამწუხაროდ, ჩვენთან ხშირად იცვლებოდნენ შტაბის უფროსები. მოკლე დროში ამ საპასუხისმგებლო პოსტზე ოთხი კაცი გამოიცვალა. შტაბს მეთაურობდა ა. ი. სუბოტინი. ის შეცვალა პ. ი. ბოდინმა, შემდეგ ა. ი. ანტონოვი, რომელიც ორი კვირის შემდეგ მოსკოვში გაიწვიეს. და მაინც ასეთ ხშირ ცვლას, ამ ამხანაგების ეპიზოდურ მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ყველა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა კავკასიის დაცვის გეგმების შემუშავებაში.

საბრძოლო მოქმედება ამიერკავკასიის ფრონტებზე დაიწყო მოზდოკის მიმართულებით 1942 წლის აგვისტოში.

ისარგებლეს რა ცარიელი ზოლით, რომელიც წარმოიშვა ამიერკავკასიის ფრონტის არმიებსა და უკანდამხვევი ჩრდილო კავკასიის ფრონტის არმიებს შორის ჰიტლერელებმა დაიწყეს შემოტევა ბუდიონოვსკის, მოზდოკის, ვოროშილოვსკის და ნალჩიკის მიმართულებებით.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მითითებით მოწინააღმდეგის შემტევ ნაწილთა წინააღმდეგ დაიძრა ორი მოწინავე რაზმი: მაიორ კორნეევის ოთხი მოტომსროლელი ასეულის და ექვსი ქვემეხის შემადგენლობით და გენერალ-მაიორ ტიმოფეევის, რომელშიც შედიოდა როსტოვის საარტილერიო, პოლტავის სატრაქტორო, ნოვოჩერკასკის საკავალერიო სასწავლებლები. ორჯონიკიძის ქვეითი ჯარების სასწავლებლის ორი სატყვიამფრქვევო ასეული, კურსები „ვისტრელ", მოტომსროლელი და ნაღმმტყორცნელი ბატალიონები, მე-12 სასწავლო მოტოპოლკი. 6—7 აგვისტოს ამ რაზმებმა დაიკავეს თავდაცვა უბნებზე: პოკოინოეს, არხანგელსკოეს და მდინარე კუმის გაყოლებით ნინის სადგურიდან ქალაქ მინერალურ წყლებამდე.

8 აგვისტოს მოწინააღმდეგის 1-ლი სატანკო არმიის მოწინავე ნაწილებმა სცადეს შეუჩერებლივ გადაელახათ მდინარე კუმა მინერალური წყლების რაიონში, მაგრამ წააწყდნენ მედგარ წინააღმდეგობას ნოვოჩერკასკის სასწავლებლის კურსანტთა მხრიდან. ორი დღის ბრძოლების განმავლობაში კურსანტებმა მოსპეს 10 ტანკი და 200-ზე მეტი გერმანელი ნეავტომატე. ამ უბანზე მტერმა ვერ მოახერხა გაჭრა.

10 აგვისტოს მტერმა შეძლო გარღვევა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-11 დივიზიის საბრძოლო განლაგებისა და შეიჭრა პიატიგორსკში. მე-11 დივიზიამ უკან დაიხია, ხოლო ნოვოჩერკასკის სასწავლებელი ალყაში მოექცა, მაგრამ კურსანტებმა პოლკოვნიკ ი. პ. კალიუჟნის მეთაურობით ბრძოლით გაარღვიეს ალყა და დაიკავეს თავდაცვა ახალ ზღუდეზე.

პიატიგორსკის რაიონში ბრძოლები გაგრძელდა 25 აგვისტომდე. აქ პროხლადნისთან, მოზდოკთან, მალგობეკთან და ფრონტის სხვა უბნებზე ბრძოლებში საბჭოთა მეომრებმა თავი ისახელეს მრავალი საგმირო საქმეებით.

როსტოვის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები 15 აგვისტომდე საშუალებას არ აძლევდნენ ჰიტლერელებს გადმოელახათ მდინარე კუმა, ამასთან მათ მოსპეს მტრის 20 ტანკი.

დიდი ზიანი მიაყენა მტერს გვარდიის კაპიტან ნ. კ. ნაუმჩიკის ესკადრილიის მფრინავებმა, რომლებიც შედიოდნენ 42-ე გვარდიულ ავიაგამანადგურებელ საავიაციო პოლკში. ერთხელ იაკ—1 ხუთ თვითმფრინავს ნაუმჩიკის მეთაურობით თავს დაესხა ცხრა „მესერ-

შმიდტი“. საბჭოთა მფრინავები გაბედულად ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში. ნაუმჩიკმა ჩამოაგდო ორი თვითმფრინავი, მაგრამ მისი მანქანაც დააზიანეს, თვითონ კი მძიმედ დაიჭრა. მიუხედავად ამისა, მან შეძლო მიეღწია ავიაგამანადგურებელით თავის აეროდროამდე.

გვარდიის ლეიტენანტმა თ. ზ. კალუგინმა მოზდოკთან ბრძოლაში 20 და 23 აგვისტოს ჩამოაგდო ორი თვითმფრინავი 33—189. 23 აგვისტოს მტრის საზენიტო არტილერიამ დააზიანა მისი თვითმფრინავი. კალუგინმა დაზიანებული მანქანა მტრის განლაგებაში დასვა, თვითონ გადავიდა ფრონტის ხაზზე, გადალახა თერგის მოპირდაპირე ნაპირი და ოთხი დღის შემდეგ მძიმე გზის გავლით მიაღწია თავის ნაწილს.

ნ. კ. ნაუმჩიკს და თ. ზ. კალუგინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

პროხლადნის მისადგომებთან ჩვენმა მეომრებმა ალყაში მოაქციეს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს ქვეითების ერთი გერმანული ბატალიონი.

მოზდოკის რაიონში გენერალ-მაიორ ტიმოფეევის რაზმმა ჯავშნოსანი მატარებლის მხარდაჭერით მოიგერია ჰიტლერელთა იერიშები და გაანადგურა მტრის 23 ტანკი.

1 სექტემბერს გერმანელთა სატანკო და ქვეითმა ნაწილებმა დაიწყეს შეტევა ყიზლარის მიმართულებით, რათა ხელში ჩაეგდოთ ყიზლარ-ასტრახანის რკინიგზა. მტერი ემზადებოდა მდინარე თერგის გადასალახავადაც. სტანიცა იშერსკაიას, მოზდოკის, პროხლადნის და შემდეგ მდინარე ბაქსანის გაყოლებით ხაზზე ჩამოყალიბდა ფრონტი. გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა კავკასიის მთავარი ქედის მაღალმთიან უღელტეხილებზეც.

ოთხი თვის მანძილზე მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები მოზდოკთან, ნალჩიკთან, ხოლო შემდეგ ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ტუაფსის ჩრდილოეთით. ყველგან მედგარ წინააღმდეგობას რომ ხვდებოდა, მტერი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს აწყდებოდა.

„გერმანელების ცდამ ერთდროულად შეეტია ნოვოროსიისკის, ტუაფსის, გუდაუთის, სოხუმის და გროზნოს მიმართულებებით, მით უმეტეს, რომ თითოეული მათგანი დანაწევრებული იყო რამდენიმე დამატებით, „კარლიკურ“ მიმართულებად, გამოიწვია მათი ძა-

ლების დაქსაქსვა უზარმაზარ ათასკილომეტრიან ფრონტზე. ეს იყო გერმანელთა სარდლობის უხეში შეცდომა.

ჰიტლერული გენერალური შტაბის მანიაკური რწმენა, რომ ამიერკავკასიაში შეჭრა — მხოლოდ სასიამოვნო გასეირნება, ბაქოსკენ ტრიუმფალური მსვლელობა იქნებოდა, ძალიან ძვირად დაუჯდა გერმანელებს.

კავკასიის დაცვის სისტემაში საბჭოთა სიმაგრეების შესახებ რომ გაიგეს გერმანელებმა შეშინდნენ, დიდხანს ვერ გადაწყვიტეს დაერტყათ ჯავშნოსანი მუშტი და დაიწყეს შემოვლითი მანევრი ნალჩიკსა და ორჯონიკიძეზე, მაგრამ უკვე გვიანი იყო: მტრის ძალები წელში გაწყვეტილნი აღმოჩნდნენ.

7 სექტემბერს ჩვენმა ჯარებმა მოზდოკის რაიონში უეცარი დარტყმის შედეგად გაანადგურეს გერმანელთა ნაწილის შტაბი, მოსპეს ბატარეა და 23 ტანკი. ხოლო მეორე დღეს, როცა მოწინააღმდეგემ ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა და ავიაციის დახმარებით დაიწყო მდინარე თერგის გადმოლახვა და დაიძრა მალგობეკისაკენ, ჩვენმა გვარდიელებმა კვლავ დიდი ზიანი მიაყენეს მათ.

მარტო ამ ერთ უბანზე ხუთი დღის ბრძოლების შედეგად განადგურებული იქნა 90 ტანკი, 20 ქვემეხი და ორი ათასზე მეტი გერმანელთა ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჰიტლერელმა ტყვეებმა გვაცნობეს, რომ მათი დივიზია და ბევრი ბატალიონი მთლიანად განადგურდა თერგთან ბრძოლაში. გადარჩენილ ასეულებში 10—12 კაციღა დარჩა.

მოზდოკის რაიონი, თვით გერმანელთა განსაზღვრით, მათთვის „სიკვდილის ველად“ იქცა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ერთი 226-ე ნაწილის სნაიპერებმა 1942 წლის სექტემბერში 1000-ზე მეტი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს.

კიდევ რამდენი გერმანელი გაანადგურეს მოზდოკში ჩვენმა ღამის ბომბდამშენ-თვითმფრინავებმა. ტყვეგერმანელები ასეთ ჩვენებას იძლეოდნენ ჩვენი „უ—2“-ების მოქმედების შესახებ:

„ჩვენ ყოველ ღამე ველოდით საბჭოთა ბომბდამშენთა გამოჩენას. საზენიტო არტილერიას მათთან ბრძოლა არ შესწევდა. ისინი უხმაუროდ მოფრინდებოდნენ ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან... უკვე მთელი თვეა ჩვენ ღამღამობით არ გვძინავს. დაბომბვისაგან დიდ ზარალს ვნახულობთ“.

უკვე 9 სექტემბერს ჰიტლერის მთავარი ბანაკი იძულებული

იყო განეცხადებინა თერგთან შეფერხების შესახებ. „თერგთან საბ-ჭოთა ჯარები ცდილობენ შეაჩერონ გერმანიის არმიის წინსვლა გროზნოს მიმართულებით. საბრძოლო მოქმედების რაიონში მდი-ნარე თერგს 500 მეტრის სიგანე და 2 მეტრის სიღრმე აქვს. ამ მდი-ნარის დინების სიჩქარე და მისი დაჭაობებული ნაპირები ძალზე სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიან, რომლის დასაძლევად საჭიროა დროის რაღაც მონაკვეთი“.

მაგრამ არავითარ „დროის მონაკვეთს“ აღარ შეეძლო ფაშის-ტების ხსნა. მათი სატანკო შემოტევა, საბჭოთა ჯარების გააფთრე-ბულ წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ჩაიფუშა, თანდათან დაჰკარ-გა ძალა და ტემპი, და იწყო დაშლა იზოლირებულ სამხედრო მოქ-მედებათა კერებად.

მდინარე თერგზე არანაკლებ გააფთრებული ბრძოლები წარმო-ებდა შავი ზღვისპირეთის ჯგუფის რაიონში.

ჯერ კიდევ აგვისტოს პირველ ნახევარში გერმანელებმა დაი-კავეს კრასნოდარი, მაიკოპი, ხოლო სექტემბრის მრავალდღიანი ბრძოლების შემდეგ — ნოვოროსიისკი. ამრიგად, შავი ზღვის საარ-შიო ჯგუფი აღმოჩნდა ზღვასთან მომწყვდეული და იძულებული გახდა დაეჭირა თავდაცვა ტყიან მთისწინეთში.

მოაწყვეს რა მარცხენა ფლანგზე დიდი შეტევის დემონსტრი-რება, გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა დაიწყეს აქტიური საბრძოლო მოქმედება სტანიცა აბინსკის რაიონში. ძირითადი დარტყმა კი შზადდებოდა ტუაფსეზე. ეს იყო ეშმაკურად ჩაფიქრებული ოპერა-ცია. მისი წარმატებით დასრულების პირობებში მტრის ხელში აღმოჩნდებოდა ტუაფსე და საშუალებას აძლევდა მათ ზღვაში გა-დაესროლათ შავი ზღვის საარმიო ჯგუფი. ამასთანავე პარალიზე-ბული იქნებოდა შავი ზღვის ფლოტის მოქმედება.

სექტემბრის ბოლოს საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს შეუპოვარი, თავდაცვითი ბრძოლები მთელ ფრონტზე, განსაკუთრებით მედგრად იცავდნენ ტუაფსეს მისადგომებს.

აი რა წავიკითხეთ ჩვენ ამ ბრძოლების მონაწილე ერთი გერ-მანელი ობერფელდფებელის წერილში:

„ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის ულრან ტყეებში. სოფლები აქ ძალიან ცოტაა. ქალაქ ტუაფსესთან მძიმე ბრძოლები წარმოებს. ვიბრძვით ყოველი მეტრისათვის. ჯარისკაცები, რომლებიც გასულ წელს იყვნენ რუსეთში, ამბობენ, რომ მაშინ გაცილებით ადვილი

იყო, ვიდრე ახლა კავკასიაში. ჩვენ თითქმის მუდმივად ახლო ბრძოლას ვეწევით მოწინააღმდეგესთან. ირგვლივ საშინელი ხმაურია, ტყიდან გვიშენენ ქვებს, გვესვრიან ტყვიებს. რუსი მსროლელები უჩინარნი არიან. ჩვენ კი დანაკარგები და კვლავ დანაკარგები გვაქვს, რადგანაც მთებში ტანკებისა და მძიმე შეიარაღების გარეშე ვართ და იძულებულნი ვართ შაშხანით და ტყვიამფრქვევით ვიომოთ. ჩვენი მფრინავები მართალია გვეხმარებიან, მაგრამ ისინი ვერაფერს ვერ ხედავენ ტყიან მთებში. ჩვენ უწყლობა გვტანჯავს ამ ღმერთისაგან განდგომილ სიმაღლეზე. ძირს, დაბლობში რამდენიც გინდა იმდენი წყალია, მაგრამ ვაი, რომ იქაც ჩასაფრებული არიან რუსები — გაბრაზებულნი და გაჯიუტებულნი“.

ჩვენთვის ცუდად წარიმართა ვითარება ამიერკავკასიის ფრონტის ცენტრალურ უბანზე. შესანიშნავად შეიარაღებულმა გერმანელთა ალპურმა რაზმებმა დაიკავეს ქლუხორის, სანჭაროს, მარუხის უღელტეხილები და ზოგან გაიჭრნენ მათ სამხრეთ ფერდობზე. ალბუზის რაიონში გერმანელთა დივიზიის „ედელვეისის“ ნაწილებმა დაიკავეს მეთერთმეტე თავშესაფარი, ჩიპერ-აზაუ, ხოტიუ-ტაუ. შეიქმნა მოწინააღმდეგის ზღვისკენ გაჭრის საფრთხე მაღალმთიანი უღელტეხილების გავლით.

ამაში ცოტა ბრალი როდი მიუძღოდა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობას და შტაბს, რომლებმაც მოუფიქრებლად გადაწყვიტეს, რომ უღელტეხილები თავისთავად მიუდგომელი იქნებოდა მოწინააღმდეგისათვის. ზოგიერთი ჩვენთაგანი ფრონტის ჯარების მთავარ ამოცანად თვლიდა შავი ზღვის სანაპიროს დაცვას, სადაც კიდეც გაიშალა 46-ე არმის ძირითადი ძალები.

მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდლობის ჩარევამ გამოასწორა ჩვენი შეცდომა. მოსკოვის მითითების თანახმად ჩვენ შევიმუშავეთ კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილების დაცვის ახალი გეგმა. უღელტეხილები დაყოფილი იქნა მიმართულებებად, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი მეთაურები და შტაბები.

მიღებული ზომების შედეგად რამდენიმე კვირის განმავლობაში აქაც მოხდა გადამწყვეტი გარდატეხა. ამას ხელი შეუწყო ჯარების გადაჯგუფებამ, უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა დაცვის გაძლიერებამ, მაღალმთიანეთში მოქმედი სპეციალური რაზმების ფორმირებამ, საბრძოლო მოქმედებათა იზოლირებულ რაიონებს შორის გაწყვეტილი კავშირის დამყარებამ, ჯარების ნორმალურმა მომარა-

გებამ საბრძოლო მასალებით, სურსათით და მაღალმთიანეთში საჭირო სპეციალური აღჭურვილობით. ჩვენმა რაზმებმა უკუაგდეს მტერი ჩრდილოეთით და ცენტრალური ქედის სამთო უღელტეხილები მტრისათვის მიუწვდომელი გახდა.

აქ მიმდინარეობდა ბრძოლები ასე ვთქვათ, მცირე მასშტაბისა თითოეული ბილიკისათვის, მაღლობისათვის, ხეობისათვის. რამდენი მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინეს ამ ბრძოლებში არა მარტო ჯარისკაცებმა, არამედ პატრიოტებმაც ადგილობრივი მოსახლეობიდან.

ერთხელ, ჩემი ავტომანქანა გაჩერდა ახალ განთავისუფლებული სოფლის, არდონის განაპირას. მთებში გახიზნული მცხოვრებლები მშობლიურ კერას უბრუნდებოდნენ. მოხუცები, ქალები და ბავშვები გარს შემოგვეხვივნენ. მოყოლა დაიწყო მაღალმა, მხრებში ოდნავ მოხრილმა, გრძელწვერიანმა, გაფითრებულმა, გამხდარმა, სამოცდაათი წლის მოხუცმა. ის ნაბადში იყო გახვეული და თავზე ფაფახი ეხურა. გაქვავებულ სახეზე კარგად ემჩნეოდა, რომ დიდი უბედურება გადაეტანა. მოხუცი ლაპარაკობდა მშვიდად, მის სიტყვებში სიმტკიცე ჰვიოდა: — ჰიტლერელების მოსვლისას ჩემთან სახლში გერმანელი ოფიცერი დაბინავდა. თაროზე მან წიგნი შენიშნა, რომლის გარეკანზე დიდი ასოებით ეწერა: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუცია“. ეს წიგნი რომ დაინახა, ფაშისტს სახე წამოუჭარხლდა და გაცოფებულმა დაიყვირა:

„შენ კომუნისტი ხარ! ჩვენ ჩამოგახრჩობთ ბოლშევიკური წიგნის გადამალვისათვის“.

„არა, კომუნისტი არ ვარ, — ვუპასუხე მე. ეს კარგი წიგნია. ამ წიგნს ჩვენს ქვეყანაში არავინ არ მალავს. ეს ჩვენი კონსტიტუციაა...“

ოფიცერი მომვარდა და სახეში გამარტყა. შემდეგ ფარდულში შემაგდეს და ჩამოხრჩობა დამიპირეს, მაგრამ ვერ მოასწრეს. ჩვენ წითელმა არმიამ გაგვანთავისუფლა. — მოხუცმა შვებით ამოისუნთქა და ასე დაასრულა მოყოლა: — ვნანობ, რომ ვერ შევძელი იმ ოფიცრის მოკვლა, ის დახვრიტეს თქვენმა მეომრებმა: სულელი, ჩვენი კონსტიტუციის მოსპობა უნდოდა. განა, შეუძლია ტურას ლომის მორევა? განა ქარი შეძლებს კავკასიის მთების დაძვრას?..

მე წასვლას ვაპირებდი, რომ ჩემს გვერდში მდგომი ბიჭუნა შევნიშნე, რომელსაც აგრეთვე სურდა რაღაცის მოყოლა.

— აბა, შენ რა იცი? — ვკითხე მე.

ბიჭმა სერიოზულად, ღირსეულად მიმოიხედა ირგვლივ და დაიწყო მოყოლა:

— ჩვენთან ბიჭი გმირი გახდა.

— სად „ჩვენთან“? ვკითხე მე.

— ნალჩიკს იქით. გერმანელებმა აიძულეს ბიჭი, მთებში წაეყვანა ისინი, სურდათ ზურგიდან მოევლოთ თქვენთვის. მან კი მოიფიქრა და ისინი პირდაპირ ტყვიამფრქვევებთან მიიყვანა. მიიყვანა და დაუძახა წითელ მეომრებს: „ესროლეთ! ესროლეთ დაწყეველილ ფაშისტებს!“ გერმანელებმა მოკლეს იგი. ის ნამდვილი გმირი იყო.

მე მოვეფერე ბიჭს, ვაჩუქე ბლოკნოტი და წითელი ფანქარი.

ჩვენ დავემშვიდობეთ მთიელებს და გავემგზავრეთ ჯარების ჩრდილოეთი ჯგუფის შტაბში, რომელიც შექმნილი იყო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მითითებით. ამ ჯგუფს, რომელშიდაც შედიოდა 44-ე, მე-9, 58-ე და მე-7 არმიები, მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. მასლენიკოვი.

მანქანა წყნარად მიდიოდა. გზაზე ზოგან გვხვდებოდა დანაღმული ადგილები.

ადგილობრივი მცხოვრებლების მონაყოლმა ყველა ჩვენგანზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

— დიახ, ამხანაგო სარდალო, — შენიშნა პოლკოვნიკმა რიჟოვმა, — მარტო ჩვენ არ ვომობთ...

— თქვენ კი როგორ ფიქრობდით? — ვუპასუხე მე. — სწორედ ამაშია ჩვენი ძალა, რომ სამშობლოსათვის ბრძოლაში ჩაბმულია ყველა საბჭოთა ადამიანი დიდიდან პატარამდე.

ბრძოლა თერგსა და ბაქსანზე

თერგისა და ბაქსანის მიჯნაზე ბრძოლა დაიწყო სექტემბრის პირველ რიცხვებში. მას წინ უსწრებდა ჩრდილო-კავკასიის ფრონტის ჯარების არიერგარდული ბრძოლები.

ორჯონიკიძე-გროზნოს მიმართულებით თავდაუზოგავად იბრძოდნენ გენერალ რ. ი. მალინოვსკის ნაწილები. ქალაქ მინერალური წყლების რაიონში მათ რამდენჯერმე მიიტანეს კონტრიერიში მოწინააღმდეგეზე, დიდი ზიანი მიაყენეს მტერს, მაგრამ აგვისტოს მეორე ნახევარში მაინც იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ პიატი-

გორსკის, პროხლადნის, ნალჩიკის რაიონში. გენერალ რ. ი. მალინოვსკის ნაწილები წარმატებით იგერიებდნენ გერმანელთა მრავალ ცდას გაჭრილიყვნენ ამ ქალაქებისაკენ და თვითონ გადადიოდნენ კონტრიერიშზე ჰიტლერელთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ შეუჩერებლად დაუფლეოდნენ თავდაცვის რაიონს ბაქსანთან. ბევრი დასახლებული პუნქტი ხელიდან ხელში გადადიოდა.

არნახული დიდებით შეიმოსა ამ ბრძოლებში ბევრი სამხედრო ნაწილი და მათ შორის 392-ე ქართული მსროლელი დივიზია პოლკოვნიკ ი. ა. სილაგაძის მეთაურობით. დივიზიის პოლკებმა მოწინააღმდეგის ტანკების გააფთრებული იერიში რომ მოიგერიეს, თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და განდევნეს მტერი რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. განსაკუთრებით ფიცხელი ბრძოლა გაიმართა სოფელ პრავო-ურვალსკისათვის. ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა ბატალიონის მეთაური კაპიტანი მ. ი. ბუხაიძე — ტყვია მკერდში მოხვდა. სისხლიდან რომ იცლებოდა, წამოიმართა და თავის მებრძოლებს შესძახა: „მე თქვენთან ვარ ძმებო! წინ!“ ბატალიონის მეომრები იერიშზე გადავიდნენ, ფაშისტები სოფლიდან განდევნეს და იქ გამაგრდნენ. ამ გმირობისათვის კაპიტანი მიხეილ ბუხაიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებული იქნა წითელი დროშის ორდენით. ცნობილმა პოეტმა ი. აბაშიძემ მას მიუძღვნა ლექსი, რომელიც სახალხო სიმღერად იქცა.

უმაგალითო სიმტკიცეს, გმირობასა და მამაცობას იჩენდნენ ჯავშნოსანი მატარებლების მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები.

სამხედრო მოვალეობის მოხდის ნიმუში გვიჩვენეს № 20 ჯავშნოსანი მატარებლის მეთაურმა კაპიტანმა ბოროდავკომ და მისმა პოლიტხელმძღვანელმა აბრამოვმა, რომლებიც მამაცთა სიკვდილით დაიღუპნენ.

ეს ასე მოხდა. 23 აგვისტოს ცალკე მძიმე № 20-ე ჯავშნოსანმა მატარებელმა, რომელიც თერგის სამხრეთ სანაპიროზე როსტოვის საარტილერიო სასწავლებლის უკანდახევას იფარავდა, ოსეტინკის სადგურთან ბრძოლა გაუმართა ათ ფაშისტურ ტანკს. ქვემეხის ცეცხლით მოსპობილი იქნა ოთხი მანქანა, დანარჩენებმა სასწრაფოდ დატოვეს ბრძოლის ველი. საღამოს ჯავშნოსანი მატარებელი მოზდოკის დასავლეთ გარეუბნებში დაბრუნდა. აქ მასზე იერიში მიიტანა ორმოცმა ტანკმა. ჯავშნოსანი მატარებლის დასახმარებლად სასწრა-

ფოდ გამოემართა მეორე მსუბუქი ჯავშნოსანი მატარებელი მე-19 დივიზიონიდან კაპიტან ი. პ. კუჩმას მეთაურობით. მაგრამ ძალები მაინც უთანასწორო იყო. მტრის ყუმბარებმა მწყობიდან გამოიყვანა ყველა ქვემეხი და ტყვიამფრქვევი, დაამსხვრია ჯავშნიანი ძოედანი. დაიწყო ფეთქება ტყვია-წამალმა. ჯავშნოსანი მატარებლები ალში გაეხვია. ცოცხლად დარჩენილი მეომრები ხელყუმბარების კონებით ტანკების შესახვედრად გაემართნენ. რამდენიმე ასეული მეავტომატე და თვრამეტი ჯავშნიანი მანქანა მოსპეს მათ ამ ფიცხელ ბრძოლაში.

რ. ი. მალინოვსკის ჯგუფის საბრძოლო მოქმედებების ერთდროულად თერგის დაცვის მოწინავე ხაზზე იბრძოდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების მოწინავე რაზმები გენერალ გ. ტ. ტიმოფეევის მეთაურობით. ეს რაზმები გაგზავნილი იყო ბუდიონოვსკის რაიონში მდინარე კუმის მიჯნაზე და სამი კვირის განმავლობაში შეუპოვრად ეწეოდა ბრძოლას მოწინააღმდეგის ავანგარდულ ნაწილებთან.

გააჩნდათ რა ძალთა დიდი უპირატესობა, ჰიტლერელებმა 25 აგვისტოს დაიკავეს მოზდოკი, 31 აგვისტოს — პროხლადნი. აგვისტოს ბოლოსათვის გერმანელი ჯარები მივიდნენ მდინარეების თერგისა და ბაქსანის მარცხენა ნაპიროან იშჩერსკიდან ბაქსანის ხეობამდე მონაკვეთში.

დიდი ტვირთი დააწვა მხრებზე 1942 წლის შემოდგომის იმ მძიმე დღეებში ჩვენს მე-4 საჰაერო არმიას, რომელსაც მეთაურობდა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი კ. ა. ვერშინინი (1942 წლის 9 სექტემბერს კ. ა. ვერშინინი დანიშნული იქნა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად, ხოლო მე-4 საჰაერო არმიის ძეთაური გახდა ავიაციის გენერალ-მაიორი ნ. ა. ნაუმენკო). მე-4 საჰაერო არმიის თვითმფრინავები ჰაერიდან იცავდნენ ჩვენი ჯარების საბრძოლო მოქმედებას და ურტყამდნენ მოწინააღმდეგის შემომტევ კოლონებს.

14 აგვისტოს, როცა ფაშისტების მოტორიზებული ნაწილები გაემართნენ პიატიგორსკის რაიონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რათა შეუჩერებლივ გაპრილიყვნენ ნალჩიკისაკენ, ხოლო შემდეგ ორჯონიკიძისაკენ, ფრონტის ავიაციის წინაშე დაისვა ამოცანა — რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა შეგვეჩერებინა მტრის კოლონები. მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, მფრინავები დღედაღამ ჰაერში იყვნენ

როცა მოწინააღმდეგის კოლონა მდინარე ბაქსანს მიადგა, მათ ვერ შეძლეს 37-ე არმიის თავდაცვის გარღვევა. ჩვენს მიწისზედა ჯარებს უდიდესი დახმარება გაუწია ავიაციამ. ჰაერსა და მიწაზე აქ გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა.

სამი დღის მანძილზე, 14-დან 16 აგვისტომდე მე-4 საჰაერო არმიის ნაწილებმა მოაწყვეს 1216 გაფრენა, მოსპეს 60-მდე ტანკი, 600-ზე მეტი ავტომანქანა, დაანგრიეს ათეულობით გადასასვლელი.

ნალჩიკის მიმართულებით რომ ვერ ნახეს წარმატება. გერმანელები იძულებული გახდნენ მთავარი დარტყმა მოზდოკის მიმართულებით გადაეტანათ. ამიტომ 17 აგვისტოდან მე-4 საჰაერო არმია თავის ძირითად ძალებს თავს უყრიდა მოზდოკის ჩრდილოეთით.

აგვისტოს მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში ჩვენი ავიაცია განაგრძნობდა დარტყმას მოწინააღმდეგის ჯარებზე, რომლებიც ცდილობდნენ გადაელახათ თერგი სხვადასხვა უბანზე. თავისი მთავარი ძალების მანევრირების მეოხებით ავიაცია სწრაფად ჯგუფდებოდა იქ, სადაც იქმნებოდა უფრო მძიმე მდგომარეობა.

და მაინც გამოიყენა რა რიცხობრივი უპირატესობა, ჰიტლერელებმა შეძლეს ღამით 2 სექტემბერს გადმოელახათ თერგი მოზდოკის რაიონში. თავი მოუყარეს ამ პლაცდარმაზე 80-მდე ტანკს. გადმოვიდნენ შეტევაზე სტანიცა ვოზნესენსკაიასთან და შემოიჭრნენ მე-11 გვარდიული მსროლელი კორპუსის დაცვაში.

5 აგვისტოს საღამოსათვის მტრის ტანკები. 16 კილომეტრით რომ წაიწიეს პლაცდარმიდან სამხრეთისაკენ, მოადგნენ თერგის ქედის კალთებს და დაიწყეს სვლა მის ჩრდილოეთ ფერდობზე. სერიოზული საფრთხე დაემუქრა ორჯონიკიძეს და გროზნოს.

ვოზნესენსკის რაიონში გადასროლილი იქნა მე-4 საჰაერო არმიის მთელი ძალები. ჩვენი გამანადგურებელი და მოიერიშე ნაწილები დღეში 4—5 გაფრენას ახდენდნენ. მოიერიშენი და გამანადგურებლები ქვემეხებით და რეაქტიული ყუმბარებით შეიარაღებულნი 10—15 მეტრის სიმაღლემდე ეშვებოდნენ ძირს, პირდაპირ ესროდნენ და წვავდნენ მტრის ტანკებს.

ავიაციისა და მიწისზედა ჯარების კარგი ურთიერთშეხამებული მოქმედების მეოხებით მოწინააღმდეგის მძლავრი სატანკო იერიში მოგერიებული იქნა. თერგის ქედის კალთებზე დარჩა მტრის ბევრი ტანკი. გერმანელებმა უკან დაიწიეს საწყის პოზიციებზე.

ახალი ძალები რომ დააგროვეს, 10 სექტემბერს ჰიტლერელები

მეორედ გადმოვიდნენ შეტევაზე ეოზნესენსკთან, ამჯერად იერიშში ჩართეს 100-მდე ტანკი. მაგრამ ახლაც მოწინააღმდეგემ წარმატებას ვერ მიაღწია. ჩვენმა ჯარებმა ავიაციის დახმარებით აიძულეს გერმანელები უკან დაეხიათ.

მამაცურად მოქმედებდნენ ამ ბრძოლაში 926-ე ავიაგამანადგურებელი საავიაციო პოლკის მფრინავები დაღესტანის საამაყო შვილის კაპიტან ვ. ა. ემიროვის მეთაურობით. რომელსაც ღირსეულად შეარქვეს საჰაერო ჯიგიტი. ერთი თვის მანძილზე ემიროვის პოლკმა გაანადგურა მტრის 43 თვითმფრინავი. მის პირად ანგარიშზე უკვე ხუთი ჩამოგდებული თვითმფრინავი იყო. 10 სექტემბერს, როცა ის ჩვენს ბომბდამშენებს იცავდა, ლეიტენანტ ს. ი. კაზაკოვთან ერთად შეწყვილებულად ეკვეთა ექვს ფაშისტ ავიაგამანადგურებელს. ვლადიმერ ემიროვმა შეძლო მტრის ერთი თვითმფრინავის ჩამოგდება, მაგრამ მალე მის გამანადგურებელსაც გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლმოდებული მანქანით მფრინავი დაედევნა ფაშისტ გამანადგურებელს და ჩამოაგდო იგი. შემდეგ თავისი მანქანის გადარჩენას ეცადა, ჩააქრო ცეცხლი, მაგრამ თვითმფრინავი უმართავი გახდა. მამაცი მფრინავი პარაშუტით გადმოხტა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ის დაიღუპა. საჰაერო ჯიგიტს ვ. ა. ემიროვს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამ ბრძოლებში იშვა 45-ე საავიაციო პოლკის — გმირთა პოლკის დიდება, რომელსაც მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი იბრაგიმ ძუსოვი. „მამის“ — ასე ეძახდნენ თანაპოლკელები ძუსოვს — მეთაურობით იბრძოდნენ ლეგენდარული მფრინავები — სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი ალექსანდრე პოკრიშკინი, ცნობილი ასები ძმები გლინკები.

მამაცურად იბრძოდა ავიაპოლკის პირადი შემადგენლობაც, რომელსაც მეთაურობდა ევდოკია ბერშანსკაია. პოლკი ჩამოყალიბდა მოხალისე ქალიშვილებისაგან და დაკომპლექტებული იყო უ-2 თვითმფრინავებით.

უნდა ვაღიარო, რომ მე თავდაპირველად დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი ამ პოლკს, მაგრამ მალე აზრი შემეცვალა მასზე.

შემოდგომის ბნელ ღამეებში „უტოჩკები“ სასიკვდილო ტვირთს აყრიდნენ თავზე მოწინააღმდეგეს. საზენიტო არტილერიის ძლიერი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, ჩვენი მფრინავი ქალიშვილები გაბედულად მიდიოდნენ გადასაჯვლელებზე და აყენებდნენ მათ

ძლიერ დარტყმებს. იყო ღამეები, როცა ქალიშვილები რთულ პირობებში რამდენიმე საბრძოლო ფრენას აწყობდნენ. ამ ბრძოლებში იზრდებოდა მათი საბრძოლო ოსტატობა. შემდეგში 23 მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ჩვენი მეომრები აღფრთოვანებული იყვნენ მფრინავ ქალთა სიმამაცითა და გაბედულებით, მოწინავე ხაზზე ხშირად გაიგონებდით.

— აბა, დღეს ჩვენი დები ცეცხლს შეუნთებენ ფრიცებს. ყოჩაღ ქალიშვილებო! წარმოგიდგენიათ, მთელი საავიაციო პოლკია, და მასში ყველა ქალია!

მახსოვს ერთხელ ფრონტის ავიაციის სარდალთან ვერშინინთან ერთად შევიარე მფრინავ ქალებთან დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ. ფრენის ამინდი არ იყო, აეროდრომზე ბურუსი იდგა. მფრინავები, ტექნიკოსები და მექანიკოსები — ისინიც ქალიშვილები — ფიქრობდნენ თავისუფალი დრო სადღესასწაულო მზადებისათვის გამოეყენებინათ.

ჩვენ რომ დაგვინახეს, სწრაფად მოეწყვნენ. ქალიშვილები სტუმრებს არ ელოდნენ და სამხედრო ფორმის ნაცვლად მეტისმეტად გამოწყობილიყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში. რიგში იდგნენ მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებელთა ყოფილი სტუდენტები, კომკავშირელები კიევიდან და ოდესიდან, დონბასელი მეშახტეები, ყირიმელი მეთამბაქოები...

ჩვენ მივულოცეთ მფრინავ ქალებს დღესასწაული და ვუსურვეთ წარმატებები საფრენოსნო სამსახურში, შევახსენეთ, რომ კავკასიის ცაზე მათ საბრძოლო სამუშაოები ყოველდღიურად მოემატებათ.

და მართლაც, ამიერკავკასიასთან ფრონტის მოახლოების კვალობაზე ბომბდამშენ ავიაციაზე მოთხოვნილება გაიზარდა, ხოლო გამანადგურებლებს, რომ იტყვიან, ისედაც ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდათ.

მტერმა დაიწყო საზღვაო კომუნიკაციების, შავიზღვისპირა ქალაქების: ბათუმის, ფოთის, სოხუმის, აგრეთვე მდინარე მტკვრის ველისაკენ, კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილისაკენ მიმავალი გზების, განსაკუთრებით ბაქოსა და თბილისის მისასვლელების ინტენსიური დაზვერვა ჰაერიდან.

როგორც წესი, სადაზვერვო ფრენის შემდეგ მტრის ავიაცია ბომბავდა დიდ დასახლებულ პუნქტებს, აეროდრომებს, განსაკუთ-

რებით ძლიერი დარტყმები განიცადეს ორჯონიკიძემ, გროზნომ, ტუაფსემ და რკინიგზის სადგურებმა შაუმიან-ტუაფსეს, დრანდა-ოჩამჩირე-სამტრედიას, ჩერვლენი-გუდერმესის, ყიზლიარ-ჩორნი რინოკის გადასარბენებზე.

ამიერკავკასიის ფრონტის ავიაციის სარდალმა, მტრის მანქანების დაჭერის სიძნელეებს რომ გვახსენებდა, განმარტა, რომ ჰიტლერელი მფრინავები ახორციელებენ სხვადასხვა ტაქტიკურ ხერხებს, რათა შეუმჩნევლად მივიდნენ დასახული ობიექტის რაიონში.

— მიზანთან ისინი მოფრინავენ მრუდე მარშრუტით მაღალ სიმაღლეზე, ხმადახშული ძრავებით ან მზის მხრიდან.

— თქვენ კი რას შვრებით, ყვავებს იჭერთ ამ დროს? — ვიხუმრე ერთხელ მე.

— არა, ივან ვლადიმერის ძევ... მტრის მანევრი ამოხსნილია, მაგრამ მფრინავები ჩივიან, რომ ფაშისტები ბრძოლაში არ ებმებიან. ჩვენი „მიმინოების“ გამოჩენისთანავე ღრუბლებს ეფარებიან ან დიდი სიჩქარით მოკურცხლავენ ხოლმე. ფიუზელაჟქვეშა ავზსაც კი ძირს აგდებენ, რათა უფრო სწრაფად გაიქცნენ...

არა, ჩვენს მფრინავებს მართლა არ ეთქმოდათ საყვედური უმოქმედობასა და გაუბედაობისათვის. საჰაერო ბრძოლების ხუთი თვის მანძილზე ჩვენმა გამანადგურებლებმა 2809 გაფრენა მოახდინეს.

დამამახსოვრდა საჰაერო ბრძოლა ორჯონიკიძის რაიონში.

გერმანიის ბომბდამშენთა ჯგუფი თორმეტი „მესერშმიტის“ თანხლებით ქალაქისაკენ გამოემართა. ჩვენი ცხრა „ლაგი“ მტრის თვითმფრინავებს შორეულ მისადგომებთან შეხვდა.

კაპიტანი კოზაჩენკო პირდაპირ იერიშზე გადავიდა და ერთი „მესერი“ ჩამოაგდო. კაპიტნის გამყოლმა ახალგაზრდა მფრინავმა ლეიტენანტმა გუსევმა მტრის მეორე თვითმფრინავი მოსპო. ამ ბრძოლაში ჩვენმა გამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ფაშისტების ხუთი თვითმფრინავი.

მოგვიანებით მომიხდა იმ საავიაციო ნაწილში მისვლა, სადაც კოზაჩენკო და გუსევი მსახურობდნენ. მე გავეცანი ამ ძალზე თავმდაბალ, მეტად მორცხვ ახალგაზრდებს. ისინი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ტყუპები მეგონა.

გმირულად იცავდა თავის მშობლიურ მიწას მფრინავი-მოიერიშე ოსი ვლადიმერ ზანგიევი, რომლის არაჩვეულებრივი, საკვირველი ბედის შესახებ დაწვრილებით მინდა მოვყვე.

1942 წლის 3 ნოემბერს, როცა დაიწყო გააფთრებული ბრძოლები ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქის — ორჯონიკიძის მისადგომებთან, ვლადიმერ ზანგიევის თვითმფრინავი ჩამოაგდეს სოფელ ხატალდონთან ახლოს.

ვლადიმერმა შეძლო პარაშუტით გადმოხტომა ცეცხლმოდებული მანქანიდან. მიწას რომ შეეხო, ფეხში მწვავე ტკივილი იგრძნო და გონება დაკარგა.

გერმანელმა მოტოციკლისტებმა შეიპყრეს და მიიყვანეს სკოლაში, სადაც ცხოვრობდა სოფლის მასწავლებელი ფარუზ ბასაევა.

როცა ზანგიევი გონს მოვიდა, მასთან გამოცხადდა ოფიცერი თარჯიმნით. დაიწყო დაკითხვა. ვალოდია დუმდა, არ პასუხობდა, მას გონების დაკარგვამდე სცემდნენ. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე.

ერთხელ, დილით, გერმანელებმა ხატალდონის მცხოვრებლები სკოლის შენობასთან მორეკეს. ზანგიევი გამოიყვანეს სახლიდან, შეუკრეს თოკით დამწვარი ხელები, თოკის მეორე ბოლო ცხენის კუდს გამოაბეს. მხედარმა შემოკრა ცხენს, იგი ადგილიდან მოწყდა და დაჭრილი მიწაზე წაათრია. სოფლის მეორე ბოლოში გზის პირას გაჭრილი იყო ორმო. ჰიტლერელებმა მფრინავის დამახინჯებული სხეული შიგ ჩააგდეს და მიწა დააყარეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა საბჭოთა მეომრებმა გაათავისუფლეს ხატალდონი, თანაპოლკელებმა ვლადიმერ ზანგიევს ჩამოგდებული თვითმფრინავის ადგილზე ძეგლი დაუდგეს — ობელისკი ვარსკვლავით.

ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ომი დამთავრდა, მებრძოლი მეგობრები კვლავ ჩამოვიდნენ აქ და ობელისკზე მიაკრეს სხვა ფირფიტა, რომელზედაც ეწერა: „გმირი ცოცხალია! დაე ამ ობელისკმა მოგვაგონოს მისი გმირობის შესახებ! დიახ, ვლადიმერ ზანგიევი ცოცხალი გადარჩა და დღესაც მხნედაა.

იმ დღეს, როცა ფაშისტებმა დამარხეს ზანგიევი, სოფელ ხატალდონის გავლით მიერეკებოდნენ ტყვე წითელარმიელთა ჯგუფს. მათ შენიშნეს, რომ ახლადმიყრილი მიწის ბორცვი გზის პირას ინძრევა. ტყვეებმა ამოჩიჩქნეს მიწა, ამოიყვანეს მფრინავი ორმოდან და ერთმანეთის შენაცვლებით ატარეს ის ხელით ოსურ სოფელ დიმორამდე.

დიმორის საკონცენტრაციო ბანაკის ნესტიანი ტალახის კარიერში დაუბრუნდა სიცოცხლე ზანგიევს. მოუხდა პროხლადნის გა-

დასაგზავნ პუნქტში ყოფნა, შემდეგ გრძელი გზა გაყინული ვაგონებით და, ბოლოს, „გროსსლაზარეთი სლავუტა“, ბანაკი 301.

ვლადიმერ ზანგიევმა სამჯერ სცადა გაქცევა ბანაკიდან, მაგრამ უშედეგოდ. და მხოლოდ მეოთხედ შეძლო სამხედრო ტყვეების ჯგუფთან ერთად მოეპოვებინა თავისუფლება. ზანგიევი მოხვდა პარტიზანულ რაზმში. მოგვიანებით პარტიზანების ჯგუფთან ერთად გადაკვეთა ფრონტის ხაზი, იმკურნალა ჰოსპიტალში და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ საბრძოლო მანქანის საჭეს მიუჯდა.

მდინარეებთან — თერგსა და ბაქსანთან ბრძოლებმა საშუალება მოგვცა გაგვემაგრებინა ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთი ჯგუფის თავდაცვა, დროულად მოგვეყარა იქ თავი საჭირო ძალებისათვის და დაგვეცვა გროზნოს ნავთობის წყაროები, ქალაქი ორჯონიკიძე და რა თქმა უნდა ბაქოც, რომლის ხელში ჩაგდებას გერმანელ-ფაშისტთა სარდლობა ვარაუდობდა 25 სექტემბერს.

ამ ამოცანის განხორციელების მიზნით კლეისტი არ ერიდებოდა მსხვერპლს. ჰიტლერელთა გააფთრებულ სატანკო იერიშს იერიში მოსდევდა.

ბალებში, სიმინდის ყანებსა და თერგის დაჭაობებულ ნაპირებზე — ყველგან, სადაც კი ცდილობდნენ გავლას გერმანელები, ტოვებდნენ დამწვარ ტანკებს, დამსხვრეულ ქვემეხებს, ასეულობით გვამებს. მართალია, ზოგან მათ შეძლეს თერგის სამხრეთ ნაპირზე გადასვლა, მაგრამ იქაც მათი ცდა გაჭრილიყვნენ ფართო ოპერატიულ სივრცეში უშედეგო აღმოჩნდა.

27 აგვისტოს გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი კრემერი ატყობინებდა მე-13 სატანკო დივიზიის სარდლობას:

„აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავს მდინარე თერგს და განუწყვეტლივ გადმოდის კონტრიერიშზე, რითაც მიზნად ისახავს დაიცვას გროზნო-ბაქოს ნავთობის რაიონები. მიუხედავად ჩვენი ავიაციის უპირატესობისა და ტანკებისათვის მოსახერხებელი ადგილმდებარეობისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა სარდლობას ამიერკავკასიაში გააჩნდა დიდი რეზერვები, რომლებიც ჯერ ბრძოლაში არ ჩაბმულა და, რომ ქალაქ გროზნოს გამაგრებათა სამმაგი რკალი აკრავს“.

რეზერვების თაობაზე პოდპოლკოვნიკი კრემერი არ შემცდარა.

კავკასიის დაცვის გეგმა გათვალისწინებული როდი იყო მარტო გარეგანი, სხვა ფრონტების რეზერვების გამოყენებაზე. ჩვენ

ფრონტს მიეცა ამოცანა მცირე ძალებით, ძირითადად ადგილობრივ ფორმირებათა საშუალებით, მიეჯაჭვა გერმანელთა ურდოები კავკასიის მთიანეთში, მოექანცა და სისხლიდან დაეცალა ისინი, ხოლო შემდეგ სხვა ფრონტებთან ურთიერთქმედებით გაენადგურებინა მტერი.

და მაინც კრიტიკულ მომენტში უმაღლესმა მთავარსარდლობამ შესაძლებლად მიიჩნია გადმოეცა ჩვენთვის გვარდიული შენაერთები, რომლებსაც საბრძოლო ნათლობა მიღებული ჰქონდათ მოსკოვთან, სმოლენსკთან და ტულასთან. გვარდიელებმა მაგალითი უჩვენეს ახალგაზრდა მეომრებს, ასწავლეს მათ ბრძოლის ოსტატობა. როგორც თავდაცვაში, ისე შეტევაში.

თერგზე ჩვენ მტერს ვაგემეთ ძალიან საგრძნობი საპასუხო დარტყმები. მძიმე დამარცხება იგემა ფონ მაკის 23-ე სატანკო დივიზიამ. ამ გენერალმა სამჯერ უპატაკა ჰიტლერს, რომლითაც არწმუნებდა მას, რომ მასზე, ფონ მაკზე, უკეთესი არავინაა, რომელსაც შეეძლოს ბაქოს აღება. შემდეგ ფონ მაკი ემზადებოდა ირანზე გასალაშქრებლად, რათა შეერთებოდა რომელის ჯარებს, რომლებიც სუეცს უტევდნენ ეგვიპტის გავლით.

ნოვო-პავლოვსკის, პრავო-ურვალსკის რაიონში ფონ მაკის ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები ქვეითი ჯარით ექვს დღეს აქეთ-იქით აწყდებოდნენ ნაპირს, ამაოდ ცდილობდნენ მოესინჯათ სუსტი ადგილი ჩვენს თავდაცვაში. ჰიტლერელებმა აქ დაკარგეს ასზე მეტი მანქანა. ხოლო მეშვიდე დღეს საღამოსათვის ფონ მაკის დივიზიამ უკან დაიხია შორს მდინარე ბაქსანს იქით.

სადღაც მთიანი ქედის მწვერვალთან იღებს სათავეს თერგი. ჯერ პატარა ნაკადულად გარბის ის სწრაფად ქვევით, იერთებს სხვა შენაკადებს და უკვე ბობოქარ მდინარედ იჭრება დარიალის ვიწროებში. შიშველ კლდეებში მომწყვდეული თერგი გაშმაგებით ეხეთქება ქვის კალაპოტს, მიაგორებს გრანიტის ლოდებს, ბორგავს. მაგრამ თავს რომ აღწევს ხეობას, იშლება ველზე და ზანტად მიედინება კასპიის ზღვისაკენ.

თერგმა მოუტანა ველს დიდება და ურიცხვი სიმდიდრე. ამწვანებულ ბაღებსა და ვენახებს შორისაა გაშლილი კაზაკთა ქალაქი მოზდოკი. აქეთ-იქით მხარეს თეთრად მოჩანს ხუტორები, გაშლილია ხორბლის მასივები, ბამბის პლანტაციები, ბაღები. თერგის ქედის

ოთხემიდან ცოტა მოშორებით მალგობეკის ნავთობის კოშკურებია, ;გროზნოსაკენ მიმავალი ახლო გზაა.

აი, სწორედ კლეისტმა აქ გადმოისროლა სამი სატანკო და ოთხი ქვეითი დივიზია, თხუთმეტამდე ცალკე ბატალიონი, რათა ერთი დარტყმით გაეგლიჯა ჩვენი თავდაცვა.

ყველაზე წინ მოდიოდა 23-ე სატანკო დივიზია. ამ მანქანების ეკიპაჟები დაკომპლექტებული იყო მხოლოდ ჰიტლერელი ახალგაზრდების კავშირის აქტივისტებით. გერმანიის არმიის მშვენებად ითვლებოდა ესესელების დივიზია „ვიკინგიც". დროგამოშვებით ის გამოჩნდებოდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მთავარი დარტყმის უბნებზე. დივიზია შედგებოდა სამი მოტორიზებული ბოლკისაგან — „ნორდლანდი" „ვესტლანდი" და „გერმანია", რამდენიმე ს

თონ ბურგის არეში ორ ნამსხვრევს ატარებთ. აი რომის შემდეგ კ
ერთად დავწვეთ ჰოსპიტალში. ახლა კი ნება მომეცით იერიშზ
ტანკით გადავიდე.

მეთაურმა გაიღიმა და ხელი ჩაიქნია:

— გასწით!...

მოგვიანებით პეტროვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებ
მიენიჭა.

გერმანელები მიჩუმდნენ და ზოგიერთ ადგილას უკან დაიხიეს
საკმაოდ დიდი დანაკარგი ჰქონდათ. მაგრამ ორი დღის შედარები
სიწყნარის შემდეგ დაიწყო გერმანელთა ახალი შემოტევა. პატარ
მონაკვეთზე მტერმა თავი მოუყარა 500-მდე ტანკს და საბრძოლ
ზოლში განალაგა ბევრი არტილერია და მძიმე ნაღმსატყორცნები
რომლებსაც საიმედოდ იცავდა ჰაერიდან ბომბდამშენები და ავია
გამანადგურებლები.

...ბრძოლა განახლდა განთიადისას. საარტილერიო მომზადების
შემდეგ გერმანელები გაშმაგებით ეკვეთნენ ჩვენს თავდაცვას დ
არანაკლებ გაშმაგებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

დივიზიონის მეთაურის მოადგილემ გვარდიის კაპიტანმა გოლი
კოვმა, რომელმაც მოკლული მემიზნის ადგილი დაიკავა, მოწინააღ
მდეგის სამი ტანკი გაანადგურა. გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმ
პოპკოვმა, რომელიც აგრეთვე მემიზნის მაგივრად მოქმედებდა
მტრის 5 ტანკი მოსპო.

გავიდა დღეები, ორი, ხუთი... ფაშისტთა ჯარების იერიში ჩაი
ფუშა. მოზდოკის მიდამოებში ეყარა უფორმო, დამწვარი ლითონის
გროვები.

და მაინც ფაშისტებმა მონახეს სუსტი ადგილი ჩვენს თავდაც
ვაში. ისინი სოლივით შემოიჭრნენ ორ შენაერთს შორის არსებულ
არეში. მსროლელი დივიზია, რომელიც იცავდა თერგის სამხრეთ
და აღმოსავლეთ ნაპირს და შუა მდინარეთს სადგურ პროხლადნაია
სამხრეთ-აღმოსავლეთით, თითქმის სრულ ალყაში მოექცა. მაგრამ
გაუმკლავდა მტერს და გადამწყვეტი დარტყმით უკუაგდო ის სო
ფელ ვერხნი კურპიდან და მიადგა სოფელ ხამიდის სამხრეთ განა
პირას.

ერთდროულად სხვა ფლანგზე მსროლელმა ნაწილმა ხელთ იგ
დო ტყის მასივი, ხოლო ამის შემდეგ — პლაცდარმი იშჩერსკის
რაიონში.

მაშინ ამიერკავკასიის ფრონტს არ გააჩნდა ძალები ძლიერი კონტრდარტყმისათვის. მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით თავგზა აგვებნია მოწინააღმდეგისათვის, ხოლო თერგ-მალგობეკის მონაკვეთზე, ე. ი. ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით, ვაიძულეთ ის თავდაცვაზე გადასულიყო.

ბრძოლამ მეზობელ მონაკვეთზე გადაინაცვლა. მტერმა კვლავ გადმოისროლა შეტევაზე 120—150 ტანკი და არა ნაკლები ორი ქვეითი პოლკი. ამის გამო აქ ჩვენმა ჯარებმა უკან დაიხიეს.

ასე გაგრძელდა თითქმის მთელი სექტემბერი, მაგრამ რაიმე არსებით წარმატებას გერმანელებმა ვერ მიაღწიეს. მალგობეკის რაიონის ალხან-ჩურტსკის ველზე მათ შეჭრა ვერ შეძლეს, ის ვერ გაიჭრა ჭიშკარში ორჯონიკიძისა და გროზნოს გზატკეცილისაკენ. მცირე ტაქტიკური წარმატება მტერს დაუჯდა ძვირად: მან დაკარგა 18700 ჯარისკაცი და ოფიცერი და დიდი რაოდენობით ტანკი.

ფაშისტების რწმენა მოახლოებული გამარჯვების შესახებ დაიმსხვრა. საველე ჟანდარმერიის 685-ე რაზმის ერთმა ტყვე ლეიტენანტმა დაკითხვისას განაცხადა:

— ჯარისკაცები დაიფიქრა იმან, რომ შეიარაღება და ტექნიკა საკმარისია, გამარჯვება კი ხელიდან უსხლტებათ. დაგვპირდნენ კავკასიის ხელში ჩაგდების ოპერაცია ივლისში დამთავრდებოდა, მაგრამ სექტემბერიც გავიდა და შედეგი არ ჩანს. ჩვენ კვლავ მოზდოკთან ვტკეპნით ადგილს. ხალხი დაიღალა ომისაგან, სახლში მიუწევთ გული, ბრძოლაში მხოლოდ „პარაბელუმის“ შიშით ებმებიან.

ოქტომბრის დასაწყისში ჰიტლერი გამოვიდა საპროგრამო სიტყვით ბერლინში. კერძოდ, მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის მიზანია მიდგომოდნენ ჩვენი ნავთობის წყაროებს, აეღოთ ისინი ან უკიდურეს შემთხვევაში გადაეჭრათ.

ამ განცხადების შემდეგ მოწინააღმდეგემ გააძლიერა ნავთობის წყაროებისაკენ შემოვლითი გზების ძებნა. მოზდოკის, მალგობეკის რაიონში, ელხოტის ჭიშკართან — ყველა მიმართულებით გააჩაღა ბრძოლები. ტანკები და მოტორიზებული ქვეითი ჯარები ყოველდღე უტევდნენ ჩვენს პოზიციებს. ერთხელ, თერგთან მდებარე ველზე გამართული ბრძოლა ათსაათნახევარი გაგრძელდა. დაღამებამდე ჰიტლერელებმა 53 ტანკი დაკარგეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 1200-ზე მეტი გვამი.

ჩვენი ჯარების ჩრდილოეთი ჯგუფი ყველა ღონეს ხმარობდა

იმისათვის, რათა დაეჩქარებინა მტრის განადგურება, მაგრამ მისმა შტაბმა შეცდომა დაუშვა, როცა მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხოლოდ მოზდოკის მიმართულებით შეძლებს შემოტევას, ხოლო სხვა გზა კი ჰიტლერელებს აკვითონ ბუნებამ ჩაუკეტაო.

ამასობაში ჰიტლერელებმა ჯერ კიდევ სექტემბერში დაიწყეს შეტევითი ოპერაციის მომზადება სხვა მიმართულებით — ნალჩიკისაკენ. და 25 რიცხვისათვის დაიკავეს კოტლიარევსკი, მაისკი, პრიშიბსკი, რითაც უზრუნველყვეს პატარა პლაცდარმის მომზადება თერგის დასავლეთ ნაპირზე. შემდეგ მათ ფარულად გადაიყვანეს მოზდოკიდან მე-13 და 23-ე სატანკო დივიზიები, შეავსეს ისინი ხალხით, მატერიალური ნაწილით და ყველა ეს ძალა განალაგეს ახალ პლაცდარმზე.

25 ოქტომბერს 8 საათსა და 25 წუთზე გერმანიის ავიაციის 70 ბომბდამშენი თავს დაესხა 37-ე არმიის შტაბს. თავდასხმის შედეგად დაიღუპა შტაბის ცხრა მუშაკი, დაიწვა ბევრი ავტომანქანა. განადგურდა არმიის კავშირგაბმულობის კვანძი.

არმიის შტაბმა, რომელსაც არ გააჩნდა სათადარიგო საკომანდო პუნქტი და კავშირგაბმულობის საშუალება. საჰაერო თავდასხმისთანავე დაკარგა ჯარების მართვის უნარი. ამ დროისათვის კვამლის საფარველის ქვეშ ჩვენი პირველი ხაზის სანგრებისაკენ შემოიჭრა გერმანელთა ტანკები მეავტომატეთა დესანტით. მათ კვალდაკვალ მოჰყვებოდათ მოტოციკლისტები. შემდეგ კი — რუმინელთა ქვეითი ნაწილები. შებინდებამდე ცაში ზუზუნებდა მტრის ბომბები მასირებული დარტყმით ისინი ცდილობდნენ გზა გაეკაფათ ტანკებისათვის. დღის ბოლოსათვის მოწინააღმდეგე ვიწრო სოლივით შემოიჭრა ჩვენს თავდაცვაში სიღრმით შვიდ კილომეტრამდე. ამავე დღეს გერმანელთა თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაბომბეს ნალჩიკი და ნალჩიკის აეროდრომი, სადაც განლაგებული იყო 446-ე შერეული საავიაციო პოლკი.

ერთი დღის შემდეგ ბრძოლები უკვე მიმდინარეობდა ნალჩიკთან. ჩვენი გვარდიული პოლკი რამდენჯერმე გადავიდა კონტრიერიშზე, მაგრამ მტრის ქვეითი ჯარის დასახმარებლად ბრძოლაში ებმებოდნენ ტანკები და ავიაცია. ბრძოლაში ჩაება მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები, რომლებიც თავმოყრილი იყო თერგის დასავლეთ ნაპირზე.

28 ოქტომბერს, თავგანწირვით რომ იგერიებდნენ გერმანელთ

ტანკების დაწოლას, ჩვენმა ნაწილებმა უკან დაიხიეს მთავარი ქედის მთისწინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო მტრის დივიზიები სტარი ურუხი — ხაზნიდონის მიჯნიდან მკვეთრად შემობრუნდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მათ სცადეს კიდეც მაშინვე აეღოთ შარაგზასთან მდებარე სოფელი ჩიკოლა, მაგრამ ვერ შეძლეს. ორი დღე ტკეპნეს ერთი და იგივე ადგილი ჰიტლერელებმა, შემდეგ კი სხვა მიმართულებით დაიწყეს მოქმედება.

1 ნოემბერს გერმანელებმა დაიკავეს ალაგირი, გადალახეს მდინარე არდონი, უკუაგდეს ჩვენი 319-ე მსროლელი დივიზია, რომელიც წამოწეული იყო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირის დასაცავად. დივიზიამ დაიხია ნარტის რაიონში, სადაც დაიკავა კიდეც თავდაცვა ორჯონიკიძის რაიონის გარემოხაზულობაზე.

ამავე დღის ბოლოს მოწინააღმდეგის მოწინავე სატანკო ჯგუფები გავიდნენ ორჯონიკიძის თავდაცვითი რაიონის გარე შემოსასვლელთან და იერიში მიიტანეს მე-11 გვარდიული მსროლელი კორპუსის 34-ე მსროლელ ბრიგადაზე. გააფთრებულ ბრძოლაში ბრიგადა ნაწილებად გაიყო: მისმა ძირითადმა ძალებმა უკან დაიხიეს ფიაგ-დონის ჩრდილოეთ გარეუბანში, ხოლო ნაწილმა — სამხრეთით მაირამდაღის რაიონში.

სუარის ხეობის შესასვლელს იცავდნენ ს. მ. კიროვის სახელობის კასპიის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტები. „არ გავუშვებთ ფაშისტებს!“ — დაიფიცეს მათ და კიდეც შეასრულეს ფიცი. ვერც დაბომბვამ, ვერც ტანკებისა და მოტოქვეითების იერიშებმა ვერ გატეხეს კასპიელ კურსანტთა ნებისყოფა და სიმტკიცე. რამდენჯერაც არ ეცადნენ ჰიტლერელები გაჭრილიყვნენ სუარის ხეობით საქართველოს სამხედრო გზისაკენ, იმდენჯერ მათ ეს ვერ მოახერხეს: კურსანტები კლდესავით იდგნენ.

ნოემბრის პირველ დღეს ორივე მხარის ავიაცია აქტიურობდა. ორჯონიკიძის რაიონის დაბომბვისას დაიღუპნენ ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი პ. ი. ბოდინი, ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ა. ნ. საჯაია და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახკომი ზოდელავა.

მოწინააღმდეგის მიერ ორჯონიკიძის აღებისა და მისი ნაწილების მე-9 არმიის ზურგში მოქცევის საფრთხე მოითხოვდა გაგვეძლიერებინა ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარები ამ მიმართულებით.

2 ნოემბერს მე ჩამოვედი ტუაფსედან ჩრდილოეთის ჯგუფის

ჯარების შტაბში ორჯონიკიძეში. მდგომარეობა საგანგაშო იყო. ბრძანება გავეცი სასწრაფოდ გადმოესროლათ ორჯონიკიძის მიმართულებით იშჩერსკის რაიონიდან მე-10 გვარდიული მსროლელი კორპუსი და 63-ე სატანკო ბრიგადა. ამის გარდა ნაბრძანები იყო ორჯონიკიძის რაიონში დამატებით გადმოეყვანათ ხუთი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკი და სამი გვარდიული ნაღმსატყორცნი. ვითვალისწინებდით ამ ძალებით შეგვეჩერებინა მტრის წინსვლა, ხოლო მე-10 გვარდიული მსროლელი კორპუსის მოსვლის შემდეგ მტრისათვის მიგვეყენებინა კონტრდარტყმა და გაგვანადგურებინა შემომტევი დაჯგუფება.

მიღებული იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება უშუალოდ ორჯონიკიძესთან წამოგვეწია მეორე ეშელონში განლაგებული 276-ე დივიზია და მამისონის უღელტეხილზე გაგვეგზავნა შინსახკომის 25-ე პოლკი, რათა გამოგვეთავისუფლებინა იქ მყოფი 351-ე დივიზია. რომელიც ახლა საჭირო იყო ძირითადი ძალებით ამოქმედებულიყო. ალაგირის მიმართულებით.

ორჯონიკიძეში სასწრაფოდ იქნა გამოძახებული ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის ოპერატიული განყოფილების მეთაურთა ჯგუფი. ის იმ დღესვე ჩამოვიდა და დიდად შეუწყო ხელი ჯარების მართვის გაუმჯობესებას ამ მიმართულებით.

ამ მიზნით მოგვიხდა კიდევ ერთი ორგანიზაციული ღონისძიების გატარება. რადგანაც მე-9 არმიის სარდალს გააჩნდა დაკომპლექტებული შტაბი, ორჯონიკიძის მიმართულებით მოქმედი ნაწილები მას გადაეცა.

ჯარების ჩრდილოეთი ჯგუფის სამეთაურო პუნქტში, რომელიც მოთავსებული იყო ჩამონგრეულ სახლში, სადაც ოდესღაც სერგო ორჯონიკიძეც იყო ნამყოფი, შედგა თათბირი ოსეთის ხელმძღვანელებთან, მთიელთა წარმოგზავნილებთან. შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას მე ვთქვი:

— ხვალ ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავლენ. მართალია ფაშისტები ქალაქის კედელთან დგანან, მაგრამ მათი ბედი ჩვენს ხელთაა.

ორჯონიკიძის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ მაზინმა მოგვახსენა:

— სახალხო ლაშქრობის მებრძოლებმა დაიკავეს მათთვის გამოყოფილი მიჯნა. გრძელდება ტყვია-წამლისა და საწვავ-შენარევის წარმოება ტანკების გასანადგურებლად, მუშაობს კვების ყვე-

ლა საწარმო, მოქმედებს წყალსადენი. რუსულ და ოსურ ენებზე იბეჭდება გაზეთები და ფურცლები, ვცდილობთ ყველაფერში შეასრულოთ ჩვენი შშობლიური კომუნისტური პარტიის ნება-სურვილი...

1942 წლის 2 ნოემბერს დილიდან მტრის შორს მსროლელმა ბატარეებმა ყუმბარები დაუშინეს ორჯონიკიძის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანს. მაგრამ ამან ვერ გატეხა საბჭოთა ადამიანთა ნებისყოფა წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის.

ორჯონიკიძეში საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამოქალაქო ომში დაღუპულ მებრძოლთა ძმათა სასაფლაოზე შედგა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მიტინგი.

მიტინგი გახსნა ჩემმა ძველმა მებრძოლმა მეგობარმა კნიგამ. ჩვენ ერთად ვიბრძოდით სამოქალაქო ომის ფრონტებზე. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. მოხუცდა კაზაკი, მებრძოლ ბრიგადის მეთაურს ღრმად დაუსერა სახე ნაოჭებმა, მაგრამ შეჭმუხვნილ წარბებს ქვეშ თვალები ძველებურად, ახალგაზრდულად, ცოცხლად უელავდა. ძმათა სასაფლაოსთან მათთან, ვისთან ერთადაც ჩვენ ეურტყამდით დენიკინს, შკუროს, მამონტოვს და ინტერვენტებს, ისმოდა მისი ომახიანი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა.

— მებრძოლო მეგობრებო, გავლესოთ ხმლები! დაე მტერმა იწვნიოს ჯიგიტისა და კაზაკის ხმლის ძალა. დაე, თავისი ძაღლური შავი სისხლი ზღოს მან იმ უბედურებისათვის, რომელიც ჩვენ მოგვაყენა!..

სამი ათასი ქუდმოხდილი კაცი ყურადღებით უსმენდა გენერალ კაზაკს, სამოქალაქო ომის გმირს.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრ მიტინგზე მომიხდა ყოფნა. მაგრამ ეს, მრისხანე დროს შეკრებილი საგანგებო, განუმეორებელი იყო. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ დაღესტნელი სახალხო არტისტი რაგიმატ გაჯიევი, საბჭოთა კავშირის გმირი ოსი ხაძი-მურზა შილძიხოვი, თერგელი კაზაკი ქალი ლიდია ლიუბჩენკო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ინგუში მაგომეტ ელკანოვი...

მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს ფრონტის მეომრებს, ამიერკავკასიის ყველა მშრომელს დაერტყათ და გაენადგურებინათ სიძულველი ოკუპანტები, აეგოთ თავდაცვითი ზღუდეები, შეექმნათ პარტიზანული რაზმები, გადაექციათ კავკასია ფაშისტ დამპყრობელთა სამარედ.

კავკასიის ხალხებმა ჰიტლერს გამოუცხადეს „ჰაზავათი“ — წმიდათაწმიდა ომი.

წითელი არმიის საბრძოლო რიგებს, როგორც უკვე ვთქვი, შეუერთდა ქართული, სომხური, აზერბაიჯანული ნაწილები, დაღესტნის მთიელთაგან ჩამოყალიბებულ მამაც ჯიგიტთა პოლკები. რუსებთან ერთად, თითქოს მათ ეჯიბრებიან სიმამაცესა და ვაჟკაცობაშიო, კავკასიის მთისწინეთში სამშობლოსათვის თავდადებულად იბრძოდნენ უკრაინელები და ბელორუსები, უზბეკები და თურქმენები.

მეომრები ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის, დაღესტნისა და აფხაზეთის მთის აულებიდან საუცხოო მზვერავები და გამცილებლები, შესანიშნავი სნაიპერები აღმოჩნდნენ.

სამახსოვრო მიტინგმა ძმათა სასაფლაოსთან აღაფრთოვანა კავკასიის დამცველები, კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა მეომრების გამძლეობა.

მართალია, გერმანელთა სატანკო ჯგუფმა (100-მდე ტანკი) შეძლო გარღვევა ორჯონიკიძის გამაგრებული რაიონის გარე ხაზის ფიაგ-დონისა და ძაუჯიყაუს უბანზე, ხოლო მათმა მეწინავე ნაწილებმა აიღეს გიზელი, მაგრამ ქალაქში ისინი მაინც ვერ შეიჭრნენ.

თვით ქალაქის გარეუბანთან მტრის 60 ტანკი შეაჩერა ჩვენმა 16-მა ტანკმა. ჰიტლერელებმა სამჯერ მოიხმეს დასახმარებლად აეროპლანი, მაგრამ 32 მანქანის დაკარგვის შემდეგ, ისევ ძველ პოზიციებზე დაბრუნდნენ. მომდევნო ორ დღეს მოწინააღმდეგე ცდილობდა გაეფართოვებინა გარღვევა და ამავე დროს გაჭრილიყო ორჯონიკიძისაკენ. მაგრამ ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა ყოველ დღე, ყოველ საათს იზრდებოდა, მტრის შემოტევის ტემპი კი კლებულობდა.

5 ნოემბერს გერმანელების შემოტევა შეჩერებული იქნა. ჰიტლერელთა გიზელის დაჯგუფება ვიწრო ალყაში აღმოჩნდა.

ძალთა გადაჯგუფების დამთავრების შემდეგ, ჩვენი ნაწილები 6 ნოემბერს დილით თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. ამ შეტევის გეგმა, რომელიც ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების შტაბმა შეიმუშავა, ითვალისწინებდა დარტყმას ორჯონიკიძეზე ფიაგ-დონის რაიონიდან. ჩვენი ჯარების ამოცანას შეადგენდა: გაენადგურებინა მტრის შემოჭრილი დაჯგუფება. ისე, რომ არ დაეშვა მისი უკანდახევა და-

ნავლეთის მიმართულებით, ხოლო ორჯონიკიძის რაიონში გასვლისას თავი დაეცვა დასავლეთიდან და შეეტია გიზელისათვის.

ჩვენი შემტევი ნაწილები ძლიერდებოდნენ ჰაუბიცის არტილერიის ოთხი პოლკით, შვიდი ტანკსაწინააღმდეგო და ოთხი გვარდიული ნაღმსარტყორცნი პოლკებით, მათ დაეხმარებოდა მე-4 საჰაერო არმიაც.

ორჯონიკიძის მიმართულებით აქტიურ მოქმედებაზე გადადიოდნენ მხოლოდ სამი მსროლელი და ოთხი სატანკო ბრიგადა.

ჯარების ძირითადი ნაწილი — ოთხი მსროლელი დივიზია და ხუთი მსროლელი ბრიგადა — თავდაცვით პოზიციას იკერდა, მათ წინ არ იდგა მოწინააღმდეგე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 319-ე და 351-ე დივიზიების ფრონტის წინ მდგომ მცირე ძალებს.

44-ე არმიიდან გადმოსროლილი ახალი ბრძოლისუნარიანი მე-10 გვარდიული მსროლელი კორპუსი შეტევაზე გადადიოდა მხოლოდ მარტო ორი გვარდიული ბრიგადით, სამი კი თავდაცვაში იყო, მათგან ორი — ღრმა ზურგში ორჯონიკიძის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

საჭირო გახდა ამ გეგმაში შეტანილიყო არსებითი ცვლილებები. ფრონტის შტაბის მითითებით, აქ ადრე მოქმედი ნაწილებისა და შენაერთების გარდა კონტრშეტევისათვის გამოყენებული იქნა მე-10 გვარდიული კორპუსი მთლიანად, აგრეთვე — 276-ე და 351-ე მსროლელი დივიზიები.

გვარდიელებმა დაიკავეს გიზელის ჩრდილოეთი გარეუბანი და განაგრძეს შეტევა ჩრდილო-დასავლეთიდან არდონის გზატკეცილზე. ჩვენი ტანკისტები შეიჭრნენ ფაშისტების ზურგში და რამდენიმე ადგილზე გადაჭრეს მოწინააღმდეგის მთავარი კომუნიკაცია. მაშინ ჰიტლერელებმა ტყვია-წამლისა და სურსათის მისაზიდად დაიწყეს 2—2,5 კილომეტრის სიგანის ვიწრო დერეფნის გაშოყენება. ორივე მხარეზე მათ მოაწყვეს წინააღმდეგობის კერები თითოეული მათგანი მიწაში ჩამალული 3—9 ტანკის, ორი-სამი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხისა და 20—25 მეავტომატის შემადგენლობით. შუალედები დაცული იყო არტილერიისა და ნაღმმტყორცნების ცეცხლით. აქვე მდინარის ამომშრალ კალაპოტში განუწყვეტლივ მოძრაობდნენ ტანკები.

ჩვენი ქვეითი ჯარების მისვლისას წინააღმდეგობის ეს კერები ჩამალული იყო. მარტო ის ტანკები იბრძოდნენ, რომლებიც გარეგ-

ნულად რეგულირებდნენ, მაგრამ როგორც კი ჩვენი სატანკო ქვედანაყოფები გამოჩნდებოდნენ, ამოქმედებას იწყებდა მტრის უკლებლივ ყველა საცეცხლე საშუალება.

მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ მიგვემართა უფრო დახვეწილი მანევრისათვის. გერმანელთა თავდაცვის კვანძების საიერიშოდ ვაგზავნიდით 2—3 მსუბუქ მზვერავ ტანკს. საკმაოდ შეშინებული, განერვიულებული გერმანელები თავს ვერ იკავებდნენ და სროლას იწყებდნენ. მაშინ ჩვენი ქვეითი ჯარი დაუყოვნებლივ შემოუვლიდა ფლანგებიდან წინააღმდეგობის კერებს და ალყაში მოქცევის საფრთხეს უქმნიდნენ მტერს. ქვეით ჯარს მიჰყვებოდა ტანკები და არტილერია. ისინი პირდაპირი დამიზნებით ანადგურებდნენ გერმანელთა საცეცხლე წერტებს. როცა ასეთნაირად წინააღმდეგობის კვანძების დიდი ნაწილი ჩახშობილი იქნა, ჩვენმა მოძრავმა ნაწილმა თავის ქვეით ჯარს გადაუსწრო და შეიჭრა რა გერმანელთა განლაგებაში, გარს შემოერტყა დერეფანს.

სრული განადგურებისაგან გადარჩენის მიზნით მოწინააღმდეგე იძულებული გახდა 11 ნოემბერს დაეტოვებინა გიზელი, და ჩვენი ჯარების მიერ კვალდაკვალ დევნილმა, 12 ნოემბრისათვის დაიკავა თავდაცვა მდინარე ფიაგ-დონის დასავლეთ სანაპიროზე. ამრიგად, ჩაიშალა გერმანელთა უკანასკნელი ცდა გაჭრილიყვნენ ორჯონიკიძისა და გროზნოსაკენ. ამასთან მტერმა დიდი ზარალი განიცადა. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს: 140 ტანკი, 165 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 2350 ავტომანქანა, 183 მოტოციკლი. მარტო გიზელის რაიონში ჰიტლერელებმა მოკლულთა სახით დაკარგეს 5000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფაშისტებს გაქცევის გადაულახავი სურვილი გაუჩნდათ, მაგრამ გასაქცევი გზა აღარ იყო. დიდი მარცხის განცდის შედეგად, ჰიტლერელთა პირველი სატანკო არმია თავდაცვაზე გადავიდა მთელ ფრონტზე.

და აი გიზელში ვარ, დიდ ოსურ სოფელში ექვს კილომეტრზე ორჯონიკიძიდან. აქაც ჯოჯოხეთური ნგრევის ისეთივე ნაცნობი სურათი იყო, რომელიც სხვა სოფლებშიც მენახა, სადაც კი ფაშისტებს გაევლოთ, არც ერთი მთელი შენობა!

სოფლის გავლით მიდიან გიზელისათვის ბრძოლის გმირები — უფროსი სერჟანტი სერგეი კაჩუსოვი, წითელარმიელები არკინ კურბაძე, იუსუფ კასიმოვი და მთელ ფრონტზე სახელგანთქმუ-

ლი ჯავშანმსხვრეველი ივანე ოსტაპენკო. ივანე მრისხანედ გამოიყურება, კრიჟა შეუკრავს: გიზელთან ბრძოლაში მან ძმა დაკარგა, რომელიც ათეულის მეთაური იყო. ყველას ეგონა, რომ ის დაიღუპა. მაგრამ რა შემთხვევები არ ხდება ომის დროს! მისი ძმა, დიმიტრი ოსტაპენკო ცოცხალი აღმოჩნდა.

ივანე და დიმიტრი ოსტაპენკოები ტყუპები არიან. მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ჰგვანან, როგორც ეს საერთოდ ტყუპებში ხდება ხოლმე. 19 წლის ყმაწვილი ძმები გაეშურნენ ფრონტზე სამშობლოს დასაცავად.

1942 წლის 7 ნოემბერს, როცა გერმანელები შეეცადნენ, გამოსულიყვნენ გიზელის რაიონის ალყიდან, ივანე და დიმიტრი ოსტაპენკოები სხვა მებრძოლებთან ერთად იგერიებდნენ მტრის ტანკების იერიშს.

ჯავშანმსხვრეველი თოფის პირველივე გასროლით დიმიტრიმ მოსპო მეთავე მანქანა. ტანკი კვამლში გაეხვია, ახდილი სარქველიდან ცეცხლი ამოვარდა. შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა მეორე, მესამე, მეოთხე მანქანას...

ივანემაც გახსნა საბრძოლო ანგარიში. ბრძოლის დროს მან ვერ შენიშნა როგორ დადუმდა დიმიტრის ჯავშანსამსხვრევი იარაღი.

გერმანელებმა დაიხიეს. ბრძოლის ველზე იფერფლებოდა ათეულობით ტანკი. ივანემ ძებნა დაუწყო დიმიტრის, მაგრამ ის არსად არ ჩანდა.

ამ ბრძოლაში დიმიტრიმ მოსპო ცამეტი ტანკი, ივანემ — შვიდი. მამაცობისათვის დიმიტრი ოსტაპენკოს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ივანე კი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

გიზელის ოპერაციის ერთი წლის შემდეგ, 1943 წლის შემოდგომაზე, ივანე ოსტაპენკომ, ჯავშანმსხვრეველთა ოცეულის მეთაურმა, იმ დროს უუბანის ველზე რომ იბრძოდა, „კომსომოლსკაია პრავდაში“ ნახა დიმიტრის ფოტოსურათი და მის ქვემოთ წარწერა: „საბჭოთა კავშირის გმირი დიმიტრი ოსტაპენკო ცოცხალია. ის საბრძოლო სალამს უთვლის თავისი ნაწილის ამხანაგებს“.

მალე დიმიტრისაგან წერილიც მოვიდა:

„ძვირფასო ძმაო ვანია! მე ცოცხალი ვარ და არმიაში ვიმყოფები. მოგიყვები, თუ როგორ მოხდა, რომ მოკლულებში ჩამოვალეს.

როცა პირველი ტანკი მოვსპე, გერმანელებმა ჩვენს სანგარს დაუშინეს ცეცხლი. მოხდა რაღაც საშინელება. მე კიდევ მოვსპე რამდენიმე მანქანა. ყუმბარის ნამსხვრევისაგან ჩემი ორი ამხანაგი დაიჭრა, ლეიტენანტიც მოკლეს. მე მარტო დავრჩი.

მოულოდნელად წინ გამოიჭრა მძიმე ტანკი, მე კი ვაზნები გამითავდა. მაშინ ხელი ვტაცე ავტომატს და გავხოხდი ჩემი სანგრიდან. აქ მე დავიჭერი. გამოვერკვიე გვერდში დარტყმისაგან. გავახილე თვალები და ირგვლივ გერმანელებია ავტომატებით. ძნელი მოსაყოლია რა გადამხდა ფაშისტურ ტყვეობაში. სასწაულად გადავრჩი.

ჭრილობა რომ მომიშუშდა ცოტათი, გამოვიქეცი და ახლა კვლავ წითელ არმიაში ვარ. ძალა ბევრი მაქვს, ბევრი მაქვს მტრისადმი სიძულვილიც. ახლა კვლავ ერთად ვიყრით ჯავრს ფაშისტებზე ხალხის წამებისათვის, მშობლიური მიწის წაბილწვისათვის“.

გიზელისათვის გააფთრებულ ბრძოლაში ჩვენმა მეომრებმა ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინეს.

1942 წლის 9 ნოემბერს გიზელის რაიონში თავისი სხეულით გადაეფარა მტრის საცეცხლე წერტის ამბრაზურას შინსახკომის ჯარების 34-ე მოტომსროლელი პოლკის მეავტომატეთა ასეულის. კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი პ. პ. ბარბაშევი.

805-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის ესკადრილიის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში კაპიტანი ს. მ. მკრტუმიანი მტრის ექვს ავიაგამანადგურებელს შეებრძოლა. ერთი მათგანი ჩამოაგდო, მეორესაც ცეცხლი გაუჩინა. თვითონ მკრტუმიანმა ტყვიისა და ყუმბარის ნამსხვრევისაგან ექვსი ჭრილობა მიიღო. მოიკრიბა ძალ-ღონე და მანამ გააგრძელა ბრძოლა, სანამ მის თვითმფრინავს ცეცხლი არ წაეკიდა. უშიშარმა მფრინავმა ცეცხლში გახვეული მანქანა მთის ფერდობზე დასვა.

პოლიტხელი ვ. ს. ლურსმანაშვილი, 392-ე მსროლელი დივიზიიდან, სათავეში ჩაუდგა ასეულს, რომელმაც ალყა შემოარტყა და გაანადგურა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში 168 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ლურსმანაშვილი პირველი შეიჭრა სოფელში და პირადად მოსპო 26 ფაშისტი.

ერთ-ერთ ბრძოლაში ორმოცდაათი ჰიტლერელი მოსპო ავტომატით კომკავშირელმა ვალერი პოლოვინკინმა. როცა მწყობრიდან გამოვიდა ნალმმტყორცნელთა ოცეულის მეთაური, მან თავის თავ-

ზე აიღო მეთაურობა. ოცეულმა მტრის სამი იერიში მოიგერია, ამასთან გაანადგურა 300-მდე ფაშისტი, 2 ნაღმსატყორცნი გათვლა და 50 ავტომანქანა.

განსაკუთრებით მაღალი სულისკვეთება და სიმამაცე გამოიჩინა 43-ე მსროლელი ბრიგადის ოცეულის ახალგაზრდა მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა იდრის სულეიმანოვმა. მოზდოკის რაიონში საყრდენ პუნქტზე შეტევისას მას ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდა თვალში, მაგრამ იდრისი განაგრძობდა ბრძოლას შემომტევთა წინააღმდეგ.

— წინ! მხოლოდ წინ! — იძახდა იგი და წინ უძღოდა მებრძოლებს. უეცრად მეორე ჭრილობა — ფეხში. სულეიმანოვი დაეცა.

— გასანოვ! — დაუძახა მან ქვემეხის მეთაურს. — ამიყვანე ხელში და წამიყვანე წინ.

ასე, ამხანაგის ხელში, თვალამოვარდნილი და ფეხმოტეხილი სულეიმანოვი განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას, სანამ ძალა არ გამოელია. მსროლელმა ოცეულმა ამოცანა შეასრულა.

რუსი პ. ბარაბაშევი და ვ. პოლოვინკინი, ქართველი ვ. ლურსმანაშვილი, სომეხი ს. მკრტუმიანი, აზერბაიჯანელი ი. სულეიმანოვი ხალხთა ერთიანი მეგობრული ოჯახის შვილები არიან. ყველა მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

საბჭოთა მეომრების გმირობისა და სიმტკიცის მეოხებით ჩვენ შევინარჩუნეთ ორჯონიკიძე — კავკასიის მთის კალთებთან თერგის ნაპირზე გაშლილი ქალაქი.

ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჰიტლერელთა განადგურების შეფასებას რომ იძლევა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ა. ა. გრეჩკო წიგნში „კავკასიისათვის ბრძოლა“ წერს: „გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურებით ორჯონიკიძის მისადგომებთან ჩაიფუშა ჰიტლერელთა უკანასკნელი ცდა გაჭრილიყვნენ გროზნოსა და ბაქოს რაიონებისაკენ და აგრეთვე ამიერკავკასიაში“[1].

გიზელთან ჰიტლერელების განადგურების ცოტა ხნის შემდეგ, 1942 წლის 15 ნოემბერს მე და ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების სარდალი ი. ი. მასლენიკოვი უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში გამოგვიძახეს. მე მოვახსენე ი. ბ. სტალინს ჯარების, მოლაშქრეების, პარტიზანების, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქის მცხოვრებ-

---

[1] А. А. Гречко. Битва за Кавказ. М., Воениздат, 1967, стр. 184.

ლების სიმამაცის შესახებ. სტალინმა ყურადღებით მომისმინა და მითხრა:

— კარგი! შეიარე ამხანაგ შჩერბაკოვთან და გადაეცი მას, რომ ამ გამარჯვების შესახებ ნათქვამი იყოს საინფორმაციო ბიუროს ცნობაში.

ი. ბ. სტალინი დაინტერესდა ჯარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილებით, ბევრი ობიექტი იყო თუ არა დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებში, რა მდგომარეობაში იყო საქართველოს გზა, როგორ იბრძოდნენ ეროვნული დივიზიები.

მე მოვახსენე რომ სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნული დივიზიების ნაწილები მტერს უნარიანად და მამაცურად ებრძვიან, ხოლო კავკასიის ყველა ხალხი თავდადებით ეხმარება ფრონტს.

ჩვენმა საუბარმა თითქმის ორ საათს გასტანა. სტალინი მსუბუქად მიმოდიოდა კაბინეტში, იშვიათად ჯდებოდა მაგიდასთან, რომელზედაც გაშლილი იყო დიდი რუკა, სადაც ის ლურჯი ფანქრით აკურატულად აკეთებდა მონიშვნებს.

სტალინმა კარგად იცოდა კავკასია. ასახელებდა არა მარტო ქალაქებს, არამედ ცალკეულ დასახლებულ პუნქტებსაც კი, მთის უღელტეხილებს, მდინარეებს, საქართველოს, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე, ჩერკესკის და ტუაფსის რაიონში.

— ჩვენ მოსკოვში ცოტათი ავნერვიულდით თქვენი ფრონტის გამო, — თქვა უმაღლესმა მთავარსარდალმა. — მაგრამ ყოჩაღ „კავკასიელები“, არ შეგვარცხვინეს ჩვენ.

შემდეგ მან საერთო მონახაზში გამაცნო სტალინგრადის მომავალი ოპერაცია და მიბრძანა მოვმზადებულიყავი კავკასიაში შეტევისათვის.

— ამიერკავკასიის ფრონტს შეუმსუქდება ტვირთი. ჩვენ განზრახული გვაქვს გავანადგუროთ მტერი ვოლგასთან.

მოსკოვიდან მივდიოდი კარგი, სასიხარულო განწყობილებით. წინ იყო მზადება ამიერკავკასიის ფრონტზე შეტევისათვის. სიცივეების დადგომისთანავე „კავკასიელი“ გერმანელები გაცილებით უფრო მეტად დაინტერესდნენ რკინის ღუმელებით და ცხვრის ფაფახებით, ვიდრე ბაქოს ნავთობის კოშკებით. ორჯონიკიძესთან დამარცხებისა და ტუაფსის რაიონში მორიგი წარუმატებლობის შემ-

ლეგ ჰიტლერელები ღრმად ჩაძვრნენ მიწაში კავკასიის მთელ ფრონტზე, რათა წყნარად გამოეზამთრებინათ. ქალაქ მალგობეკის იერიშის დროს ხელთ ვიგდეთ 1942 წლის დეკემბრით დათარიღებული ჰიტლერის ბრძანება. ამ ბრძანებაში ნათქვამი იყო: „მჭიდროდ დასახლებული პუნქტების მქონე თერგის მიდამოები, რომლებიც კარგი საზამთრო მიჯნაა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევინარჩუნოთ გაზაფხულისათვის კავკასიის დასამორჩილებლად“.

ჰიტლერის ეს მიზნებიც განუხორციელებელი დარჩა.

1943 წლის 1 იანვარს დაიწყო ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების შეტევა. ის დაემთხვა მოწინააღმდეგის პირველი სატანკო არმიის მთავარი ძალების საერთო წასვლის დასაწყისს. ეს წასვლა გამოწვეული იყო სტალინგრადთან გერმანიის ჯარების დამარცხებით და იმის შიშით, რომ არ მოხვედრილიყვნენ ახალ ალყაში.

2 იანვარს მე-9 არმიის ნაწილეამა დაიკავეს ელსოტოვო, 3 იანვარს 417-ე მსროლელმა დივიზიამ პოლკოვნიკ ი. ა. შევჩენკოს მეთაურობით მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად გადალახა თერგის ფონი და შეიჭრა მოზდოკში. ჰიტლერელებმა პანიკურად დაიწყეს უკანდახევა. შუადღისათვის დივიზიის ნაწილებმა 44-ე არმიის ახლადმოსულ ჯარებთან ურთიერთმოქმედებით მთლიანად გაათავისუფლეს ქალაქი.

4 იანვარს იერიშით იქნა აღებული ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი ნალჩიკი, განთავისუფლდა ქალაქები მაისკი და კოტლიარევსკი.

ერთი ტყვე ოფიცერი აღშფოთებით ყვებოდა:

— ჯარისკაცები ხედავდნენ, რომ მათ ძალიან აჩქარებენ, უბრძანებენ თან გაანადგურონ სატვირთო მანქანები, ააფეთქონ ქვემეხები და გააფუჭონ სხვა სამხედრო ქონება. უკვე, უკანდახევის მესამე დღეს ხმა გავრცელდა იმის შესახებ, რომ გერმანიის არმია უკან კი არ იხევს თერგიდან, არამედ გარბის. ნათელი იყო — რაღაც საშინელი მოხდა, ხოლო ჯარისკაცებს და თვით ჩვენც, ასეულის ოფიცრობას, ამას გვიმალავენ.

„ელასტიკური თავდაცვის“ და „გეგმაზომიერი უკანდახევის“ საკმაოდ ზუსტ სურათს ხატავდნენ სხვა ტყვე ჰიტლერელებიც.

ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარებმა 6-დან 8 იანვრამდე ცალკეულ უბნებზე 50 კილომეტრამდე წაიწიეს.

ჰიტლერელები თავგანწირულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ.

უკან დახევისას ხანდახან კონტრიერიშებზე გადმოდიოდნენ საბჭოთა ნაწილების წინააღმდეგ. ჩუენი ძეობრები მტერს საგრძნობ დარტყმას აყენებდნენ, ამასთან ავლენდნენ გამბედაობას და შეუპოვრობას.

ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ი. მ. ეფიმოვი პოლკში მსახურობდა ორ ვაჟიშვილთან ერთად. ორივე შვილი მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლაში. ათი შუოისძიებით ი. მ. ეფიმოვმა ერთ დღეს ბრძოლაში პირადად მოსპო 40 ჰიტლერელი.

ნამდვილი გმირობა გვიჩვენეს მესანგრეებმა, რომლებმაც გაუვნებლეს მრავალრიცხოვანი ნაღმი და გზა გაუხსნეს შემტევ ჯარებს. 64-ე კომკავშირულმა ! აინეინრო-მესანგრეთა ბრიგადამ მარტო მდინარე ბაქსანის მიჯნაზე 3000 ნაღმი მოხსნა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უფროსმა სერჟანტმა ბაქოელმა ჯაბრაილ ალახვერდიევმა — ორ დღეში მან გააუვნებლა 470 ნაღმი!

გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ მკაცრად უბრძანა სამ ქვეით და ორ სატანკო დივიზიებს, აგრეთვე „ფ“ (აფრიკული კორპუსი) შენაერთთა ნაწილებს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარები კუმა და ზოლკის ზღუდეზე. მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდათ. ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარებს სულ ორი დღე დასჭირდა, რათა დაეძლია მტრის წინააღმდეგობა, გადაელახა ხმაურიანი კუმა და გაჭრილიყო ველად მტრის დევნის გასაგრძელებლად.

11 იანვარს მე-9 და 37-ე არმიების ჯარებმა გაათავისუფლეს პიატიგორსკი, ხოლო 37-ე არმიის ნაწილებმა — კისლოვოდსკი და ბრძოლა გააჩაღეს ქალაქ მინერალური წყლებისათვის, ჟელეზნოვოდსკისა და ესენტუკისათვის.

ქალაქ მინერალურ წყლებში შეუჩერებლად, პირველები შეიჭრნენ 52-ე წითელდროშოვანი სატანკო ბრიგადის ტანკისტები. დღის ბოლოსათვის მათ 131-ე მსროლელი ბრიგადის მებრძოლებთან ერთად მთლიანად გაწმინდეს ქალაქი.

ამ ბრძოლებში კვლავ გამოიჩინა თავი საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ი. პეტროვის — ახლა უკვე ბატალიონის მეთაურის — ტანკისტებმა.

გაიჭრნენ რა რკინიგზის სადგურისაკენ და მოსპეს ორი ეშელონის ორთქლმავალი, მათ შექმნეს ქ. მინერალური წყლების სადგურში უმოძრაობა. ტანკებიანი, საბრძოლო მასალებიანი და სხვა სამ-

ხედრო ტვირთიანი ბევრი ეშელონი ნადავლად ჩაგვიეარდა ხელში. მიუხედავად მტრის თავგანწირული ცდისა, მან ვერ შეძლო გასვლა ქ. მინერალური წყლებიდან.

მწერალი პ. ა. პავლენკო, რომელიც მე-9 არმიის ჯარებთან ერთად მოვიდა პიატიგორსკში, მიყვებოდა:

„მზვერავ სერჟანტთან ერთად ჩვენ უპირველეს ყოვლისა გავემართეთ ლერმონტოვის ქუჩისაკენ, სახლისაკენ, სადაც ლერმონტოვი გარდაიცვალა. მინდოდა ჩქარა შემემოწმებინა, გადარჩა თუ არა ეს წმინდა, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი ადგილი, ხომ არ წაბილწეს ჰიტლერელებმა. სახლის კარებზე დავინახეთ შტემპელდასმული ფურცელი: „ჩამორთმეულია და მიღებულია როზენბერგის შტაბისა და ადგილობრივი კომენდანტურის დაცვის ქვეშ, შეთანხმებულია არმიის უმაღლეს სარდლობასთან. შენობაში შესვლა და ბეჭდის ახსნა აკრძალულია“. ვფიქრობ — „ეს რა არაკია? საიდან გაუჩნდათ ასეთი მზრუნველობითი დამოკიდებულება რუსული კულტურის რელიქვიებზე მათ, ვინც შებილწა იასნაია პოლიანას წმიდათაწმიდა ადგილი, გაძარცვა ჩაიკოვსკის სახლმუზეუმი კლინში!“ ეს არაკი კი უბრალოდ გაირკვა. 4 სექტემბერს ლერმონტოვის სახლი დაუთვალიერებია ნაცისტ მწერალს ზიგფრიდ ოფნ ფეგეზაკს, რომელსაც განუცხადებია, რომ ამიერიდან სახლი ხელს შეუწყობს გერმანელებისათვის რუსული ლიტერატურის გაცნობას და მისცემს მათ ცნობებს რუსეთის შესახებ. სამაგიეროდ პოეტის დუელის ადგილს მაშუკის ძირში, სადაც ქვის ობელისკი დგას, ფაშისტები არ მორიდებიან. აქ მათ მოჭრეს მწვანე ნარგავები, აქვე ხვრეტდნენ პიატიგორსკელებს. არც ქალაქი დაინდეს. ესესელებმა დანაღმეს და ააფეთქეს პარტიული აქტივის სახლი, სახელმწიფო ბანკი, ბალნეოლოგიური ინსტიტუტის უძველესი შენობა...

პოეტის დუელის ადგილზე შეიკრიბნენ მეომრები, მეთაურები, პოლიტმუშაკები. დაიწყო სტიქიური მიტინგი. აქ მყოფი მე-9 არმიის სარდლის კ. ა. კოროტეევის თანხმობით მიღებული იქნა არაჩვეულებრივი ფიცი. პ. ა. პავლენკომ მიმართა მწყობრში გარინდულ მეომრებს და საზეიმოდ წარმოთქვა:

— ვფიცავთ დიდ რუს პოეტს, ტენგინის პოლკის პორუჩიკს, ლერმონტოვს, რომ ჩვენი ჯარები ბერლინამდე მივლენ.

— ვფიცავთ! — დაიქუხა მებრძოლებისა და მეთაურების ხმამ.

ჩვენ განთავისუფლებულ ნალჩიკშიც ბარბაროსული ნგრევა ვნახეთ. ნანგრევთა გროვაღა დარჩა იქ, სადაც იყო პიონერთა სასახლის, პედაგოგიური სასწავლებლის, ყაბარდო-ბალყარეთის დრამის თეატრის, რესპუბლიკური ბიბლიოთეკის შენობები.

ქალაქს — ქალაქზე, სოფელს — სოფელზე ათავისუფლებდნენ გერმანელი ოკუპანტებისაგან ჩვენი ჯარები. მინერალური წყლები, კისლოვოდსკი, ჟელეზნოვოდსკი, სტეპის ქალაქი ბუდიონოვსკი...

20 იანვარს განთავისუფლებული იქნა ნევინომისკი, 21 იანვარს — სტავროპოლი, 23 იანვარს — არმავირი.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სხვა ჯგუფი გამოვიდა ზღვისპირეთის მთის ვიწროებიდან ყუბანის ველზე. ხელიდან გამოგლიჯა მტერს მენავთობეთა ქალაქი მაიკოპი, ხოლო შემდეგ კრასნოდარიც.

ჩვენი შეტევის მარტო პირველი 20 დღის მანძილზე გავანადგურეთ გერმანიის 5 დივიზია, არმიული დაქვემდებარების ბევრი ცალკეული ნაწილი. მოვსპეთ — 170, ხელში ჩავიგდეთ 344 ტანკი, ავრეთვე ბევრი თვითმფრინავი და სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი.

სანადავლო რაზმებმა შეაგროვეს არანაკლებ 385 ათასი საარტილერიო ჭურვი და თითქმის ამდენივე საავიაციო ბომბი, შაშხანის ვაზნა — სამი მილიონი ცალი.

სხვა ნადავლთან ერთად იყო 600 ვაგონი საავიაციო ბომბით, ამ ვაგონებს ჰქონდათ წარწერა — „ბაქოსათვის“.

ლაშქრობას რომ იწყებდა კავკასიაში, ჰიტლერი ვარაუდობდა ბაქოს აღებას 25 სექტემბრისათვის. უკვე იბეჭდებოდა გზის მაჩვენებელი ცნობარები და აგროვებდნენ შტატს სააქციონერო საზოგადოებისათვის „გერმანიის ნავთობი კავკასიაში“.

დეკემბერში კი ჰიტლერი ოცნებობდა ჰაერიდან მაინც დაებომბა ბაქო. მაგრამ ამასაც ვერ მიაღწია...

უღელტეხილზე

I

ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებიდან შავი ზღვის ნაპირეზისაკენ რიონის ბარაქიან ველზე გადასვლისათვის რამდენიმე უღელტეხილის გავლაა საჭირო. ზოგიერთ მათგანზე აქა-იქ გადის

ვარგისი საავტომობილო გზა, ხოლო ალაგ-ალაგ დახვეული ბილიკები ფლატეს ნაპირს გასდევს, სადაც გაუფრთხილებელი ნაბიჯი შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს. მაღლა თოვლიანი მწვერვალებია, ფერდობებზე — ხელუკარები ტყეები, ხევებში მთის აქაფებული მდინარეები მიედინება. ისეთი ბილიკებიცაა, სადაც გამოუცდელ კაცს ეგონება ფეხის დადგმაც კი შეუძლებელიაო. მაგრამ კარგად გაწვრთნილი სამთო ჯარისათვის ის გასასვლელად სრულად გამოდგება.

ჯერ კიდევ ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა — რუსეთის არმიის ჯარისკაცებმა დაამტკიცეს, რომ მათ წარმატებით შეუძლიათ იმოქმედონ ყველაზე ძნელ ბუნებრივ პირობებში, მათ შორის კავკასიის მაღალმთიან რაიონებში.

მოხუცი მთიელები დღემდე პატივისცემით იგონებენ გასული საუკუნის 60-იან წლებში რუსმა ჯარისკაცებმა პირველებმა როგორ გაკვალეს გზა ფსემანიდან ჩრდილოეთ კავკასიაში სემაშხოსა და დოუს უღელტეხილების გავლით სოხუმამდე. ხოლო სამოქალაქო ომში წითელარმიელთა რაზმებმა, ომებითა და შიმშილით მოქანცულებმა, რომლებიც სრულებით არ იცნობდნენ მთებს, მხოლოდ რამდენიმე კავკასიელი გამცილებლის თანხლებით განვლეს ეს ძნელად მისადგომი და სახიფათო ადგილები.

ამ გზით, რომელიც დევს კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე, გამოემართნენ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები. მათი გეგმები ნათელი იყო — რაც შეიძლება სწრაფად გასულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროებთან და თავიანთი ჯარების მთავარი არმიების დაჯგუფებებთან ერთად, რომლებიც ორჯონიკიძესა და ტუაფსეს უტევდნენ, ჯერ კავკასიას, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიასაც დაუფლებოდნენ.

უეჭველია, გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები, როცა კავკასიის სიღრმეში მოდიოდნენ, იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ მოსახლეობის რომელიმე ნაწილის მოსყიდვას და ოავის მხარეზე გადაბირებას, კავკასიის მრავალეროვან ხალხში შუღლისა და განხეთქილების ჩამოგდებას, მაგრამ მტერი მოტყუვდა.

კავკასიის ხალხები, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ენერგიას და თვით სიცოცხლესაც კი არ ზოგავდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის.

მინდა მოგიყვეთ მთების ერთ მამაც შვილზე, მოხალისე ახსარ-

ბექ აბაევზე. ჩვენს ნაწილებს უნდა გაენთავისუფლებინა მისი მშობ-
ლიური სოფელი დიგორი. ცხრამეტი წლის ოსმა ახსარბექმა მეთა-
ურის თანხმობით შუაღამისას საიდუმლო ბილიკებით გაიყვანა
მტრის ზურგში 20 მეავტომატე. დილით, როცა ჩვენი დივიზიის
ქვედანაყოფებმა დაიწყეს იერიში, მეავტომატეებმა საფარიდან
გახსნეს ცეცხლი. ფაშისტები დაიბნენ, იფიქრეს, რომ ალყაში მო-
ექცნენ. ფაშისტების გარნიზონი თითქმის მთლიანად იქნა განად-
გურებული.

ამას წინათ კი აბაევმა სიკვდილს გადაარჩინა დაჭრილი მეთაუ-
რი. ის მამაცურად ეკვეთა ხუთ ჰიტლერელს, გაანადგურა ისინი და
გამოიყვანა მეთაური უსაფრთხო ადგილას. ამ შეტაკებისას აბაევი
დაიჭრა, მაგრამ კვლავ წინა ხაზზე დაბრუნდა.

ასევე მამაცურად იქცეოდა ახსარბექ აბაევი ჩრდილოეთ კავ-
კასიისა და ყირიმის სხვა ბრძოლებშიც. ჩადენილი გმირობისათვის
მას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

აი როგორი მამაცი მეომრები იყვნენ მთიელები! მთიელები,
განსაკუთრებით სვანები შესანიშნავი მონადირეები და ალპინისტე-
ბი არიან. ბევრი მათგანი კისრულობდა მთებში მოქმედი საბჭოთა
ნაწილების გაყოლას, რათა ეჩვენებინა მოწინააღმდეგის ფლანგებსა
და ზურგში შესასვლელი გზები. ადგილობრივი მცხოვრებლები
უზიდავდნენ ჯარებს საბრძოლო მასალებს და საკვებ პროდუქტებს
მოჰყავდათ საჭაპანო ტრანსპორტი, კერავდნენ სპეციალურ ტანსაც-
მელს ჩვენი სამთო რაზმებისათვის.

მაგრამ 1942 წლის აგვისტოში ვითარება ჩვენთვის სახარბიელო
არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები მტრის ჭარ-
ბი ძალების დაწოლის გამო უკან იხევდნენ და უღელტეხილებს და
უცველად ტოვებდნენ.

ამიერკავკასიის ფრონტიდან მთებში გაგზავნილმა 46-ე არმი-
ის ნაწილებმა ვერ მოასწრეს თავის დროზე თავდაცვა. მტერმ
ისარგებლა ჩვენი დაუდევრობით და მთის გასასვლელებში გადმო-
ისროლა საკმაოდ დიდი ძალები.

გერმანიის სარდლობა ამოცანად უსახავდა თავის 49-ე სამთო
მსროლელ კორპუსს დაერტყა ჩვენი ჯარებისათვის ჩერქეზსკის რა-
ონიდან და კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილების გავლით
გასულიყო შავი ზღვის სანაპიროზე სოხუმთან.

15 აგვისტოს გაჩაღდა ბრძოლა უღელტეხილებზე, ხოლო 1

აგვისტოსათვის გერმანელების 1-ლი და მე-4 სამთო მსროლელი დივიზიების მეწინავე ნაწილები უკვე ქლუხორის ჩრდილოეთ ფერდობზე და დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილზე გამოჩნდნენ.

არ შეხვედრიათ რა რამდენადმე ორგანიზებული წინააღმდეგობა, „ედელვეისებმა" რამდენიმე დღეში მიაღწიეს ძირითად სამთო გზებამდე და ბრძოლა გაუმართეს 394-ე მსროლელი დივიზიის 815-ე პოლკის ქვედანაყოფებს, რომლებიც უღელტეხილს იცავდნენ. ამავე დროს 63-ე ცხენოსანთა დივიზიის 214-ე პოლკის დაზვერვა შეეჩეხა მოწინააღმდეგეს დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილზე.

ქლუხორის უღელტეხილზე მდგომარეობის აღსადგენად გაიგზავნა 815-ე პოლკის ორი ბატალიონი, 394-ე მსროლელი დივიზიის სასწავლო ბატალიონი, სოხუმის ქვეითთა სასწავლებლის რაზმი (ორი ასეული), შინსახკომის რაზმი (300 კაცი) და მე-9 სამთო მსროლელი დივიზიის 121-ე სამთო მსროლელი პოლკი.

ოპერაციებს ქლუხორის უღელტეხილზე ხელმძღვანელობდა მე-3 მსროლელი კორპუსის მეთაური გენერალ-მაიორი კ. ნ. ლესელიძე.

18-დან 30 აგვისტომდე გრძელდებოდა 46-ე არმიის ძირითადი ნაწილების წამოწევა და თავმოყრა კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებთან.

დასავლეთ საქართველოში გერმანელ ფაშისტთა შემოჭრის შექმნილი საფრთხის გამო 27 აგვისტოს მივედი 46-ე არმიის შტაბში, რომელიც სოხუმში იმყოფებოდა. ამ დროისათვის მოწინააღმდეგეს დაესწრო 46-ე არმიის ნაწილებისათვის და დაეკავებინა ქლუხორისა და სანჭაროს უღელტეხილები და მოსულა ბელორეჩენსკთან.

აი იმის სამწუხარო შედეგი, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტიდან უკანდახეულმა ნაწილებმა არ დაიცვეს უღელტეხილები, ხოლო 46-ე არმიის სარდლობამ და მისმა შტაბმა არასწორი ორგანიზაცია გაუკეთეს თავის მოქმედებას კავკასიის მთავარი ქედის დასაცავად. უღელტეხილის დასაცავად აგზავნიდნენ პატარა რაზმებს და მაშინვე კარგავდნენ მათთან კავშირს. ამასთან ერთად ცუდად იყო ორგანიზებული ჯარების მომარაგება საბრძოლო მასალებით, სურსათით და ტანსაცმლით.

არმიის სარდლობის დიდი შეცდომა იყო ისიც, რომ მან ვერ

დაამყარა მჭიდრო კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან, არ გამოიყენა მისი შესაძლებლობანი თავდაცვის გასაძლიერებლად, არ მოამზადა საჭირო სატრანსპორტო საშუალებები.

მე მივეცი კონკრეტული მითითებები ძირითადი მიმართულებებით მოქმედი ნაწილების გასაძლიერებლად, და დავაზუსტე საბრძოლო ამოცანები.

გითვალისწინებული იქნა რა მოწინააღმდეგის შემოღწევის შესაძლებლობა უღელტეხილებზე წინ წაწეული ჩვენი რაზმების გარშემოსავლელად, გავეცი განკარგულება დაუყოვნებლივ დაეწესებინათ განსაკუთრებული მეთვალყეურეობა ტყვარჩელ-ოჩამჩირის, ზახაროვკა-ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის, რიწის ტბა-ბზიფის, კრასნაია პოლიანა-ადლერის, ბაბუკ-დაგომისის აულის, ხოკუჩ-ლაზარევსკაიას გზებზე. თიოოეული ეს გზა დაიკავა მესანგრეებით გაძლიერებულმა ქვეითმა ასეულმა. ამავე დროს ფრონტის შტაბმა მითითება გასცა დაუყოვნებლივ შედგომოდნენ იმ ბილიკების აფეთქებას და ჩამოქცევას, რომლებიც უზრუნველყოფილი არ იყო ჩვენი დაცვით და შეეძლო მტერს გამოეყენებინა.

საჭირო იყო, რაც შეიძლება მოკლე დროში შექმნილიყო გარნიზონები ქალაქებში: ოჩამჩირეში. სოხუმში, გუდაუთაში, გაგრაში, ადლერში და სოჭში, სარეზერვო ძალების სახით იმ ნაწილების დასახმარებლად, რომლებიც უღელტეხილებს იცავდნენ. თითოეულ გარნიზონში უნდა ყოფილიყო მოძრავი რაზმები. საჭირო იყო აგრეთვე დაუყოვნებლივ შევდგომოდით მებრძოლ-ალპინისტთა რაზმების ფორმირებას.

ჩვენ დიდი ყურადღება დავუთმეთ მთებში მოქმედი ყველა ჯარის შეუფერხებელ მომარაგებასაც საომარი მასალებით, სურსათით, თბილი ტანსაცმლით, რისთვისაც უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე შევქმენით სარეზერვო საწყობები არა ნაკლები ერთი თვის მარაგისა.

ახლომახლო სოფლებიდან და აულებიდან მოდიოდნენ გამცილებლები, რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ არა მარტო უღელტეხილზე მისასვლელი გზები, არამედ კავკასიის მთების ბუნებრივი თავისებურებანიც.

ბრძოლები სულ მაღლა მთებში მიიწევდა და უფრო მძაფრი

ხდებოდა. იერიშით იქნა აღებული მთის სოფელი ფსხუ, გაკანთა-ვისუფლეთ სანჯაროს და ქლუხორის უღელტეხილები.

რაც უფრო მაღლა იწევდნენ ჩვენი მეომრები, მით უფრო რთულდებოდა მათთან ვაზნებისა და კვების პროდუქტების მიტანა. წერაქვით და ლაღუმით იკვლევდნენ გზას საჭაპანო ქარავნები. თორმეტი დღე და ღამე მიდიოდნენ ისინი ზღვის სამხრეთი ქალაქიდან დანიშნულების ადგილამდე.

სექტემბერში მე კვლავ მივედი 46-ე არმიის შტაბში. გენერალ ლესელიძესთან ერთად ჩვენ ვეძებდით უღელტეხილზე მოქმედი რაზმებისათვის საკვების მისატან გზებს. აქვე იყო „უ—2"-ს ორი მფრინავი.

— ნება მომეცით, — გვთხოვა პილოტმა პრიმოვმა, — მოვძებნო მთებში დასაჯდომი ადგილი. მაშინ შესაძლებელი იქნება თვითმფრინავებით მივაწოდოთ რაზმებს საომარი მასალა და სურსათი.

მე ნება დავრთე უღელტეხილების მხარის დასაზვერავად გაფრინდნენ პრიმოვი და მარინენკო. პირველმა ცდამ შედეგი ვერ გამოიღო, ვერც მეორემ. მხოლოდ მესამეჯერ შეძლო მარინენკომ გადაევლო თავის თვითმფრინავით ბასრკბილა მყინვარით შემოვლებული მთა და მოენახა იქ დასაჯდომი ადგილები.

რამდენიმე დღე პრიმოვი და მარინენკო გამცილებლების როლში მათ მიერ აღმოჩენილ აეროდრომს უჩვენებდნენ დანარჩენ პილოტებს. შემდეგ კი ყველანი მიეჩვივნენ. არმიის შტაბის უფროსმა შეადგინა გაფრენების გრაფიკი. დასაჯდომ მოედანზე დანიშნეს კომენდანტები. დღე და ღამე ფრინავდნენ „უ—2"-ები და აწვდიდნენ მეწინავე ნაწილებს პროდუქტებს, საომარ მასალას, დაკონსერვებულ სისხლს, ხოლო იქიდან გადმოყავდათ დაჭრილები...

სამხედრო მოქმედებათა ხელმძღვანელობისათვის უღელტეხილებზე გაემგზავრა ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ა. საჯაია.

ცხრა დღე-ღამე მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა სამი ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე.

გერმანელებს ეკავათ იალბუზის ახლო რაიონი. ეს ძალიან მკაცრი ადგილია. წაწვეტებული უზარმაზარი ქედი ირგვლივ სულ თოვლშია გახვეული. მარცხნივ მყინვარი ეკვრის. იქ ასულმა გერმანელებმა ჩაკეტეს ერთადერთი ბილიკი „მეთერთმეტე თავშესაფარის" უღელტეხილისაკენ და განუწყვეტლივ ქმნიდნენ ფლანგები-

დან დარტყმის მუქარას. ხელისგულივით ხედავდნენ ყველა ჩვენს მოქმედებას. მტერი კარგად გამაგრდა — ყოველ 25—30 მეტრზე დააყენა მეავტომატე, ყოველი 100—150 მეტრის შემდეგ — დაზგის ტყვიამფრქვევი, რომელიც განალაგა იარუსებად ერთი ერთმანეთის თავზე და ერთმანეთთან დააკავშირა რაციით.

მაღალმთიანი უღელტეხილების ამ საყრდენ პუნქტებთან მისვლა ძალიან ძნელი იყო. მოძრაობა შეიძლებოდა წინამძღოლის მიერ გაკვალული გზით. თუ ფეხი დაგიცდებოდა ოდნავ მარჯნივ ან მარცხნივ, უფსკრულში აღმოჩნდებოდი. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა საბჭოთა მეომრები. ჩვენ შეტევას განვაგრძობდით.

ერთხელ თხუთმეტ მებრძოლ ალპინისტს მიეცა დავალება გადაეჭრათ მთის ბილიკი და არ მიეცათ ჰიტლერელებისათვის წასვლის საშუალება. ამისათვის მათ უნდა გადაელახათ თითქმის ციცაბო კლდეები. მებრძოლები ნელა მიიწევდნენ წინ. წინსმვლელნი კლდეში არჭობდნენ სოლს, რომლებზეც ლითონის ჭანგებით ეჭიდებოდნენ, დანარჩენები თოკებით მიიწევდნენ. როცა მოწინააღმდეგე ას მეტრამდე დარჩა, ამოქმედდა ახლო სამთო ბრძოლის მთავარი იარაღი — ჭურვები და ქვები. სწრაფად ეცემა მაღლიდან ნასროლი ქვა, აიგორებს მეორეს, მესამეს... ერთ წამში არნახული სისწრაფით შვავდება ზვავი და ყველაფერს ნაცარ-ტუტად აქცევს თავის გზაზე.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი წითელარმიელმა პუზანოვმა. ხელჩართულ ბრძოლაში მან ორი ჰიტლერელი მოკლა. ერთს შინელი და ქუდი გახადა და თვითონ ჩაიცვა, ქვას მოეფერა და ჰიტლერელებს ხელის ქნევით უხმობდა. ორი გერმანელი შევიდა — პუზანოვმა ისინიც დახოცა. კვლავ უხმობს. მიუახლოვდა ორი ჯარისკაცი და ოფიცერი. მან ისინიც მოსპო.

მამაცურად იბრძოდა კურსანტი ნეჩიპურენკოც. ის ზევიდან დაახტა მტრის დაზგის ტყვიამფრქვევს, აკუწა ორი ჰიტლერელი და ტყვიამფრქვევით ცეცხლი დაუშინა ფაშისტებს.

ციმბირელ ორლოვს მოუხდა თვრამეტი ჰიტლერელის წინააღმდეგ მოქმედება. მეოთხე ჭრილობის მიღების შემდეგ დაუძლურებული ორლოვი თოვლზე დაეცა. მასთან მოირბინა ფაშისტმა, გულზე პისტალეტი მიადო და დაუწყო ჟესტებით შეკითხვების მიცემა, არის თუ არა ბილიკზე რუსებიო. ციმბირელმა გერმანელს სთხოვა დახრილიყო. როცა ის დაიხარა, ეცა ყელში და დაახრჩო.

...ნაშუაღამევს ცოცხლად დარჩენილი ფაშისტები ბილიკზე დაეშვნენ, რომელიც უკან, უღელტეხილისკენ მიდიოდა. მაგრამ იქ მათ უკვე კარგა ხანია ელოდებოდნენ ლეიტენანტ ჩიჩურინის ალპინისტები. გერმანელები განწირულთა შეუპოვრობით იბრძოდნენ. მათ შეძლეს მყინვარის ნაპრალში ჩაეგდოთ სერჟანტი კაშირინი, წითელარმიელი წამალაიძე და რამდენიმე სხვა მებრძოლი, მაგრამ ბრძოლა ჩვენმა მეომრებმა მოიგეს.

ბრძოლის წაგების შემდეგ ფაშისტებმა უკან დაიხიეს და ღიად დატოვეს უღელტეხილის ჭიშკარი.

ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ა. საჯაია აღტაცებით მიყვებოდა ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების გმირობის შესახებ.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, — ამბობდა ის, — რა შესანიშნავი მებრძოლები არიან ისინი. აი, მაგალითად, ნაღმსატყორცნი ბატარეიის მეთაური უზბეკი შაფკატ ბეკბუდიევი. ომამდე ის კითხულობდა ბიოლოგიაში ლექციების კურსს სამარყანდის უნივერსიტეტში. მისი თანაშემწე მაქსიმ სისენკო ბავშვებს ასწავლიდა უკრაინის სოფელ გნივანში. ბატარეის მეთაურის მოადგილე პოლიტდარგში ალექსანდრე ანდღულაძე თბილისში ქარხანას ხელმძღვანელობდა. მამედ აზიმოვი პურის ქარხნის ლაბორანტად მუშაობდა აზერბაიჯანის ქალაქ აღდამში. კაზაკი ივანე გრაჩოვი მეცხრე კლასში სწავლობდა კრასნოდარის სკოლაში. თათარი სამედ გაბდულხანოვი კოლმეურნეობის ცხენებს მწყემსავდა. ბელორუსი თედორე შულგა ტორფს იღებდა. კუმიკი ალი კურმიშევი დაღესტნურ ნაბდებს ამზადებდა. სამშობლომ უხმო მათ და ისინიც მის ჯარისკაცებად იქცნენ.

გენერალმა ლესელიძემ ერთი საინტერესო ეპიზოდი მომიყვა. გერმანელებმა სანჭაროს უღელტეხილი რომ დაიკავეს, განაგრძობდნენ სამხრეთისაკენ შეტევას. მაღლიდან შეტევას ეხმარებოდნენ 123-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნები. ჩვენ პატარა კალიბრის მქონე ნაღმსატყორცნები გვქონდა. და მათ ნაკლებად მოხერხებული პოზიცია ეჭირათ — სროლა უხდებოდათ ქვევიდან ზევით. 40 წუთის მანძილზე კარგად მოქმედებდნენ ჩვენი ნაღმსატყორცნები. მზვერავი ოვანესიანი ტელეფონით იძლეოდა ცნობებს 50-მეტრიანი მუხის წვეროდან:

— ჰიტლერელებისაგან მხოლოდ ბუმბულიღა დაფრინავს!

თუმცა მარჯვნიდან და მარცხნიდან ნაღმმტყორცნელებს თან-

დათან უახლოვდებოდნენ ფაშისტი მეავტომატეები. დაიჭრა მეთაური შაფკატ ბეკბუდიევი, მოკლეს სუმბათ ხაჩატურიანი, ივანე ზაკუტკო... მაშინ გაისმა ანდღულაძის ბრძანება.

— შულგას გათვლამ გააგრძელოს ჩქარი ცეცხლი! ექვმა კაცმა უმცროსი ლეიტენანტის გრაჩოვის მეთაურობით დაიცვას მარცხნიდან, დანარჩენებმა კი გაანადგურონ მოწინააღმდეგის მეავტომატეები მარჯვნიდან!

ბრძოლის ყველაზე ძნელ მომენტში, როცა გერმანელი მეავტომატეები თითქმის გარს ეხვევნენ ბატარეას, დაიჭრა უმცროსი სერჟანტი იაშუნინი. ის დაეცა ღია, ამაღლებულ ადგილზე. ტყვიები მიწას სერავდნენ მის გარშემო. კახელი ეგნატაშვილი არც კი დაფიქრებულა, ისე გადახტა ამხანაგის დასახმარებლად. ორი ნახტომის შემდეგ ის გაჩნდა ადგილთან, სადაც სისხლიდან იცლებოდა იაშუნინი და გადაეფარა მას თავისი სხეულით. სხვა ფერდობზე კუმიკმა კურმიშევმა მხრებზე მოიგდო დაჭრილი მზეერავი ახობაძე და გაშმაგებული სროლის არედან ნაპრალში მიიყვანა იგი.

მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ჩვენი ნაღმმტყორცნელები არ შემდრკალან. მათ შეძლეს მოეგერიებინათ მტრის ასზე მეტი მეავტომატის შემოტევა და გაეძლოთ ჩვენი მსროლელი ქვეგანაყოფების მოსვლამდე.

სამხედრო საბჭოს წევრმა ა. საჯაიამ თერთმეტ მამაც ნაღმმტყორცნელს გადასცა ორდენები და მედლები.

საომარ მოქმედებათა ინიციატივა კავკასიის ცენტრალური ქედის ყველა უღელტეხილზე თანდათან გადმოდიოდა ჩვენი ჯარების ხელში, ამასთან ერთად კი სულ უფრო მეტად მტკიცდებოდა გამარჯვების რწმენა ადამიანებში.

გერმანელებს ცი დღითი დღე ეკარგებოდათ კავკასიის მთებში ომის წარმატებით დასრულების იმედი. ყველა მათი ცდა შეტევაზე, იერიშზე გადმოსვლისა მარცხით მთავრდებოდა. დიდმა დანაკარგებმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო თვით ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი ჰიტლერელები.

სისხლისმღვრელ ბრძოლებში, რომლებიც 1942 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა, მაღალმთიან ადგილებში რომ მოქმედებდნენ, შეაჩერეს მტერი, დიდი ზარალი მიაყენეს მას და უკუაგდეს უღელტეხილების ჩრდილოეთ ფერდო-

ბებზე, აიძულეს ის უარი ეთქვა შეტევით მოქმედებაზე ფრონტის ამ უბანზეც.

მრავალდღიანმა ბრძოლებმა ულელტეხილებზე დაგვანახა, რომ გაუვალი სამთო ზღუდეები არ არსებობენ. ყოველი ზღუდე, თუ ის კარგად არ არის მომზადებული დაცვისათვის და მას არ იცავს ჯარი, შეიძლება აიღოს მტერმა. სამთო ადგილმდებარეობა, რასაკვირველია, ქმნის გარკვეულ სიძნელეებს ჯარების მოქმედებისათვის. მაგრამ ეს სიძნელეები სრულიად შესაძლებელია გადალახო, თუ სამხედრო მოქმედებას საქმის ცოდნით განახორციელებ.

ჯერ კიდევ ფ. ენგელსი სამთო ომის საკითხებს რომ იკვლევდა, მიუთითებდა, რომ მთებში თავდაცვა არ უნდა იყოს პასიური. ის თავის ძალას უნდა ღებულობდეს მოძრაობაში, და ყველგან, სადაც კი ომის საშუალება მიეცემა, ჯარებმა უნდა შეუტიონ. სავსებით ნათელია, რომ ასეთი თავდაცვა მოითხოვს ღრმად მოფიქრებულ მოქმედებას და ენერგიულ, გამოცდილ მეთაურ-შემსრულებლებს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ცალკეულ მეთაურთა ინიციატივა და მოხერხებულობა ხშირად წყვეტს ბრძოლის ბედს.

უაღრესად სასარგებლო ვითარების მიუხედავად, ფაშისტების სამთო ნაწილებმა ვერ შეძლეს გაჭრილიყვნენ შავი ზღვის სანაპიროსაკენ. ისინი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ შეტევით ოპერაციებზე და გადასულიყვნენ თავდაცვაზე.

იალბუზის მიმართულებით 1-ლი გერმანული სამთო დივიზიის ნაწილებმა ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად დატოვეს ხოტიუ-ტაუს და ჩიპერ-აზაუს ულელტეხილები. ბევრი ქვედანაყოფები გაიქცნენ ქედის ჩრდილოეთ კალთებისაკენ და იქ დარჩნენ 1943 წლის იანვრამდე.

ბელუხორ-მარუხის უბანზე გერმანელ ფაშისტთა ჯარები ცდილობდნენ დიდი ძალებით გაჭრილიყვნენ სოხუმისაკენ, მაგრამ ვერ გაუმკლავდნენ ჩვენი ჯარების კონტრიერიშებს და უკან დაიხიეს ჩრდილოეთის ფერდობზე.

ძალიან ინტენსიური ბრძოლები სწარმოებდა სანჭაროს ულელტეხილზე. ამ მიმართულებით ჰიტლერელთა ჯარები უმოკლესი გზით გამოდიოდნენ გუდაუთისა და გაგრის რაიონებისაკენ. აქ გერმანელები ათჯერ გადმოვიდნენ იერიშზე და ყოველთვის დიდი დანაკარგებით იქნენ უკუქცეულნი საწყის პოზიციებზე.

გააფთრებული ბრძოლა გაიმართა სოფელ ფსხოუსათვის, რო-

მელიც გერმანელებმა გადააქციეს ძლიერ დასაყრდენ პუნქტად ქედის. სამხრეთ ფერდობზე.

სანჟაროს მიმართულებით გერმანელ-ფაშისტთა ჯარებმა შეძლეს მიეღწიათ რაიონისათვის, რომელიც სულ რაღაც 25 კმ-ზე მდებარეობდა გუდაუთიდან. მაგრამ დიდხანს გაჩერება აქაც ვერ შეძლეს. მათი ძირითადი ნაწილები პოლკოვნიკ პიაშევის ჯგუფის კონტრიერიშებით განადგურდა, ხოლო დანარჩენი გადარეკეს ქედის უღელტეხილიდან მოშორებით.

უმპირის, ბელორეჩენსკის და სხვა უღელტეხილებზე გერმანელები დიდ აქტიურობას ავლენდნენ, ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ ზღვისაკენ და გადაეჭრათ ოორონტის ხაზის გასწვრივ მაგისტრალი, რომელიც აკავშირებდა ამიერკავკასიის ფრონტს შავი ზღვის ჯარების ჯგუფთან, მაგრამ ამ რაიონშიც მტრის ყველა ცდა უშედეგო გამოდგა.

1942 წლის ოქტომბერში ჩვენ ყველა უღელტეხილზე შევძელით შეგვექმნა მყარი თავდაცვა.

ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენმა სნაიპერებმა.

მახსოვს პატარა, ცოცხალი და ამავე დროს ძალიან მშვიდი მებრძოლი ალექსანდროვი. ყოველდღე იზრდებოდა ალექსანდროვის მიერ დახოცილ ჰიტლერელთა რიცხვი. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი შერკინება ფაშისტ სნაიპერთან, რომელსაც მეომრებმა „აუცდენელი ჰანსი“ შეარქვეს.

ალექსანდროვმა გადაწყვიტა მოესპო საშიში მოწინააღმდეგე და აი, დაიწყო მაღალი კლასის მსროლელთა დუელი. მასში გაიმარჯვებდა ის, ვისაც მაგარი ნერვები, დიდი გამჭრიახობა და მოთმინება ჰქონდა.

ხუთჯერ გამოიცვალა საცეცხლე პოზიცია ალექსანდროვმა. ჰიტლერელი ვერ იღებდა მიზანში ჩვენს სნაიპერს, მაგრამ ვერც ალექსანდროვის ტყვია აღწევდა მიზანს. მაშინ საბჭოთა სნაიპერმა ხერხი იხმარა და გერმანელის მორიგი გასროლის შემდეგ თავი მოიმკვდარუნა. შაშხანა ხელიდან ჩამოუცურდა და გვერდზე გადაგორდა. ჰიტლერელი ანკეზე წამოეგო. ჩვენს სნაიპერზე გამარჯვებაში დარწმუნებულმა თავი ამოჰყო საფარიდან, მაშინვე გაისმა სროლა ალექსანდროვის სათადარიგო შაშხანიდან.

მთებში ბრძოლამ ბევრი რამ გვასწავლა, გაამდიდრა ჩვენი ფრონტული გამოცდილება.

უპირველეს ყოვლისა მინდა ვთქვა ტაქტიკურ ხერხებზე, რომლებსაც გერმანელები კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე იყენებდნენ. ჩემი შეხედულებით მათგან ყველაზე დამახასიათებელი იყო:

— პატარა რაზმებით (ოცეული, ასეული, იშვიათად ბატალიონი) წინსვლა, რომლებიც მოქმედებდნენ დამოუკიდებლად.

— აქტიური დაზვერვა ფართო ფრონტზე რჩეული ალპინისტების მეშვეობით გასასვლელებისა და ფლანგებიდან შემოსავლელი გზების მოსაძებნად;

— უეცარი შეტევა და, როგორც წესი, ფლანგების დაკავება ჩვენი საბრძოლო განლაგების ზურგში შეჭრისათვის:

— მრავალიარუსიანი, ნალისებური თავდაცვა; საცეცხლე წერტილის განლაგება მაღალ ფერდობებზე, რომელიც მომართული იქნება ჩვენსკენ, განსაკუთრებით ფლანგებისაკენ; ხევის უღლეტეხილთა წერტილებზე და ბილიკებზე. დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევების განლაგება, ამასთან დაზგის ტყვიამფრქვევები — ჩვეულებრივ მაღლობთა მწვერვალების მიღმა ან თვით მწვერვალებზე, ხელის ტყვიამფრქვევები კი ფერდობებზე. როგორც ერთი, ისე მეორე მოთავსებული იყო ქვით ნაშენებ საფარში;

— სნაიპერების საცეცხლე პოზიციების განლაგება გარე ფერდობებზე ხელით მეტყვიამფრქვევეთა ქვევით, ხოლო მეავტომატეები — უშუალოდ სიმაღლეების კალთებზე, აქვე იყვნენ მორიგე მსროლელები;

— დამსვენებელი ცვლა მოფარებული იყო ფერდობის უკანა მხარეს ქვით ნაშენებ საფარებში;

— ცეცხლს ცალკეული მეომრების წინააღმდეგ ხსნიდნენ მხოლოდ სნაიპერები, იშვიათად — მეავტომატეები, მცირე ჯგუფს ესროდნენ მორიგე ტყვიამფრქვევები, შემდეგ ქვეგანაყოფს თავს ატყდებოდა ცეცხლის ყველა საშუალება.

დაცვაში გერმანელები ფართოდ იყენებდნენ საინჟინრო დაბრკოლებებს, უპირატესად დანაღმვის სახით.

საჰაერო დესანტის (პარაშუტისტების) გადმოსხმა უღელტეხილებზე თითქმის არ გამოუყენებიათ. ნისლის გამო თვითმფრინავებს უღელტეხილებზე ფრენა ძალიან იშვიათად შეეძლოთ. ამას

გარდა, მოწინააღმდეგე დარწმუნდა, რომ მათ დესანტს მალე ნახულობდნენ და ანადგურებდნენ. ასე დაეშალა, მაგალითად, პარაშუტებით გადმოსხმულ 40-კაციან დესანტს დოუს უღელტეხილის რაიონში.

კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე გერმანელები ავიაციას ძირითადად იყენებდნენ სურსათისა და საომარი მასალების მისაზიდად. იშვიათად ერთეული თვითმფრინავები ბომბავდნენ ან ცეცხლს უშენდნენ ჩვენს საბრძოლო განლაგებას.

გერმანელების ცდაშ, გამოეყენებინათ ტექნიკა — ავტომანქანები ან თუნდაც ტანკები მარცხი განიცადა.

ჩვენი ჯარების მოქმედების გამოცდილებამ კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე გვიჩვენა, რომ იქ თავდაცვა ისეთნაირად უნდა მოწყობილიყო, რომ მოწინააღმდეგეს საშუალება არ მისცემოდა გაჭრილიყო უღელტეხილებზე, და ამავე დროს ჩვენთვის უნდა უზრუნველგვეყო მანევრებისათვის საჭირო პლაცდარმების მოწყობა მთების ფერდობებზე.

უცნაურია, მაგრამ მთებში სამხედრო მოქმედებამ დაგვანახა, რომ ჩვენ სათანადოდ არ ვიცნობდით კავკასიის მთავარ ქედს. ჩვენ მისი შესწავლა მოგვიხდა ძუნწი აღწერილობითა და საკმაოდ არაზუსტი ძველი რუკებით.

ბრძოლების პირველ პერიოდში ჩვენ დავუშვით ბევრი ტაქტიკური შეცდომა იმის გამო, რომ უღელტეხილების დაცვისათვის გამოყოფილი შენაერთები და ნაწილები არ იყვნენ მომზადებული მთებში ბრძოლისათვის.

ჩვენთან დაზვერვაც მოიკოჭლებდა, ჩვენ ხშირად ვუტევდით პირდაპირ და არა შემოვლით, რაც განსაკუთრებით დამღუპველია სამთო ომში. დაშვებული იქნა დაუდევრობა ჯარების განლაგებისას თავდაცვაში. ყოველივე ეს იწვევდა სამწუხარო შედეგებს.

პირველ ხანებში ჩვენი ჯარები მარტო ღარტაფებს და უღელტეხილებს იკავებდა და დაუცველად ტოვებდა მეზობელ სიმაღლეებს. ეს საშუალებას აძლევდა მოწინააღმდეგეს უბრძოლველად დაეკავებინა ისინი, ხოლო შემდეგ ფლანგებიდან გახსნილი ცეცხლით გამოვედევნეთ ხელსაყრელი პოზიციებიდან.

შემდეგში, გამოცდილების შეძენის კვალობაზე, ჩვენი ჯარების შეტევის ტაქტიკა და მეთოდი მკვეთრად შეიცვალა.

ჩვენ მივხვდით, რომ შეტევის წარმატება დამოკიდებულია ფა-

რულ მოქმედებასა და მოულოდნელობაზე, რომ მთის პირობებში საჭიროა არა პირდაპირ დარტყმა, არამედ შემოვლა და იქ გადასვლა შეტევაზე, სადაც მტერი ყველაზე ნაკლებად მოელის. ჩვენ უკვე აღარ გვქონდა მთების მოჩვენებითი მიუვალობის რწმენა.

შეტევის დაწყების წინ მეთაურებმა ამოირჩიეს ამოსასვლელ პუნქტებად ნაკლებად დასახლებული და ნაკლებად მისაწვდომი რაიონები, რომლებიც რაზმების კვების ბაზებს წარმოადგენდნენ და გამაგრებულ მიჯნებად იქცეოდნენ. მათ სიახლოვეს ეწყობოდა დაცვა. საჭიროების შემთხვევაში რაზმი ბრუნდებოდა ბაზაში და იქ იკავებდა თავდაცვას.

მთებში ეფექტური იარაღი აღმოჩნდა ნაღმსატყორცნები, განსაკუთრებით 82 და 107-მილიმეტრიანები. შეიძლება ითქვას, რომ მათ მთლიანად შეცვალეს არტილერია, რომელიც იქ ცოტას მოქმედებდა.

კავკასიაში ფართოდ იქნა გამოყენებული საინჟინრო დაბრკოლებები.

ასეთ რთულ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ჯარების მომარაგებამ. უღელტეხილებში თავის დროზე არ იქნა შეტანილი სურსათი, სამხედრო მასალები, თბილი ტანსაცმელი, სათბობი. მომარაგების გაუმართაობა პირველ ხანებში შლიდა ჩვენს ოპერაციებს. ხოლო როცა შეიქმნა მომარაგების ბაზები არა მარტო დივიზიებში, არამედ ცალკეულ მოქმედ რაზმებსა და ქვედანაყოფებში, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ჯარების მომარაგებაში დიდი როლი შეასრულა ჩვენმა ავიაციამ. ჩვენს „უ—2“-ებს ყოველდღიურად მიჰქონდათ ცალკეულ ბაზებში 60 ტონამდე სურსათი და საომარი მასალები. ბევრი სურსათი და საომარი მასალა გადაიზიდა სახედრეშით — ამ შეუცვლელი, ადგილობრივი „ტრანსპორტით“.

ავიაცია აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო სამუშაოთა შესრულებაშიც: ეწეოდა დაზვერვას, ახორციელებდა კავშირს ჯარებთან, იერიში მიჰქონდა მოწინააღმდეგის კოლონებზე, ბომბავდა მის თავდაცვას. მტერზე იერიში მთებში დიდ მორალურ ზემოქმედებას ახდენდა მასზე.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამთო ომში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაჭრილების ევაკუაციისა და დახმარების აღმოჩენის საკითხებს. კავკასიაში ბრძოლების დროს იყო

შემთხვევები, როცა მსუბუქად დაჭრილებიც კი ვერ აღწევდნენ შესახვევ პუნქტებამდე — მთებში იყინებოდნენ. კვალიფიციური სამედიცინო დახმარება საჭიროა გაეწიოს უშუალოდ ბრძოლის ველის სიახლოვეს. დაჭრილთა ევაკუაციისათვის საჭიროა სპეციალური გამცილებლები (დამატებითი სანიტრები), გამოყენებული უნდა იქნეს პრიმიტიული გადასაზიდი საშუალებები (სახედრები და ცხენები ჩამოსაკიდებელი საკაცეებით, მარხილები), მძიმედ დაჭრილების გადასაყვანად შეიძლება ავიაციის გამოყენება.

დაჭრილთა ევაკუაციის დროს გზაზე აუცილებლად უნდა იყოს გასათბობი პუნქტები; ისინი აუცილებელია მოძრავი ნაწილებისათვისაც.

ყველა ეს დასკვნა და დაკვირვება წარმოადგენს დიდ წვლილს ჩვენს საბრძოლო გამოცდილების საგანძურში.

ტუაფსეს „კაკალი"

ოსეთის სიმინდის ყანები და ვაშლის ბაღები უკან დარჩა. ბრძოლებმა გადაინაცვლა ათას კილომეტრზე მოშორებულ უღრან ტყეებსა და ზღვისპირეთის მთის წვეტებიან კლდეებში.

წყნარი, ნახევრად საკურორტო, ნახევრად ტრანზიტული ქალაქი ტუაფსე კავკასიაზე ლაშქრობის დასაწყისიდანვე გერმანიის გენერალური შტაბის გენერლების ყურადღებას იპყრობდა. აგვისტოში გერმანელებს ჯერ კიდევ სერიოზულად სწამდათ, რომ საკმარისი იყო ნახტომი — და ისინი სანაპიროზე გაჩნდებოდნენ. ოცნებობდნენ ტუაფსეში დაბინავებაზე, მათთვის აქედან იქმნებოდა ერთი ერთმანეთზე უკეთესი შესაძლებლობანი.

კრასნოდართან და მაიკოპთან მოწინააღმდეგემ დაიწყო ძალების თავმოყრა. ტუაფსის რაიონში გადაიყვანეს თორმეტი ქვეითი და სპეციალურად მომზადებული საშთო მსროლელი დივიზია. ცალკეული სატანკო ბატალიონები, კავალერია, მოტომსროლელები. მტერმა გადაწყვიტა რადაც უნდა დაჯდომოდა აეღო ქალაქი და საზღვაო ნავსადგურები. რათა წაერთმია ჩვენთვის სახმელეთო და საზღვაო კომუნიკაციები. და რასაკვირველია, გაეძნელებინა ოპერატიული გადაზიდვები, ჩაეშალა ჯარების გადაყვანა და მათი უზრუნველყოფა სურსათით და საომარი მასალებით.

ჩვენი მეომრები იბრძოდნენ არნახული სიმამაცით, მედგრად და შეუპოვრად.

— თავს გავწირავთ, მაგრამ მშობლიურ მიწას დავიბრუნებთ!— ამბობდნენ მებრძოლები.

ბველი მხედრული წესი ამბობს — ვინც შეშინებულია, ის ნახევრად განადგურებულია. ამიტომ თავდაცვას ჩვენ ვაგებდით გაბედულ კონტრიერიშებზე, რომლებიც ყოველთვის წინ უსწრებდა გერმანელთა დარტყმებს.

გიორგის კავალერმა კაზაკმა ნაქსიმე გრებნევმა შტაბში მოიყვანა ცხენის ზურგსაფარში გახვეული გერმანელი ოფიცერი. რომლის ჩანთაში აღმოჩნდა შეტევაზე გადასვლის ბრძანება. ორ ეგერთა ბრიგადას და ცალკე მაღალმთიანეთის პოლკს მე-12 საარტილერიო და მე-15 ნაღმსატყორცნი ბატარეის დახმარებით დილიდან უნდა დაეწყო შემოტევა ნე-17 ცხენოსანთა კორპუსის პოზიციისათვის.

მოწინააღმდეგის განზრახვა რომ გაიგეს, კაზაკებმა მათ ხაფანგი მოუწყვეს, ჰიტლერელებს კონტრიერიშით ეკვეთენ. და გაანადგურეს.

ღამის ამ მოკლე ბრძოლის წინ 69 წლის სემიონ სკვორცოვი, რვა საბჭოთა ოფიცრის მამა. ასწავლიდა ახალგაზრდა მეომარს:

— შენ ამბობ, ვაზნები არ გვეყოფა, უყმბარებს ვერ მოგვიტანენ? გერმანელს განოვართმევთ! ბრძოლაში თუ წაგართვეს შაშხანა, ხელი სტაცე გრანატას, თუ გრანატები გაგითავდა, კონდახი დაარტყი, ჩასცხე მუშტები, კბილებით ჩააფრინდი შეჩვენებულს ყელში!..

ერთი გერმანელი ლეიტენანტი თავის დღიურში წერდა:

„ჩვენს წინ ყუბანელი კაზაკებია. მამაჩემი ოდესღაც მიყვებოდა მათ შესახებ. მაგრამ მისი საშინელი მონაყოლი როგორ არ ჰგავს იმას, რასაც მე ვხედავ. მათ ვერაფერს მოუხერხებ. ისინი წვავენ ჩვენს ტანკებს. დღეს ჩემი ასეული გადაისროლეს მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მსროლელი პოლკის დასახმარებლად. და მე ბრძოლის ველიდან ოთხი ჯარისკაცით დავბრუნდი. რა მოხდა იქ! როგორ გადავრჩი?! პირდაპირ სასწაულია, რომ ცოცხალი ვარ და წერა შემიძლია. მათ ცხენებით შემოგვიტიეს. ჯარისკაცები გაიქცნენ. შევეცადე შემეჩერებინა ისინი, მაგრამ წამაქციეს და ისე დამიზიანდა შუხლი, რომ ხოხვით შევძელი მდინარესთან მისვ-

ლა. ამბობენ ჩვენმა ბრიგადამ არსებობა შეწყვიტაო: თუ ჩემი ასეულის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ეს სიმართლეა“.

ჯუბანელი და დონელი კაზაკები იბრძოდნენ არაჩვეულებრივი სიმამაცით, მტერს შიშის ზარს სცემდნენ და აიძულებდნენ გაქცეულიყვნენ.

...სოფლის გზაზე ლეიტენანტ გავრილოვის ნაღმმტყორცნელთა ბატარეას მიუახლოვდა ექვსი სატვირთო მანქანა მეავტომატეებით, ყველა მათგანს წითელარმიელთა ფორმა ეცვა, მანქანებზე წითელი ალმები იყო გაკეთებული. როცა ორი ახალგაზრდა მებრძოლი მათ შესახვედრად გაემართა, გაისმა სროლის ხმა.

— გერმანელები?

— დაიყვირა ლეიტენანტმა გავრილოვმა და ბრძანება გასცა:

— ცეცხლი!

გადაცმულ ჰიტლერელებიან სატვირთო მანქანებს ცეცხლი წაეკიდა. ერთი ბორბლებით მაღლა ამოტრიალდა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა, მაგრამ ამ დროს კაზაკებისაკენ გამოექანა თხუთმეტი ტანკი ჯავშანზე შემომსხდარი მეავტომატეებით. მუხლუხებმა გასრისა სერჟანტ ზინენკოს მთელი ჯგუფი, მეორე ტანკმა გადათელა ზემდეგ პრიხოდკოს ნაღმსატყორცნი. თვითონ პრიხოდკომ მოასწრო სანგარში ჩახტომა, გრანატებითა და საწვავნარევიანი ბოთლებით ორი ტანკი გაანადგურა, მაგრამ მესამის მსხვერპლი თვითონ გახდა. სერჟანტმა სილკომ ოთხი ტანკი მოსპო, მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლას მაინც განაგრძობდა.

ჰიტლერელებმა ბრძოლაში ტყვიამფრქვევებიანი მოტოციკლისტები ჩამოიყვანეს. კაზაკებმა კრივონოსმა და სავოსინმა მათ გრანატები დაუშინეს, პარტორგმა ნიჟნიკმა, სერჟანტებმა ოლიფიროვმა და მიგაშკომ შემოტევაზე, გადმოსულთ ოთხკილოგრამიანი ნაღმების სროლა დაუწყეს.

სამჯერ გადაიყვანა იერიშზე გავრილოვმა თავისი ნაღმმტყორცნელები. საათნახევარს გრძელდებოდა ეს სისხლისმღვრელი შეჯახება. როცა შიკრიკმა უკანდახევის ბრძანება მოიტანა, არც ერთი კაზაკი ცოცხალი აღარ იყო. ირგვლივ 8 ტანკი იწვოდა და მტრის 250-ზე მეტი გვამი ეყარა.

გავრილოვის ნაღმმტყორცნელები დაიღუპნენ, მაგრამ ისინი დაიღუპნენ როგორც გამარჯვებულნი. ამ საათნახევრის განმავლობაში ევაკუირებული იქნა ჰოსპიტალი, ჩაიტანეს ძვირფასი შეიარა-

ღება. კაზაკები გადაჯგუფდნენ და მოემზადნენ ახალ ზღუდეზე ბრძოლისათვის.

ბრძოლამ თანდათანობით ტყიან მთებში, ქედებზე გადაინაცვლა. ცხენოსნებისათვის ეს მოუხერხებელი ადგილია. აქ მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. კაზაკებისათვის ომის თეატრის აღმოსავლეთი ნაწილი — მოზდოკის ველები, სტავროპოლის ქვიშიანი ბარხანები გაცილებით უკეთესი იყო. სწორედ ამ რაიონებში გადავისროლეთ კიდეც კაზაკთა პოლკები. აქ ისინი აწყობდნენ შორეულ რეიდებს, არბევდნენ გერმანელთა ზურგს, თვით ბუდიონოვსკთან ანადგურებდნენ კორპუს „ფ"-ს, რომელიც ეგვიპტის დასაპყრობად იყო ჩამოყალიბებული.

ცხენოსნები შეცვალა 47-ე და მე-18 არმიების მსროლელთა ნაწილებმა.

მე-18 არმიას მაშინ სარდლობდა გენერალი ა. ა. გრეჩკო (შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი).

გრეჩკოს დიდიხანია ვიცნობდი, ჯერ კიდევ ომის წინა წლებიდან, როცა ის ოცეულის მეთაური იყო. სასიხარულო იყო, როგორ სწრაფად ჩადგა ის სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის ნიჭიერ სარდალთა რიგებში.

არ შემცდარა შავი ზღვის ჯარების ჯგუფის სარდალი ი. ე. პეტროვი, როცა ა. ა. გრეჩკოს მიანდო ყველაზე საპასუხისმგებლო მიმართულება. მე-18 არმიის სარდალმა მთლიანად გაამართლა მათი იმედები, მოხერხებულად უხელმძღვანელა თავის შენაერთებს.

ტუაფსეს მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ფრონტის მარცხენა ფლანგზე, ნოვოროსიისკთან მომხდარ ამბებთან დაკავშირებით.

1942 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში გერმანელთა დამკვრელმა ჯგუფმა — ოთხმა ქვეითმა დივიზიამ, ორმა ცხენოსანთა პოლკმა და სამმა ცალკე ბატალიონმა — შემოუტია ნოვოროსიისკს. ერთდროულად მათ დესანტი გადასხეს ტამანის ნახევარკუნძულზე.

7 სექტემბერს ღამით სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა ნოვოროსიისკის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას და დაბა მეფოდიევსკის ახლოს. ბრძოლა მთელ ღამეს და მეორე დღესაც გაგრძელდა. ის მხოლოდ შებინდებისას დამთავრდა შავზღველთა გამარჯვებით. დილიდან გერმანელებმა კვლავ განაახლეს იერიშები. მათი ტანკები შემოიჭრნენ მეფოდიევსკის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას და

ბაზრის მოედანზე, მაგრამ ისევ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ჰიტლერელები ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთისკენაც, მაგრამ 47-ე არმიის, რომლის სარდალი 8 სექტემბრიდან გენერალი ა. ა. გრეჩკო იყო, მედგარი წინააღმდეგობის შედეგად შეჩერებულ იქნენ.

ავიაციის მრავალი მასირებული თავდასხმის შემდეგ ორმა ქვეითმა დივიზიამ ტანკების დახმარებით კვლავ შეუტია მეფოდიევსკის დაბას და შემოუარა ნოვოროსიისკს მარკოთხის უღელტეხილის მხრიდან.

ჩვენმა ჯარებმა მტრის ძლიერი დაწოლის შედეგად დაიხიეს პირველ კილომეტრზე ზღვისპირეთის გზატკეცილზე ცემენტის ქარხანა „ოქტიაბრის“ რაიონში.

გერმანელები ზეიმობდნენ, მიაჩნდათ, რომ კავკასიის სანაპიროს ჭიშკარი მათ ხელშია. მართალია ფაშისტებმა დაიკავეს ნოვოროსიისკი, მაგრამ ფაქტიურად დასახიჩრებული ქალაქის პატრონად ჩვენი ჯარები დარჩნენ. საართილერიო ბატარეიების მძლავრი ცეცხლით პარალიზებული იყო ქალაქში მისასვლელი გზები. ცეცხლს უშენდნენ ცემენტის უბეში შემსვლელი მტრის ხომალდებს.

ერთხელ მე მომიხდა უფროს ლეიტენანტ დავიდენკოს ბატარეასთან ყოფნა. ამ დროს შოთვალთვალემ მოახსენა:

სადგურში შენიშნულია გერმანელთა ჯარის დიდი თავმოყრა.

— გახსენით ცეცხლი! — გასცა ბრძანება მეთაურმა.

მოწინააღმდეგემ ასეულობით ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა ამ ცეცხლის გამო.

ამის საპასუხოდ ჰიტლერელებმა თავისი ავიაცია გადმოისროლეს. ჩვენს ბატარეიებს თავს დააცხრა 28 მოპიკირე ბომბდამშენი. ტალღისებურად მოდიოდნენ ისინი მიზანზე. სულ ამჯერად ბატარეიებს დააყარეს 460 ბომბი. მაგრამ ამან ვერ გატეხა ჩვენი არტილერისტების სულისკვეთება. როგორც კი მთვარე ამოვიდა, ქვემეხები კვლავ ამოქმედდნენ... მეჩვენებოდა თითქოს ფერფლიდან აღდგნენო. მათ ლულებს უამრავი განაფხაჭნი ჰქონდა. ფარები დაღრეცოდათ.

არტილერისტები მხარს უჭერდნენ ქვეითებს კავკასიისათვის მძიმე ბრძოლებში, გზას უღობავდნენ მტერს და გზასვე უკვალავდნენ ჩვენს შეომრებს შეტევისას.

ტუაფსეს რაიონში განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა გაიმართა 1942 წლის ოქტომბერში. გერმანელები. ყოველდღიურად აძლიერებდნენ დაწოლას, ცდილობდნენ აეღოთ ქალაქი.

თავისთავად ცხადია, რომ ფრონტის სამხედრო საბჭო და უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი შეშფოთებული იყვნენ შექმნილი მდგომარეობით. მთავარბანაკმა მიბრძანა, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა შეგვენარჩუნებინა ქალაქი ტუაფსე და ნავსადგური, ხოლო ოპერაციების ხელმძღვანელობისათვის პირადად გავმგზავრებულიყავი შავი ზღვის ჯარების ჯგუფში.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში მე ჩემი მოადგილეებით და ფრონტის შტაბის უფროსით ტუაფსეში ჩავედი. ჩემთან ერთად იყო სამხედრო საბჭოს წევრი ივანე სტეფანეს ძე ისაკოვი და ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი კონსტანტინე ანდრიას ძე ვერშინინი.

4 ოქტომბერს, როცა მიწყნარდა საარტილერიო კანონადა, ჩვენ გადავწყვიტეთ გავმგზავრებულიყავით მთავარი მიმართულებით სოფელ შაუმიანის რაიონში. უკვე ბნელდებოდა. და უეცრად ჰაერში გამოჩნდა ფაშისტური ბომბდამშენები. ჩვეულებრივ ისინი ბომბავდნენ ნავსადგურს და ქალაქ ტუაფსეს. მაგრამ, ამჯერად. მთელი ესკადრილია გზატკეცილისაკენ შემობრუნდა. თავზე გადაგვიარა და ბომბების სერია დაგვაყარა. ყველაზე მეტად ივანე სტეფანეს ძე ისაკოვი დაზიანდა. ბომბის ნამსხვრევემა მარჯვენა ფეხში გაუარა. ჭრილობა ძალიან მძიმე იყო.

მე დაუყოვნებლივ გავაგზავნე ი. ს. ისაკოვი თავის ადიუტანტთან ერთად მედპუნქტში, შემდეგ კი სოჭში.

მაშინ ჩვენ არ შეგვეძლო გეცოდნოდა, რომ გერმანიის სარდლობას უკვე მიღებული ჰქონდა ცნობა ფრონტის სამხედრო საბჭოს წინა ხაზზე გამგზავრების შესახებ და განკარგულება გასცა თავის მფრინავებს დაებომბათ გზატკეცილი. ეს გამოირკვა რამდენიმე წლის შემდეგ, როცა საქართველოში შედგა პროცესი სამშობლოს მოღალატეებზე. მანამდე ჩვენ ამას შემთხვევითობას ვაწერდით.

იმ ღამეს ძალიან ბევრს ვფიქრობდი ივანე სტეფანეს ძე ისაკოვზე, რომელსაც ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს ვიცნობდი. შშვიდობიანობის დროს ჩვენ ერთად ვმუშაობდით თავდაცვის სახალხო კომისარიატში. ეს შესანიშნავი ადამიანი გაიზარდა მიჩმანიდან საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალამდე. სამხედრო-საზლ-

ვაო ფლოტის ადიუნქტიდან მეცნიერ-ოკეანოგრაფამდე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტამდე, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორამდე.

მას, ბალტიის ფლოტის შტაბის უფროსს, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის პირველ მოადგილეს უდიდესი დამსახურება მიუძღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნასა და განმტკიცებაში. ის იყო საზღვაო ძალების საბრძოლო წესდების ძირითადი ავტორი, სამეცნიერო ხელმძღვანელი მთელი რიგი სპეციალური ოკეანოლოგიური გამოკვლევებისა და 1941-1945 წლების სამამულო ომის საზღვაო ოპერაციების ერთადერთი ორგანიზატორი.

და აი ეს გამოჩენილი ფლოტის წინამძღოლი მწყობრიდან გამოვიდა. მე მესმოდა, რა მძიმე იყო მისი მდგომარეობა, როგორ განიცდიდა, რომ ფეხის დაკარგვა ხელს შეუშლიდა მას ყოფილიყო ჩვენს რიგებში, წინა ხაზზე მიეღო აქტიური მონაწილეობა მტრის განადგურებაში. 1943 წლის 4 ოქტომბერს მან მოსკოვიდან გამომიგზავნა წერილი, რომელშიც მწერდა:

„ძვირფასო ივანე ვლადიმერის ძევ!

დღეს სრულდება ზუსტად ერთი წელი ჩემი დაჭრის დღიდან, რაც მე გადმოვვარდი ურმიდან. რასაკვირველია, მე ვისურვებდი მქონოდა ორივე ფეხი და მემუშავა შენთან ან სხვა ფრონტზე, მაგრამ ისიც კი, რომ მე ახლა შემიძლია ვიმუშაო მოსკოვში და რაღაც სარგებლობა მომაქვს მტრის განადგურების საერთო საქმისათვის, — კარგია. შეიძლებოდა კი ეს დამთავრებულიყო პატარა ძეგლით სოჭში ან თბილისში.

ამიტომ მე კმაყოფილი და მადლობელი ვარ მათი, ვინც ცოტათი გადასწია ჩემი ძეგლის აგება, და კარგად ვიცი. პეტროვისა და ჯანელიძის გარდა ბევრად ვარ დავალებული შენგანაც მხარდაჭერისათვის, დახმარებისა და ყურადღებისათვის.

მგონი არ შევცდები ჩემს ეპვებში და შენ მთლად კმაყოფილი არ უნდა იყო შენი მუშაობით. აქტიური ოპერაციები წარმოებს შენი ეპარქიის გარეთ. მაგრამ, როგორც ადრე ვამბობდი, ვთვლი, რომ შენი მუშაობა თბილისში არანაკლებ (ზოგიერთი თვალსაზრისით კიდევ უფრო) ძნელი და საჭიროა სახელმწიფოსათვის, ვიდრე სხვა ადგილზე.

პირველ ხანებში ძალიან ვნაღვლობდი, რომ საპასუხისმგებლო

სამუშაო არ მქონდა. იგი საპატიო მოადგილის მდგომარეობაში მძიმეა, ომის დროს ხომ განსაკუთრებით. მაგრამ ჩემდა სასიხარულოდ მოულოდნელად დამნიშნეს მთავრობის კომისიაში, სადაც ვმუშაობ ამჟამადაც (შეთავსებით). სამუშაო ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლოა.

თუ თავისუფალი დრო გექნება. მომწერე ორიოდე სიტყვა.

ახლა ჩემი წინამძღოლობით იბეჭდება (პირველად) და გამოვა კრებულები ომის (საზღვაო) გამოცდილების შესახებ. შენი დაინტერესება რომ ვიცი ფლოტისადმი, შენც გამოგიგზავნი.

იყავი ჯანმრთელად.

გისურვებ წარმატებას მუშაობაში.

შენი ისაკოვი".

სანამ ფრონტის სამხედრო საბჭო და შავი ზღვის ჯგუფის სარდლობა ამუშავებდნენ და ახორციელებდნენ ღონისძიებებს ტუაფსის მიმართულების გასაძლიერებლად, მოწინააღმდეგე განაგრძობდა შეტევის განვითარებას და 17 ოქტომბერს დაიკავა შაუმიანის რაიონი, ხოლო 56-ე და მე-18 არმიების შესაყარში დაიწყო წინ წაწევა კოჩკაცოვის მთის მიმართულებით.

ამ მთისათვის ბრძოლაში გმირობა ჩაიდინა აზერბაიჯანელი ხალხის სახელოვანმა შვილმა 19 წლის წითელარმიელმა ყაფურ მამედოვმა.

18 ოქტომბერს ფიცხელ ბრძოლაში მან მოსპო ცამეტი ფაშისტი მეავტომატე და ერთი ნაღმსატყორცნი თავისი გათვლით.

მეორე დღეს, როცა საზღვაო ქვეითთა 323-ე ბატალიონის მე-3 ასეულის სათვალთვალო პუნქტისაკენ გაიჭრა მოწინააღმდეგის მეავტომატეები, ყაფურმა შეამჩნია, რომ ერთი მათგანი ასეულის მეთაურს უმიზნებს. მამაცი მებრძოლი გაიჭრა წინ და თავის მეთაურს გადაეფარა. ყაფური დაიღუპა, მაგრამ საბჭოთა კავშირის გმირის ყაფურ მამედოვის სახელი საუკუნეებში იცოცხლებს.

გერმანელ ფაშისტთა სარდლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ნოვოროსიისკ-ტუაფსეს მიმართულებას. კლეისტი და მისი შტაბის უფროსი გენერალი ფონ გრეიფენბერგი, აშკარა უპირატესობას აძლევდნენ ტუაფსეს მიმართულებას მოზდოკ-გროზნოსთან შედარებით.

ჩემი შეხედულებით ეს იყო გერმანელთა სარდლობის უხეში შეცდომა. ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის ყველა ოპერატიული

ბუშაკი მივიდა ერთ დასკვნამდე: მოწინააღმდეგის მიერ ვითარების ასეთმა შეფასებამ და ასეთმა გადაწყვეტამ უნდა მიიყვანოს ფაშისტთა ჯარები დამარცხებამდე მთელ ამიერკავკასიის ფრონტზე.

მაინც რატომ მისცა უპირატესობა მოწინააღმდეგემ ტუაფსეს გროზნოსთან შედარებით? ალბათ, პირველ რიგში იმიტომ, რომ ჰიტლერელი გენერლები მტკიცედ ემხრობოდნენ შლიფენის თეორიას, პრუსიელების მოდერნიზებულ იმ „კანის თეორიას“, რომელიც საფუძვლად დაედო მესამე რეიხის გენერალური შტაბის სამხედრო სტრატეგიას და ტაქტიკას.

ტუაფსესთან გამოსვლით გერმანელები შუაზე გაგლიჯავდნენ ძავი ზღვის ჯარების ჯგუფს, გარსშემოერტყმოდნენ და გაანადგურებდნენ ჩვენს ორ — 56-ე და 47-ე არმიებს. აი, ამ მისწრაფებამ გაემეორებინათ „კანი“, უკარნახა ჯარების „სამხრეთი“ დაჯგუფების სარდალს ტუაფსეზე მისვლის გეგმა.

ეს იყო გულმოდგინედ დამუშავებული გეგმა. დასავლეთ კავკასიის ტყიან მთისწინეთს ამ ადგილზე ჰქონდა ზღვისაკენ ყველაზე ბოხერხებული გასასვლელი — მაიკოპ-ტუაფსეს რკინიგზა. ამ გზაზე დამკვრელი ძალების თავმოყრით გერმანელები ვარაუდობდნენ ერთი დარტყმით აეღოთ ტუაფსე და დაემთავრებინათ შავი ზღვის მთელი შარცხენა ფლანგის გარშემორტყმა და განადგურება.

გერმანელებს ჰქონდათ ერთი დიდი უპირატესობა: ისინი უტევდნენ ჩრდილოეთიდან და, მაშასადამე, ჰქონდათ ფართო შესაძლებლობა ყუბანის ველზე განლაგებული ჯარების დიდი მასების ფანევრირებისა. ამას გარდა, გერმანიის სარდლობის განკარგულებაში აღმოჩნდა ბევრი კარგი მისასვლელი გზა. ჩვენ კი პირიქით: არც მანევრის შესაძლებლობა და არც საკმარისი მისასვლელი გზები არ გვქონდა, რადგანაც ჩვენი ჯარები იდგნენ ტყიან მთებში, რომლებიც ამ ადგილებში ზღვამდე აღწევდა.

ჩვენს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მაიკოპ-ტუაფსეს რკინიგზის გარდა, გერმანელებს შეეძლოთ გამოსულიყვნენ ტუაფსედან რამდენიმე შემოსავლელი გზით, რომლებიც გადიოდნენ ფსეკუფსის და ფშეხსკის ველებზე. ეს ჩვენ იძულებულს გვხდიდა დაგვეჭუცმაცებინა ჩვენი ძალები რამდენიმე მიმართულებით და ყოველთვის გვყოლოდა ჯარები უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობაში.

თავისი ძლიერი მხარის იმედით გერმანიის სარდლობამ არ გა-

ითვალისწინა ჩვენი ჯარების ძლიერი მხარეები და უპირველეს ყოველისა ტუაფსეს მთელი დაცვითი რაიონი.

ტუაფსეს ჩრდილოეთით ჩვენ გვქონდა ოთხი ძალიან კარგი ბუნებრივი თავდაცვითი ზღუდე. ეს იყო სხვადასხვა სიმაღლის ტყიანი მთების სისტემა, რომელიც შესანიშნავად იფარავდა ქალაქს ყოველი მხრიდან. პირველი, გარე საფარი, ზღუდე — ოპლეპენის, გუნაის, გეიმანის მთები, ელიზავეტოპოლის უღელტეხილი და სარაი-გორა; ისინი 300—400 მეტრით მაღლები იყვნენ წინამდებარე სიმაღლეებზე და ამიტომ მთელ ამ ზღუდეს შეეძლო გაბატონებული მდგომარეობა სჭეროდა ამ ადგილებზე. მეორე ზღუდე — სიმაღლეთა მთელი რიგია, მდინარეების გუნაისა და ფშიშის შუა მდებარე ქედით. მესამე — მთები დვაბრატა, სემაშხო, ინდიუკი. გოითხის უღელტეხილი. მეოთხე — ყველაზე ახლო ქალაქთან — ესაა ფსეიფის, ბოლშაია და მალაია ფსეუშხოს, ზაპოვედნის, ნეველას მთები.

ყველა ეს ზღუდე დიდ კონცენტრირებულ წრესავით ჰქონდა გარსშემორტყმული ტუაფსეს თვით ზღვის ნაპირამდე. გერმანელებმა არ გაითვალისწინეს ისიც, რომ ფრონტის გასწვრივ მაგისტრალად ჩვენ გამოვიყენეთ შავი ზღვის ფლოტი. რომელიც გაბატონებული იყო ზღვაზე. ფლოტი უზრუნველყოფდა ზურგის შეუფერხებელ მუშაობას და შავი ზღვის ჯარების ჯგუფის ოპერატიულ გადაადგილებას.

მტრის მიერ ჩვენი ამ შესაძლებლობების შეუფასებლობა მათი შემოდგომის შეტევის გეგმას სამხრეთში ავანტურად აქცევდა. მიუხედავად ამისა, გერმანელ ფაშისტთა ჯარები ტუაფსეს უტევდნენ და მის აღებას ცდილობდნენ განსაკუთრებული გაშმაგებით და სიჯიუტით.

რუმინელთა მე-3 სამთო მსროლელი დივიზიის განადგურების შემდეგ. რომელიც ცდილობდა შემოვლითი მანევრით მოენახა გასაძრომი გარღვევისათვის გელენჯიკის მიმართულებით და შემდეგ კავკასიის სანაპიროს გაყოლებით, გერმანელთა სარდლობამ დანაკარგები არაფრად მიიჩნია და ბრძანება გასცა კელავ შეეტიათ ტუაფსესათვის.

ტუაფსეს მიმართულებით მოქმედ საბჭოთა ჯარებს ჰქონდათ საკმაო მოხერხებული პოზიციები და ამიტომ გააჩნდათ სერიოზული უპირატესობა მტერთან შედარებით. მაგრამ ამას არ შეეძლო შისასვლელი გზის უქონლობის კომპენსირება. ამის შედეგად იყო

უდიდესი სიძნელეები საომარი მასალების და პროდუქტების მიზიდვის საქმეში და ზოგჯერ საფორტიფიკაციო სამუშაოებისათვის საჭირო ყველაზე მარტივი ინსტრუმენტების უკმარისობაც.

მსროლელმა ნაწილმა, რომელიც გუნაის და გეიმანის მთებს იცავდა, იშოვა ორი ათეული ნიჩაბი, მაგრამ არც ერთი ძალაყინი არ ჰქონდა. აბა სცადე და ამოთხარე სანგარი კლდეში ძალაყინის გარეშე! გადაგვარჩინა რომელიღაც გამოცდილმა ინტენდანტმა: მოაწყო ძალაყინების დამზადება ურმის ღერძისაგან.

ჩვენს მოქმედებას ისიც ართულებდა, რომ ყველა ზღუდე ტუაფსეს მიმართულებით განლაგებული იყო ხშირ ტყეში. ხოლო ფაშისტები უტევდნენ ყუბანის ველების მხრიდან. მათ ჰყავდათ სპეციალურად განსწავლული დივიზიები, ჰქონდათ ყოველგვარი მოწყობილობანი მთებსა და ტყეებში მოქმედებისათვის, რკინიგზისა და გზატკეცილების გაშლილი სისტემა, ყუმბარების საკმარისი რაოდენობა, სურსათი და მანევრის შეუზღუდავი საშუალებანი.

პირველი ტარანული დარტყმა მოწინააღმდეგემ მოახდინა ხადიჟენსკის რაიონიდან მაიკოპ-ტუაფსეს გზატკეცილისა და რკინიგზის გასწვრივ. ყველა რანგის ჩვენი მეთაური წინასწარ მოელაპარაკა რჩევისათვის მოხუც კავკასიელებს, მონადირეებს, მეტყეველებს და მწყემსებს. ამ ადგილის მკვიდრებმა გვიჩვენეს ყველა ხეობა, რომელიც ცეცხლით უნდა დაგვეცვა. მათ რჩევებით გაუწიეს დახმარება ჩვენს ჯარისკაცებს, ასწავლეს ეშმაკური „ცხოვრება ტყესა და მთაში". მეომრებმა და კოლმეურნეებმა ხეებზე ბუდეები გააკეთეს მეავტომატე-სნაიპერებისათვის.

მე მიამბეს, თუ როგორ მოუშვა ახლოს (თავისი ასეულის წინ 250 მეტრზე) და დახოცა მაღალი მუხის კენწეროში დამალულმა რიგითმა პონომარიოვმა მოწინააღმდეგის 14 ეკერისაგან შემდგარი მზვერავთა რაზმიდან 13 კაცი. ცოცხალი დატოვა მხოლოდ ერთი, ისიც იმიტომ, რომ ის გაეჩხირა წაქცეული ხის ტოტებში და ტყვედ დანებდა.

სხვა საფარიდან სერჟანტმა ნიკოლოზ ზაბროდინმა ავტომატით ორმოცდაათზე მეტი ფაშისტი მოკლა.

პირდაპირი გაჭრის ხანგრძლივი, უნაყოფო ცდებით გაბორტებულმა ჰიტლერელებმა განიზრახეს ორმაგი ალყა შემოერტყათ ტუაფსესათვის. ამ მიზნისათვის ისინი ძალებს არ ზოგავდნენ. პატარა ტერიტორიაზე მოწინააღმდეგემ ბრძოლაში ჩართო 9 გერმანუ-

ლი, 6 რუშინული და 1 სლოვაკური დივიზია, 5 მაღალმთიანეთში მოქმედი ცალკეული პოლკი და 10 ბატალიონი. ადგილმდებარეობის პირობები ძალიან ზღუდავდა ტანკების მოქმედებას, და ის აქტიურად შეცვალა ავიაციამ.

პატარა რკალის შექმნა ითვალისწინებდა ჩვენი პოზიციების გარღვევას ლისოის მთისა და ხუტორ შუგაის რაიონებში, ნავაგინის სადგურზე გამოსვლას და გარშემორტყმას საბჭოთა ნაწილებისა, რომლებიც იცავდნენ 356,3 ნიშნულ სიმაღლეს, პერვომაისკს, ბელაია გლინას. დიდი რკალის მიზანი იყო ძოემწყვდია ჩვენი ჯარები, რომლებიც იცავდნენ სამკუთხედს — გუნაის მთას, კურინსკის ასაქცევს და სოფელ შაუმიანს. გერმანელები ცდილობდნენ გაეპოთ ფრონტი სამურსკ-ლაზარევსკის მიმართულებითაც, რათა გადაეკრათ სოჭი-ტუაფსეს გზა.

ზოგიერთ ადგილზე მტერმა შეძლო თხუთმეტ-ოც კილომეტრამდე წაწეულიყო, დაეკავებინა რამდენიმე სიმაღლე, სოლივით შეჭრილიყო ჩვენი თავდაცვის მარჯვენა ფლანგზე. ძირითად ზღუდეზე კი — კოტლოვინა, მდინარე გუნაიკა — გერმანელები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. ამის გამო ხშირად სიწყნარე ჩამოვარდებოდა ხოლმე. გერმანელებს წესრიგში მოჰყავდათ თავიანთი ნაწილები, იგერიებდნენ ჩვენი ჯარების კონტრიერიშებს, ხოლო შემდეგ კვლავ გადმოდიოდნენ შეტევაზე.

ტუაფსეთან ბრძოლების შესახებ ჩვენ წავიკითხეთ გერმანიის არმიის ეფრეიტორის ასეთი ჩანაწერი:

„ხანგრძლივი ძებნის შემდეგ გუშინ მივედი ჩვენი ასეულის პოზიციებზე. 23 კაცი წევს თავის ორმოში. დიახ, უკანასკნელ სამ დღეში ჩვენმა ასეულმა დიდი ზარალი ნახა. მე ვესალმები რამდენიმე ჩემ ძველ ამხანაგს და ვთხრი ჩემთვის სანგარს. რამდენიმე წუთის შემდეგ რუსები ესვრიან სიმაღლეებს. ცეცხლს უშენენ ნალმტყორცნელები. კვლავ იწყება ძველი ლათაიები. ჩვენს თავზე ივითმფრინავებია, ჩვენს წინ კავკასიონის მწვერვალებია, ჩვენს ქვემოთ კი ორმოებია მუხის ხშირ ტყეში. ნაბრძანები გვაქვს არ დავთმოთ პოზიცია. საშინელი სროლაა, ხუთ მეტრს იქით არაფერი არ მოჩანს. ძნელი წარმოსადგენია მთელი სიმძაფრით ბრძოლა ამ ტყიან მთებში. ჩვენ ხან ვუტევთ, ხან უკან ვიხევთ, და როდის დამთავრდება ყოველივე ეს“.

შუა ოქტომბერში გერმანელები საკმაოდ სწრაფად გადაჯგუფ-

დნენ. შეუტიეს სამხრეთიდან სოფელ შაუმიანს და დაიკავეს ნავაგანის სადგური, ელიზავეტოპოლის უღელტეხილი. სამთო არტილერიისა და ნალმმტყორცნელების, ასეულობით ბომბდამშენების დახმარებით ჰიტლერელთა 1-ლი და მე-4 სამთო მსროლელი დივიზიები დაიძრნენ სამხრეთისაკენ დაბა გოითხისა და სემაშხოს მთის მიმართულებით. სოფელ ინდიუკთან გზატკეცილის გასწვრივ წინ წაიწია გერმანიის 101-ე მსუბუქმა ქვეითმა დივიზიამ.

რვა ათასი პურვი დაეყარეს გერმანელებმა ბეზიმიანაიას მთას, სამოცჯერ დაბომბეს იგი, ფერდობებზე, სადაც ასწლიანი მძლავრი ტყე იყო, ახლა ცალკეული ტოტებდამწვარი და გადახლეჩილი ხეები აყუდებულან. თვითონ მთა თითქოს დაპატარავებულიყო, დადაბლებულიყო უფსკრულში ჩაიყარა ათასობით ტონა გრანიტი. მაგრამ 84 გვარდიელისაგან შემდგარმა სიმაღლის გარნიზონმა გაუძლო. გარნიზონი ცოცხალი იყო. გარნიზონი იბრძოდა...

37-მა ახალგაზრდა მეომარმა ლეიტენანტ მატროსოვის შეთაურობით 300 გერმანელს გაუძლო ღამის ბრძოლაში.

ეს ბრძოლა ჩვეულებრივი არ ყოფილა. გერმანელები გადმოვიდნენ „ფსიქიკურ“ იერიშზე კისერზე ჩამოკიდებული ელექტროფარნებით. უამრავი სინათლე მოჩანდა ბუჩქებში.

მატროსოვმა მეომრებს უბრძანა ისე განლაგებულიყვნენ, რომ ცეცხლის ტომარაში მოექციათ შეტევაზე გადმოსულები, და დაეცადათ მანამ, სანამ „განათებული“ ხროვა ახლოს არ მოვიდოდა.

სულ უფრო ნათლად კიაფობენ ფარნები. გერმანელები უკვე ახლოს არიან.

— ესროლეთ ფარნებს! — გასცა ბრძანება მატროსოვმა.

იქუხა პირველმა გასროლამ, შემდეგ მეორემ. მას მოჰყვა ტყვიამფრქვევების და ავტომატების ჯერი.

„მანათებლები“ მქრქალდება, მაგრამ გერმანელები მაინც მოიწევენ. მაშინ მატროსოვმა მეომრები კონტრიერიშზე გადაიყვანა. ექომ გატყორცნა მძლავრი რუსული „ვაშა“. ხიშტებით, კონდახებითა და გრანატებით ეძგერნენ მტერს; ჰიტლერელებმა ვერ გაუძლეს გვარდიელების ერთიან დაწოლას და სასწრაფოდ დაიხიეს უკან. მნიშვნელოვანი სიმაღლე ჩვენს ხელში დარჩა.

მარჯვენა ფლანგზე ჩვენი ნაწილები თვითონ გადავიდნენ აქტიურ მოქმედებაზე. ორჯონიკიძესთან გერმანელთა სატანკო დივიზიების გასანადგურებლად ტუაფსეს მიმართულებით განთავისუფლე-

ბული იქნა მდინარე ფშიშის ველი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე სემაშხოს მთის ხეობაში ალყაში მომწყვდეული დარჩა მოწინააღმდეგის ორ ბატალიონამდე ჯარი. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ხელიდან გავუშვით მათი განადგურების კარგი მომენტი. ბრძოლაში დაყოვნება ძალიან საშიშია. მას შეუძლია ინიციატივა დაგაკარგვინოს. აქაც ასე მოხდა. ალყაში მოქცეული ბატალიონების განადგურებას ჩვენ რატომღაც არ მივეცით განსაკუთრებული მნიშვნელობა. გერმანელებმა კი ისარგებლეს რა ჩვენი დაყოვნებით, მიაკვლიეს ყველაზე სუსტ ადგილს ჩვენს დაცვაში და გადაისროლეს იქ ახლახან მოსული ქვეითი დივიზია. გარედან გაარღვიეს ბლოკადა. გაჩენილი გარღვევის ადგილას მოწინააღმდეგემ მაშინვე გადმოისროლა ხუთი პოლკი სამთო არტილერიით და ნაღმსატყორცნებით. ჩვეულებრივ, ჰაერში ყოველთვის იყო მტრის მოპიკრე ბომბდამშენები.

აქ, ახლადწარმოქმნილ სემაშხოს პლაცდარმაზე ჰიტლერელები იმედოვნებდნენ სამაგიერო გადაეხადათ ორჯონიკიძესთან დამარცხებისათვის და ტუაფსეს ოპერაციის ყველა წინანდელი მარცხისათვის.

მაგრამ ახლა ის დრო აღარ იყო! ფრონტს გააჩნდა რეზერვები და შეეძლო მოეხდინა მათი სწრაფი მანევრირება. და ჩვენც შევძელით გამოგვესწორებინა შეცდომა. ჩვენმა მსროლელმა დივიზიამ შეუტია 394,7 მონიშნულ სიმაღლეს. მის შესახვედრად სამხრეთ-აღმოსავლეთით სისხლისმღვრელი ბრძოლებით მოიწევდა სპეციალურად გაწვრთნილი სამთო ნაწილი. ფლანგები რომ მჭიდროდ შეკრეს, მათ მაგრად დაიჭირეს მტრის კომუნიკაციები, რომლებიც მიემართებოდა სემაშხოს და ინდიუკის მთებისაკენ. მოძრავი რაზმები (რიცხვით ასეულიდან ბატალიონამდე) გაბატონებული სიმაღლეებიდან ერეკებოდნენ მტერს, იკავებდნენ საყრდენ პუნქტებს. ბუნებრივი პირობები არ იძლეოდა აქ პოზიციის მთლიანი ხაზის შექმნის საშუალებას. განუწყვეტელი ფრონტი აქ არ იყო.

მოწინააღმდეგემ მთლიანად დაკარგა ინიციატივა. მისი რჩეული სამთო ნაწილები, სემაშხოსკენ რომ გაიჭრნენ, სრული იზოლაციის საფრთხეში მოექცნენ.

20 ნოემბრიდან ჰიტლერელები აჩქარებით შეუდგნენ ქვის, ბეტონისა და მიწისაგან ხანგრძლივად მოქმედი გამაგრებების მოწყობას სიმაღლეებზე. მათ ირგვლივ მსროლელთათვის თხრიდნენ სან-

ჯარსავლებით შეერთებულ სრული პროფილის სანგრებს. ფაშისტთა ჯარები წინ და ფლანგებზე ნაღმავდნენ ველს, დგამდნენ მავთულხლართების ხუთ და მეტ მარგილიან ღობეს. გამაგრებისას ეტყობა ისინი ჯერ კიდევ არ კარგავდნენ ტუაფსეს აღების იმედს.

მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა დიდ ძალებს სტანიცა აფშერონსკაიაში, შირვანსკაიაში, ნეფტოგორსკსა და ხადიჟენსკაიაში და კვლავ დაიწყო შეტევა ტუაფსეზე.

ქალაქსა და ახლომდებარე გზებს ზედიზედ მასირებულ დარტყმებს აყენებდა ავიაცია. ტუაფსეს წყნარ ქუჩებს თავს დაატყდა ასობით ლაღმური და ცეცხლგამჩენი ბომბები, ფისითა და ნავთობით სავსე მძიმე კასრები.

საჰაერო თავდასხმისას სამი კვირის მანძილზე, რომელიც არ წყდებოდა არც დღისით და არც ღამით, ქალაქი თითქმის მთლიანად იქნა დანგრეული. ნავსადგურში მძვინვარებდა ხანძარი...

ქალაქი დაცარიელდა. თითქმის ყველა მცხოვრები მთებში გაიხიზნა. ტუაფსეში მარტო მეზღვაურები დარჩნენ.

ტუაფსეს მიმართულების ზღუდეებს იცავდა მე-18 არმია, მე-17 კაზაკთა ცხენოსანი კორპუსი და ტუაფსეს დაცვის რაიონის ნაწილები კონტრადმირალ გ. ვ. ჟუკოვის მეთაურობით.

შუა დეკემბერში დაიწყო ჩვენი ერთდროული კონტრდარტყმა აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. რამდენიმე დღეში მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით დაკარგა 5000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ღამით 17 დეკემბერს გერმანელებმა მიატოვეს იარაღი, სამომარი მასალა და დაიწყეს უწესრიგო უკანდახევა მთის მდინარის გაღმა.

ორი დღე გადაუღებლად წვიმდა. მთის მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდნენ, ადიდდნენ, ახმაურდნენ მღვრიე შენაკადებით. შემდეგ დაიწყო ყინვები, დაუბერა ძლიერმა ქარმა. ყველაფერი ყინულის სქელი ფენით დაიფარა — ციცაბო ბილიკებიც, დასველებული შინელებიც. ძალიან ძნელი გახდა მოძრაობა, ყოველი ნაბიჯი სასიკვდილო საფრთხედ იქცა. მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენი ნაწილები საკმაოდ სწრაფად გამოვიდნენ მთის ვიწროებიდან, გადალახეს თოვლიანი ქედები და დაეშვნენ ველზე.

ტუაფსეს მიმართულებით შეტევითი მოქმედების დროს მოწინააღმდეგე რამდენჯერმე იცვლიდა თავის ტაქტიკას. მაგალითად,

25—26 სექტემბერს 101-ე ქვეითი მსუბუქი დივიზიის ნაწილები შეეცადნენ შეეტიათ ადიჟენსკის რაიონიდან პერვომაისკის მიმართულებით, განახორციელეს ფრონტული დარტყმა 32-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის დაცვის გარღვევის მიზნით. ამავე დროს გერმანელები უტევდნენ ტუაფსეს გზატკეცილის გასწვრივ. ჩვენი გვარდიელები მედგრად იცავდნენ თავიანთ პოზიციებს. ჰიტლერელების ცდას წარმატება არ მოჰყოლია, და ისინი დიდი დანაკლისით უკან გაბრუნდნენ, უარი თქვეს პირდაპირ დარტყმაზე.

შემდეგში მოწინააღმდეგემ დაიწყო გამოყენება პატარა და დიდი მარწუხებისა, რომლის ღერძიც იყო ტუაფსეს გზატკეცილი. ასე, მაგალითად, ნავაგინსკს რომ უტევდა ლისოის მთიდან და ხუტორ შუგაიდან, მტერი ცდილობდა აეღო პატარა მარწუხით ჩვენი დაჯგუფება ნავაგინსკის რაიონში. ლისოის მთის რაიონიდან კოტლოვინზე. ბდინარე გუნაიკაზე, ინდიუკის მთაზე და გორიაჩეკლიუჩის რაიონიდან ფანაგორიის, სადოვოეს, ხოლო შემდეგ შაუმიანზე დარტყმით ფაშისტები ცდილობდნენ როგორმე დიდ მარწუხში მოემწყვდიათ ჩვენი მე-18 არმიის შაუმიანის დაჯგუფება.

მართალია გერმანელებს ჰქონდათ ერთგვარი ტაქტიკური წარმატება, მაგრამ ძირითად მიზანს ვერ მიაღწიეს. მათ ვერ შეძლეს გარსშემორტყმოდნენ და გაენადგურებინათ ჩვენი დაჯგუფებები.

მოწინააღმდეგე განაგრძობდა შეტევას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დარტყმის მიყენებით, ცდილობდა დაუფლებოდა წინააღმდეგობის ცალკეულ კვანძებს, რომლებიც განლაგებული იყო ხადიჟენსკ-ტუაფსეს რკინიგზის და გზატკეცილის გასწვრივ.

ტუაფსეს მიმართულებით შეტევისას აქტიურად მოქმედებდა ბტრის ბომბდამშენი ავიაცია. სექტემბრის პირველ ნახევარში შავი ზღვის ჯგუფის ჯარების წინააღმდეგ მოქმედებდა 120-მდე ბომბდამშენი, ხოლო სექტემბრის ბოლოსათვის, ე. ი. ჰიტლერელთა შეტევის დასაწყისისათვის ტუაფსის მიმართულებით, — უკვე 350. მოწინააღმდეგის ავიაცია დაბანაკებული იყო ფრონტის უშუალო სიახლოვეს მაიკოპის, ბელორეჩენსკის, კრასნოდარის, კრიმსკის, ქერჩის რაიონებში და დარტყმებს აყენებდა არა მარტო ზურგს, ნავსადგურებს და კომუნიკაციებს, არამედ შავი ზღვის ჯგუფის ჯარების საბრძოლო უბნებს.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ გერმანელები საჰაერო დაზვერვას და ავიაციის ურთიერთმოქმედებას მიწაზე

მყოფ ჯარებთან. მზვერავი თვითმფრინავები შეტევის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ცდილობდნენ ეთვალთვალათ ჩვენი თავდაცვითი ზღუდეებისათვის, ჯარების საბრძოლო უბნებისათვის, შავი ზღვის სანაპიროს გზებისა და ნავსადგურებისათვის და მოეხდინათ მათი საჰაერო ფოტოგადაღება.

ტუაფსეს მიმართულებით შეტევის ხელშეწყობის მიზნით ჰიტლერელთა 46-ე დივიზიის ნაწილებმა შეტევა დაიწყეს სამურსკ-ლაზარევსკის მიმართულებით. წარმატების შემთხვევაში ლაზარევსკის რაიონში გასვლით, ისინი გადაჭრიდნენ ტუაფსე-სოჭის ერთადერთ გზატკეცილს, რითაც მოშლიდნენ მთელი შავი ზღვის ჯგუფის მომარაგებას. ასეთი შესაძლებლობა რომ გაითვალისწინა, შავი ზღვის ჯარების ჯგუფის სარდლობამ ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის მითითებით 1942 წლის სექტემბრის დასაწყისში შექმნა ჯარების ჯგუფი ლაზარევსკის მიმართულებით. მასში შევიდნენ 31-ე მსროლელი დივიზია, 383-ე მსროლელი დივიზიის 691-ე პოლკი და მე-11 გვარდიული ცხენოსანი დივიზია.

ოქტომბრის და ნოემბრის პირველი ნახევრის განმავლობაში ლაზარევსკის მიმართულებით მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები. ჩვენმა ჯარებმა შეძლეს შეეჩერებინათ აქ მოწინააღმდეგის შემოტევა.

ფანაგორიისკის მიმართულებით ბრძოლები გრძელდებოდა თითქმის ნოემბრის ბოლომდე. ჰიტლერელებმა შეძლეს ფანაგორიისკის აღება, მაგრამ 83-ე მოტომსროლელი ბრიგადის და შინსახკომის 26-ე პოლკის ფლანგებიდან დარტყმის შედეგად ისინი განდევნილი იქნენ ფანარის მთისაკენ. განსაკუთრებული სიმტკიცისა და უსაზღვრო სიმამაცის მეოხებით ჩვენმა მეომრებმა ამ მიმართულებითაც შეაჩერეს გერმანელთა შემოტევა.

ტყიანი მთების ადგილებში მოწინააღმდეგის შეტევით მოქმედებას ჰქონდა ზოგიერთი დამახასიათებელი განსაკუთრებულობა. მაგალითად, საავიაციო თავდასხმისა და ბომბების ჩამოყრის შემდეგ ის ჩვეულებრივ მიმართავდა ხანმოკლე საცეცხლე თავდასხმას ყველა არსებული საშუალებებით (არტილერია, ნაღმსატყორცნები, ავტომატური იარაღი) ჩვენი თავდაცვითი ნაწილების საბრძოლო წყებაზე, ამის შემდეგ გადმოდიოდა იერიშზე მისი ქვეითი ქვეგანაყოფები. შეტევა, როგორც წესი, ხორციელდებოდა პატარა ჯგუფებით — გაძლიერებული ოცეული, ასეული, ბატალიონი, რომლებიც მოქმედებდნენ ცალკეული მიმართულებებით მთის ბილიკებისა და

მდინარეების გასწვრივ. ამ ჯგუფებს ამოცანად უსახავდნენ დაეკავებინათ გაბატონებული სიმაღლეები, ფრონტის გასწვრივი გზები, აგრეთვე გზების კვანძები ჩვენი თავდაცვის სიღრმეში. გზების გარეშე ჩვეულებრივ მოქმედებდნენ მეავტომატეთა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც გაძლიერებული იყვნენ მსუბუქი ნაღმსატყორცნებით და მესანგრეთა ქვედანაყოფებით. ეს ჯგუფები ცდილობდნენ გასულიყვნენ ჩვენი ჯარების ფლანგებზე და ზურგში, ტვირთის საზიდავ გზებზე.

ტუაფსეს მიმართულებით ჰიტლერელები სამჯერ შეეცადნენ გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა. მაგრამ ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვის ჯგუფის ჯარებმა, რომელსაც გენერალი ა. ე. პეტროვი სარდლობდა, მოიგერია ყველა იერიში და საპასუხო დარტყმით გაანადგურა მტრის დამკვრელი დაჯგუფება, რომელიც ტუაფსესაკენ მიიწევდა. ტუაფსეს „კაკალი" ჰიტლერელთა კბილებისათვის მაგარი გამოდგა.

შავი ზღვის სანაპიროზე ბრძოლებისას კვლავ გამოვლინდა ი. ე. პეტროვის მხედართუფროსის ნიჭი. ივანე ექვთიმეს ძე პეტროვს მე დიდი ხანია ვიცნობდი როგორც გამოცდილ, მშვიდ, დიდი ორგანიზატორული უნარის მქონე გენერალს.

სახმელეთო ჯარებს დიდი დახმარება აღმოუჩინა შავი ზღვის ფლოტმა, რომელსაც ვიცე-ადმირალი ოქტიაბრსკი სარდლობდა. გარდა თავისი ძირითადი ამოცანისა — გაენადგურებინა მოწინააღმდეგის წყალზედა და წყალქვეშა საშუალებები ზღვაზე, სამხედრო ხომალდებმა განახორციელეს ხალხისა და სამხედრო ტექნიკის გადაზიდვა, რითაც უზრუნველკვეს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების გადაჯგუფება თავის დროზე. მარტო 1942 წლის სექტემბერ-ნოემბერში შავზღველებმა გადაიყვანეს ორმოცდაათი ათასზე მეტი მეომარი და მეთაური, აგრეთვე გადაიტანეს სამოცი ათასზე მეტი ტონა ყოველნაირი ტვირთი...

შავი ზღვის ფლოტის ამ საბრძოლო შრომამ დაგვანახა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო სახმელეთო და საზღვაო ძალების მჭიდრო ურთიერთმოქმედება კავკასიისათვის ბრძოლაში.

სამი თვის სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად ფრონტის ამ უბანზე ჰიტლერელებმა დაკარგეს ოცდახუთი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათი შეტევა ჩაიფუშა.

ტუაფსესთან მოწინააღმდეგის განადგურების შემდეგ ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვისა და ჩრდილოეთის ჯგუფების ჯარები გადავიდნენ შეტევით საბრძოლო მოქმედებაზე.

„მთები“ და „ზღვა“

გაითვალისწინა რა დიდი სამამულო ომის ფრონტზე და უმთავრესად სტალინგრადის და მდინარე თერგთან შეტევითი საბრძოლო მოქმედებების წარმატება, ამიერკავკასიის ფრონტის შტაბმა 1942 წლის დეკემბრის ბოლოს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს გაუგზავნა შავი ზღვის ჯარების ჯგუფის შეტევის გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით შეტევის დაწყება გათვალისწინებული იყო 1943 წლის 3 იანვრიდან. 46-ე არმიის ნაწილების წინაშე დასმული იყო ამოცანა — მაიკოპის განთავისუფლება, კავკასიის ქედის ჩრდილოეთ განტოტებათა ველებზე გასვლა, სადაც უნდა მომხდარიყო გენერალ ი. ი. მასლენიკოვის შემტევი ჯარების ჯგუფთან შეერთება.

მაიკოპზე მთავარი დარტყმის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებული იყო აგრეთვე დამხმარე დარტყმების მიყენება მე-18 და 47-ე არმიების მხრიდან, რათა შეგვებოჭა მოწინააღმდეგე მთელ ფრონტზე და შეგვენიღბა ჩვენი ძირითადი ძალები.

ამ ოპერაციის შესრულების შესაძლებლობა შავი ზღვის ჯარების ჯგუფს გააჩნდა. მაგრამ 29 დეკემბერს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან მივიღე პასუხი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ შეტევა მაიკოპის მიმართულებით დროებით იცვლება.

ჩვენ წინადადება გვეძლეოდა სწრაფად მოგვემზადებინა და გაგვეხორციელებინა დარტყმა კრასნოდარის მიმართულებით. ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებს უნდა გაერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა, გადაეჭრა რკინიგზა ტიხორეცკის რაიონში და ამით არ დაეშვა მტრის კავკასიის დაჯგუფების უკან დახევა. ამავე დროს მოგვეხდინა დამხმარე დარტყმა ნოვოროსიისკის შემოვლით და ხელსაყრელი ვითარების შემთხვევაში დაგვეკავებინა ნოვოროსიისკი, ხოლო შემდეგში მხედველობაში გვქონდა ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლება.

ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად შავი ზღვის ჯარების ჯგუფს ძალა და საშუალებები იმ დროისათვის საკმარისი არ ჰქონდა. უმაღლესი მთავარსარდლობა გვავალებდა გადაგვესროლა გენერალ ი. ე. პეტროვთან ჩრდილოეთის ჯგუფის შემადგენლობიდან მთელი მე-10 გვარდიული მსროლელი კორპუსი, 58-ე არმიის ორი მსროლელი დივიზია და 46-ე არმიის ერთი მსროლელი დივიზია. ამას გარდა შავზღველთა განკარგულებაში გადადიოდა სამი სატანკო პოლკი შთავარბანაკის რეზერვიდან.

მე და ივანე ექვთიმეს ძე ბრძანების მიღებამ ძალიან დაგვაფიქრა. უმაღლესმა მთავარსარდლობამ ჩვენ დაგვისახა წარმოუდგენლად რთული, შეიძლება ითქვას შეუსრულებელი ამოცანა. უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივაში გამოხატული ამოცანა მიმზიდველი იყო: ბატაისკთან გასვლით ჩვენ მოწინააღმდეგეს ვაგდებდით გამოუვალ მდგომარეობაში. მაგრამ ყოველმხრივ რომ განვიხილეთ ეს გეგმა, გულმოდგინედ რომ გავაანალიზეთ შექმნილი ვითარება, ჩვენ წავაწყდით გადაულახავ წინააღმდეგობებს.

მთავარი მათ შორის იყო თვით წინამდებარე საბრძოლო მოქმედებათა რაიონი — კავკასიის მთავარი ქედის განტოტებანი. ჩვენ უნდა გაგვევლო ის სამხრეთისათვის წლის ყველაზე არახელსაყრელ დროს, როცა ტემპერატურა ზღვის სანაპიროზე პლიუსით აღინიშნება, ხოლო მთებში ყინვა მინუს 15—25 გრადუსს აღწევს. ამ დროს ქედის თითქმის ძნელად გაუვალი განტოტებანი მაღალი თოვლით არის დაფარული.

ხოლო გზების უქონლობა საბრძოლო მასალების და სურსათის მისატანად? მისი მშენებლობა მოითხოვდა საგზაო და საინჟინრო ბატალიონების დიდ რაოდენობას, რაც ჩვენს ფრონტს ძალიან ცოტა ჰყავდა.

მეორე სიძნელე იყო ჯარების გადასროლა ორჯონიკიძის რაიონიდან. ასეთი გადასროლა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ კომბინირებული გზით: ფოთის ნავსადგურამდე რკინიგზით, ხოლო შემდეგ — ზღვით. ამას სჭირდებოდა დიდი დრო.

თვით ივანე ექვთიმეს ძე პეტროვი, რომელსაც ბევრი სიძნელე ენახა და გადაელახა ოდესისა და სევასტოპოლის გმირული თავდაცვისას, დიდად დანაღვლიანებული იყო.

— ბევრი სიძნელე შემხვდა მე ყირიმში, მაგრამ რაც ახლა ჩვენ გველის, გაცილებით რთულია...

მაგრამ უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივა სადისკუსიო საგანი როდია, და მე, პეტროვზე არანაკლებ შეფიქრიანებულმა, საჭიროდ ჩავთვალე დამემშვიდებინა ის.

— არც ისე საშიშია ეშმაკი, როგორც ხატავენ: მოვითმინოთ ივანე ექვთიმეს ძევ. მოდი, ერთხელ კიდევ გავაანალიზოთ ოპერაციის გეგმა, მოვიფიქროთ, რა დახმარება შეუძლია გაგვიწიოს შავი ზღვის ფლოტმა.

ვარიანტს ვარიანტზე ვაყენებდით ხან მე, ხან ივანე ექვთიმეს

ძე, მაგრამ გაცხოველებული განხილვის შემდეგ უარვყოფდით, რადგანაც, როგორც სამხედრო თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით ირარეალური იყო.

შტაბში განხილვა იმით თავდებოდა, რომ ვსხდებოდით ყველგან მავალში და მივდიოდით ადგილის დასაზვერავად. როგორი გამძლეა ყველგან მავალი, და მასაც კი უჭირდა: ალმართ-დალმართი მოყინული იყო, თოვლის სისქე — ორი მეტრი. ამ ჯოჯოხეთურ გზაზე უნდა გაევლო ქვეით ჯარს, არტილერიას.

მეორე დღეს ჩვენ ვზვერავდით უკვე სხვა გზას — გორიაჩეკლიუჩის მიმართულებით.

მაგრამ ისიც უვარგისი გამოდგა ჯარების დიდი ჯგუფის გასატარებლად. ტყუილად როდი უწოდებდნენ მას საურმე გზას. მაგრამ აქ ურემსაც არ შეეძლო გავლა. მანქანების გავლისათვის კი საჭირო იყო მისი მნიშვნელოვნად გაფართოება.

— მოდი და შეუტიე აქ დიდი ძალებით, — წარბშეჭმუხვნილმა, ნაწყენი კილოთი წარმოთქვა პეტროვმა. — რამდენი დღე დასჭირდება ამის გაფართოებას და ახალი გზის გაყვანას?

— არც ერთი დღე უქმად, — ვუთხარი პეტროვს, — იჩქარე ივან ექვთიმეს ძევ. მიეცი დავალება შენს საგზაო ნაწილებს, დაე გამოავლინონ მოხერხებულობისა და სიმამაცის სასწაულები. არტილერიისა და ავტოტრანსპორტის გასატარებელი გზის გარეშე, ჩვენ შეტევაზე ფიქრიც არ შეგვიძლია. მოვაწყობთ ტვირთგადასაცლელ სადგურებს, მოვაგვარებთ სადისპეტჩერო სამსახურს...

შტაბში რომ დავბრუნდი, სტალინს დავურეკე, მოვახსენე იმის შესახებ, თუ რა მოგვცა დაზვერვამ ლაზარევსკ-მაიკოპისა და გორიაჩეკლიუჩის მიმართულებით, გამოვთქვი შიში შეტევის წარმატებით დაგვირგვინების თაობაზე. ჩემს ცდას სტალინთან საუბარში დამეცვა ადრე შემუშავებული „მაიკოპის გეგმა“ შედეგი არ მოჰყოლია. ძალაში დარჩა უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ შემოთავაზებული კრასნოდარის ვარიანტი.

წინასწარ აღვნიშნავ, რომ შავი ზღვის ჯარების ჯგუფმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ შეასრულა მის წინაშე მდგომი ამოცანა. შემდეგში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებს შვიდი თვე დასჭირდათ, რათა ბოლოს და ბოლოს გაერღვია აქ მოწინააღმდეგის თავდაცვა.

ამრიგად, უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივის შესაბა-

მისად ჩვენ სასწრაფოდ შევიმუშავეთ კრასნოდარის მიმართულებით შეტევის გეგმა, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისაგან (ოპერაციისაგან) — „მთები“ და „ზღვა“.

ოპერაცია „მთები“ ითვალისწინებდა მტრის თავდაცვის გარღვევას გორიაჩეკლიუჩის რაიონში, მდინარე ყუბანზე გადასვლას და კრასნოდარის განთავისუფლებას.

მაგრამ როგორც უმაღლესი მთავარსარდლობა მიუთითებდა, კრასნოდარი არ იყო შეტევის საბოლოო მიზანი. როსტოვისაკენ და ეისკისაკენ უკანდასახევ გზას რომ გადაუჭრიდნენ მოწინააღმდეგის დაჯგუფებას კავკასიაში, ჩვენს ჯარებს უნდა აეღოთ ტიხორეცკი და ბატაისკი. ამით მთავრდებოდა ოპერაცია „მთები“.

ამის შემდეგ იწყებოდა საზღვაო ოპერაცია. 47-ე არმიის მარცხენა ფრთას უნდა შეეტია მარკოთხის და ნებერჯაევის უღელტეხილების მიმართულებით.

ჩვენი სახმელეთო ნაწილების ამ ზღუდეზე გამოსვლისთანავე შავი ზღვის ფლოტს უნდა გადაესხა დესანტი იუჟნაია ოზერეიკას რაიონში. დაგეგმილი იყო მეზღვაურთა და საერთო საჯარისო შენაერთებთან ერთად ერთობლივი დარტყმით გაენადგურებინათ გერმანელები ნოვოროსიისკთან, დაეკავებინათ ნავსადგური, ქალაქი და გასულიყვნენ ვოლჩი ვოროტას უღელტეხილზე.

მტრის დეზორიენტირებისათვის გათვალისწინებული იყო დესანტის გადასხმის დემონსტრირება სანაპიროზე რამდენიმე ადგილას.

ოზერეიკის რაიონში დესანტის წარუმატებლობის შემთხვევაში განსაზღვრული იყო გადასხმის მეორე პუნქტი — სტანიჩკა.

დესანტის ხელმძღვანელობა ეკისრებოდა ვიცე-ადმირალს ფ. ს. ოქტიაბრსკის.

საერთოდ ასე გამოიყურებოდა კრასნოდარის მიმართულებით ჩვენი შეტევის გეგმა.

უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 4 იანვრის დირექტივით ჩვენ გვევალებოდა გამოგვეყო ჯარების მძლავრი კოლონა შავი ზღვის ჯგუფის შემადგენლობიდან, დაგვეკავებინა ბატაისკი, აზოვი, „შევმძვრალიყავით“ აღმოსავლეთიდან როსტოვში და ასეთნაირად შოგვემწყვდია მოწინააღმდეგის ჩრდილო კავკასიის დაჯგუფება, დაგვეტყვევებინა ან გაგვენადურებინა ის.

მთლიანად ამ ოპერაციის შესრულებაში ჩვენთვის ხელი უნდა შეეწყო სამხრეთის ფრონტს, უფრო ზუსტად მის მარცხენა ფლანგს.

უმაღლესმა მთავარსარდალმა პირადად მომცა განკარგულება:

„უბრძანე პეტროვს, რათა მან დაიწყოს შეტევა მოცემულ ვადაში, არც ერთი საათით არ გადადოს ეს საქმე, არ დაელოდოს რეზერვების მოსვლას". ეე კი, დაუყოვნებლივ გავმგზავრებულიყავი შავი ზღვის ჯარების ჯგუფში და უზრუნველმეყო ამ მითითებების შესრულება.

ანალოგიური მითითება მივიღე 1943 წლის 9 იანვარს გენერალური შტაბის უფროსისაგან, არმიის გენერალ ვასილევსკისაგან.

1943 წლის იანვრის პირველი რიცხვებიდან გერმანელთა ნაწილებმა დაიწყეს კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილების დატოვება, რათა გაეძლიერებინათ თავდაცვა კრასნოდარის მიმართულებით.

ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარებმა, განავითარეს რა შეტევა მთელ ფრონტზე, 10 იანვრისათვის აიღეს ვორონცოვი-ალექსანდროვსკი, სოლდატსკო-ალექსანდროვსკი და გავიდნენ მდინარეების — კუბის, ზოლკის და მალკის ზღუდეზე.

1943 წლის 11 იანვარს დილით ცერკოვნის ზღუდედან სიმაღლე 509,9-დან სამურსკის საერთო მიმართულებით შეტევაზე გადავიდა 46-ე არმიის 31-ე მსროლელი დივიზია. მას მხარს უჭერდნენ ექვსი სამთო-საპალნე და სამი 107-მილიმეტრიანი ორქვემეხიანი შემადგენლობის ბატარეიები. 46-ე არმიის მარცხენა ფლანგის არტილერიის დანარჩენი ნაწილი — მე-9 სამთო მსროლელი დივიზიის ხუთი ბატარეა, 193-ე გვარდიული ნაღმსატყორცნი პოლკი და გვარდიული ნაღმსატყორცნი დივიზიონი — ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ, ცხენების დაუძლურების გამო მათ ვერ შეძლეს საცეცხლე პოზიციების დაკავება.

ამინდი არ გვიწყობდა ხელს. 10-დან 12 იანვრამდე განუწყვეტლივ წვიმდა და ცოტა თოვლსაც ურევდა, გზები სრულიად გაუვალი გახდა ყველა სახის ტრანსპორტისათვის. ტუაფსე-მაიკოპის რკინიგზა მრავალ უბანზე მწყობრიდან იყო გამოსული, და მატარებლებს მიმოსვლა შეეძლოთ მხოლოდ სადგურ ინდიუკამდე. ამიტომ არმიის ნაწილები განიცდიდნენ საბრძოლო მასალებისა და სურსათის ნაკლებობას.

საინჟინრო ობიექტების სუსტ საარტილერიო დამუშავებას, ხოლო შემდეგ ქვეითებისათვის არტილერიისა და ავიაციის ასევე

სუსტ მხარდაჭერას შედეგად მოყვა ის, რომ შეტევა ჩქარა ჩაიფუშა. მეორე დღეს კი მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ორ ბატალიონამდე ქვეით ჯარს ჩერნიგოვის და იზმაილოვის რაიონში, განახორციელა მძლავრი კონტრიერიში და კვლავ დაიკავა სიმაღლე 509,9, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ ასე დიდი გაჭირვებით აიღო 31-ე დივიზიის 248-ე მსროლელი პოლკის ორმა ბატალიონმა.

წარუმატებელი აღმოჩნდა აგრეთვე 46-ე არმიის შეტევა სამურ-აფშერონის მიმართულებით და 47-ე არმიის დარტყმები ახტირსკსა და აბინსკზე. ეს ორი არმია, რომელთა მიზანს შეადგენდა აეცდინა მოწინააღმდეგის ყურადღება კრასნოდარის მიმართულებით მთავარი ოპერაციისაგან, მნიშვნელოვნად დაზარალდა და იძულებული გახდა კვლავ თავდაცვაზე გადასულიყო.

წარმატებას ვერც მე-18 არმიამ მიაღწია. შეტევა აქაც ძალზე ნელა ვითარდებოდა განუწყვეტელი თოვლის ნამქერების გამო. მთებში თოვლის ნამქერი მეტრნახევარს აღწევდა. მხოლოდ ორი დღის შემდეგ დაიკავა ამ არმიის ნაწილებმა ქალაქი შაუმიანი და ელისავეტოპოლის უღელტეხილი.

სამაგიეროდ 56-ე არმიის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა მთავარი მიმართულებით და სამი დღის განმავლობაში 20 კილომეტრამდე წაიწიეს წინ.

ამით დამთავრდა შავი ზღვის ჯგუფის ძირითადი ძალების შეტევითი ოპერაციის პირველი ეტაპი. და თუმცა მარჯვენა ფლანგის ჯარები ძალთა უდიდესი დაძაბვის ფასად გავიდნენ ველზე, მაგრამ მთავარ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, დამკვრელმა დაჯგუფებამ ვერ შეძლო კრასნოდარის განთავისუფლება.

1943 წლის 24 იანვარს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის განკარგულებით ჩრდილოეთი ჯარების ჯგუფისაგან ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი. რომელიც უშუალოდ დაემორჩილა მთავარ ბანაკს.

ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში დარჩა შავი ზღვის ჯარების ჯგუფი და ჯარები, რომლებიც იცავდნენ სანაპიროს და ჩვენს საზღვრებს თურქეთთან და ირანთან.

იანვრის ბოლოსათვის შავი ზღვის ჯგუფის მარჯვენა ფლანგის ჯარებმა გატეხეს რა მოწინააღმდეგის შეუპოვარი წინააღმდეგობა, შეუერთდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის 37-ე არმიის მარცხენა ფლანგს. ორი კვირის მანძილზე შეტევით ბრძოლებში განადგუ-

რებული და დატყვევებული იქნა 25 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტერმა დაკარგა 200 ქვემეხი, 400-მდე ნაღმსატყორცნი, 300 ტყვიამფრქვევი, 500 ავტომანქანა, 64 თვითმფრინავი და ბევრი სხვა სახის ტექნიკა.

ოპერაციაში „ზღვა“ მთავარი ამოცანა ეკისრებოდა 47-ე არმიას, რომელსაც უნდა გაერღვია ჰიტლერელთა დაცვა სიმაღლე 424,5 და სახარნაია გოლოვკას მთის ზღუდეზე, განევითარებინა შეტევა ნებერჯაევის და მარკოთხის უღელტეხილების მიმართულებით, ხოლო შემდეგ საზღვაო დესანტთან ერთად დაუფლებოდა ნოვოროსიისკს. წარმატების შემთხვევაში შეიქმნებოდა პირობები არმიის შემდგომი მოქმედებისათვის ტამანის ნახევარკუნძულის ასაღებად.

1 თებერვალს 47-ე არმიის მარცხენა ფრთის ნაწილები (გენერალმაიორ ა. ა. გრეჩკინის ჯარების ჯგუფი) ხუთსაათიანი საარტილერიო მომზადების შემდეგ გადავიდნენ შეტევაზე. დაძლიეს რა მოწინააღმდეგის საცეცხლე წინააღმდეგობა და მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები, წინ წაიწიეს ცალკეულ მიმართულებებზე წინა ხაზიდან 200—500 მეტრის მანძილზე.

მეორე დღეს ცალკეული მოიერიშე ჯგუფები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტების ბლოკირებას და მავთულხლართიან დაბრკოლებათა რღვევას. საერთო შეტევა კი შეჩერებული იქნა, ცუდი ხილვადობის გამო არტილერიამ ვერ შეძლო მხარი დაეჭირა ჩვენი ნაწილებისათვის.

3 თებერვალს გრეჩკინის ჯგუფის ჯარები გააფთრებულ ხელჩართულ ბრძოლას ეწეოდნენ კონტრიერიშზე გადმოსულ მოწინააღმდეგესთან ნოვოროსიისკის მიმართულებით.

ღამით 4 თებერვალს გელენჯიკიდან წამოსული საზღვაო დესანტის პირველი ეშელონი მიადგა იუჟნაია ოზერეიკას. ჩვენი კრეისერისა და ორი საესკადრო ნაღმოსნის ნახევარსაათიანი ცეცხლის შემდეგ გადასხმის რაიონში ნაპირისაკენ გაემართნენ ქვემეხიანი ნავები და ბალინდერები.

გერმანელებმა გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნეს სადესანტო ჯემებს. პირდაპირი მოხვედრის გამო მწყობრიდან გამოვიდა რამდენიმე ბალინდერი, დაზიანდნენ ქვემეხიანი ნავებიც. იძულებული ვავხდით გადასხდომა შეგვეწყვიტა.

ხოლო ვინც გადასხდომა მოასწრო — 255-ე ბრიგადის თითქმის ათასხუთასამდე მეომარი — განაგრძობდა უთანასწორო ბრძო-

ლას სანაპიროზე. ჩვენმა მეომრებმა დაიკავეს და სამ დღეს ჰქონდათ შენარჩუნებული გლებოვკა. მაგრამ დამხმარე ძალა რომ არ მოუვიდათ, მედესანტეები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და ცალ-ცალკე ჯგუფებად გამოსულიყვნენ ფრონტის ხაზიდან.

უფრო წარმატებიანი აღმოჩნდა დამხმარე დესანტი სტანიჩკას რაიონში. საზღვაო ქვეითების ორას ორმოცდაათ მებრძოლიანმა რაზმმა მაიორ ც. ლ. კუნიკოვის მეთაურობით ხელში ჩაიგდო პატარა პლაცდარმი ცემესის უბის სანაპიროზე. მალე აქ გადაისროლეს საზღვაო ქვეითების კიდევ სამი ჯგუფი.

მედესანტეებს ეხმარებოდა შორსმროლელი არტილერია შესხარიკის რაიონიდან და ავიაცია გელენჯიკის აეროდრომიდან.

5 თებერვალს მიღებული იქნა გადაწყვეტილება სტანიჩკაში გაგვეგზავნა დესანტთა ძირითადი ძალები. იქ მიიყვანეს საზღვაო ქვეითი ჯარის 255-ე ბრიგადა, 83-ე საზღვაო მსროლელი და 165-ე მსროლელი ბრიგადები.

მედესანტეებმა შეძლეს პლაცდარმის გაფართოება. ამ მცირე მიწაზე ჩვენმა ჯარებმა იბრძოლეს თითქმის რვა თვე, 1943 წლის სექტემბრამდე, თვით ნოვოროსიისკის განთავისუფლებამდე.

ჩვენ უკვე აღარ მოგვიწია მასში მონაწილეობა: 5 თებერვალს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დირექტივის შესაბამისად შავი ზღვის ჯგუფის ჯარები შეყვანილი იქნა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში. ჩვენი ფრონტის ძირითად ამოცანად კვლავ გახდა ახლო აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა...

1943 წლის შემოდგომაზე ჰიტლერელები განდევნილი იქნენ კავკასიის მიწიდან. კავკასიისათვის ბრძოლა გერმანელ-ფაშისტთა ჯარების სრული დამარცხებით დამთავრდა. მტრის ყველა ცდამ ხელში ჩაეგდო გროზნოს და ბაქოს ნავთობი კრახი განიცადა.

კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში ჩვენს ჯარებს დიდი დახმარება გაუწიეს პარტიზანებმა. მძლავრი პარტიზანული მოძრაობა გაიშალა მთელს კავკასიაში: სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში, უაბარდო-ბალყარეთში, ჩრდილოეთ ოსეთში და ჩაჩნეთ-ინგუშეთში შექმნილი იყო ათეულობით პარტიზანული რაზმები. პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელი შტაბების სათავეში იყვნენ მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების გამოცდილი პარტიული მუშაკები. ასე მაგალითად, სტავროპოლის მხარის პარტიზა-

ნული მოძრაობის შტაბს სათავეში ედგა სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ა. სუსლოვი.

ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობა და პოლიტსამმართველო ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ პარტიზანული მოძრაობების შტაბებს რაზმების შექმნაში, მათ შეიარაღებასა და სურსათით მომარაგებაში, მათი განლაგების პუნქტების შერჩევაში, ურთიერთმოქმედებისათვის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებაში, მათი ბრძოლის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრაში ჩვენი ჯარების შეტევის დროს, ცალკეულ ოპერაციათა შემუშავებაში.

თავდაცვითი ბრძოლების პერიოდში ყარაჩაევისა და ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქების პარტიზანული რაზმები პირველები ჩაებნენ ბრძოლაში „ედელვეისის“ დივიზიის ნაწილებთან, დაეხმარნენ 46-ე არმიის ჯარებს არ გაეშვათ ჰიტლერელები უღელტეხილებით შავი ზღვისაკენ.

ცხრა პარტიზანული რაზმი, რომელიც გაერთიანებული იყო ჩრდილოეთ ოსეთის პარტიზანულ ბრიგადაში, მოქმედებდა ჩრდილოეთ ოსეთის მთებში. ამ ბრიგადის ანგარიშზეა ბევრი განადგურებული ჰიტლერელი და მტრის საბრძოლო ტექნიკა.

ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველო რეგულარულად უშვებდა ფურცელს „ვესტი ს როდინი“, რომელიც მიმართული იყო ოკუპირებული რაიონების მოსახლეობისაკენ და პარტიზანებისაკენ.

იმ დღეებში, როცა ამიერკავკასიის ფრონტი შეტევაზე გადავიდა, ფურცელი „ვესტი ს როდინი“ წერდა: „ჩვენ მოვდივართ თქვენთან, ამხანაგებო! ჩვენ ნაბრძანები გვაქვს გავათავისუფლოთ ყუბანი და კავკასია. და ჩვენ ამ ბრძანებას შევასრულებთ. დღეს, წითელი არმიის გადამწყვეტი შეტევის დღეებში თქვენ მასთან ერთად შეუბრალებლად უნდა ანადგუროთ საზიზღარი მტერი, გააძლიეროთ ბრძოლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან, ყოველმხრივ და ყველა საშუალებით წინააღუდგეთ გერმანელ მძარცველებს, რათა არ გაზიდონ ყუბანიდან და კავკასიიდან ჩვენი სიმდიდრე, ფასეულობანი, სურსათი. პირუტყვი.

„არ გამოატაროთ ფრონტისაკენ. არ გამოუშვათ ყუბანიდან და კავკასიიდან არც ერთი სარკინიგზო ეშელონი. ააფეთქეთ ის, მოსპეთ ხიდები, საწყობები, მოშალეთ კავშირგამულობა, ყოველ-

ზერხით შოსპეთ ჰიტლერელი არამზადები და გადაუჭერით მათ უკან დასახევი გზა. დადგა განკითხვის დრო!“

ეს მხურვალე მოწოდება მოისმინეს და აიტაცეს მთელს კავკასიაში.

სტავროპოლის მხარის პარტიზანებმა გაათავისუფლეს სამოცდაათი დასახლებული პუნქტი. მათ შორის შვიდი რაიონული ცენტრი. როცა 347-ე დივიზიის ნაწილებს იერიში მიჰქონდათ სტავროპოლზე, ქალაქში მოქმედი ასამდე პარტიზანი შეებრძოლა სტავროპოლის ცენტრში ჰიტლერელებს და არ მისცა მათ საშუალება დაენგრიათ ბევრი საწარმო და დაწესებულება.

სტავროპოლელი პარტიზანები დაეხმარნენ ჩრდილოეთი ჯგუფის ჯარებს მთლიანად გაეწმინდათ ჰიტლერელებისაგან ლევოკუმისა და არზგირის რაიონები.

ჩვენს შემტევ ნაწილებს დიდი დახმარება გაუწიეს მაიკოპისა და ნეფტოგორის პარტიზანულმა რაზმებმა. მათ 31-ე მსროლელი დივიზიის და მე-40 ცალკე მსროლელი ბრიგადის მეომრებთან ურთიერთმოქმედებით გაათავისუფლეს ბევრი მსხვილი დასახლებული პუნქტი და შეინარჩუნეს იგი სამხედრო ნაწილების მოსვლამდე.

მტერთან ბრძოლაში მამაკაცების თანაბრად ქალებიც მონაწილეობდნენ.

ინჟინერ-მექანიკოსი ნინა ფილიპეს ასული ბურლაკი არ შეუშინდა ჰიტლერელების მუქარას და ყველაფერს აკეთებდა, რათა მაიკოპში გერმანელების მიერ ხელში ჩაგდებული „ხადიჟენნეფტის“ არც ერთი ჭაბურღილი არ ყოფილიყო მოქმედი.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის 700-მდე ქალიშვილი წავიდა ფრონტზე და პარტიზანულ რაზმებში. მამაცურად ებრძოდა მტერს ბალყარელი ლილია ბალზიკოვა, ყარაჩაელი ზალიხატ ერკენოვა და მრავალი სხვა. 1942 წლის სექტემბერში ყაბარდოელმა სოფიატ ჟანყაზიევამ ბაქსანის ხეობიდან ტყვედ ჩაიგდო გერმანელი მაიორი, რომელსაც აღმოაჩნდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ამ გმირობისათვის ის დაჯილდოებული იქნა წითელი დროშის ორდენით.

კავკასიის დამცველთა გმირულ ბრძოლას მაღალი შეფასება მისცა პარტიამ და მთავრობამ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 1 მაისის ბრძანებულებით დაწესდა მედალი „კავკასიის დაცვისათვის“.

კავკასიის დაცვის დღეებში ჩვენს ფრონტზე შეიქმნა სიმღერა.

დე, უწყოდნენ შვილებმა, დე, გაიგონ, ვინც ვართ,
დე, აქებდნენ მამათა გმირობას და ხასიათს, —
თუ ვით დავინარჩუნეთ საბჭოეთის მიწა,
როგორ დავინარჩუნეთ საბჭოთა კავკასია.

ვერ შეგვაკრთო მერეხმა, ქარებმა და წვიმებმა,
სუსხი, ყინვა — გადაგვხდა გასაჭირი ყველა,
და ვინც დანაკარდობდა მთებში მთის არწივებთან —
თვითონ მთის არწივებად ვუბრუნდებით კერას.

გვწამდა, გავიმარჯვებდით! და ჰა, ის დღეც მოვიდა,
გვწამდა, ამწვანდებოდა თერგის ირგვლივ სივრცე,
რომ მტერს ჩვენი გვარდია გარეკავდა ვოლგიდან,
და ჩვენც კავკასიიდან გავრეკავდით ფრიცებს.

ასეც მოხდა: ჰიტლერელები განადგურებული და განდევნილი იქნენ კავკასიიდან.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი — ჩემს მიერ გამოვლილი მესამე ომი.

მხრებზე მაწევს საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის ორმოცდაათზე მეტი წელი. ბევრი რამ დამავიწყდა ამ დიდი ხნის მანძილზე, მაგრამ არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან თანამებრძოლთა სახელები, რომლებთანაც მომიხდა მხარდამხარ ბრძოლა საყვარელი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. არ დამავიწყდება მათი სახელები, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენი სამართლიანი საქმის დაცვისათვის.

შინაარსი

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა 3
წინ, განთიადის შესახვედრად 7
გზის დასაწყისი . . 7
„სარწმუნოებისათვის, მეფისა და მამულისათვის“ 32
საბჭოთა ხელისუფლებისათვის 52
სამოქალაქო ომის ქარცეცხლში 69
მტრები ტაქტიკას იცვლიან 120
მიმდინარეობს სახალხო ომი 142
და კვლავ ბრძოლა 142
სამხრეთის ფრონტი . 153
ურალზე და მოსკოვთან 169
კავკასიის მთისწინეთში . 179
ბრძოლა თერგსა და ბაქსანზე 201
უღელტეხილზე 228
ტუაფსეს „კაკალი“ 242
„მთები“ და „ზღვა“ 260

И. В. Тюленев

ЧЕРЕЗ ТРИ ВОЙНЫ

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1984

რედაქტორები: ც. უნდილაშვილი, ნ. ჯიმშელეიშვილი
მხატვარი რ. მაჭარაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ნ. კირთაძე, ე. ჟვანია
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

გადაეცა წარმოებას 12.06.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.84. საბეჭდი ქაღალდი № 2, 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირ. ნაბეჭდი თაბახი 15.81. პირ. საღ. გატ. 16.04. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.89. ტირაჟი 3000. შეკვ. № 752.
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახლობის, თბილისის № 4 სტამბა
380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4, Госкомиздата
Грузинской ССР, Тбилиси, 380060. Медгородок II корп.